საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№4 (47)
3 – 9 თებერვალი, 2010
საქართველო მსოფლიოში
ფასი 1 ლარი
info@geworld.net



წასვლა?.. არ წასვლა? – საკითხავი, აი, ეს არის!

სამოდე წლის წინათ ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა თბილისშიც და ბრიუსელშიც თქვა: „თუ ნატოში მიგილებთ, მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე!“ 4

ალექსანდრე ჭაჭია: საქართველოდან წარგზავნილი „დამკვირვებლების დესანტი“ მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა 2

დარჩება თუ არა უკრაინა ერთიანი სახელმწიფო? 6

ელიზბარ ჯაველიძე: უკრაინაში იანუკოვიჩის გამარჯვებით ფერადი რევოლუციები საბოლოოდ დასრულდება 10

მეგობრობა ილხამისეულად, ანუ ნეპალიდან საინგილომდე 11

მარტყოფის ბრძოლის ველზე ნაგავსაყრელი შენდება 14

პარლამენტარ პაატა ლექავას კოლეგებიც არ იცნობენ 15

მიხაილოვის საავადმყოფო კოტრდება 16

მიშა და ჰიჩკოკი 9

ყანდაგარში რა გინდოდა?! 12

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ალექსანდრე ჭაჭია:

საქართველოდან წარგზავნილი «დამკვირვებლების დესანტი» მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა

არაოფიციალური საქართველო უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტურის პროცესში ორი ათასი ფსევდოდამკვირვებლის შეჭრის მცდელობის გამო ერთობ უფრთხის თავისი სახელმწიფოს იმიჯის სამუდამოდ შელახვას უკრაინელთა თვალში. ოფიციალური და არაოფიციალური საქართველოს მოსაზრებათა განსხვავების განსამარტავად უკრაინაში მეორე ტურის დაწყებამდე ნამდვილი ჟურნალისტები და პოლიტოლოგები ჩავიდნენ. ისინი დამკვირვებლობას არ იჩემებენ, პირიქით, კანდიდატთაგან აბსტრაგირებასა და უკრაინელთა წინაშე, თავად უდანაშაულონი, ბოდიშის მოხდას ცდილობენ. ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ინტერვიუს ჩაწერისას კიევში კერძო ვიზიტით იმყოფებოდა. ის აბსოლუტურად მხარს უჭერს კოლეგებს და იმედოვნებს, რომ ხელისუფლების გამოისობით საქართველო დიპლომატიურ რეზერვაციაში არ მოხვდება.

— ბატონო ალექსანდრე, იანვრის დასაწყისში უკრაინაში ორი ათასი ქართველი დამკვირვებლის გამოჩენას მიიჩნევთ თუ არა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში საქართველოს ჩარევად?

— ეს უგვანი აქციაა და მეჩოთირება არა მარტო როგორც კაცს, რომელიც მეტ-ნაკლებად ერკვევა საარჩევნო ტექნოლოგიებში, არამედ როგორც ქართველსაც. ასეთი მრავალრიცხოვანი რაზმის ამგვარი ვოიაჟები ასე პატარა ქვეყნიდან უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო პრაქტიკაში და საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის ძალზე ბრიყვული ნაბიჯიც. საქმე ხომ თეთრი ძაფითაა ნაკერი. ყველაზე მეტად ის მთრგუნავს, რომ საქართველოს არასახარბიელო იმიჯს, რომელიც ბოლო წლებში საერთაშორისო არენაზე შეექმნა, შესაძლოა, ისეთი სახელმწიფოს იარლიყიც დაემატოს, რომელიც მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ერევა. უკრაინაში ბოევიკთა თუ ნახევრად ბოევიკთა რაზმების გაგზავნა ტერორისტული დესანტის გადასხმას ჰგავს, რომელიც უტიფრად ლამობს, კონკრეტული, არცთუ კანონიერი მეთოდებით ზეგავლენა მოახდინოს საარჩევნო სიტუაციაზე.

— ვინ არიან სინამდვილეში ეს ფსევდოდამკვირვებლები?

— ჩემთვის ცნობილია, რომ უკრაინული მხარის მიერ გამოქვეყნებულ სიაში 100-მდე კაცი ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც შსს-ს თანამშრომელი, შეიარაღებულ ძალთა მოქმედი ოფიცერი და „მეტროპოლიტენის“ საპატრულო პოლიციის წარმომადგენელიც კი. არ მიკვირს, რომ ბევრმა მათგანმა ანკეტაში სამუშაო ადგილი არ მიუთითა; ეტყობა, მიხვდნენ, რომ „შსს-ს ოფიცრის“ ჩაწერა არ შეიძლებოდა. რაც შეეხება დამკვირვებელთა ამ მასის ძირითად ნაწილს, ის მონამორჩილია. პოლიციის ოფიცრებმა ბრძანება მიიღეს და მის შესაბამისადაც მოქმედებენ. ასე რომ, ამ ხალხის პიროვნულად გაკიცხვას აზრიც არ აქვს. დამნაშავე ქვეყნის ხელმძღვანელობაა.

— როგორია საქართველოს რიგითი მოქალაქეების დამოკიდებულება უკრაინაში ქართველ დამკვირვებელთა გამო ატეხილი სკანდალისადმი?

— საქართველოში აქტიურად მსჯელობენ ამ თემაზე, ბევრი ძალზე აღშფოთებულია, ახლა ხომ კატასტროფულად შემცირდა საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოების რაოდენობა, ქვეყანა პრაქტიკულად, საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობა არც ერთ თავმოყვარე მსოფლიო ლიდერს აღარ სურს.

— რაკი ეს ტექნოლოგია უკრაინაში უკვე გამოააშკარავეს, სხვა რა მექანიზმის გამოყენება შეუძლია კანდიდატს კენჭისყრის შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად?

— ვფიქრობ, ახლა ძირითადი აქცენტი დამკვირვებელთა და ამომრჩეველთა ერთობლივად გამოყენების ტექნოლოგიაზე კეთდება. მაგალითად, ამომრჩეველთა ჯგუფი საჯაროდ განაცხადებს რაიმე დარღვევის თაობაზე, სიებში მათი გვარების არარსებობიდან დაწყებული, და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, რითაც საარჩევნო კომისიის წევრების პროვოცირებას მოახდენს. პარალელურად სიტუაციაში ერთვებიან დამკვირვებლები და კომისიის მხრიდან დარღვევებს რად მსჯელობენ ამ თემაზე, ბევრი ძალზე აღშფოთებულია, ახლა ხომ კატასტროფულად შემცირდა საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოების რაოდენობა, ქვეყანა პრაქტიკულად, საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობა არც ერთ თავმოყვარე მსოფლიო ლიდერს აღარ სურს.

— რაკი ეს ტექნოლოგია უკრაინაში უკვე გამოააშკარავეს, სხვა რა მექანიზმის გამოყენება შეუძლია კანდიდატს კენჭისყრის შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად?

— ვფიქრობ, ახლა ძირითადი აქცენტი დამკვირვებელთა და ამომრჩეველთა ერთობლივად გამოყენების ტექნოლოგიაზე კეთდება. მაგალითად, ამომრჩეველთა ჯგუფი საჯაროდ განაცხადებს რაიმე დარღვევის თაობაზე, სიებში მათი გვარების არარსებობიდან დაწყებული, და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, რითაც საარჩევნო კომისიის წევრების პროვოცირებას მოახდენს. პარალელურად სიტუაციაში ერთვებიან დამკვირვებლები და კომისიის მხრიდან დარღვევებს აფიქსირებენ. ეს დარღვევები, თუნდაც უმნიშვნელო, შესაძლოა, სასამართლოში ჩივილისა და კონკრეტულ უბანზე შედეგების ანულირების მიზეზადაც იქცეს. ამ მეთოდს მეტ-ნაკლებად აუცილებლად გამოიყენებენ, რადგან ვიცი, რომ ზოგიერთი პოლიტტექნოლოგი სასამართლო სისტემაზე დიდ იმედებს ამყარებს.

— გამოდის, რომ არჩევნების ჩაშლა სავსებით რეალურია.

— ყველაფერი უკრაინის საზოგადოების პოზიციაზე, სასამართლოების პრინციპულობასა და კანდიდატთა საარჩევნო შტაბების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელთ უნდა გააცნობიერონ, რომ არჩევნების დროს მათი მოქმედება უკრაინის ისტორიაში შევა, ხოლო ისტორიაში შესვლა გამარჯვებულსაც და დამარცხებულ კანდიდატსაც როგორი ნიშნით (პლიუსით თუ მინუსით) სურთ, მათივე გადასაწყვეტია.

ესაუბრა
ევგენი საპოილოვი
http://telegrafua.com/506/politics/10667/

ჰალსტუხი — ევროპის ყველაზე მამაცი პრეზიდენტისთვის

საქართველოს ელჩმა უკრაინაში უარი განაცხადა მეშახტეების მიერ დსთ-სა და ევროპის ყველაზე მამაცი პრეზიდენტისთვის მომზადებული საჩუქრის — ჰალსტუხის მიღებაზე.

უკრაინის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევაა, რაც სახიფათო შედეგებს გამოიღებს. უკრაინის სახელმწიფოს მეთაურის არჩევნების პერიოდში საარჩევნო პროცესში საქართველოს იმ მოქალაქეთა მონაწილეობა, რომლებსაც დამკვირვებელთა სახით ოფიციალური რეგისტრაცია არ გაუვლიათ, ქვეყნის უსაფრთხოებას უშუალო საფრთხეს უქმნის.“

უკრაინის მთავრობის პრემიერ-მინისტრის — იულია ტიმოშენკოსა და მისი ქართველი თანამეინახის, საქართველოს პრეზიდენტის დანაშაულებრივი ავნტიურა მარცხით დასრულდა. საქართველოს ელჩის მოადგილემ კიევში გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეებს განუცხადა, რომ ქართველ დამკვირვებელთა უმრავლესობამ, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურს ესწრებოდა, უკრაინა უკვე დატოვა, ხოლო მეორე ტურს საქართველოდან სულ ოთხი ოფიციალური წარმომადგენელი დაესწრება. ამავე დროს საქართველოს ელჩმა უკრაინაში უარი განაცხადა მეშახტეთა მიერ დსთ-სა და ევროპის ყველაზე მამაცი პრეზიდენტისთვის მომზადებული საჩუქრის მიღებაზე. საპროტესტო აქციის მონაწილეებს სურდათ, დიპლომატების მეშვეობით მიხეილ სააკაშვილისთვის ახალთახალი ჰალსტუხი გადაეცათ, რათა საბრალოს შიმშილით სული არ ამოხდომოდა. რაკი საელჩომ უარი თქვა საქართველოს პრეზიდენტისთვის ძვირფასი საჩუქრის გადაცემაზე, აქციის მონაწილეებმა მიშა სააკაშვილს ჰალსტუხი კიევიდან ავიაფოსტით გაუგზავნეს.

საქართველოს ელჩის პირველმა მოადგილემ უკრაინაში საქართველოს პრეზიდენტის სახელზე მიიღო წერილი, რომელშიც მემარცხენე ძალთა კავშირმა და უკრაინის კომპარტიამ „უკრაინის საშინაო საქმეებში, 2010 წლის 7 თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში უკანონო ჩარევის აღსაკვეთად ზომების მიღება“ მოითხოვეს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ჩამოსულ „დამკვირვებელთა“ მოქმედება უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნევა.

მემარცხენე ძალთა კავშირის კიევის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, რუდოლფ პოვარნიცინის თქმით, აქცია ორგანიზებული იყო იმ მიზნით, რომ **„არ დაეშვათ უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევა, მით უმეტეს, რომ ეს ვნებს ჩვენი ხალხების ურთიერთობას, რომლებიც ყოველთვის კეთილი და მეგობრული იყო.“** მან გატარებულ ღონისძიებას „ძალიან წარმატებული“ უწოდა. **„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მზად ვართ, დავიცვათ არჩევნების სამართლიანობა ჩვენს ქვეყანაში. უკრაინელ ხალხს საშუალება უნდა ჰქონდეს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, ვინ უნდა მართოს უკრაინა,“** — განაცხადა პოვარნიცინმა.

არჩევნების დღეს დონეცკელი მეშახტეები, კანონის საფუძველზე, საქართველოდან ჩამოსულ ყველა ქართველს სანგრევი ჩაქუჩებით უკანვე გააძევებენ.

მოკლედ

ჰაიტის სასწაულები

ტრაგედიიდან მე-15 დღეს ჰაიტის დედაქალაქის პორტ-ო-პრენსეს ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ნანგრევებიდან ცოცხალი მამაკაცი ამოიყვანეს. მართალია, ფეხი აქვს მოტეხილი, მაგრამ ჰოსპიტლის ექიმები ამბობენ, რომ მამაკაცის მდგომარეობაში საგანგაშო არაფერია. კიდევ ერთი სასწაული მეორე დღეს ნაპოვნი 14 წლის გოგონა იყო. მიწისძვრისას მისი საწოლი ამოტრიალდა და გოგონას ზემოდან გადაეფარა. ჰაიტმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა შენობების ნანგრევებიდან ცოცხლად ამოყვანილ ადამიანთა რაოდენობით.

ბენ ლადენი დოლარს ემტერება

მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი გლობალურ პრობლემებზე გადაერთო და მორიგ აუდიომიმართვაში განვითარებული ქვეყნები კლიმატის ცვლილებაში დაადანაშაულა. შემდეგ კი მოუწოდა მათ, ბოიკოტი გამოუცხადონ დოლარს. ამ მეთოდით ის ტერაქტებით ვერმიღწეულ მიზნამდე მისვლას — ამერიკის მიერ თავსმოხვეული „მონათმფლობელური“ რეჟიმის დამხობას აპირებს. რამდენიმე ხნის წინ ყველაზე ძებნილი ტერორისტის ფოტო 10 წლით დააბერეს, წვერი გაპარსეს და ევროპულად გამოაწყვეს — შეიძლება ახლა ასე გამოიყურებაო.

გეიტსი ობამას აფრთხილებს

ობამა ყველაფერს აკეთებს ამერიკელთა დასარწმუნებლად — ჩემ მიერ გატარებული პოლიტიკა თქვენი ცხოვრების პირობებს გააუმჯობესებსო. ამის საილუსტრაციოდ ორიოდე დღის წინათ ახალი ფინანსური შეღავათები დააწესა. კომპანია „Microsoft“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბილ გეიტსი კი თვლის, რომ გადასახადები უნდა გაიზარდოს. მან ობამას ადმინისტრაციას თითი დაუქნია, ქვეყნის განვითარების გრძელვადიან პროექტებზე, მაგალითად, განათლების სტიმულირებაზე, ზრუნვით დაკმაყოფილდითო.

ნატო მოკავშირეებს ბომბავს

ნატოს კონტინგენტის სარდლებმა ავღანეთში შეცდომით საკუთარ მოკავშირეებს — ავღანეთის რეგულარულ ჯარს შეუტიეს. მათმა ავიაციამ მიწასთან გაასწორა ავღანეთის ჯარის ბლოკპოსტი.

ავღანურ მხარეს ოთხი ჯარისკაცი გარდაიცვალა, ექვსი დაიჭრა. საერთოდ, ნატოს ამ ბოლო დროს, ჩვენი ფეხბურთელებივით, მარტო საკუთარ კარში გააქვს ბურთი — ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ნატოს „მეგობრულ“ დაბომბვებს 100-ზე მეტი ავღანელის სიცოცხლე შეეწირა.



სურამის ცხე ამერიკულად

რამდენიმეთვიანი ძებნის შემდეგ აბრაჰამ შექსპირი, რომელმაც 2006 წელს ლატარეაში 31 მილიონი დოლარი მოიგო, ფლორიდის შტატში, საკუთარი სახლის ეზოში, ორმოში ჩაბეტონებული იპოვეს. შექსპირს პრობლემები მაშინ დაეწყო, როცა, წესით, ყველა პრობლემა უნდა მოგვარებოდა. ჯერ თანამშრომელმა უჩივლა, მომგებიანი ბილეთი მომპარაო და სასამართლოში მოუხდა საკუთარი სიმართლის მტკიცება. შემდეგ კი მოულოდნელად გაუჩინარდა და ნათესავებმა ამის თაობაზე მხოლოდ რვა თვის შემდეგ განაცხადეს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ქვათა შეგრეხვების ქამი

გასულ კვირას დისკუსია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტირებზე ერთობ გამძაფრდა. დროდადრო იგი კარგად ნაცნობ სცენას დაემსგავსა — ბავშვები ნაავარიევ, აგურებზე შეყენებულ მანქანაში რომ ჩაძვრებიან ხოლმე და კამათობენ — ლონდონში „წავიდნენ“ თუ — პარიზში. შეიძლება იყვირონ, იჩხუბონ, საჭეც „დაატრიალონ“, მაგრამ მთელ ამ დავიდარაბაზე, უზარმაზარი ენერგიის დახარჯვის მიუხედავად, მანქანა ადგილიდან მილიმეტრითაც არ დაიძვრება; მაქსიმუმ, აგურებიდან ჩამოვარდეს.

დავეწიოთ და გავუსწროთ მადაგასკარს!

„ვიმედოვნებთ, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა გაუმჯობესდება, ნებისმიერი დაძაბულობა განიმუხტება, ხოლო მხარეები პროვოკაციებისგან თავს შეიკავებენ“, — განაცხადა გასულ შაბათს ჰილარი კლინტონმა „ამერიკის ხმისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

კითხვას — უკრაინაში ლიდერობს კანდიდატი, რომელიც ნატოში შესვლის წინააღმდეგია. თუ იგი არჩევნებში გაიმარჯვებს, იქნება ეს უკან გადადგმული ნაბიჯი? — მან უპასუხა: „არა, რადგან ეს ის გადაწყვეტილებაა, რომელსაც უკრაინელი ხალხი იღებს. არავინ არავის ნატოში შესვლას არ აიძულებს... თუ უკრაინაში ხელისუფლება იცვლება და უკრაინელ ხალხს ამ ეტაპზე ნატოში შესვლა არ სურს — ეს მათი არჩევანია“; საქართველოზე კი შემდეგი რამ თქვა: „იგი იმყოფება იმ პროცესში, რომელიც გვიჩვენებს, შეიძლება თუ არა წევრობის პირობები დააკმაყოფილოს“.

სახეზეა აქცენტების გადაადგილება და ერთობ შეცვლილი ტონალობა, თუნდაც 2009 წლის 5 მარტს ბრიუსელში კლინტონის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან შედარებით: „მე გადავეცი უკრაინასა და საქართველოს ჩვენი მტკიცე მხარდაჭერა, მათი ნატოში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით“.

უკრაინასთან მიმართებაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათქვამი შეიძლება არა მხოლოდ „ლიდერ კანდიდატს“ (იანუკოვიჩს), არამედ მის კონკურენტსაც ეხებოდეს. „ტიმოშენკოს დაპირება ნატოს საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, დაპირებადვე დარჩება. იგი გამოიყენებს ევროპული ინტეგრაციის რიტორიკას, ხოლო ევროატლანტიკურს ყველანაირად მოერიდება“, — თვლის ვლადიმერ გორბაჩი, უკრაინის ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის ინსტიტუტიდან, ნატოში გაწევრიანების თავგამოდებული მომხრე. იგი დასძენს, რომ ამ კონტექსტში „იუშჩენკოს არგასვლა მეორე ტურში რუსეთის სტრატეგიული ხაზის გამარჯვება იყო“ (სააგენტო IMK; უკრაინა).

წამით წარმოვიდგინოთ, რომ ამ პლანეტაზე მცხოვრებთა ბედს არა ცინიკური გეოპოლიტიკური გათვლები, არამედ ნატოში გაწევრიანების კრიტერიუმები, მაღალი მოთხოვნები განსაზღვრავენ. ვნახოთ ერთი, კრიტერიუმებში როგორ ვართ... “Economist”-ის „დემოკრატიის ინდექსს“ გადავხედოთ.

104-ე ადგილზე ვართ, „ჰიბრიდული რეჟიმების“ ჯგუფში, კენიასა და ეთიოპიას შორის. შედარებისთვის, იგივე უკრაინა უფრო საპატიო, თუმცა მაინც „არასრულყოფილ დემოკრატიათა“ ჯგუფშია და 53-ე ადგილს იკავებს.

ჩვენ კი გვისწრებს უგანდა და ბანგლადეში, მოზამბიკი და ალბანეთი, თანაც რის ხარჯზე?

რეიტინგში შეჯამებულია სხვადასხვა კრიტერიუმები: „პოლიტიკური კულტურა“, „სამოქალაქო თავისუფლებები“ და ა.შ. ქვეყნის ადგილს სიაში მათი საშუალო არითმეტიკული განსაზღვრავს. „ხელისუფლების ფუნქციონირებაში“ კატასტროფული ჩავარდნა გვაქვს, ეს ფაქტორი რომ არა, მადაგასკარს მაინც გავუსწრებდით.

ყურადღებით მივყვეთ მომდევნო ჩამონათვალს (თუ რატომ, ამაზე ოდნავ ქვემოთ): ავტორიტარული პოლიტიკა, ცენზურა, ჩარევა არჩევნების პროცესში; პოლიციის მიერ ოპოზიციონერების დაპატიმრება და მათთან ანგარიშსწორება; რეპრესიების გაძლიერება პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ნაცვლად. ხელისუფლება დისკრედიტირებული და არაკომპეტენტურია, მისი ლეგიტიმურობა ეჭვს იწვევს. ძალოვანი ორგანოები პოლიტიზირებულია, ოფიცრებს არა კომპეტენციის, არამედ ლოიალურობის მიხედვით არჩევენ. უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის უზარმაზარია. აგრარული პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანა იმპორტიორად იქცა. როდესაც პრეზიდენტი რომელიმე რაიონში ჩადის, სპეცსამსახურების თანამშრომლები საგანგებოდ აწყობენ „პოტიომკინის სოფლებს“ და გლეხებს ინსტრუქტაჟს უტარებენ. შტატებმა უზარმაზარი ფინანსური დახმარება გასწიეს, მაგრამ აუცილებელი რეფორმების განხორციელება მაინც ვერ მოხერხდა. ქვეყნის ხელისუფლება ფიქრობს, რომ იგი მაინც სჭირდება აშშ-ს მოწინააღმდეგესთან ბრძოლისთვის, ათამაშებს კონფრონტაციის კარტს, ხოლო მანკიერ სისტემას არ ცვლის.

უკანასკნელი ტანგო საიგონში

ესოდენ ნაცნობი ჩამონათვალის შემდეგ, მიღებულია თვალების ზეცისკენ აპყრობა და პათეტიკური კითხვის დასმა: რა ეშველება ამ ქვეყანას? არადა, კონკრეტულ შემთხვევაში — აღარაფერი, ყველაფერი უკვე დასრულდა; მაშინ, როდესაც 1975 წლის 30 აპრილს საიგონში ერთმა ჩვეულებრივმა ტანკმა (T-54; საბორტო ნომერი 843) პრეზიდენტის რეზიდენციის კარიბჭე შეანგრია.

სამხრეთ ვიეტნამის კრახის გამომწვევი მიზეზების ზემოთ მოყვანილი ნუსხა კი ამერიკელ პროფესორ ფილიპ შონბერგს ეკუთვნის, რომელმაც არ დაიზარა და სტუდენტებისთვის ყოველივე თეზისურად ჩამოაყალიბა. ათჯერ მეტი კი დაწერა; უბრალოდ, ყველაზე რელიეფური დეტალები გამოვყავით.

ხდება ხოლმე: იცვლება აშშ-ის ურთიერთობა ჩინეთთან და რუსეთთან, ნავთობის ფასი, დოლარის კურსი, მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი (გინდ ახლა, გინდაც 70-იანი წლების პირველ ნახევარში), შფოთავს ამერიკული საზოგადოება და ავიამზიდები ერთ ნაპირს შორდება, რათა გეზი მეორისაკენ აიღოს. Nothing personal, son... მართლაც, არაფერი პირადული — ეს შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებია. მიტოვებულ ნაპირზე კი რჩებიან ადამიანები, რომლებმაც ბედი საკუთარ ქვეყანაში ამერიკული გავლენის გაფართოებას დაუკავშირეს; შორი, სასოწარკვეთილი სილუეტები.

ამერიკელ ვეტერანებს, რომლებიც 1975 წლის 29-30 აპრილს მონაწილეობდნენ ოპერაციაში “Frequent Wind“-ი. მისი გახსენება მშვიდად დღემდე არ შეუძლიათ. საზღვაო ქვეითთა კორპუსმა საიგონიდან შვეულმფრენების მეშვეობით მე-7 ფლოტის ხომალდებზე 1737 ამერიკელისა და 5595 სხვა ქვეყნის მოქალაქის (უმრავლესობა ვიეტნამელი იყო) ევაკუირება მოახერხა. თუმცა საიგონიდან გაქცევის მოსურნეთა რაოდენობა ასჯერ მეტი იყო.

ამ კადრების დავიწყება შეუძლებელია: საიგონის ცაში მძიმედ ფრინდებიან შვეულმფრენები (გამოიყენებოდა CH-46 და CH-53). საელჩოს ჩარაზულ კარიბჭეს კი ხალხის უზარმაზარი მასა აწვება. ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ამერიკელების ერთგულნი იყვნენ, გადარჩენას ლამობდნენ, მაგრამ ღობისა და იარაღშემართული საზღვაო ქვეითების ცოცხალი კედლის გადალახვას ვერ ახერხებდნენ. ასეთ ტრაგიკულ მომენტში რთულია, ახსნა, რომ ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.

გაქცევა მხოლოდ ამერიკელებისთვის ღირებულმა მცირე კონტინგენტმა მოახერხა. ხოლო წვრილფეხა პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებს, რიგით ზონდერებს, ექსპერტებს, რომლებიც უყვებოდნენ საზოგადოებას ვიეტნამის გეოპოლიტიკურ მისიაზე და სტრატეგიულ მოკავშირეებზე, მოსამართლეებს, რომლებიც ასრულებდნენ იმ, მართლაც რომ კოშმარული, რეჟიმის დაკვეთებს, გრძელი გზა ელოდათ შრომა-გასწორებითი ბანაკებისკენ, ცივი ბრინჯის ულუფა, თოხი, ბარი და სხვ. ბევრი მათგანი ოჯახს ვერ დაუბრუნდა.

რეჟიმი შიგნიდან დალპა და მოსახლეობის უმრავლესობა (ისევ ფილიპ შონბერგის მიხედვით) მის დამხობას მიესალმა ანაც აბსოლუტური გულგრილობით შეხვდა. საიგონის დაცემამდე ორი წლით ადრე, როდესაც პარიზში სამშვიდობო შეთანხმებაზე მუშაობდნენ, ჰენრი კისინჯერს სამხრეთ ვიეტნამის დელეგაციისთვის ლამის ხელების ამოტრიალება დასჭირდა, რათა შემოთავაზებულ პირობებს დათანხმებულიყვნენ. რეჟიმი გრძნობდა, რომ იგი სხვა პირობებში, გარდა მწვავე კონფრონტაციისა ამერიკელების სრული მხარდაჭერის პირობებში, ვეღარ იცოცხლებდა. მართლაც, მან ვერც გადაწყობა, ვერც ახალი, დამოუკიდებელი პოლიტიკის შემუშავება მოახერხა.

დასასრული მე-5 გვ.

მოკლედ

ჰაიტზე სააკაშვილის გამოცდილებას იზიარებენ

გაეროს ბრაზილიურმა ჯარმა პორტ-ო-პრენსში ჰუმანიტარული დახმარების დარიგებისას ჰაიტელების დამშეული ბრბოს წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. მანამდე ორიოდე დღით ადრე ურუგვაელმა მშვიდობისმყოფელებმა იმავე მიზეზით სააკაშვილის ნაცად პრაქტიკას მიმართეს და ხალხს რეზინის ტყვიები დაუშინეს. ახლა ჰაიტში ბრინჯის ტომრებით დატვირთულ მანქანებს ღამღამობით მშვიდობისმყოფელები ტანკებით იცავენ.

პასპორტიანი ცხვრები

ყირგიზეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ცხვრების იდენტიფიკაციისათვის სპეციალური კანონპროექტი შეიმუშავოს და პარლამენტში მისი დამტკიცების შემთხვევაში, ქვეყნის „მოქალაქე“ ყველა ცხვარს პასპორტი მოუმზადოს. ლაზერული სკანირების მეთოდით შესაძლებელი გახდება ყველა სუბიექტის წარმომავლობის დადგენაც. რაც შეეხება ყირგიზეთის ახალი „მოქალაქეების“ ჯანდაცვას, თითეულ მათგანს ბრუცელოზის, შავი ჭირისა და ციმბირული წყლულისაგან დაზღვევა ექნება.

დეპორტი პოლონურად

უახლოეს მომავალში პოლონეთიდან 4 ათასამდე ქართველს გამოაძევებენ. ამის მიზეზი 15 დეკემბერს ქართველი და ჩეჩენი ლტოლვილების მიერ მატარებლის გატაცება გახდა.

გამტაცებლები, როგორც გახსოვთ, სტრასბურგში მიემგზავრებოდნენ, რომ საერთაშორისო სასამართლოში ეჩივლათ, პოლონელები ცუდად გვექცევიანო.

ახლა სტრასბურგამდე ვერჩასული ქართველები თავიანთ 4 000 თანამემამულეს თბილისისკენ გამოუძღვებიან.

ძაღლები გადარჩნენ

ჩინეთში მიიღეს ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც კატებსა და ძაღლებს ჩინელების სუფრაზე მოხვედრის საფრთხე აღარ ემუქრებათ.

ამ ცხოველების საკვებად გამოყენებისათვის ამიერიდან 450 დოლარის ექვივალენტური ჯარიმა და 15-დღიანი პატიმრობაა დაწესებული.

კატებს ისედაც რა უჭირდათ — ჩინელების დიდ ნაწილს სჯერა, რომ ეს ცხოველი შეჭმის შემთხვევაში ღამით მოვა და შურს იძიებს. ძაღლებს კი ნამდვილად გაუმართლათ.



ჰილარის აღარ სურს ობამასთან

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ბარაკ ობამას ხელახალი გაპრეზიდენტების შემთხვევაში თავის ახლანდელ თანამდებობას მიატოვებს. ჰილარი თურმე კვირაში შვიდი დღის მანძილზე 24 საათი მუშაობს და გამოიფიტა, იმდენად, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებშიც კი არ სურს მონაწილეობა. ქალბატონი კლინტონი მომავალში მწერლობასა და მასწავლებლობას აპირებს, კიდევ მოგზაურობა სურს, ოღონდ ორასკაციანი დელეგაციის გარეშე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

წასვლა?.. არ წასვლა? — საკითხავი, აი, ეს არის!

ამ კვირაში მოსკოვიდან სიგნალი შემოვიდა – რუსეთის ხელისუფლება, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაელაპარაკება სააკაშვილსა და მის ხალხს, მზად არის, შეხვდეს ქართული ოპოზიციის ლიდერებს. ამას, რასაკვირველია, დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე იყო პრემიერ-მინისტრ პუტინის ფართოდ ტირაჟირებული შეხვედრა საქართველოს ყოფილ პრემიერ ზურაბ ნოღაიდელთან, რასაც ხელისუფლებისა და სახელისუფლო „ოპოზიციის“ მხრიდან ნამდვილი ისტერია მოჰყვა. ეს გასაგებიც არის – აქამდე რუსეთს აწყობდა სააკაშვილის „დაჩმორებული“ რეჟიმი, ხოლო ქართული ოპოზიციის მიმართ, მისი „პროდასავლურობის“ გამო, ნეგატიურად იყო განწყობილი. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის სააკაშვილის რეჟიმის არსებობასაც და, როგორც ჩანს, რუსეთის ლიდერებმაც ამიტომ გადაწყვიტეს, გაეცნონ მათ, ვინც შესაძლოა ხელისუფლებაში მოვიდეს სააკაშვილის შემდეგ.



სააკაშვილის რეჟიმს ქვეყნის გამთლიანება ხელს არ აძლევს და ჟენევაში მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის თვალის ასახვევად დადის.

ხელისუფლება ტყუის, როდესაც ამბობს, რომ არც რუსეთსა და არც სეპარატისტებს არ დაელაპარაკება. აბა, ჟენევის ფორმატი რა არის? მაგრამ სწორედ ჟენევის ცხრავე რაუნდმა გვიჩვენა, რომ სააკაშვილის რეჟიმს ქვეყნის გამთლიანება ხელს არ აძლევს და ჟენევაში მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის თვალის ასახვევად დადის. ამიტომ, თუ ხელისუფლებაა ჩართული ანტიეროვნულ საქმიანობაში, მაშინ ოპოზიციის ჯერია, გვიჩვენოს, რისი მაქნისია!

რუსეთს ყველაზე მეტად აღიზიანებდა და აღიზიანებს არა იმდენად ანტი-რუსული რიტორიკა, რამდენადაც ქართველი პოლიტიკოსების სისტემატიური განცხადებები, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ნატოში გაწევრიანება. არადა, როგორი შინაგანი განწყობაც არ უნდა ჰქონოდა ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერს, იმის განცხადებას ვერაფრით ვერ ბედავენ, რომ ნატოსკენ სწრაფვა ერთი მეორის მიყოლებით ტერიტორიების დაკარგვას ნიშნავს. უფრო მეტიც, იმის გახსენებაც არ უნდათ, რაც

სამიოდე წლის წინათ ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა თბილისშიც და ბრიუსელშიც თქვა: „თუ ნატოში მიგიღებთ, მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე!“

არსებობს მოსაზრება, რომ სააკაშვილმა აგვისტოს ავანტიურაც სწორედ იმიტომ დაიწყო, რომ ეს ორი ტერიტორია რუსეთისთვის ჩაებარებინა, სამაგიეროდ კი ნატოში შესულიყო. მაგრამ ის, ალბათ, არ მოელოდა, რომ რუსეთი გორს, ზუგდიდსა და ფოთს დაიკავებდა და „ნატოს სტანდარტებით“ აშენებულ სენაკისა და გორის სამხედრო ბაზებს დაარბევდა. ამან კი ნატოს ხელმძღვანელობაზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინა და საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრებაზე ლაპარაკსაც კი წერტილი დაუსვა. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა საფრანგეთის ეროვნულ კრებაში (პარლამენტში) განაცხადა: „ნატოში ახალი წევრი იმისათვის უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია გაძლიერდეს. საქართველოს მიღება კი ჩვენს ორგანიზაციას მხოლოდ დაასუსტებს და რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციისთვის გაწირავს მას!“

ნატოსკენ სწრაფვა რომ რუსეთისგან ვერ დაგვიცავს, 2008 წლის აგვისტოში ვნახეთ. მაშინ სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა გავყვიროდეთ ნატოში ინტეგრაციაზე, როდესაც იქ ჩვენ მხოლოდ პატარა ლიტვა (რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება) გვეპატიჟება, ხოლო ატლანტიკური ალიანსის სამი მთავარი წევრი – საფრანგეთი, გერმანია და იტალია ჩვენი მიღების აშკარა წინააღმდეგია. ამასთან, ნატოს პოლიტიკური მოთხოვნები, არა მარტო მისაღები, მისასალმებელიც კია. ესენია: თავისუფალი მასმედია, დამოუკიდებელი სასამართლო და ნამდვილი თვითმართველობა! მაგრამ სწორედ ამას არ ასრულებს ხელისუფლება, ვინაიდან იცის, რომ ამ სამი მოთხოვნის შესრულება ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებას, ანუ მისი ნაცისტური რეჟიმის კრახს ნიშნავს!

როგორც არა ერთხელ მითქვამს, რუსეთი ჩვენი „პროდასავლურობის“ წინააღმდეგი კი არ არის, არამედ კონკრეტულად თავის საზღვრებთან ნატოს ბაზების განლაგებისა. ეს არის ჩვენი დაპირისპირების ალფა და ომეგა, სხვა გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს. და ეს ყველაზე კარგად სწორედ ამ ხელისუფლებამ იცის! ნატოში რომ აღარ გვიღებენ, სააკაშვილმა შარშან, ივლისში, წამყვან ამერიკულ გაზეთთან ინტერვიუში აღიარა და ახლა არ იცის, თუ რა გააკეთოს. ცნობილია, რომ მან საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი სწორედ რუსეთსა და მის ზურგს ამოფარებულ ქვეყნებს გადაბარა. ის უარს არ იტყოდა, სრულად დანებებოდა რუსეთს, მაგრამ პუტინი და მედვედევი მას არავითარ შემთხვევაში არ დაელაპარაკებიან, ხოლო ამერიკასა და ევროკავშირს უკვე ხელი აქვთ ჩაქნეული მასზე, აღარ ელაპარაკებიან. ასეთ სიტუაციაში მას შეუძლია, მხოლოდ დროის გაწელვაზე იფიქროს, მაგრამ ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და, მართლაც, რუსეთმა 180 გრადუსით შეიცვალა პოზიცია – გადაწყვიტა, გაეცნოს იმ ხალხს, ვინც პოსტსააკაშვილისეულ საქართველოში შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდნენ. სწორედ ამიტომ ჩავარდნენ პანიკაში სააკაშვილის გუნდი და ის ე.წ. ოპოზიციონერები, რომლებიც სააკაშვილის ნასუფრალით იკვებებიან.

ხელისუფლებას რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ხელი აქვს ჩაქნეული, ყველა ხედავს. სააკაშვილს კი, როგორც ჩანს, დღეს აღმაშენებლის პროსპექტის აღდგენა უფრო აღელვებს და ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად ეს მიაჩნია. ასეთ დროს კი ოპოზიციის ლუსტრირება ხდება, ვინაიდან არსებობს ელემენტალური ლოგიკა: თუ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებულია (სამხედრო გზით მათი დაბრუნების მხოლოდ იდიოტებს სჯერათ), ამიტომ თუ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას მათი დაბრუნება სურს, სწორედ რუსეთს უნდა ელაპარაკოს! ამიტომ

რუსეთთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს. ისინი, ვინც დიალოგზე წავლენ, რუსეთს მხოლოდ აჩვენებენ, რომ საქართველოში არის ჯანმრთელი პოლიტიკური ძალა, რომელიც ოკუპანის გაღმელთა ლაქია არაა.

შარშან ჩვენ ხშირად გვესმოდა სიტყვა „დიალოგი“, მაგრამ სულ სხვა კონტექსტში. მაშინ ლაპარაკი იყო ოპოზიციის ხელისუფლებასთან დიალოგზე და, როდესაც ოპოზიცია ამაზე წავიდა, დარწმუნდა, რომ ეს სრული უაზრობა იყო. და ახლა რატომ არ უნდა დასხდნენ პუტინთან და მედვედევთან სასაუბროდ და რატომ არ უნდა გაიგონ, რისთვის ეძახიან მათ მოსკოვში?

დიპლომატია ხომ ვაჭრობას ნიშნავს და ვიდრე პოლიტიკურ ვაჭრობაზე ნახვალ, უნდა იცოდე, შენგან რა შეიძლება უნდოდეთ, რისი დათმობა შეგიძლია და რისი არა. რა უნდა რუსეთს? **მათთვის მთავარია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იყოს ნატოს ან ამერიკის სამხედრო ბაზები**!

აფხაზეთში მათ, დიდი ხანია, აღარ აინტერესებთ საზაფხულო დაჩები, როგორც ეს იყო 1992 წელს; მდიდარ რუსებს, დიდი ხანია, ვილები აქვთ მსოფლიოს საუკეთესო კურორტებზე, ხოლო სხვებს ათვისებული აქვთ თურქეთის, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების უმშვენიერესი კურორტები, აფხაზეთში კი დიდი რისკის ფასად დასასვენებლად მხოლოდ ყველაზე

მოკლედ

სიმართლე ჰაკერულად

ჰაკერებმა აშშ-ის კონგრესის ძირითადად რესპუბლიკელ წარმომადგენელთა 50-მდე საიტს შეუტიეს და მათზე პრეზიდენტისადმი უხამსი გზავნილი „F**K OBAMA!! Red Eye CREW !!!!! O RESTO E HACKER !!! by HADES; m4V3RiCk; T4ph0d4 - FROM BRASIL“ განათავსეს. ზუსტად ამ დროს ობამა კონგრესის წინაშე ყოველწლიური მიმართვით გამოდიოდა და რესპუბლიკელებს სხვებთან ერთად „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ უამბობდა. რესპუბლიკელები კი დაახლოებით იგივეს, ოღონდ ოდნავ კორექტულად, LIVE-შიც უმეორებდნენ ბატონ ბარაკს.

მაფიაც მოკვდავია

კოზა ნოსტრას გაცამტვერებით შეგულიანებული ესპანური პოლიცია ნეაპოლიტანელ მაფიოზებს დაერია და იტალიაში 30 ყველაზე საშიში ბოროტმოქმედიდან „კამორას“ ერთ-ერთი მეთაური 58 წლის პაოლო დი მაურო დააკავა.

მაუროსთან ერთად შედარებით წვრილფეხა მაფიოზი, იტალიის ყველაზე ძებნილ დამნაშავეთა ასეულის წევრი ლუიჯი მოჩერინოც გაეცა. კიდევ კარგი, თორემ ორი ქვეყნის — იტალიისა და ესპანეთის პოლიცია, უკვე ოთხი წელია, მათ კვალს დასდევს.

მთვარე გადარჩა

ობამამ განაცხადა, კონგრესს „NASA“-სთვის ბიუჯეტის გაზრდას მოვთხოვო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკელები მთვარეზე, სულ მცირე, 2020 წლის ბოლომდე ფეხს ვერ დაადგამენ. მათი კოსმოსური ხომალდები მწყობრიდან გამოდის, ახლები ჯერ არ აქვთ, ამიტომ კოსმოსში საფრენად ამერიკისათვის ერთადერთი ტრანსპორტი ისევ რუსული ხომალდი „სოიუზია“. მთვარეზე ხომ ოცნებაც ზედმეტია, გადასახადების გადამხდელებს ეს სიამოვნება უკვე 9 მილიარდზე მეტი დაუჯდათ.

„Nabucco“-ს უგაზობა

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა განაცხადა, რომ „Nabucco“-ს მშენებლობის გაჭიანურების გამო ბაქო რუსეთს მეტ გაზს მიჰყიდის. „გაზპრომის“ ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა კი დააზუსტა, რომ იყიდის მთელ გაზს, რასაც კი აზერბაიჯანი მიაწვდის. აზერბაიჯანს 1,5 ტრილიონი კუბური მეტრი გაზის მარაგი აქვს. „გაზპრომისათვის“ გაზის მიწოდების ხელშეკრულების გაფორმებიდან ორიოდე დღეში ალიევმა ღიად დაადანაშაულა თურქეთი, რომ ის ხელს უშლიდა აზერბაიჯანს, საწვავი ევროპისათვის მიეწოდებინა.

რევოლუცია თურქულად

ახლადაღმოჩენილი დოკუმენტების თანახმად, 2002-2003 წლებში თურქეთში მმართველ პარტიას რელიგიურ ფუნდამენტალიზმში ადანაშაულებდნენ და სამხედრო გადატრიალებას აპირებდნენ, რომ სეკულარიზმში — პროგრესის მეცნიერულ საფუძვლებზე მიღწევისათვის არ შეეშალათ ხელი. დოკუმენტები მეჩეთების აფეთქებებისა და მრევლის აჯანყებისაკენ წაქეზების გეგმებს ისახავდა. თურქებს ეს დიდად არ გაუკვირდებოდათ, 1960-დან 1998 წლამდე იქ სამხედროებმა ოთხჯერ მოასწრეს ხელისუფლების დამხობა.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ქვათა შეგროვების ჟამი

დასაწყისი მე-3 გვ.

პარიზში შეთანხმების მიღწევის შემდეგ, აშშ-ის ჯარებმა დატოვეს ვიეტნამი, შეთხელდა ფინანსური დახმარების ნაკადიც. კომუნისტები არ ჩქარობდნენ — ჯერ რამდენიმე მცირე შეტევა განახორციელეს, რეაქციას და შედეგებს დააკვირდნენ, შემდეგ კი ერთი დარტყმით პრო-ამერიკული რეჟიმის აგონიას ბოლო მოუღეს. ვიეტნამის გაერთიანების პატივი სწორედ წითლებს ხვდათ წილად. ამის შანსი საიგონის რეჟიმსაც ჰქონდა, თანაც წინაპირობებიდან გამომდინარე, ალბათ, გაცილებით დიდიც, მათ კი დეფექტური კვაზისახელმწიფოს შექმნა ამჯობინეს, რომელიც შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, დამხობისათვის განწირული იყო. თუმცა „დიდი ისტორიის“ გადასახედიდან, ალბათ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვინ მოახერხებს ქვეყნის გამთლიანებას, მთავარია, იგი ერთიანი გახდეს.

„არსებითი მნიშვნელობა არ აქვს!“ — ამ ომის ბოლო სიტყვებია. სამხრეთ ვიეტნამის კაპიტულაციის ცერემონიაზე ჩრდილოელმა პოლკოვნიკმა ბუი ტინმა თქვა: **„ვიეტნამელთა შორის არ არიან გამარჯვებულები და დამარცხებულები; მხოლოდ ამერიკელები დამარცხდნენ“.** პოლკოვნიკმა ჰარი სამერსმა მუნდირის ღირსების დაცვა სცადა: **„თქვენ ბრძოლაში ვერც ერთხელ ვერ დაგვამარცხეთ!“. „შესაძლოა,** — მიუგო ვიეტნამელმა, — **ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს“.**

დამსხვრეული საჭადრაკო დაფა

როდესაც VII ფლოტის ხომალდები მძიმედ მიაპობდა ტალღებს და მაშველი შვეულმფრენების პილოტები უკანასკნელ ინსტრუქციებს იღებდნენ, სახელმწიფო დეპარტამენტი ჯერაც განაგრძობდა რიტუალურ შელოცვებს „მხარდაჭერისა“ და „პრინციპების ერთგულების“ შესახებ. ეს იყო ნამდვილი პოემა თავისი „აღშფოთებებითა“ და „შეშფოთებებით“, რომელთაც თან ესოდენ ნაცნობი „არასოდეს დავუშვებთ“ და „დაბეჯითებით მოვუწოდებთ“ ერთვოდა.

იყო სხვა განცხადებებიც — ამერიკელი ექსპერტების კრიტიკა, სტატიები საიგონური ტირანიის უუნარობაზე, მოკლედ ყველაფერი, რაც წინ უძღვის საბოლოო განაჩენს: „ყველაფერში დამნაშავე, ჩვენ კი არა, თავად თქვენ ხართ“.

და ისევ საქართველო (არა-ანაირი პარალელები, მხოლოდ პერპენდიკულარები); სააკაშვილის ბოლო შეთავაზება, შტატებს გამოეყენებინათ საქართველოს აეროდრომები და პორტები ავღანეთში მიმდინარე ოპერაციისთვის (ზოგმა მიმომხილველმა ამის მიღმა დაინახა თადარიგის დაჭერა ირანზე ამერიკელების იერიშის წინ, თუმცა მათ არ ავყვებით) ფრიად საგულისხმო იყო, ისევე, როგორც უკრაინულ არჩევნებში ჩარევის მცდელობა. ჯამში ეს გამოიყურებოდა, როგორც იმ პოზიციის ძიება, რომელიც საქართველოს კონფრონტაციის წინა ხაზზე აშშ-ს სასარგებლო მოკავშირედ აქცევს, თუმცა სახელმწიფო მდივნის განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ საქართველოსთვის კონფრონტაციის ხანა ამ ეტაპზე დასრულდა.

საინტერესო ეპიზოდია დაკვირვებისთვის: სააკაშვილი თითქოსდა მოქმედებს „დიდი საჭადრაკო დაფის“ მოდელის ფარგლებში და ხელს უწყობს შტატების გავლენის გაფართოებას, თუმცა მის მოწადინებას ვაშინგტონის შესაბამისი რეაქცია არ მოსდევს. თუ გახსოვთ, „მატრიცაში“ ბავშვი რომ ეუბნება გაკვირვებულ ნეოს: „შეეცადე, გაიგო სიმართლე — კოვზი არ არსებობს“. დაახლოებით ეს მომენტია: — მიშა, ეს დაფა არ არსებობს!

„ცივმა ომმა“ დათვური სამსახური გაგვინია იმ თვალსაზრისით, რომ სამყაროს ორი დაპირისპირებული მხარის ბრძოლის არენად აღვიქვამდით; მარქსისტულმა დიალექტიკურმა მიდგომამ, მითოლოგიურმა წარმოდგენებმა სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლის შესახებ, საბოლოოდ სამყაროს სურათის გამარტივებამდე მიგვიყვანა. თამაში კი ცოტა უფრო რთული გამოდგა. ისე, კეთილი თეთრხალათიანი ადამიანები ამბობენ ხოლმე, რომ პაციენტის ლტოლვა სამყაროს სურათის გამარტივებისკენ, მისი ყოვლისმომცველი დაყოფა ნათელ და ბნელ მხარეებად, მზარდი პარანოის უტყუარ ნიშანს წარმოადგენს.

როდესაც ჩინური პოლიტიკის პატრიარქი დენ სიაოპინი ძლიერ მოხუცდა, ყველა თანამდებობა დატოვა, გარდა ერთისა, იგი ჩინეთის ბრიჯის მოყვარულთა ასოციაციის თავმჯდომარედ დარჩა. არა იმიტომ, რომ, ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსისა არ იყოს, ბანქოზე გადარეული მანიაკი იყო; უბრალოდ, დენს გლობალური პოლიტიკის ეს პატარა მოდელი ძალიან უყვარდა.

მოთამაშე ორზე მეტია, ხოლო მომგებიანი კომბინაციები ყველა მონაწილის სვლების გათვალისწინებით იგება. თამაშობს აშშ, თამაშობს ჩინეთი, რუსეთიც, ევროკავშირიც (სულ „პასს“ იძახის, ესეც ტაქტიკაა). თუ ვინმე ფიქრობს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები და ფინანსური ჯგუფები არ თამაშობენ, ქვა პირველმა ისროლოს. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რა კოზირებს ინახავს რუსეთი. კოზირი ახლა ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული კომბინაციის გასათამაშებლად სჭირდებათ როგორც შტატებს, ისე — ჩინეთს.

კრემლი გრძნობს ამ მდგომარეობას, იყენებს მას და ფსონსაც ზრდის. მოსკოვში საკმაოდ სერიოზული განცხადებები კეთდება — ვლადიმერ პუტინმა ვიცე-პრემიერ შუვალოვთან შეხვედრაზე თქვა: „მუშაობა პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაციაზე ჩვენთვის, უეჭველად, პრიორიტეტს წარმოადგენს“ (27.01.10). თეთრი სახლი (ისევ ჰილარი კლინტონის პირით), ერთის მხრივ, კი პასუხობს, რომ აშშ „არ ცნობს რუსეთის უფლებას გავლენის სფეროებზე“, თუმცა განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გზა გადაუღობოს რუსულ კონტრიერიშს უკრაინაში და კრემლის ახალ ინტეგრაციულ პროექტებსაც, ასე თუ ისე, მშვიდად ხვდება. იქ, სადაც ვაშინგტონი რეალურად მოქმედებს, დაპირისპირება ღრმავდება — სპარსეთის ყურესა (ნავთობის მოწოდება ჩინეთისთვის) და ტაივანის გარშემო (ჩინეთის ეროვნული ინტერესების ზონა).

რას იზამ, შესაძლოა, სტრატეგიული გამარჯვება ჩინეთზე ამჟამად შტატებისთვის უფრო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვიდრე ირიბი კონტროლი სისხლით მორწყულ კავკასიის მთებსა და უკრაინის მადლიან ველებზე; ცვლილებების უმნიშვნელოვანეს ინდიკატორად დღეს სწორედ უკრაინა გვევლინება.

მეხსიერებას კი რატომღაც არცთუ შორი წარსულიდან უცხო ქალაქის ხედები ამოაქვს, რომელთა ფონზე პატარა, სასოწარკვეთილი ადამიანები უძლურად აღაპყრობენ ხელებს ცაში აჭრილი შვეულმფრენებისკენ. Nothing personal, son... Just business.

დიმიტრი მონიავა

მოკლედ

ბლერს არ დაინდობენ

ერაყის ომის დაწყების პირობების გასარკვევად ბრიტანეთის ექსპრემიერ ტონი ბლერს დაკითხავენ. ამბობენ, რომ ის პასუხისმგებლობას თავს ვერ დააღწევს. მანამდე ჩვენება მისცა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იურისტმა ელისაბედ უილმსხერსტმა (მან თავის დროზე თანამდებობა იმის გამო დატოვა, რომ ერაყის ომის უკანონობასთან დაკავშირებით მის აზრს არავინ იზიარებდა), რომლის გამოსვლის შემდეგ, გამოძიების ყველა წესის დარღვევით, დარბაზში მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა.

ბანკირებს სარკოზიც დაერია

საფრანგეთის პრეზიდენტმა დავოსის სამიტზე განაცხადა, რომ მხარს უჭერს თეთრი სახლის მიერ გამოცხადებულ უოლკერის გეგმას, რომლის მიხედვითაც მსხვილ საკრედიტო ორგანიზაციებს საკუთარი სახსრებით ბირჟაზე ოპერირება ეკრძალებათ. უმსხვილესმა ბანკებმა, ცხადია, გააპროტესტეს. სამაგიეროდ, პრეზიდენტის ინიციატივას მხარი დაუჭირა ეკონომისტმა ნურიელ რუბინიმ, რომელმაც იმავე დაოსში სამი წლის წინათ ზუსტად იწინასწარმეტყველა ფინანსური კრიზისი.

კრიზისი გრძელდება

წელს კრიზისიდან თავის დაღწევის იმედი ტყუილად ნურავის ექნება, დავოსის ფორუმის მასალების მიხედვით, ზრდას შეიძლება მხოლოდ ჩინეთმა და ინდოეთმა მიაღწიოს, იქაც „ბუშტების“ გასკდომის საფრთხე აფერმკრთალებს ოპტიმიზმს. დანარჩენ მსოფლიოში ეკონომიკის ზრდა დასაშვებზე ნელი ტემპით წარიმართება. მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტებისა და ინვესტორების პროგნოზით, აშშ-სა და ევროპაში 2009 წლის ბოლოს დაწყებული ეკონომიკური ზრდა 2010 წლის მეორე ნახევარში კვლავ ვარდნით შეიცვლება.

ძირს „ალ-ქაიდა“!

„იემენში შექმნილი ვითარება უკვე მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებას ემუქრება“, — განაცხადეს ლონდონში შეკრებილმა 21 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა ბრძანა: „აქ იმისთვის ვართ, რომ ეს კრიზი ავიცილოთო“; გადაწყდა, ქვეყანას „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარონ. რა ქნას ამ ევროპამ და ამერიკამ მეტი! იქით ავღანეთს „ეხმარებიან“ ტერორიზმთან ბრძოლაში, აქეთ — იემენს.

ზარალი ესტონეთში

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ესტონეთი ისე დააზარალა, რომ თავდაცვის სამინისტრომ მაღალი ჯარისკაცებისთვის დამატებითი კვება საერთოდ გააუქმა. საშუალო სიმაღლის ჯარისკაცებს დღე-ღამეში 3800 კილოკალორია უნდა მიეღოთ, მაღლებს კი — 4300. კვების სფეროს სპეციალისტებმა განაცხადეს, ყველასათვის ერთნაირად მომზადებული საკვები საკმაოდ კალორიულია და საშუალოდ დღე-ღამეში 4100 კილოკალორიას შეადგენს, ასე რომ, მაღლებმაც და დაბლებმაც იკმარონო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

დარჩება თუ არა უკრაინა

არ გეტყვით, კიევის ყოველ გზაჯვარედინზე, მაგრამ უკრაინის დედაქალაქში გამართულ პოლიტიკური აქცენტის მქონე ნებისმიერ შეხვედრაზე საქართველოდან იქ მივლინებულ 2011 ფსევდოდამკვირვებელზე საუბრობენ, რა თქმა უნდა, უარყოფით რაკურსში. იმ ბანაკშიც კი, რომლის დასახმარებლად გაიგზავნა „ქართული დესანტი“, ამ ფაქტის მიჩუმათებას ცდილობენ. მხოლოდ ერთხელ, ისიც საკმაოდ ყრუდ და გაურკვევლად, დაუჭირა მხარი ასეთ თავის მოქაჩლებას იულია ტიმოშენკომ პრესაში გამოქვეყნებული განცხადებით.

უკრაინელი პოლიტოლოგები: ანდრეი ერმოლაევი, ლეონიდ კოჟარა, სერგეი ტოლსტოვი და სემიონ ურალოვი

— სასამართლომ ხომ ნება დართო ჩვენს დამკვირვებლებს, ჩართულიყვნენ საარჩევნო პროცესში?

— სასამართლო უკრაინაში ხელისუფლების ისეთივე „დამოუკიდებელი“ შტოა, როგორიც თქვენთან, საქართველოში, — ასეთია პასუხი.

საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა უგნური ფურის მიერ დაღვრილ რძესავითაა. კი, აქა-იქ იტყვიან, გაიხსენებენ, იმედს გამოთქვამენ, რომ ხალხთა ძმობა უძლეველია, მაგრამ ეს ისეა, როგორც წლევანდელი იანვრის მზე უკრაინაში — სხივებს არ იშურებს, ტემპერატურა კი — მინუს 15-დან -25 გრადუსამდეა.

უმაღლეს რადაში — უკრაინის პარლამენტში რეგიონების პარტიის დეპუტატები საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გარკვეული პერიოდით შემოღების კანონის ინიცირებაზე ალაპარაკდნენ.

ასეთი ნეგატივიზმი, როგორც ჩანს, უკრაინული საზოგადოებრიობის განწყობილებაზეც აისახა და, უწინარეს ყოვლისა, ეს იგრძნეს იქ დაფუძნებულმა ქართველებმა, შეიძლება, გამოკვეთილად არა, მაგრამ რაღაც რომ გაიბზარა მათთან ურთიერთობაში, აშკარაა. პერსპექტივა, ვარაუდობენ, უარესი იქნება.

ლაპარაკია ათასობით ქართველზე, რომლებიც ოჯახებით ცხოვრობენ უკრაინაში და იქაურ საზოგადოებაში არიან ინტეგრირებულნი. დაუმატეთ ამათ ისინი, ვინც, ასე ვთქვათ, დროებით სამუშაოზეა ჩასული და იქ ნაშოვნი ფულით ინახავს საქართველოში დატოვებულ ახლობლებს, რადგან სამშობლოში ამის გაკეთება შეუძლებელია.

დეპორტაციის აჩრდილი არცთუ ეფემერული პერსპექტივაა, რომელიც, რაც უფრო ვუახლოვდებით 7 თებერვალს, ანუ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გამართვის დღეს, უფრო და უფრო მატერიალურ კონტურებს იძენს.

ამ საშიშროების ავტორი კი უშუალოდ საქართველოს ხელისუფლებაა, არა — უკრაინისა.

სიტუაცია მეგობრული რომ არ არის, საზღვარზევე ვიგრძენით.

ხომ გვაქვს უვიზო რეჟიმი უკრაინასთან? გვაქვს. ჩაგირტყამენ პასპორტში საზღვრის გადაკვეთის შტამპს და — Ласкаво просимо!

ასე უნდა იყოს. მაგრამ მაინც და მაინც ჩვენ წამოგვაკვრევინეს ფეხი იმ ქვაზე, რომელზეც მადლის ნაცვლად ავად ნაქმნარი საქმე იდო, თუ საქმე შეიძლება ვუწოდოთ „დამკვირვებელთა დესანტის“ გადასხმას უკრაინის საარჩევნო სივრცეში — 2011 ტალიკ-ტალიკი ჯანავარის.

მოკლედ, შეგვიყვანეს საემიგრაციო სამსახურის ოთახში და დაკითხვა დაგვიწყეს: რატომ ჩამოხვედით, ვისთან ჩამოხვედით, რამდენ ხანს დარჩებით და ასეთი სისულელეები.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავს უფლება მივეცი, მორიდებით შემენიშნა, რომ რატომღაც არავის არაფერი უკითხავს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოების გასაშუქებლად როცა ჩამოვდიოდი-მეთქი, შემეშვნენ.

— ეს უწინ იყოო, — შეეცადნენ უხერხულობის გაფანტვას...

რაც აქამდე ვთქვი, პირადი შთაბეჭდილებაა.

პრესაში კი განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის — გივი თარგამაძისა და შს მინისტრის — ვანო მერაბიშვილის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის საჯაროდ გამოტანამ. 19 იანვარს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატმა ვლადიმირ სივკოვიჩმა განაცხადა: „თარგამაძე არაბუნებრივი ხერხით დონეცკის „გაუპატიურებით“ გვაშინებსო“. და შემდეგ: **„მერაბიშვილისა და თარგამაძის საუბარში, ეს უკანასკნელი ამბობს, რომ მებრძოლებით გატენილი თვითმფრინავები დგას... იგი ითხოვს, რომ დაუკავშირდნენ იულიას წარმომადგენლებს, რათა მათ გამოაგზავნონ თავიანთი თვითმფრინავები... არის მეორე საუბარი, სადაც თარგამაძე აცხადებს: „თუ არ დაგვარეგისტრირებენ, მე ამ ქალაქს...“ მრცხვენია წარმოვთქვა ეს სიტყვა, ამონაბეჭდს დაგირიგებთ, თავად წაიკითხავთ. ქართველი ლაპარაკობს, რომ იგი „იხმარს“ დონეცკს. შეგახსენებთ, თარგამაძე ხელმძღვანელობდა ბოევიკების რაზმებს „ვარდების რევოლუციის“ დროს საქართველოში, და ასეთ ადამიანებს გვიგზავნიან უკრაინაში“,** — დაამატა სივკოვიჩმა. „გივი თარგამაძე თბილისის პოლიტბომონდის ფონზეც კი უაღრესად გამორჩეული, შეიძლება ითქვას, შთამბეჭდავი პიროვნებაა“, — ირონიულად შენიშნავს მაქსიმ კუპრინოვი სტატიაში „დონეცკი და თარგამაძის სქესობრივი უკუღმართობა“ და ასკვნის: „ჩნდება კანონზომიერი შეკითხვა: ჩამოვლენ თუ არა „ქართველი დამკვირვებლები“ დონეცკში არჩევნების მეორე ტურისთვის, შეეცდება თუ არა არასტანდარტული თარგამაძე განახორციელოს თავისი საზიზღარი დანაპირები?“ (Segodnia.ru).

ექსპერტები დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება თავის „დამკვირვებლებს“ მეორე ტურისთვისაც გამოაგზავნის. იმიტომო, ამბობენ ისინი, რომ სააკაშვილის სიმპათია აშკარად იულია ტიმოშენკოს მხარესაა, რომელიც მეორე ტურშიც წააგებს ვიქტორ იანუკოვიჩთან. ასეთ ვითარებაში კი მხოლოდ არჩევნების შედეგების გაპროტესტება შეიძლება აღმოჩნდეს ის ხავსი, რომელსაც წყალწაღებული ნარინჯისფერობა წაეპოტინება.

პროტესტს მიზეზი სჭირდება, მიზეზს — სკანდალი, და თავს ესხმიან ბეჭდვითი სიტყვის კომბინატ „უკრაინას“, სადაც საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება, ჩამოჰყავთ „დამკვირვებლები“ საქართველოდან... „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტს, რომელიც ჯიქურ გაიწევს პრეზიდენტობის კანდიდატისკენ, იანუკოვიჩის დაცვა წინ აღუდგება. სკანდალი — ჩაახშეს თავისუფალი სიტყვა!

მაგრამ პატარ-პატარა სკანდალები სურათს ვერ ცვლის.

ევროპარლამენტის დამკვირვებელთა დელეგაციის ხელმძღვანელი პაველ კოვალი იტყვის: „ევროპული პარლამენტის მიერ მოვლენილმა დამკვირვებლებმა ვერავითარი არსებითი დარღვევა ვერ შეამჩნიეს“.

ხოლო „რუსთავი 2“-ის კონფლიქტის შესახებ გაზეთი „Столичные новости“ ცხელ კვალზე დაწერს: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა „სენსაციური“ ცნობა იმის შესახებ, რომ „იანუკოვიჩის დაცვის წევრმა ცემა ქართველი ჟურნალისტი ქალი“.

გაუგებარია, როგორ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ? რეგიონალების ლიდერის პრესკონფერენციას გაზეთებისა და ტელევიზიების რამდენიმე ასეული კორესპონდენტი ესწრებოდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არავითარი ცემა არ უნახავს. როგორც „CH“ კორესპონდენტმა გაარკვია, საქმე ეხებოდა „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტს. იგი თურმე ცდილობდა, მიახლოებოდა იანუკოვიჩს პრესკონფერენციის შემდეგ. **დაცვამ ნება რომ არ დართო, ქართველმა იჩივლა... „ტიმოშენკოს ხალხთან“. და მალე იულია ტიმოშენკოს პრესსამსახურმა განაცხადა, „თუ რა დაუნდობლად ცემეს ცნობილი ქართული ტელეარხის ჟურნალისტი ქალი“... ეს ინფორმაცია ბანალურ პროვოკაციად იქნა აღქმული“ (CH №2).**

ერთი სიტყვით, პროვოკაცია კვლავაც რჩება ხელისუფლების შენარჩუნების იარაღად და საშუალებად. **პოლიტოლოგმა ანდრეი ერმოლაევმა** დაგვიდასტურა, რომ მართლაც ასეა:

— მათ შორის პირველ ადგილზე დავაყენებდი **მეორე ტურის ჩაშლისთვის მზადებას.** უკვე იკვეთება საამისო სქემის რეალიზაციის ნიშნები: ხმის მიცემის პროცედურის დისკრედიტაცია, ბიულეტენების ბეჭდვის პროცესის დისკრედიტაცია, საეჭვო დამკვირვებელთა მოზიდვა და არჩევნებთან დაკავშირებული სკანდალების ინტერნაციონალიზაცია.

მიიჩნევენ, რომ ამგვარ ინტერნაციონალიზაციაში პირველობა საქართველოს ეკუთვნის.

ასეთია ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ ამხედრებული ჩვენი ხელისუფლების ბედის ირონია და — გაამოთ!

„მხოლოდ სასწაული თუ შეუშლის ხელს ვიქტორ იანუკოვიჩს, გახდეს პრეზიდენტი“, — დარწმუნებით წერენ უკრაინის პრესაში.

კიევის პეჩორის ლავრის ჩაკეტილ ტაძრებში ამგვარი „სასწაულისთვის“ მზადების ნიშანწყალი არ ჩანდა.

ანეკდოტი თემაში

არჩევნები რამდენიმე წელიწადში ერთადერთი დღეა, როცა ადამიანები ქაღალდს აგდებენ პირდაპირ ურნაში და არა — სადაც მოესურვებათ.

„შავი რადა“ თუ ახალი შანსი?

სწორედ ასე მკვეთრად, ნიუანსური გადახვევებისა და შერბილების გარეშე დაინახეს 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერსპექტივა „მრგვალი მაგიდის“ მონაწილე პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, სახელმწიფო მოღვაწეებმა და ჟურნალისტებმა, რომელიც 26 იანვარს გაიმართა კიევში და რომელმაც განიხილა პრობლემა **„საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვების უზრუნველსაყოფად უცხოელი დამკვირვებლებისა და ჟურნალისტების გამოყენების ტექნოლოგიები“.**

„მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ გამართულ სჯა-ბაასში, როგორც ობიექტური და არჩევნების გაყალბების ტექნოლოგიაში ჩაურეველი მხარე, მონაწილეობდნენ ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა.

ამ მართლაც საინტერესო კონფერენციის ანალიტიკაში გარკვევამდე ჯერ იმას შეგახსენებთ, **რას ნიშნავს „შავი რადა“.**

ზოგადად — ქვეყნის თავს დამტყდარ უბედურებას, კონკრეტულად კი ისტორიული მოვლენა იგულისხმება. 1663 წელს კაზაკებისა და გლეხების მასა არ ენდო გეტმანის არჩევის შედეგებს და მეთაურად თავისი კაცი — ივან ბრიუხოვეცკი აირჩია. სწორედ მაშინ იყო, რომ არჩევნების არალეგიტიმურად ცნობას კონფლიქტურობის მკვეთრი ესკალაცია მოჰყვა, რამაც კაზაკების სახელმწიფოს დაქცევა და ორი-სამი უკრაინის აღმოცენება გამოიწვია. დაიწყო გრანდიოზული სამოქალაქო ომი, რომელიც ისტორიაში „რუინას“ (ნგრევა) სახელით შევიდა.

ამგვარი „შავი რადა“ ზოგადი გაგებით რამდენჯერმე გამეორდა ქვეყნის ისტორიაში.

ექსპერტმა იური გავრილენკომ მიუკიბვ-მოუკიბვად თქვა, რომ უკრაინა უახლოვდება იმ მიჯნას, როცა ქვეყანამ შეიძლება დაკარგოს თავისი სახელმწიფოებრიობა.

კულუარებში კი უფრო მკვეთრ ფორმულირებასაც მოჰკრავდით ყურს: სამი უკრაინა, სამი პრეზიდენტი.

პოლიტოლოგ ანდრეი ერმოლაევის განცხადებით, გარკვეული ძალები დაინტერესებული არიან იმით, რომ ჩაიშალოს არჩევნების მეორე ტური და **ლეგიტიმურობის გვერდის ავლით მოხდეს ახალი ხელისუფლების ფორმირება, ანუ — დე ფაქტო (!) ჩამოყალიბება.**

27 იანვარს საარჩევნო კამპანია ახალ სტადიაში შევიდა — დაიწყო მეორე ტურისთვის ფორსირებული მზადება.

ეს-ესაა ვთქვით, რომ „შავი რადას“ თანამედროვე ვარიანტის გამეორების ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნა არჩევნების ლეგიტიმურობის შემცირების მეთოდის გამოყენებითაა შესაძლებელი, ან — მეორე ტურის ტოტალური ჩაშლით.

რომელ კონკრეტულ გზას აირჩევენ ამით დაინტერესებული ძალები? ვარიანტი საკმაოდ ბევრია, მაგრამ უპირატესობას, როგორც ჩანს, საზოგადოებაში მყარი აზრის ჩამოყალიბებას მიანიჭებენ, რომლის მიხედვით **არჩევნები წინდაწინვე გაყალბებულად ჩაითვლება.**

მეორე, არანაკლებ ეფექტიანი მეთოდი, **სოციოლოგიის დისკრედიტაციაა, რასაც პრაქტიკულად უკვე მიაღწიეს:** ისეთი ურთიერთგამომრიცხავი სოციოლოგიური ინფორმაცია, როგორიც წინასაარჩევნო პერიოდში გამოქვეყნდა, უკრაინის ისტორიას არ ახსოვს. მკვლევარების აზრით, სააგიტაციო ომის წინა ხაზმა სწორედ სოციოლოგიურ გამოკვლევებზე გაიარა: 2009 წლის 19 ოქტომბრიდან 29 დეკემბრამდე, ანუ 71 დღის განმავლობაში 32 სოციოლოგიური კომპანიის 63 გამოკვლევა გამოქვეყნდა. ისეთი განსხვავებული და გაურკვეველი დასკვნებით, რომ ეშმაკიც კი ფეხს წაიტეხდა. თავადმა ამა ქვეყნისამ კი იცის, რომ ეს ურთიერთგამომრიცხავი აბდაუბდა ზუსტად შეესაბამება დამკვეთის ინტერესებს.

იცის ელექტორატმაც ამ ნაირფეროვანი ხალიჩის მქსოველთა ჩანაფიქრი და არ ენდობა სოციოლოგიურ გამოკვლევებს, რომლებიც, დარწმუნებულნი არიან, ყალბია.

ასე შემოგვადნება არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა.

დავუმატოთ ამას ფორსმაჟორული სიტუაციები, რომლებიც გზადაგზა შეიქმნება და რომელთა მიზეზადაც არჩევნების გაუმჭვირვალობა დასახელდება, ასევე, გავლენის მოხდენა საარჩევნო კომისიის წევრებზე და უბნების მიხედვით არჩევნების შედეგების გაუქმება. **შეიკვრება დელეგიტიმურობის მეთოდებისა და ხერხების ერთიანი პაკეტი, რომელიც ნებისმიერ დარღვევას ლარში გამოიყვანს, ანუ „გააპრავებს“, მათ შორის, — ელექტორატის მიერ გაკეთებული არჩევანის საწინააღმდეგოდ ხელისუფლების ძალადობრივი გზით მოპოვებასაც.**

ისეთ ვითარებაში, როცა ხალხს ეჭვი არ ეპარება, რომ ძალაუფლება უკანონოდაა მოპოვებული, როცა ელიტები დარწმუნებული არიან, რომ არჩევნები ფიქციაა, როცა სასამართლო აღარ არის საზოგადოების შიგნით კონფლიქტების გადაწყვეტისა და მოგვარების ინსტიტუტი, ლოგიკურად იბადება კითხვა, რომელიც უფრო პოზიციას გამოხატავს, ვიდრე პასუხის მიღების სურვილს: მაშ, **რისთვისაა საჭირო ასეთი სახელმწიფო?**

ხედავთ, სად მივედით?

უკრაინაში ფიქრობენ, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება თეორიული განსჯიდან რეალურ პროცესად შეიძლება იქცეს და ამის დადასტურებად საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის დროს გამოკვეთილ ნეგატიურ ფაქტებსა და მოვლენებს მიიჩნევენ.

კონკრეტულად რას?

უწინარეს ყოვლისა, ეს არის ქვეყნის შიგნით არსებული დაძაბულობა, საზოგადოების პოლარიზაცია, რაც გამოიხატა არჩევნების შედეგებში — **ელექტორატის 60 პროცენტმა ხმა მისცა ანტაგონისტურ კანდიდატებს.**

მეორე — **იანუკოვიჩისა და ტიმოშენკოს უმწვავესი ურთიერთდაპირისპირება, ორივეს პრორუსული თუ პროდასავლური აქცენტების მსგავსების მიუხედავად.** ექსპერ-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ერთიანი სახელმწიფო?

ტების მტკიცებით, უკრაინაში ანტირუსული განწყობილება ელექტორატში არ აღემატება 5 პროცენტს, ანუ იუშჩენკოსთვის მიცემული ხმების ოდენობის ტოლია.

მესამე — **ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, სილარიბე, რომელიც, მკვლევართა აზრით, არის ხალხის მთავარი მტერი** (გაავლეთ პარალელი საქართველოსთან) **და არა მაინც და მაინც პოლიტიკური სუბიექტები.**

და ასე შემდეგ.

ნიშანდობლივია, რომ კრეშჩატიკზე, კიევის გულში აღმართული საახალწლო „მთავარი ნაძვის ხე“ 27 იანვრისთვისაც კი ხელუხლებელი იდგა, რადგან... **ქალაქის ხელისუფლებამ მისი დემონტაჟის სახსრები ვერ მოიძია.**

სამაგიეროდ ქალაქის ქუჩებში უცხოური მარკების ახალთახალი ავტომობილების სიუხვე მოგხვდებათ თვალში.

სილარიბის პარადოქსი: ბანკები მანქანების შესასყიდად დაუბრკოლებლად და ნებისმიერი რაოდენობით აძლევენ სესხს უკრაინის ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, მუშაობს იგი თუ უმუშევარია.

„უკრაინის — ამ უმდიდრესი ქვეყნის მოსახლეობის მესამედი აბსოლუტური სიღატაკის ზღვარზე დგას“, — მიაჩნია **კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორს ვლადიმირ პანიოტოს.**

პრეზიდენტობის კანდიდატების ბანაკებიდან „საარტილერიო მომზადების“ მაკომპრომეტირებელი ბათქები ისმის; ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ იანუკოვიჩის მომხრეებმა უკვე დასცეს ლურჯი კარვების ბანაკი, რომელიც ჯერჯერობით ცარიელია.

სამაგიეროდ დაპირისპირებულთა ცეცხლის ხაზზე გამოსულია 2011 ქართველ „დამკვირვებელთან“ დაკავშირებული სკანდალი. პირველ დესანტს გასულ პარასკევს ფოთიდან ოდესაში „გაურკვეველი მიზნით“ ჩასული 50 კაცი დაემატა (!).

ვისთვის – დამკვირვებლები, ვისთვის – დაუპატიჟებელი სტუმრები

საქართველოდან ჩასული ქართველი „დამკვირვებლების“ რაოდენობამ საზოგადოებრიობის ჯერ გაოცება გამოიწვია, შემდეგ — აღშფოთება, ბოლოს დაცინვისა და ქირქილის საგნად იქცა პატარა საქართველოს პლანეტარული მასშტაბი.

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების სატელეფონო საუბრებმა, რომელთა გაშიფრული ჩანაწერი პრესაში გამოქვეყნდა, განსაკუთრებით, სააკაშვილისა და ტიმოშენკოს საუბრის პუბლიკაციამ, დიალოგის მონაწილეთა „კეთილი სურვილების“ საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია და უკრაინის ოპოზიციის საარჩევნო წისქვილის არხს მიუშვა წყალი.

საქართველოდან ჩასული მოქალაქეების რაოდენობა, რომლებსაც ჩვენი ხელისუფლების განცხადებით, უკეთილშობილესი მისია ჰქონდათ დაკისრებული — ხელი შეეწყოთ უკრაინაში დემოკრატიის დამკვიდრება-განვითარებისთვის, **აღემატებოდა სხვა ქვეყნებიდან მივლინებული მათი კოლეგების საერთო რაოდენობას.**

ასეთმა კონტრასტმა დააეჭვა ექსპერტებიც და ფართოსაზოგადოებრიობაც: საიდან და რატომ ასეთი ხელგაშლილობა?

„მრგვალი მაგიდის“ გარშემო შეკრებილ პოლიტოლოგთა და პოლიტტექნოლოგთა მიერ ამასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს თუ შევაჯამებთ, ასეთი პრობლემა გამოიკვეთა:

გაუგებარია, როდიდან ჰყავს პატარა საქართველოს კვალიფიციურ დამკვირვებელთა ასეთი რაოდენობა და რატომ გაუჩნდა მეზობელი ქვეყნის ხელისუფლებას ასეთი ინტერესი მაინც და მაინც უკრაინული არჩევნების მიმართ?

ექსპერტმა იური გავრილენკომ მსოფლიო გამოცდილების, დამკვირვებელთა მომზადებისა და მოწვევის პრაქტიკა დაიმოწმა და განაცხადა, რომ მხოლოდ ცნობილ პოლიტოლოგებსა და ჟურნალისტებს საერთაშორისო დამკვირვებლებად რომელიმე ქვეყანაში ჩასვლის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ.

„მე ვიყავი ერთ-ერთი იმათგანი, — თქვა გავრილენკომ, — ვინც მიესალმა ქართველ დამკვირვებელთა ჩამოსვლას, მაგრამ მე ვიყავი იმათ შორისაც, ვინც დაინტერესდა ამ ვუნდერკინდების ნახვით, რომელთაც შესწევდათ უნარი, ერთ დღეში შეესწავლათ შესაბამისი კანონები და სხვა დოკუმენტები. ამ ზონდერრაზმის ჩამოსვლით ნუ გვაყენებენ არასასიამოვნო სიტუაციაში მოძმე ხალხის წინაშე, თავს ნუ გვახვევენ ასეთ სკანდალებს“.

უკრაინელ სპეციალისტებს ვერ აუხსნიათ, რატომ აგზავნის საქართველო უკრაინაში დამკვირვებლებად უმუშევარ მოქალაქეებს, რომლებსაც გარკვეული საცხოვრებელი ადგილიც კი არ გააჩნიათ. მათი აზრით, **როცა ადამიანი თავის პროფესიას მალავს, იგი ან სპეცსამსახურის თანამშრომელია, ან სამართალდამცავ ორგანოებში მსახურობს.** სანამ ეს საკითხები არ გაიშიფრება, მანამდე უკრაინას უფლება არ აქვს, მიიღოს დამკვირვებლებად ეს ადამიანები.

ეს ერთი, მთავარი მიზეზია.

მეორე. **„საქართველო არ არის დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყანა, მისი პოლიტიკური სისტემა ავტორიტარული ხასიათის მატარებელია.** Freedom House-ის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, თავისუფლების ხარისხით საქართველო ჩამორჩა არა მხოლოდ ბალტიის ქვეყნებს, არამედ — უკრაინასაც. საქართველო არ მოხვდა „ამორჩევითი დემოკრატიის“ ჯგუფშიც კი (იგი შეიტანეს „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების სიაში). უკანასკნელ წლებში საქართველოში შეინიშნებოდა ნეგატიური პროცესები: ოპოზიციის დევნა, მშვიდობიანი დემონსტრაციების ძალადობრივი დარბევა, ქართველ ოპოზიციონერ-პოლიტიკოსთა საიდუმლოებით მოსილი სიკვდილი, ოპოზიციური მასმედიის დარბევა და ა.შ.“ *(საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფონდის მიერ მომზადებული ანალიტიკური მასალებიდან).*

პოლიტოლოგმა დიმიტრო ვიდრინმა ჩვენი ყურადღება ასეთ საინტერესო ფაქტს მიაქცია:

უკრაინელებმა ევროკავშირს მიმართეს თხოვნით, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი გამოეგზავნათ. 50 კაცზე მეტი ვერ მოავლინეს, რადგან თითო დამკვირვებელი 5 ათას ევროზე მეტი უჯდებოდათ.

გავიხსენოთ სკოლაში ნასწავლი არითმეტიკა და ევროდამკვირვებელთა 5 ათასი ევრო ქართველთა 2 ათასზე გავამრავლოთ. მივიღებთ 10 მილიონ ევროს.

ხომ ასეა?

საქართველოდან მივლინებულებს, ალბათ, 5 ათასს არ გადაუხდიან. გავანახევროთ. 5 მილიონი დარჩება. ევრო გადაახურდავეთ ლარებზე და მიიღებთ თანხას, რაც დაუჯდა ეს ავანტიურა გადასახადების ქართველ გადამხდელებს.

შედარებისთვის: **ყველაზე დიდი დელეგაციები უკრაინაში ჩავიდა რუსეთიდან — 39 დამკვირვებელი, აშშ-დან — 97.**

დასკვნისკენ წავიდეთ.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ისტორიაში პირველად იქმნება პრეცენდენტი, როცა უცხოელი დამკვირვებლები შიდაპოლიტიკური პროცესის იმდენად სერიოზულ ფაქტორად ჩამოყალიბდა, რომ პოტენციურად მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს არჩევნების შედეგებზე.

და პარადოქსი: **შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა დიდ ევროპულ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გავლენას ახდენს რესურსებითა და რეგიონში თავისი გავლენით მნიშვნელოვნად მასზე სუსტი სახელმწიფო.**

ასეთი დამოკიდებულება დომინირებს უკრაინის ისტებლიშმენტში, რაც, რა თქმა უნდა, ნეგატიურად მოქმედებს ორი ქვეყნის მეტად მგრძნობიარე ურთიერთობაზე.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში **კადრის დიპლომატმა, უმაღლესი რადას საკანონმდებლო განზრახულობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლეონიდ კოჟარამ განაცხადა:** „აშკარად არამეგობრულად იქცევა საქართველო და, სანამ არ მივიღებთ პასუხს, რატომ ხდება ასე, ჩვენი ურთიერთობები დაძაბული დარჩება“.

პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტოლოგი სერგეი ტოლსტოვი პასუხს ეძებს კითხვაზე — რატომ ხმას არ იღებს ეუთო ფსევდოდამკვირვებლების სკანდალის გამო და თავადვე უპასუხებს:

„აშკარაა ტრანსნაციონალური კაპიტალის გავლენა. ამის ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითია ინგლისში ჩასახლებული, ყოფილი რუსი ოლიგარქის ბერეზოვსკის განცხადება, რომ უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის საუკეთესოა იულია ტიმოშენკო, რომელსაც იგი მხარს უჭერს.

ეს ის ბერეზოვსკია, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა, იუშჩენკოს ხელისუფლებაში მრჩევლის ადგილის დამკვიდრებას. სხვათაშორის, არც ჩვენი თანამემამულის — ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის დანატოვარი კაპიტალის გარშემო ატეხილ წიოკში არ გამოიყურება მაინც და მაინც დადებითად.

ვერ ისვენებს ყმაწვილი.

არ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას უკრაინაში გულხელდაკრეფილები შესცქერიან. იმის გამო, რომ უკრაინის შს სამინისტრომ საქართველოდან ჩამოსულებზე მზრუნველობა იკისრა (დონეცკში, მაგალითად, „დამკვირვებლები“ საპატრულო მანქანებით გადაიყვანეს აეროპორტიდან სასტუმროებში, ჩაუტარეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი, დააკვალიანეს და ა.შ.), აგრეთვე, სხვა მიკერძოებათა გამო, **უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი იური ლუცენკო, რომელიც ამ პოსტზე 2007 წლიდან მუშაობდა, უმაღლესმა რადამ თანამდებობიდან მოხსნა.**

გარკვეული რევერანსებით, მაგრამ დაუფარავად აცხადებენ — „დღეს საქართველო უკრაინის მიმართ აშკარად არამეგობრულად მოქმედებს, რაც უარყოფითად აისახება ჩვენს ორმხრივ ურთიერთობაზე“ (**დეპუტატი ლეონიდ კოჟარა**).

სეპარატიზმის არცთუ სპირიტუალური აჩრდილი

— რეგიონების დაპირისპირება უკრაინაში, — ამბობს **პოლიტოლოგი სემიონ ურალოვი,** — მინავლებული ფორმით ყოველთვის არსებობდა, თუმცა არა პოლიტიკურ, არამედ ყოფით დონეზე. ამჟამად მისი გააქტიურება და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაიწყეს (აღმოსავლეთი უკრაინა, დასავლეთი უკრაინა, ყირიმი).

2004 წლისთვის ყველაფერი დამშვიდებული ჩანდა, რადგან პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ფარული ფედერალიზაციის პოლიტიკას განახორციელებდა. სიტუაცია პრინციპულად ნორმალური იყო და ყველას ხელს აძლევდა, დაახლოებით ისე იყო, როგორიც ამჟამად ყაზახეთშია.

მას შემდეგ, რაც „ნარინჯისფერებმა“ გამოიყენეს სერბეთში აპრობირებული ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების ტექნოლოგიები, როცა ხელისუფლება მიჩნეულია აბსოლუტურ ბოროტებად, ოპოზიცია კი — აბსოლუტურ სიკეთედ, აშკარა გახდა აშშ-ს მცდელობა, ჩვენი ქვეყანა გარედან ემართა.

იუშჩენკოს კანდიდატურა უალტერნატივო არ იყო, როგორც, ვთქვათ, საქართველოში ან სერბეთში. ამიტომ იმ ტექნოლოგიების გარდა, რომლებიც ამ ქვეყნებში იყო გამოყენებული ფერადი რევოლუციების დროს, უკრაინაში აამოქმედეს ორი რეგიონის — აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ტექნოლოგია.

ჩვენმა „ნარინჯისფერებმა“ გააჩაღეს ფართო კამპანია აღმოსავლეთში მცხოვრები მოქალაქეების დისკრედიტაციის მიზნით, რომ დონეცკში გაუნათლებელი ხეპრეები ცხოვრობენ და ა.შ.

თუ ჩვენი არჩევნების რუკას დახედავთ, აუცილებლად შეამჩნევთ, რომ დაპირისპირების საზღვარი დნეპრის გასწვრივ გადის — ორი აბსოლუტურად განსხვავებული ელექტორალური რეგიონის საზღვარი. თუ „ნარინჯისფერები“ ხმათა უმრავლესობას (80 პროცენტს) დასავლეთში იღებენ, დონბასში ამის საწინააღმდეგო სურათია.

ამიტომ **სავსებით გასაგებია ტიმოშენკოს ლოგიკა — ჩაშალოს არჩევნები აღმოსავლეთში, დასავლეთის ხმებით კი გამარჯვება უზრუნველყოფილი ექნება:** ჭეშმარიტი მოქალაქეები უპირისპირდებიან არასრულყოფილებს და იგებენ არჩევნებს. **ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სეგრეგაცია, რომელიც აშშ-ში 50-იან წლებში იყო ან, ფაქტობრივად, დღეს არის ბალტიის სახელმწიფოებში.**

ეს გზა უკრაინაში არ გაგვივლია, თუმცა საარჩევნო პროცესში წინასწარგანზრახული შეცდომების დაშვების ტექნოლოგიის გამოყენებით სწორედ ასეთი შედეგის მიღწევას ცდილობენ.

აღმოსავლეთი ინდუსტრიული რეგიონია — მძიმე მრეწველობა, შეიარაღება (ტანკები), ქვანახშირის მაღაროები. იქაური მოსახლეობის საუკეთესო პერიოდი, შრომითი დიდების ზენიტი, საბჭოთა იმპერიასთან არის დაკავშირებული. ახლა კი, იმის გარდა, რომ ამ რეგიონის დეგრადირება ხდება, ადამიანებს ყოველმხრივ შეურაცხყოფენ, ამცირებენ, მეორეხარისხოვან მოქალაქეებად წარმოაჩენენ.

ამიტომ წარმოექმნათ მათ კონფლიქტი უკრაინის სახელმწიფოსთან.

ეს პროცესი უკვე არაკონტროლირებადი გახდა. დაირღვა სახელისუფლო ვერტიკალი, როცა დირექტივა ცენტრიდან, ასე თუ ისე, აღწევდა პერიფერიამდე. ახლა სრული ანარქიაა. აი, ამ არეულობაზე თამაშობს ამჟამად პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

უკრაინაში დაძაბულობამ პიკს მიაღწია, არ არის მშვიდობა გაძარცული წაბლის ხეების ქვეშ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე კი ოთხი დღე რჩება.

დამშვიდდება თუ არა 7 თებერვლის შემდეგ მოძმე უკრაინა, დადგება თუ არა ნარინჯისფერობის ფერისცვალების პერიოდი, ალაჰმა უწყის.

არმაზ სანებლიძე
კიევი-თბილისი

უკრაინიდან ქართველების დეპორტაციის აჩრდილი უფრო და უფრო მატერიალურ კონტურებს იძენს

უკრაინისა და უცხოეთის მასმედიის ინტერესი „მრგვალი მაგიდისადმი“ დიდი იყო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

გრიგოლ ქათამაძე:

ქართველ დამკვირვებელთა საკითხი უნდა ამოიწურაროს

2010 წლის 17 იანვარი უდაოდ შევა უკრაინის ისტორიაში როგორც დამოუკიდებელი უკრაინის რიგით მეხუთე საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის დღე. ექსპერტთა თვალსაზრისით, წინამორბედისგან განსხვავებით, ეს საარჩევნო პროცესი საჩვენებელ-სამაგალითოა. შესაძლოა, ამაზე კვერი დაგვეკრა კიდეც, რომ არა მეგობარი ქართული სახელმწიფოს დამკვირვებლებთან დაკავშირებული ინციდენტი... იმაზე, თუ რა შედეგებს გამოიღებს ეს უსიამოვნო სიტუაცია მომავალი ორმხრივი სახელმწიფო ურთიერთობების განვითარებისათვის, გვესაუბრება საქართველოს ელჩი უკრაინაში ГРИГОЛ ქათამაძე.

— როგორ აფასებთ ერთიანობაში უკრაინის 2010 წლის არჩევნების დემოკრატიულობას? რას მიიჩნევთ ნეგატივად და პოზიტივად?

— ერთიანობაში, ვფიქრობ, მხარს იმათ დავუჭერ, ვინც 17 იანვრის არჩევნები დადებითად შეაფასა. მგონია, რომ ამაში გარკვეულწილად წვლილი ჩვენც მიგვიძღვის, რადგან მოვითხოვდით, რომ დემოკრატიის პრინციპებსა და კანონიერებას ეზეიმა, რაც, პრინციპში, მოხდა კიდეც.

— და სულ არ გწყინთ, რომ ქართველ დამკვირვებლებს რეგისტრაციაზე უარი უთხრეს?

— ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მკაფიოდ განეცხადებინა, ჩვენს დამკვირვებლებს რეგისტრაციას გაატარებდა თუ არა, რადგან იმ დროისათვის უკვე არსებობდა კიევის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჩვენი საკითხის დაუყოვნებლივ განხილვას ავალდებულებდა.

ცხადია, ჩინებულად გვესმის, რომ არავის, მათ შორის, სასამართლოსაც, არ შეუძლია, აიძულოს ცენტრალური საარჩევნო კომისია როგორც არჩევნების ჩამტარებელი უმაღლესი ორგანო, რეგისტრაცია გაატარებინოს დამკვირვებლებს. თუმცა მაინც ერთობ თვალში საცემი იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმოქმედობა, რომელსაც სასამართლომ უუფლებოც კი უწოდა. დიახ, საარჩევნო კომისიამ, ბოლოს და ბოლოს, ამოწურა ეს საკითხი, სამწუხაროდ, ეს 17 იანვრის 17.00 საათზე, საარჩევნო პროცესის მიწურულს მოიმოქმედა.

ჩემი აზრით, სწორედ ამგვარი რამ ქმნის გარკვეულ უხერხულობას ზედმიწევნით პოზიტიურ შეფასებებში. გარდა ამისა, შეუძლებელია, პოზიტიურად შეაფასო ინციდენტები, რომლებიც შეემთხვა ჩვენს ჟურნალისტებს, რომელთაგან ზოგიერთს სცემეს.

რაც შეეხება თითოეული ქვეყნიდან დამკვირვებელთა აუცილებელი რაოდენობის საკითხს, უნინ ის არც წარმოქმნილა. 2004 წელს, მაგალითად, უკრაინის არჩევნებში პოლონეთიდან ოფიციალურად დარეგისტრირდა 2011 კაცი, ხოლო წელს — 20 კაცით მეტი, ვიდრე აშშ-დან. ამასთან, ცდილობდნენ ჩვენთვის აეხსნათ, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და იქიდან ამდენი დამკვირვებელი დაუშვებელია. ამის გაგება მიჭირს; მით უფრო, რომ წინდაწინ შევატყობინეთ ჩვენი დამკვირვებლების თაობაზე. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს ჯერ კიდევ 12 იანვარს უარი რომ ეთქვა, არავინ ჩამოვიდოდა.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, თუ ცენტრალური საარჩევნო კომიტეტისთვის ყველაფერი წინდაწინ იყო ცნობილი, პრობლემები რატომ წარმოიქმნა?

— ამის კომენტარი მიჭირს. დონეცკში, მაგალითად, ბევრ საარჩევნო უბანზე, მას შემდეგ, რაც ჩემი თანამემამულეები დაარეგისტრირეს როგორც საერთაშორისო ჟურნალისტები და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები, ისინი განმარტებების გარეშე წაიყვანეს მილიციის რაიონულ განყოფილებებში.

რასაკვირველია, გულხელდაკრეფილი ვერ ვიჯდებოდი, ამიტომ საარჩევნო კომისიას დილის 10 საათზე მივაკითხე, მაგრამ ვიზიტამდე შინაგან საქმეთა მინისტრს — იური ლუცენკოს დავურეკე, რათა ამ პრობლემის შესახებ შემეტყობინებინა. ვთხოვე, დაუყოვნებლივ ჩარეულიყო, რის შემდეგაც იგივე საკითხი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთანაც დაისვა.

ვფიქრობ, საარჩევნო კომისიას მოქმედებისკენ, მართალია გვიან, მაგრამ სასამართლოთა გადაწყვეტილებებმა უბიძგა. სამწუხაროა, რომ ჩვენი თხოვნის, ორი სასამართლოს, მათ შორის, მათი უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილებისა და პრეზიდენტობის ბევრი კანდიდატის განცხადებების მიუხედავად, რომლებიც საარჩევნო კომისიისგან ქართველ დამკვირვებელთა დარეგისტრირებას მოითხოვდნენ, პასუხი მაინც უარყოფითი აღმოჩნდა.

ახლა პრესაში ამის შესახებ მრავალი ინსინუაცია და მითქმა-მოთქმაა, რაც სწორედ საარჩევნო კომისიის სინდის-ნამუსზეა. მას რომ ქართველი დამკვირვებლები დაერეგისტრირებინა, ჭორაობის სურვილი არავის გაუჩნდებოდა.

— თქვენი თანამემამულენი კვლავაც მოითხოვენ ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან ოფიციალურ აკრედიტაციას 7 თებერვალს?

— სხვათაშორის, ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან საელჩოს აქამდე ოფიციალურად არ მიუღია რაიმე წერილობითი შეტყობინება უარსა და მისი მიზეზების მოტივაციაზე. მათ ჩინებულად იციან, რომ ოფიციალურად მივმართე და ეს განვაცხადე კიდეც 17 იანვარს. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემაც დაადასტურა, რომ აქამდე არ უპასუხია უბრალო კითხვაზე — რის საფუძველზე არ დაარეგისტრირეს ქართველი დამკვირვებლები.

ამასთან, კულუარებში შეგვატყობინეს, რომ უარი ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო გადწყვეტილებას ნიშნავს და პროცედურულად უკვე აღარ გვაქვს უფლება, მას რეგისტრაციის თხოვნით მივმართოთ. თუმცა ფორმალურად ამის დასტური ჯერჯერობით არ მიგვიღია.

— ქართული მხარე რა რეაგირებას მოახდენს?

— ყველაფერი მოტივაციაზე იქნება დამოკიდებული. ის განმარტებები და არგუმენტები, რომლებიც საარჩევნო კომისიის წევრებს განხილვისას მოჰყავდათ — საქართველო პატარა ქვეყანაა და ამდენი დამკვირვებლის წარგზავნის უფლება არ აქვსო — ჩემი აზრით, არანაირ ჩარჩოებში არ თავსდება.

ჩვენ შევეცადეთ, უკრაინულ კანონმდებლობაში ის ნორმები მოგვეძებნა, რომლებიც დამკვირვებელთა რაოდენობას შეზღუდავდა, მაგრამ მსგავსს ვერაფერს მივაგენით. სხვათაშორის, უკრაინის მოსაზვევებში, რომლებიც ყველა ქვეყანამ მიიღო, ასევე არაა მითითებული, რამდენი კაცის წარგზავნა შეუძლია ქვეყანას.

ჩვენ მხოლოდ სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნების მხარდაჭერა გვსურდა უკრაინაში, ისეთი არჩევნებისა, როგორიც საქართველოში, აგერ უკვე რამდენიმე წელია, იმართება.

— თუმცა ზოგიერთი ექსპერტი ირწმუნება, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქართველოსთვის ოფიციალურად რომ დაერთო არჩევნებზე დაკვირვების უფლება, შესაძლოა, თქვენს თანამემამულეებს იგი ჩაეშალა...

— ჭორების კომენტარის სურვილი არ მაქვს. სითამამისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ძალზე სისტემური ადამიანი ვარ და მარტოდენ ფაქტებისა და დოკუმენტების მჯერა. ასე მასწავლიდნენ.

ადამინის ფანტაზიას კი საზღვარი არ აქვს, ყველაფერს მოიფიქრებს. ვინმეს შეუძლია, უპასუხოს კითხვას: როგორ მოახერხებდნენ ქართველი დამკვირვებლები არჩევნების ჩაშლას? მე, მაგალითად, არ შემიძლია.

ამიერიდან რომ არავინ არაფერი იფანტაზიოროს, ერთ ფაქტს აღვნიშნავ: ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩვენ შევატყობინეთ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში, დონეცკში, გენერალური საკონსულოს გახსნის გადაწყვეტილება მიიღო და სწორედ გუშინ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს დადებითი პასუხი მივიღეთ. დავძენ, რომ წელს დონეცკის გარდა, რაიმე ტიპოლოგიური დაწესებულება არსად გაიხსნება. ამას ერთადერთი მიზანი მალაპარაკებს — მომავალში თავიდან ავირიდოთ ნებისმიერი სახის სპეკულაცია და ვაჩვენოთ, რამდენად მნიშვნელოვანი და ძვირფასია ჩვენთვის შემდგომი ურთიერთობა და თანამშრომლობა უკრაინასთან.

— როგორ ფიქრობთ, თავის არჩევნებზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ე. წ. სარკის პრინციპს ხომ არ გამოიყენებს უკრაინელი დამკვირვებლების მიმართ?

— არა! ქართველები ასე არასდროს იქცევიან. თვალი თვალის წილ ჩვენი პრინციპი და კრედო როდია.

შესაძლოა, მთლად რიგიანი მაგალითი ვერ მოვიყვანო, მაგრამ გაიხსენეთ: რუსეთი საქართველოში ომით მოვიდა, მაგრამ საქართველოში რუსული ბიზნესის შეზღუდვა არც გვიფიქრია.

ამიტომ, არა მგონია, უკრაინას ასე მოვექცეთ, თუკი, რასაკვირველია, ყველაფერი კანონის ფარგლებში იქნება, ისე, როგორც ჩვენ მოვიმოქმედეთ — დადგენილ ვადაში წარვადგინეთ დოკუმენტები, მოთხოვნისამებრ დავაზუსტეთ, შევცვალეთ ისინი და ვადის ამოწურვამდე ოფიციალურად დავრეგისტრირდით.

სწორედ ამიტომ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: რის საფუძველზე განუცხადეს უარი ქართველ დამკვირვებლებს აკრედიტაციაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული დამკვირვებლების კანდიდატების რიცხვში ის სამასი კაცი იყო, ვინც უკრაინის ბოლო, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ესწრებოდა. და სხვათაშორის, მაშინ მათ მიმართ პრეტენზია არავის ჰქონია. გარდა ამისა, დამკვირვებლების კანდიდატთა შორის საელჩოს წარმომადგენლებიც იყვნენ.

მიმაჩნია, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეეძლო, უბრალოდ, ამოეღო ის კონკრეტული ანკეტები, რომლებიც ხელს არ აძლევდა. საარჩევნო კომისიას ამას პრეზიდენტობის ზოგიერთი კანდიდატიც სთავაზობდა, მაგრამ ამ რაოდენობის ანკეტების უგულებელყოფასა და ისიც მიზეზის აუხსნელად, არალოგიკურად მივიჩნევ.

— როგორ გგონიათ, ეს უსიამოვნო სიტუაცია საქართველო-უკრაინის შემდგომ ურთიერთობაზე აისახება?

— სანამ ელჩი ვარ, ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ ჩვენი ურთიერთობა ვერაფერმა დაჩრდილოს, თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ახლა ბევრი, მათ შორის, უკრაინის პარლამენტის წევრებიც, გაუგებარ „ქართულ“ მოვლენებს ავითარებენ — წარმოადგენენ აუდიოჩანაწერებს, ავრცელებენ ჭორებს და ამავე დროს ირწმუნებიან, რომ საქართველო უყვართ.

ეს ყველაფერი ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის განცხადებას მაგონებს და მიმაჩნია, რომ დროა, წერტილი დავუსვათ მომხდარს. დაე, კომპეტენტურმა ორგანოებმა გაგვცენ ოფიციალური პასუხი და „ქართულ თემას“ მეტად ნუღარ შევეხებით. ეს არავის სჭირდება.

ლერა ნეჟინა, „ForUm“

მოკლედ

ყველანი ციხეში

პოლონეთის პოლიციამ 99 ბინის, სახლისა და ოფისის გაჩხრეკის შედეგად ამოიღო 112 კომპიუტერი, 47 მყარი დისკი და დაახლოებით 7,5 ათასი ოპტიკური დისკი, მეხსიერების ბარათი, მობილური ტელეფონი, კამერა და ფლეერი, რომლებზეც ბავშვთა პორნოგრაფიის კადრები იქნა აღმოჩენილი. პოლონეთში ამ მასალის შენახვისა და გავრცელებისათვის კანონი 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ანალოგიური ბრალდებით შარშანდელ 473 დაკავებულს წელს კიდევ 120 უკვე მიემატა.

გართობა შარიათულად

სომალის ისლამისტურმა დაჯგუფებამ „ხეზბ ალ-ისლამმა“ დაადგინა, რომ ვიდეოთამაშები „ქვეყნის სოციალურ სტრუქტურას“ ანგრევს და ბრძანა, ორ დღეში ყველა სათამაშო კლუბი დახურულიყო.

სომალელებს, ცხადია, თამაში სახლშიც აეკრძალათ. რაც შეეხება მხატვრულ ფილმებს, ცეკვებს, მობილური ტელეფონების ზარებსა და სპორტს, უკვე კარგა ხანია, აკრძალული აქვთ. ასე რომ, ახლა სომაღელ ბავშვებს ერთადერთ გასართობად შარიათის კანონები დარჩათ.

მაფია მდიდრდება

ერთადერთი, ვის წისქვილზეც გლობალურმა კრიზისმა უხვად ასხა წყალი, იტალიური მაფია აღმოჩნდა. იტალია ხუთპროცენტიან კლებას მისტირის, მაფიას კი შემოსავლების 8%-იანი მატება აქვს და იტალიის უმსხვილესი კომპანიის სტატუსი გაიმყარა. ექსპერტების ანგარიშით, შარშან მისმა ბრუნვამ 135 მილიარდი ევრო შეადგინა, მოგებამ კი — 78 მილიარდი ევრო. შემოსავლის მთავარ წყაროდ, ტრადიციულად, ნარკოტიკების, ადამიანებისა და იარაღის კონტრაბანდა რჩება. რეკეტის, არალეგალური იმიგრაციის, პროსტიტუციის, ყალბი ფულისა და დოკუმენტების დამზადების შემოსავლებსაც არ უჩივიან.

3 წლის მხსნელი

ნიუ-ჯერსის შტატში მცხოვრებმა სამი წლის ჯეიმდენ ბოლიმ, დაინახა რა, რომ ბებო მოულოდნელად იატაკზე დაეცა, ტელეფონი აიღო, 911-ზე დარეკა და დახმარების სამსახურის ოპერატორს უთხრა, რომ ბებიას სისხლში შაქარი აქვს და ცუდადაა. ბავშვმა გაითვალისწინა, რომ დასახმარებლად მოსულ ექიმებს სახლის ბინადარი ძაღლი შეაშინებდათ და ცხოველი ცალკე ოთახში გამოკეტა. ბიჭი ჯერ ვერ აცნობიერებს, რომ ბებია, რომელსაც გულის შეტევა დაემართა, სიკვდილს გადაარჩინა.

„Miramax“-ი დაიხურა

მსოფლიოს ერთერთი უმსხვილესი ამერიკული კინოკომპანიის დახურვის თაობაზე რამდენიმე დღის წინ მისი მფლობელი კომპანიის „Walt Disney“-ის წარმომადგენელმა განაცხადა. უმძიმესი ფინანსური კრიზისის შემდეგ კომპანიაში სამუშაოდ დარჩენილი უკანასკნელი 80 თანამშრომელიც ამერიკელ უმუშევართა ურიცხვ არმიას შეუერთდა. მათთან ერთად ჰაერში გამოკიდული დარჩა ნახევრადგადაღებული ექვსი ფილმიც. კინემატოგრაფიის აისბერგზე მოგონებად დარჩა ასზე მეტი ფილმი, რომელთაგან მრავალი საკულტო ნამუშევრად ითვლება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მიშა და ჰიჩკოკი

სერ ალფრედ ჰიჩკოკის „სამარკო ნიშანი“ — დანაშაულის სიმძიმის გადატანა — ქართული პოლიტიკის „სასაქონლო ნიშნად“ იქცა. მაგრამ სასპენსის მამის კინემატოგრაფიული ვნებები თუ მაყურებელს ძრწოლას ჰგვრის (ანდა მიუღებელია), ქართული პოლიტიკის მამების ვნებააშლილი მარულა ხალხის გაოგნებასთან ერთად მის ინდიფერენტულობასაც იწვევს.
მიშა ერთ-ერთია და არა — ერთადერთი, ვინც ხალხის აპათიით ჟონგლიორობს და სათავისოდ იყენებს, თუმცა იგი ყველაზე მეტად სარგებლობს ამ ვითარებით და ძნელია, გონისმიერი ახსნა მოუძებნო მის ქმედებას.



ყოველთვის განსაცვიფრებლად ზუსტი ვლადიმერ ნაბოკოვი ჰიჩკოკის შესახებ წერდა, — მისი შავი იუმორი ჩემს შავ იუმორს ენათესავებაო. ნეტავ, რას იტყოდა გენიალური მწერალი, ჩვენს დროს რომ მოსწრებოდა, თვალი გაედევნებინა მკვეთრად გამოხატული შავი იუმორის კონტურისთვის და დაენახა, რომ ამ მხრივ **სააკაშვილი დიდად არ ჩამოუვარდება ჰიჩკოკს, რომლის ფილმებისთვისაც დამახასიათებელია შიში, დანაშაულის გრძნობა, იდენტობის დაკარგვა, იუმორით გაზავებული დაძაბულობა...**

სააკაშვილმა წარმატებული რეჟისორის შემოქმედება თავისი 15-წლიანი პოლიტიკური კარიერის ყველა საფეხურზე, ასევე, წარმატებულად გამოიყენა. თუკი ყურადღებით გადავხედავთ მისი საქმიანობის ცალკეულ ეტაპებს, ადვილად შევნიშნავთ, რომ

თვითონ შიშით შეპყრობილი და ავტოკრატიისკენ მიდრეკილი, უდროოდ აღზევებული სააკაშვილი სწორედ შიშის დამკვიდრებას ცდილობდა პრეზიდენტობის პირველივე თვეებიდან.

ამისთვის მან შესანიშნავად გამოიყენა პრესა და ტელევიზია და ის განწყობაც, რომლითაც რევოლუციის ეიფორიით გაბრუებული ხალხი ასაზრდოებდა. **რაც შეეხება დანაშაულის გრძნობას, ის სააკაშვილის მუდმივი თანმდევია და მისგან გათავისუფლებას ამაოდ ცდილობს სხვაზე გადაბრალებით. იდენტობის დაკარგვის საფრთხე მას აღარ ემუქრება, რადგან, დიდი ხანია, დავიწყებული აქვს ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი. იგი დაძაბულობის მოხსნას ხშირად იუმორით ცდილობს, მაგრამ ამ მცდელობას გულწრფელობა აკლია და არც ოსტატობა ჰყოფნის შესანიღბად.**

ცალკე უნდა აღინიშნოს ჰიჩკოკისეული უდანაშაულოდ დევნილების თემა. თუკი რეჟისორი ამ თემის ირონიზირებასაც ოსტატურად ახერხებს, **სააკაშვილისთვის კინაღამ ცხოვრებისეულ დრამად იქცა 2008 წლის აგვისტოს ტრაგედია, რომელიც საქართველოში დაატრიალა ახირებულმა ავტოკრატმა. გაიხსენეთ, მაშინ ყველა იმაზე საუბრობდა, რუსული ტანკების თბილისში შემოსვლის შემთხვევაში, როგორ გააგრძელებდა პოლიტიკურ საქმიანობას „უდანაშაულოდ დევნილი“ სააკაშვილი ოკეანის გაღმა; და ის მითქმა-მოთქმაც, რომ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა აქტივები და ქონება უკვე გაიტანეს საზღვარგარეთ.**

ცალ-ცალკე თითოეული ამ საკითხის განხილვა შორს წაგვიყვანს, მითუმეტეს, რომ „საქართველო და მსოფლიომ“ არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა სააკაშვილის „მოღვაწეობას“.

სხვათაშორის, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰიჩკოკი ექვსჯერ იყო წარდგენილი ოსკარზე: ხუთჯერ — საუკეთესო რეჟისურისთვის (**„რებეკა“, „სამშველო ნავი“, „მოჯადოებული“, „ფანჯარა ეზოს მხარეს“, „ფსიქო“**) და ერთხელ — საუკეთესო ფილმისთვის (**„ეჭვი“**) როგორც პროდიუსერი, მაგრამ ეს პრიზი ვერც ერთხელ ვერ მიიღო. ამის თაობაზე რეჟისორი ხუმრობდა, მუდამ პატარძლის მეგობარი ვარ, პატარძალი კი ვერ გავხდიო.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიჩკოკი წარმატებული და მსოფლიოში ცნობილი რეჟისორი იყო და თრილერის ჟანრში მრავალ ტექნიკას დაუდო დასაბამი, იგი სიცოცხლის ბოლომდე „პატარძლის მეგობრად“ დარჩა, **სააკაშვილი კი ქართველი ხალხის ბედის ირონიით, ბევრი ემოციითა და, თავხედობად ნუ მიიღებთ, ცოტა უჭკუობითაც „პატარძლად“ მოგვევლინა და ამავე ქართველი ხალხის ნერვებზე ისევე უკრავს, როგორც ჰიჩკოკი — მაყურებლის ნერვებზე.** თუმცა ჩვენც მაყურებლები ვართ და „მცდარ გზაზე“ შემდგართ ხან მიშასეული „უაზრო დიდებით“ „ტკბობა“ გვიწევს, ხან უაზრო გამომეტყველებით შევცქერით „ფანჯარას ეზოს მხარეს“, ხან „თავბრუსხვევა“ გვაწუხებს, ხან — „უსამართლო თამაში“; ხშირად „სიგიჟე“ გვაშფოთებს, ყველაზე მეტად კი „ჩიტების“ გულისწამღები ჟივჟივი გვზარავს.

„ჩიტები“ ჰიჩკოკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფილმია, რომელიც რეჟისორმა თავისი თითქმის 40-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ შესთავაზა მაყურებელს. ალბათ, **სააკაშვილიც ემზადება, რომ თავისი მოღვაწეობის ამსახველი კინო-შედევრი გვაჩვენოს. მხოლოდ ენდი გარსიას შესრულებული როლი სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს მისი აღმატებულების მთელ ბრწყინვალებას. ამიტომ სულ რაღაც 25 წლის შემდეგ ვიხილავთ ჰიჩკოკისეული კინემატოგრაფიული სიზუსტის მიბაძვით გადაღებულ ფილმს „სირები“ (სულხან-საბას მიხედვით, „სირი“ ძველქართულში ჩიტს ნიშნავს).**

აბა, მთლად პლაგიატობის მორევში ხომ არ გადაეშვება და „ჩიტებს“ ხომ არ დაარქმევს? „სირებისთვის“ მსახიობების შერჩევა, დღევანდელი განათლების რეფორმის წარმარტებით განხორციელების შემთხვევაში, სულაც არ გაუჭირდება იმდროინდელ საქართველოში. რაც შეეხება პროტოტიპებს, არც მათი მონახვა გაძნელდება დღევანდელი სახელისუფლო თუ ოპოზიციური წრეებიდან. რეჟისორისა და პროდიუსერის ფუნქციას თავად სააკაშვილი შეითავსებს პრეზიდენტობასთან ერთად და ეს იქნება აუცილებლად დრამა, რომელსაც დოკუმენტური კადრებით უხვად მოამარაგებს მისი განვლილი და მომავალი „მოღვაწეობა“.

სააკაშვილს არ გაუჭირდება ავტობიოგრაფიული ფილმების გადაღება სახელწოდებით — „ეიფორია“, „კარტგლანში“, „მკვლელობა ოქროყანაში“, „ჩაცხრილული თაობა“, „ხალხის პირისპირ“, „ფეხადგმული ძეგლები“, „ომობანა“, „დაოთხილი მთავარსარდალი“, „მიშველეთ!“, „აფეთქებული წარსული“, „შუშის ქვეყანა“... ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ცოტა თვითონაც იფიქროს, მეტი საქმე მაინც არ ექნება.

ჰიჩკოკი საშინელებათა ფილმების მაესტროდ ითვლება, მხატვრული ფილმების! იგი ამბობდა, რომ ყველაფრის ანალიზს და ყველაფრის მართებულობისა და ჭეშმარიტების მიხედვით კონსტრუირებას თუ მოვინდომებთ, მაშინ ფილმების შინაარსი არ აღმოჩნდება ამ ანალიზის შესაბამისი და ერთადერთიღა დაგვრჩება: გადავიღოთ დოკუმენტური ფილმები.

როგორც ჩანს, ეს კარგად იცის და, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრის ანალიზი მისთვის მტანჯველი პროცესია, ხოლო ჭეშმარიტების მიხედვით განვლილი ცხოვრების კონსტრუირება ნამდვილ ჯოჯოხეთად წარმოუდგენია, **სააკაშვილი მაინც გადაიღებს საშინელებათა ფილმს, ოღონდ დოკუმენტურს! მართალია, რეჟისორული ნამუშევრის თვალსაზრისით, შეიძლება ნაკლიც ბევრი აღმოუჩინოთ, მაგრამ მკაცრად ნუ განსჯით, სამაგიეროდ, გულწრფელობით გამოირჩევა.** თუკი ჰიჩკოკი შიშის ატმოსფეროს მხოლოდ კინემატოგრაფიული მეთოდებით ქმნიდა, **სააკაშვილი გადაიღებს დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც ყველაფრის გამართლებას შეეცდება. ოღონდ არა ისეთს, როგორიც „ტელეიმედმა“ ახლახან შემოგვთავაზა „სპეციალური რეპორტაჟის“ სახითა და სახელწოდებით „სააკაშვილის ეპოქა“. ეს ფილმი მართლაც მოიპოვებს წარმატებას, რადგან თავის მართლების უზადო ხერხებით შეიქმნება, თუმცა ისეთივე ამაზრზენი იქნება, როგორიც „ეპოქაა“.**

და ნათლად გამოჩნდება, რომ ჰიჩკოკი არამარტო გენიალური რეჟისორია, მისი გამონათქვამი — **„რამდენადაც წარმატებულია ნაძირალა, იმდენად წარმატებულია ფილმი“** — ამ შემთხვევაში ზუსტ ადრესატს იპოვის და იგი, რა თქმა უნდა, არ იქნება **სააკაშვილი, რომელიც ამ ფილმით არამარტო ბავშვობის ოცნებას აიხდენს, არამედ დოკუმენტური მასალით გაამყარებს იმ დანაშაულის სიმძიმეს, რომელსაც სხვას ვერ გადააბრალებს.**



და თუ რაიმეში გამოადგება, შეუძლია ეს ფოტოც გამოიყენოს. მკითხველს მონტაჟი რომ არ ეგონოს, აქვე ვიტყვი, რომ ფოტორეპორტიორმა დავით მძინარიშვილმა „სააკაშვილისა და ჰიჩკოკის არამშვენიერი წამი“ 2009 წლის 25 მაისს, ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე „შეაჩერა“, როდესაც მთავარსარდალი სააკაშვილი ნატოს მრავალეროვნული სწავლების მეორე ფაზის — „Cooperative Lancer 09“-ის მიმდინარეობას პირადად გაეცნო.

კადრი, რომელიც „როიტერმა“ მთელ მსოფლიოში გაავრცელა, ზუსტად გვიჩვენებს იმ რეალობას, მიშას პრეზიდენტობას რომ უსანგრძლივებს და ქართველ ხალხს კიდევ უფრო აშორებს ოცნებას — ოდესმე მაინც იხილოს ერთიანი საქართველო.

აგვისტოს ომში „გამარჯვებულმა“ მთავარსარდალმა ვაზიანის პოლიგონი უკომენტაროდ დატოვა. სამაგიეროდ, მრავლისმეტყველია ფოტო, რომელიც ამ ვიზიტს ასახავს და რომელსაც მხოლოდ ერთი სათაური შეშვენის — **„მიშა და ჰიჩკოკი“.**

კარგად დააკვირდით ამერიკელი სამხედროს გვარს — HITCHCOCK. უცნობია, იგი ამ სწავლებაზე საქართველოს პრეზიდენტის უსაფრთხოებას იცავდა, თუ ეს პოზა საჩვენებლად შეარჩიეს, იმის დასტურად, რომ „დემოკრატიის შუქურვარსკვლავს“ კვლავაც უფრთხილდება ვაშინგტონი. შეიძლება ამერიკელებმა ამით ისიც მიგვანიშნეს, რომ, თუკი ჰიჩკოკი კინემატოგრაფიული ხერხებით გადმოსცემდა თავზარდამცემ შიშს, სააკაშვილი ამ შიშის რეალურ ცხოვრებაში გადმოტანით ცდილობს მისი ხუმტურებით თავმოგეზრებული ხალხის დათრგუნვას. რას გაუგებ ოკენისგაღმელთა შავ იუმორს, მით უმეტეს, თუკი ამ იუმორის ობიექტი უკვე საკუთარ მფარველებსაც ყელში ამოუვიდა.

სხვათაშორის, ეს სურათი არ მოხვდა პრეზიდენტის ოფიციალურ საიტზე. ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. უცნაური ის არის, რომ პრეზიდენტის ფოტოგალერეაში 2007 წლის 8 თებერვლიდან 2010 წლის 21 იანვრამდე ვერაფერს ნახავთ.

თუმცა რატომ უცნაური? განა თქვენ სიამოვნებით გაიხსენებდით თქვენი ცხოვრების საშინელ მომენტებს? არც **„უაზრო დიდებით“** თავბრუდახვეულ **„ახალგაზრდა და უმანკო“** მიშას სურს უახლესი წარსულის გახსენება და ამიტომაც **„ჩამოხეული ფარდის“** უკან მდგომი **„ადამიანი, რომელმაც ზედმეტად ბევრი იცოდა“** კვლავაც ცდილობს, გეზი აიღოს **„ჩრდილოეთისკენ, ჩრდილო-დასავლეთის გავლით“,** თუმცა იქიდან უკვე შემოუთვალეს **„გზა მშვიდობისა“.** ამიტომაც **„სამშველო ნავი“** დასჭირდება იმ კიბემდე მისასვლელად, რომლის **„39 საფეხური“** უნდა აიაროს. არადა, **„ეჭვის ჭია“** ღრღნის, რადგან კარგად იცის, რომ **„უსამართლო თამაში“** ხეირს არ დააყრის.

ხალხთან უსამართლო თამაში კი „ვარდების რევოლუციით“ დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ვლადიმერ ნაბოკოვს დავუბრუნდეთ, რადგან მასზე უკეთ ვერავინ შენიშნა განსხვავება თავისუფლებასა და თავისუფლების არარსებობას შორის. კადეტების ლიდერის, ცნობილი ლიბერალის პაველ მილიუკოვისთვის ნაჩუქარ წიგნზე კი წააწერა: **„რევოლუციები — ეს არის ხალხის სიმწიფის გამოცდა. ჩავიჭრებით და გადაბარება აღარ იქნება“.**

ჩვენ ჩავიჭერით. ისღა დაგვრჩენია, კინოს ვუყუროთ, ჰიჩკოკის საშინელებათა ფილმებს, თორემ სააკაშვილის დოკუმენტური საშინელებების ყურება **„მცდარ გზაზე“** დამდგარ საქართველოს, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს მოუწევს.

ბონდო მჟინარაშვილი

P.S. ალფრედ ჰიჩკოკს ჰოლივუდში ორი ვარსკვლავი მიუძღვნეს ფილმებისა და ტელევიზიის კატეგორიებში. რეჟისორ-პრეზიდენტ სააკაშვილის ვარსკვლავი კი ჯერჯერობით ცაში კიაფობს და მამალი ნაციონალებიც კრძალვით შესცინინებენ. თვითონ არ იცის და ამათ საიდან ეცოდინებათ, როდის მოწყდება და შთაინთქმება უსასრულობაში.

ჩვენც ნუ ვიმარჩიელებთ. რა აზრი აქვს...

ვარსკვლავს კი არა, მის პრეზიდენტობას!

ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ? ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ: 38-41-97, ᲐᲜ ᲛᲝᲒᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ: info@geworld.net

საქართველო

ელიზბარ ჯაველიძე:

ᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲗᲣ ᲔᲠᲘᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ ᲕᲐᲠ!

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲕᲔᲠ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲗ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲐᲔᲛᲗᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲜᲝᲡ ᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲛᲝᲔᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲜᲝᲡ. ᲓᲐᲨᲚᲘᲗ — ᲙᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐᲨᲐᲚᲐ...

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების თაობაზე გვესაუბრება ცნობილი მეცნიერი და პუბლიცისტი, პროფესორი ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ.



— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ, თქვენთვის, ალბათ, მოულოდნელი არ იყო ის ისტერიკა, რაც გასულ კვირას რეზო ამაშუკელის, ნოდარ წულეისკირისა და თქვენს დაჯილდოებას მოჰყვა დავით აღმაშენებლის პრემიით; მწვავე განცხადებები მოვისმინეთ თქვენი კოლეგების — მწერლების, პოეტების, პუბლიცისტებისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანებისგან. მათ ერთხმად აღნიშნეს: ასეთი პრემიის მიღებაზე არასოდეს დავთანხმდებითო... თქვენ რატომ დასთანხმდით და რას უპასუხებთ იმ ხალხს, ვინც მიიჩნევს, რომ ეს ერის ღალატის ტოლფასია?

— როცა ქვეყანაში უზნეობა ბატონობს, როცა ხელისუფლების სათავეში უცხვირპირო ადამიანები არიან, შეფასების კრიტერიუმები იცვლება და ზნეობრივს უზნეოს უწოდებენ, უზნეოს კი — პირიქით; მეგობარს მტრად რაცხავენ, მტერს — მეგობრად და ა.შ. ეს ძალიან მარტივი და პრიმიტიული სქემაა — ყველა, ვინც სააკაშვილსა და მის რეჟიმს უპირისპირდება, საქართველოს მტრად ცხადდება; ხოლო ისინი, ვინც, ბოდიში და, მას ერთ ადგილს ულოკავენ, პატრიოტები არიან...

ამათთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვისთან და რა კატეგორიის ადამიანებთან დაიჭერენ საქმეს, მთავარია, სარგებელი ნახონ... როდესაც ჩამოჰყავთ მაკეინი, მათ ძალიან კარგად იციან, რომ ის გარეწარი კაცია, ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული, ბოროტება (ბავშვებსა და ქალებს ხოცავდა, გახვეული იყო კორუფციაში); როცა დაწინაურდა, ავადმყოფ ცოლს გაშორდა და მილიონერის ქალიშვილი შეირთო, რომლის წყალობითაც მოხვდა სენატში... ის, რომ ჩვენი ხელისუფლება მას „წმიდა გიორგის“ ორდენით აჯილდოებს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, ვინ არის ამათთვის მტერი და ვინ — მეგობარი...

მე არა ერთხელ განვაცხადე, რომ არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის, ვის რა მოსწონს, იმიტომ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ადამიანებს აყეფებენ. გამოვიდა ვიღაც გოგიბედაშვილი (დეფი თუ რაღაც მაგდაგვარი ჰქვია), არც ვიცი, ვინ არის და „ფეესბეს“ აგენტებად გამოგვაცხადა. თვითონ რას წარმოადგენს? თავი რომ მწერლად მოაქვს, რა დაუწერია, რა გაუკეთებია? კაცს რომ მიაწერენ, ეს მწერალიაო, დამთავრებულია მისი ამბავი, ესე იგი არავინ იცნობს და არავის გაუგონია მისი სახელი... ეს არის კაცი, რომელსაც, მიკვირს, როგორ არ გაუცვდა ენა ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა საჯდომების ლორკვით. ან რით არ მობეზრდათ მას და მისნაირებს მუდმივად ერთი და იმავე თემაზე — კრემლის აგენტებზე ლაპარაკი?!.. თუ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ერის ღალატია, მაშინ კი, ბატონო, მოღალატე ვარ, ვინაიდან მე მთელი ჩემი პრინციპულობით, შეგნებულობით ვებრძვი ამ ხელისუფლებას; ამ ხელისუფლებამ დააქცია და გაანადგურა ეს ქვეყანა — მოსპო სოფელი, გააჩანაგა მრეწველობა, მცირე თუ საშუალო ბიზნესი საერთოდ აღარ არსებობს, გაიყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტი და თანაც ყველაფერი — რუსებზე. მოკლედ, სააკაშვილმა კენტავრს დაამსგავსა ქვეყანა — თავით (პოლიტიკით) უნდა ვიყოთ ამერიკასთან და ტან-ფეხით (ეკონომიკურად) — რუსეთთან... ასეთი რამ არ ხდება ბუნებაში, თუ თავი გათიშული გაქვს, ფეხები არ მოძრაობს; ან ფეხი მოძრაობს და თავი არ მართავს — ასე ფონს ვერ გახვალ, ნაბიჯსაც ვერ გადადგამ, გზას ასცდები და საბოლოოდ უფსკრულში გადაიჩეხები. ეს ამათ არ ესმით ან არ უნდათ, რომ ესმოდეთ და ქვეყანაც იღუპება, ინგრევა, სულ მალე საქართველოსგან აღარაფერი დარჩება. ამიტომ, სანამ დროა, ხალხმა ხმა უნდა აღიმაღლოს. სხვა გამოსავალი არ ვიცი, თუ ჩუმად ვიქნებით, ამათაც ეს უნდათ — რასაც აქამდე ერთის ამბითა და ხმაურით აკეთებდნენ, უჩუმრად, საზოგადოებისთვის შეუმჩნევლად იზამენ და, ერთ მშვენიერ დღეს რომ გაგვეღვიძება, დავინახავთ, რომ სამშობლო აღარ გვაქვს...

— ბოლო დროს ხელისუფლებამ მეტისმეტად მწვავე ისტერიკა ატეხა რუსეთუმეების თემის გარშემო; თქვენ როგორ ფიქრობთ, საფუძვლიანია ნაცების შიში, თუ, იმ შეგონებისა არ იყოს: „მელას რაც აგონდებოდა, ის ელანდებოდაო“, მართლა ისეთი შეშინებულები არიან ჩვენი ბედოვლათი ხელისუფალნი, რომ ყველგან ბუნტი და უცხო ქვეყნის აგენტები ელანდებათ?

— ეს არის ამათი პოლიტიკის გეგმის ნაწილი — საზოგადოებაში უნდა დათესონ ტერორი, რათა თითოეულ მოქალაქეს მუდმივად ჰქონდეს იმის შიში, რომ ვინმემ ცილი არ დასწამოს და ერის მოღალატედ არ შერაცხოს. მე პირდაპირ ვამბობ: ყველაზე დიდი მოღალატეები ესენი არიან და ვინც ამათ გვერდით დგას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ებრძვის და სპობს ყოველივე ქართულს. კუდიანებიც თვითონ არიან და აგენტებიც. ისინი თავიანთი გაფუჭებული ბუნების მიხედვით აზოგადებენ ყველაფერს და ამიტომაც ჰგონიათ, რომ, თუ კაცი თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ მეზობელ ქვეყანასთან, ამ შემთხვევაში რუსეთთან, საერთო ენის გამონახვის მომხრეა, მოღალატედ და მტრად უნდა გამოცხადდეს. ასე არ არის!.. სხვათაშორის, სოსო ჯაჭვლიანმა თქვა ძალიან კარგად: „მე ყველგან ვარ საქართველოს აგენტი, მაგრამ ესენი ვისი აგენტები არიან, ნეტა, გამარკვევინაო“. ის ისტერიკა, რომელმაც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, მოიცვა მთელი სახელისუფლო სპექტრი, განპირობებულია იმით, რომ ესენი ხედავენ, როგორ ეცლებათ ხელიდან ძალაუფლება. გრძნობენ, რომ მათი ასპარეზობა დამთავრებულია, მაგრამ ჩვენი მთავარი ამოცანა ის კი არ უნდა იყოს, რომ როგორმე ეს ხელისუფლება გავუშვათ, არამედ უნდა ვეცადოთ, მოვიდეს ისეთი ხალხი, რომელსაც თავის ერზე და ქვეყანაზე ნაფიქრი აქვს. შეიძლება ვერაფერი გააკეთოს, მაგრამ ღამე არ ეძინოს; ასეთი მე უამრავი ადამიანი ვიცი...

— სწორედ ეს არის ის საკვანძო საკითხი, რომელიც საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებს. დღეს ყველა სვამს კითხვას, რა ან ვინ იქნება სააკაშვილის შემდეგ? ოპოზიციამ ჯერჯერობით ვერ გასცა ამას ამომწურავი პასუხი...

— ჩემი პოზიცია ასეთია: ჯერჯერობით არა, მაგრამ, როცა სააკაშვილის რეჟიმი აღარ იქნება, ჩვენ უნდა შევცვალოთ საპრეზიდენტო მმართველობა საპარლამენტოთი. ოღონდ ეს უნდა მოხდეს ნორმალური, ადამიანური, სამართლიანი (დემოკრატიას შეგნებულად არ ვამბობ, არ მიყვარს ეს სიტყვა იმიტომ, რომ გააბახეს) არჩევნებითო, რაც დღესდღეობით ამ ხელისუფლების პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია...

— ისე, კულუარებში იმასაც ამბობენ, პრეზიდენტად გიგი უგულავას ამზადებენო...

— ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ხალხზეა დამოკიდებული, რა იქნება და ვინ იქნება. დღეს ჩვენი საზოგადოება ძილქუშშია, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს. ბევრს ჰგონია, რომ ყველაფერი კარგადაა. ამ დროს ქვეყანა თავზე გვენგრევა და, თუ 2013 წლამდე ასე გაგრძელდა, საქართველო აღარ იქნება არა მხოლოდ პოლიტიკურ რუკაზე, არამედ — ფიზიკურ რუკაზეც.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— გამოსავალი, როგორც გითხარით, მხოლოდ ერთია — ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს და ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, უკვე დაწყებულია და, თუ უკრაინაში იანუკოვიჩმა გაიმარჯვა და, ალბათ, გაიმარჯვებს, ჩათვალეთ, რომ ფერადი რევოლუციების ტალღა საბოლოოდ დამთავრდა. იმ ქვეყანაში, სადაც ეს რევოლუციები გაცილებით ადრე მოხდა, დღეს ხალხი წარსულს მისტირის. აი, ჩაუშესკუზე რომ აცხადებდნენ, დესპოტი, ტირანი, მკვლელიაო და ბატონი შევარდნაძე რომ ჩავიდა იქ და ხალხს მიულოცა, დიქტატორი მოკალითო, დღეს ის ადამიანები, ვინც მას აგინებდნენ და მოსაკლავად დასდევდნენ, მაქვს ინფორმაცია, რომ მაღაზიებში თავისუფლად ვერ შედის. ეს იმიტომ, რომ იქ საზოგადოებამ დაინახა ვინ ვინ არის და რას წარმოადგენს. დღეს ჩვენთანაც დაახლოებით იგივე პროცესები მიდის და აი, სწორედ ეს არის იმ ისტერიკისა და შოკის, სკანდალის მიზეზი, რომელსაც ხელისუფლება აწყობს. სწორედ ამის გამო არიან ესენი ასეთი აღრენილები და ყველაფერში გადატრიალების საფრთხეს ხედავენ...

— ისე, რაც მართალია, — მართალია. ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, უცნაურად ალაპარაკდნენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, მათი უმეტესობა უცებ პრორუსული გახდა...

— უძღები შვილი თუ დაბრუნდება, მას ზურგი არ უნდა აქციო — მათ კარგად იცოდნენ, რომ ნატო კარგს არაფერს მოგვიტანდა, პირიქით, სწორედ ამ ნატოსა და კატოს ძახილმა დაგვღუპა. არ დაღუპულა აზერბაიჯანი და არ დაღუპულა სომხეთი. რატომ? იმიტომ, რომ მათ იპოვეს თავიანთი გზა და ჭკუით არიან.

ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ ᲜᲐᲢᲝ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲐ. ᲛᲐᲜ, ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲛᲘᲡᲢᲘᲠᲘᲡ. ᲐᲘ, ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲖᲔ ᲠᲛᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲘ, ᲢᲘᲠᲐᲜᲘ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲐᲝ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲠᲛ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲘᲥ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ, ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲝᲙᲐᲚᲘᲗᲝᲗ, ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲐᲡ ᲐᲒᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲙᲚᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲡᲓᲔᲕᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲫᲕᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲣᲤᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲓᲘᲡ. ᲔᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ ᲕᲘᲜ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜᲐᲪ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲯ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛ ᲘᲡᲢᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲙᲘᲡ, ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲯ ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲐ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲦᲠᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ...

— ᲘᲡᲔ, ᲠᲐᲪ �მᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, — �მᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ. ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ, ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲐᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲓᲜᲔᲜ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲣᲪᲔᲑ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ...

— უძღები შვილი თუ დაბრუნდება, მას ზურგი არ უნდა აქციო — მათ კარგად იცოდნენ, რომ ნატო კარგს არაფერს მოგვიტანდა, პირიქით, სწორედ ამ ნატოსა და კატოს ძახილმა დაგვღუპა. არ დაღუპულა აზერბაიჯანი და არ დაღუპულა სომხეთი. რატომ? იმიტომ, რომ მათ იპოვეს თავიანთი გზა და ჭკუით არიან.

ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ ᲜᲐᲢᲝ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲐ. ᲛᲐᲜ, ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲐ!

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲗᲣ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲐ!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲯᲐᲑᲐ ᲫᲕᲐᲜᲘᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲘᲐᲜᲣᲙᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მეგობრობა ილხამისეულად, ანუ ნეპალიდან საინგილომდე

დღემდე არსებობს ქვეყნები, სადაც ქრისტიანობის ღიად აღიარებას შეიძლება თავისუფლების აღკვეთა მოჰყვეს, უარეს შემთხვევაში — სიკვდილით დასჯა. რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთ ასეთ ქვეყანას ნეპალის სამეფო წარმოადგენდა, სადაც ქრისტიანობის მიღება დანაშაულად ითვლებოდა. ჯერ კიდევ 1986 წელს პადრე ენტონი შარმა (პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი ნეპალში) იმისთვის დააპატიმრეს, რომ მან სააღდგომო მესა აღასრულა. მისი თქმით, ყველაფერი 2007 წლის შემდეგ შეიცვალა, როცა დაემხო მონარქია, ინდუიზმმა სახელმწიფო რელიგიის სტატუსი დაკარგა, ხოლო ნეპალი ელიტარული სახელმწიფო გახდა.



აზერბაიჯანის ხელისუფლება მომლოცველებს ეკლესიაში ლოცვის უფლებას წელიწადში მხოლოდ ორჯერ - 6 მაისს და 23 ნოემბერს აძლევს

ქართველთა ძველი სამაროვანი

ინგილოეები ტრადიციების შენარჩუნებას ცდილობენ

კათოლიკური პორტალ Milites Christi imperatoris-ის თანახმად, ქრისტიანობის მიმდევრები იმ ადგილებში უფრო მრავლდებიან, სადაც ქრისტიანობა ყველაზე მეტად იდევნება. ბევრი ნეპალელი საპყრობილეებში ინათლება. ციხეში სულ 170 პატიმარია, რომელთაგან 30 ქრისტიანად მოინათლა. გასულ წელს ორგანიზაცია „ციხის საძმომ“ კიდევ ერთი სალოცავი ააშენა. **„აქამდე ქრისტიანები საიდუმლოდ ლოცულობდნენ, პატიმრებს არ უნდოდათ იმის გამხელა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, თუმცა დღეს სიტუაცია შეიცვალა და შიშიც გაქრა“,** — ამბობს ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი დაინეშ ნეპაუნე.

აღსანიშნავია, ნეპალში ქრისტიანად მონათვლის საოცარი ფაქტები. აქ ქრისტიანად მოინათლა ინდუისტი ტერორისტი რამ პრასად მაინალი, რომელიც სასჯელს სამი ადამიანის მკვლელობისთვის იხდის. მან ქრისტიანულ ტაძარში ყუმბარა ააფეთქა, რასაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ საქციელით მაინალს უნდოდა, ინდუიზმისთვის სახელმწიფო რელიგიის სტატუსი დაებრუნებინა. დღეს კი 37 წლის ტერორისტი ქრისტესთვის ლოცულობს და ბიბლიას კითხულობს. ეპისკოპოს შარმის განცხადებით, 28 მილიონი ნეპალელიდან მილიონი უკვე ქრისტიანია. იგი იმედოვნებს, რომ მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქრისტიანული რელიგია იდევნება. ქრისტიანებს კი ისე უყურებენ, როგორც კეთროვანებს; უძველეს ქრისტიანულ ტაძრებსა და მონასტრებში სასტუმროებს ან სულაც რესტორნებს ხსნიან.

ნეპალისგან განსხვავებით, რთული ვითარებაა მეზობელ აზერბაიჯანში, რომლის ტერიტორიაზე უძველესი ქართული მიწა-წყალი საინგილო არის მოქცეული, რომელიც სამ რაიონს — ბელაქანს, ზაქათალასა და კახს აერთიანებს. საინგილოში მცხოვრები მართლმადიდებელი ინგილოები აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან ზეწოლას განიცდიან. სულ რამდენიმე ხნის წინ საქართველოდან საინგილოში, ზაქათალას სოფლებსა და ალიაბადში ქართველები ჩავიდნენ და თანამოძმეებს საჩუქრად ხატები მიართვეს. ადგილობრივმა ქართველებმა საქართველოდან ჩასული სტუმრებისაგან საჩუქრად ჩატანილი ხატების მიღებაზე უარი თქვეს. მიზეზად კი ის ზეწოლა დაასახელეს, რასაც ისინი აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან განიცდიან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზაქათალის რაიონში არც ერთი მართლმადიდელური ეკლესია არ ფუნქციონირებს.

ადგილობრივი ქართველებისთვის ერთადერთი მართლმადიდებლური სალოცავი კახის რაიონში მდებარე ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიაა, რომელსაც აზერბაიჯანის ხელისუფლება აკონტროლებს. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანის ხელისუფლება ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიის კარს წელიწადში ორჯერ — გიორგობის დღესასწაულზე (6 მაისსა და 23 ნოემბერს) აღებს. სხვა დროს ეკლესიის კარი დაკეტილია და საინგილოში მცხოვრებ მართლმადიდებლებს იქ შესვლის საშუალება არ ეძლევათ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი მეგობარი ქვეყნები არიან (შორიდან ასე ჩანს), აშკარაა, რომ საინგილოს მოსახლეობას აღმსარებლობის თავისუფლება ეზღუდება და ეს მაშინ, როდესაც აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ ქართულ რაიონებში მეჩეთი მეჩეთზე შენდება.

„საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხზე კახის რაიონის ერთ-ერთ მკვიდრს — ქ-ნ ნონას ესაუბრა (მან გვთხოვა, რომ მისი გვარი არ გაგვეხმაურა, რადგან ეშინია, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მის ოჯახს რამე არ დაუშავოს), რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. მან აღნიშნა, რომ საინგილოში აზერბაიჯანელები ქართველებს ჩაგრავენ, განსაკუთრებით კი — მართლმადიდებლებს.

ნონა: — დღეს საინგილოში ძალიან ცუდი სიტუაციაა, ნელ-ნელა ქართველობა ქრება. საინგილოში მართლმადიდებელი ქართველები ყველაზე მეტად კახის რაიონის სოფლებში არიან. სხვა რაიონებში რამდენიმე ოჯახიღა თუ შემორჩა. მართლმადიდებელ ინგილოებს ნაციონალური პრობლემები გვაქვს.

ერთადერთი სალოცავი ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიაა და იქაც აზერბაიჯანელები გვიდგენენ დროს, როდის ვილოცოთ. ეს აუტანელია.

— მართლმადიდებელ ქართველებს ძალით ხომ არ გაიძულებენ სარწმუნოების შეცვლას?

— მათრახით თავზე არავინ გვადგას, მაგრამ სიტუაციას გვიქმნიან ისეთს, რომ მიგვანიშნებენ — კარგი ცხოვრება თუ გინდა, მაჰმადიანობა მიიღეო. შეუძლებელია, საინგილოში მართლმადიდებელმა რაიმე წარმატებას მიაღწიოს.

— როგორც ვიცით, საინგილოში არსებულ ქართულ სკოლებშიც ცუდი მდგომარეობაა.

— ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემებია. აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობს, ქართულ სკოლებში აზერბაიჯანული ენის ჯგუფები გახსნას. დაწყებით კლასებში ქართულ ენას 5 საათი ეთმობა, ხოლო მაღალ კლასებში — 3. ყველაფერს აკეთებენ საინგილოში ქართველების გადასაჯიშებლად.

მიუხედავად ყველაფრისა, არ ვაპირებ მაჰმადიანობის მიღებას, მე სულით ხორცამდე მართლმადიდებელი ქართველი ვარ და მუდამ ასე იქნება.

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

— მე მგონია, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში საქართველოს ხელისუფლება უნდა ჩაერთოს. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ალიევი პატრონობს და უვლის. აბა, ვინმემ გაბედოს და მათ მეჩეთის კარი აუჭედოს, მთელი აზერბაიჯანი ფეხზე დადგება. საქართველოს ხელისუფლებას კი საინგილო საერთოდ დავიწყებული აქვს.

ძნელია, არ დაეთანხმო, მართლაც რას აკეთებს საქართველოს მთავრობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად? საინგილოდან მარტო ბავშვების ჩამოყვანა და მათთვის კონცერტების გამართვა პრობლემას ვერ გადაჭრის.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა დიდი სიამაყით კი დანიშნა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად იულონ გაგოშიძე, თუმცა, არა მგონია, მაშინ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებზე ეფიქრა. ვაი, რომ იულონ ბაბუ დიასპორის მინისტრად არ უქნია გამჩენს, მისი საქმე არქეოლოგობაა. ამას გვიან მიხვდა საქართველოს ხელისუფლება. გასული წლის დეკემბრის ბოლოს თანამდებობიდან გაადააყენეს და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელად დანიშნეს, მის ნაცვლად კი კულტურის სამინისტროში „გაწვრთნილი“ პაპუნა დავითაია დანიშნეს. თუმცა არც მისი მინისტრობისას შეცვლილა რამე, კი თქვა, რომ აუცილებლად უნდა მოვიფიქროთ ისეთი მექანიზმი, რომელიც უცხოეთში მყოფ ქართველებს სამშობლოსთან დააკავშირებსო, მაგრამ, ეტყობა, ბატონი დავითაია ღრმად ჩაეფლო ფიქრებში; ისე ღრმად, რომ ვერც ინგილოების დახმარების თხოვნამ და ვერც მათმა გასაჭირმა ვერ გამოაფხიზლა.

ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანის სახელმწიფოსაც და პირადად ილხამ ალიევსაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მეგობრებად მიიჩნევს, ხელიდან არ უშვებს შანსს ხაზი გაუსვას ამ ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობას. სავარაუდოდ, ბატონ ალიევსა და მის მთავრობას მეგობრობა თავისებურად, ესმით, წინააღმდეგ შემთხვევაში

გაუგებარია, თუკი ნეპალშიც შეწყდა ქრისტიანების დევნა, რატომ ეზღუდება აქვე ყურისძირში, მეზობელ და მეგობრულ აზერბაიჯანში საინგილოს მოსახლეობას აღმსარებლობის თავისუფლება?!

შორს ვარ აზრისაგან, რომ ასეთი არამეზობლური, არამეგობრული და არაცივილიზებული ჟესტის საპასუხოდ საქართველოშიც უნდა შეიზღუდოს მუსლიმ აზერბაიჯანელთათვის აღმსარებლობის თავისუფლება, მაგრამ ოფიციალური ბაქო სულ მცირე საყვედურს მაინც ხომ იმსახურებს...

თუმცა ვის და რა უნდა ვუსაყვედუროთ, მოგვიბრუნდება აზერბაიჯანელი მეზობელი და პირში მოგვახლის — ეკლესიების ნგრევასა და საკუთარი პატრიარქის ლანძღვაში ლამის ერთმანეთს ეჯიბრებით ქართველები და ჩვენგან რაღა გიკვირთო...

ალექსანდრე აკობია

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

რუსეთში ქართველთა კავშირის სადისკუსიო კლუბი «გულახდილი საუბრები»

უზრუნველყოფს ყველა მსურველის — საქართველოს სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეების, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების — შეხვედრების ორგანიზებას რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ მოღვაწეებსა და რუსეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

განაცხადის შემოტანის მსურველებს ვთხოვთ, მიმართონ რუსეთში ქართველთა კავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, მისამართზე: თბილისი, თავისუფლების მოედანი, გ. ლეონიძის ქ. №1.

ტელ: + (99532) 140501, ტელ/ფაქსი: + (99532) 922320,
მობ: + (99599) 150061, + (99579) 150061
E-mail: arnoxidi@mail.ru arnoxidi@yahoo.com

რუსეთში ქართველთა კავშირის
საქართველოში წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
არნო ხიდირგეგიშვილი

3 — 9 თებერვალი, 2010 წელი. №4 (47)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ყანდაგარში რა გინდოდა...

რა ჯანდაბა გვინდოდა, მართლაც, ყანდაგარში?! იქ სიკვდილი ნამდვილია, არა ბუტაფორული, სასიმღეროდ ნათქვამი. ყანდაგარში, რომელიც თავის დროზე ავღანეთში შესული საბჭოთა შეიარაღებული ძალების „შეზღუდული კონტინგენტის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა იყო, დუშმანი ისე „მიცოცავდა“ ჩვენი ბლოკ-საგუშაგოებისკენ, რომ ამასთან გარითმული „მტერი ჩვენ ვერ დაგვხოცავს“, ყალბი ოპტიმიზმისა და უაზრო თავდაჯერების ფოლკლორისტიკად აღიქმებოდა, ანუ იმად, რაც იყო. „ინტერნაციონალური მოვალეობის“ მოსახდელი სამსახური იქ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოველდღე გადიოდა. დღეს ამ „მოვალეობის“ მოხდას ავღანეთში დემოკრატიის დამყარება ჰქვია და ჩვენი ბიჭები კვლავ იქ არიან, ოღონდ ამჯერად ამერიკელების სარდლობის ქვეშ მსახურობენ იმ პირველი ქართველი „ავღანელების“ შვილები, ანუ — მომდევნო თაობა. უწინ აგზავნიდნენ, ახლა — ვეგზავნებით, რაიც სლენგით ნიშნავს — ვეტენებით საკუთარი ინიციატივით. ინიციატორი ვინც არის, თქვენც იცით. ამერიკელებს კი ავღანეთიდან თავიანთი კონტინგენტი გამოჰყავთ.

„გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა!“
ხალხური

2010 წლის იანვრის იმ დღეს ბაკურიანელებმა საქონელი თეთრ თოვლზე სასეირნოდ არ გამოუშვეს: არავინ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ გაზაფხულზე ამოწვერილ ბალახს დანატრებული წიქარები და ნიკორები არ დაედევნებოდნენ ლორთქო მოლისფერ შარვალში გამოწყობილ მოთხილამურეს.

მე შენ გეტყვი, ოჩოფეხებზე შემდგარივით მოყანყალე ეს სპორტსმენი ისე დასრიალდებოდა სპეციალური სლალომის ტრასაზე, რომ ბაკურიანის ოთხფეხობა ბუზის ტოლად გამოჩნდებოდა და დაწევაზე ხელს აიღებდა.

დაეწეოდნენ და მერე მიდი და არკვიე, რომელია ცოფიანი ძროხა, რომელი — კორიდის აწყვეტილი ხარი, რომელი — ელემენტარულად მშიერი პირუტყვი. რქები ყველას ერთნაირად აქვს წაწვეტებული.

ეგებ, ვერც დაწეოდნენ — ადამიანი მოიერიშე „Cy“-ს დაუსხლტა და ძროხების ჯოგი რა გახდა?!

არ იყოო იმ დროს გორის ცაზე არავითარი თვითმფრინავი, — ქირქილებენ ავისმდომნი.

არ იყო და — ნუ იყო!

თავდაცვის თუ გადარჩენის ინსტიქტმა უბიძგა და საითაც გააქცია, იქ წაქცია.

შიშს დიდი თვალები აქვსო. დიდრონ თვალებს იმ ძროხებისას ნახავდით, ბაკურიანელებს კოხტაგორაზე სწრაფდაშვებაში მონაწილეობის მისაღებად რომ გაეშვათ.

მოკლედ, ორივე შემთხვევაში, გადავრჩით.

მაგრამ ეს წვრილმანებია. **მთავარი უშიშარი გადაწყვეტილებების მიღებაა: ან — ომის დაწყების შესახებ, ან — ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების გაგზავნის თაობაზე.**

ვეტენებით-მეთქი, უკვე ვთქვი.

ამერიკელები კი გამოდიან და ეს არის აშშ-საქართველოს პარტნიორული თანამშრომლობის პარადოქსი.

ამერიკელების საბრძოლო შენაერთების გაყვანა ავღანეთიდან 2011 წლის ივლისისთვისაა დაგეგმილი. ერაყიდან კი უკვე წლეულს, აგვისტოს ბოლოდან გაიწვევენ.

ვიეტნამის კამპანიაში სამარცხვინო მარცხის შემდეგ ამერიკელებს კვლავ უხდებათ ოკუპირებული ქვეყნიდან წასვლის გამამართლებელი არგუმენტების ძებნა, უკანდახევა დამარცხებად რომ არ ჩაეთვალოთ. აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ჰუსეინ ობამამ კონგრესისათვის წარდგენილ ყოველწლიურ მიმართვაში ახლახან განაცხადა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულია გარკვეული წარმატებები. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, შარშან შესაძლებელი გახდა ალყაიდას „გაცილებით მეტი“ მოთარეშის ლიკვიდაცია, ვიდრე 2008 წელს. აი, იმაზე კი, თუ ახლახან რა უბედურება დაატრიალეს „გაცილებით მეტად“ განადგურებულმა მოთარეშეებმა ქაბულის ცენტრში, ობამამ გაჩუმება ამჯობინა.

სამხედრო ექსპერტების აზრით, 2010 წელი ავღანეთში ამერიკის სამხედრო კამპანიის ყველაზე ცხელი წელიწადი იქნება. ობამა დარწმუნებულია, რომ ამის მიუხედავად „ავღანეთში მისია წარმატებული იქნება“.

პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვიდან ჩანს, რომ აშშ მომდევნო ორ წელიწადში დაასრულებს „ლაშქრობას“ აღმოსავლეთის ტერიტორიების შემოსამტკიცებლად. გასულ ოთხშაბათს მან განაცხადა: „აგვისტოს ბოლომდე ერაყიდან გამოვიყვანთ ყველა ჩვენს საბრძოლო ნაწილს“ და რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად და მისი აყვავების მიზნით ერაყელ ხალხთან თანამშრომლობას განვაგრძნობთო.

კეთილშობილური მისწრაფებაა. მაგრამ განცხადებიდან ჩანს, რომ, ჯერ ერთი, ჯარის ნაწილების გაყვანა არ ნიშნავს ამერიკელების წასვლას ერაყიდან და, მეორე, რეგიონულ მშვიდობასა და აყვავებაზე ლაპარაკი იმ ფონზე, რაც ერაყში ხდება, ორაზროვანი და უხერხულიც კია. ინტერნეტგამოცემებს თუ დავესესხებით, „ცნობები მორიგი ტერაქტებისა და უამრავი მსხვერპლის შესახებ ამ ქვეყნიდან ისეთივე ჩვეულებრივ რამედ იქცა, როგორც ინფორმაცია ამინდის შესახებ (segodnia.ru).

„ეს ომი (ერაყში) მთავრდება და ჩვენი ჯარები შინ ბრუნდება“, — თქვა ობამამ.

ამერიკელები წავლენ, მაგრამ შეძლებს კი მათი ხელდასმული მთავრობა ქვეყანაში სიტუაციის დამოუკიდებლად გაკონტროლებას? გამორიცხული არ არის, ომი ერაყში ახალი ძალით გაჩაღდეს: მოთარეშეები (ბოევიკები) იბრძოლებენ მთავრობის ჯარების წინააღმდეგ, სუნიტები დაიწყებენ ურთიერთობის გარკვევას შიიტებთან, ქურთები კი თავიანთი ტერიტორიის დასაცავად დაირაზმებიან.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ამერიკელთა ლაშქრობებში ე. წ. დაცვის კერძო ფირმები უდიდეს როლს თამაშობენ. თუ ასე გაგრძელდა, გვეუბნებიან ექსპერტები, ერაყის სომალი №2-ად გადაქცევამდე არც ისე შორი იქნება.

არც ყანდაგარამდეა მაინც და მაინც შორს: ჩვენი ხელისუფლება თავისი გადაწყვეტილებებითა და განზრახვებით სულ უფრო გვიახლოვებს ისეთ მუდმივად ფეთქებადსაშიშ რეგიონს, როგორიც ავღანეთია. **მიხეილ სააკაშვილი აშშ ადმინისტრაციას სთავაზობს, რომ ნატოს ძალებმა გამოიყენონ საქართველოს ტერიტორია ავღანელი თალიბებისთვის დარტყმის მისაყენებლად.** უკრაინის საინფორმაციო სააგენტოს „უნიას“ ცნობით, საქართველოს პრეზიდენტმა ამის შესახებ Associated Press-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. **„სააკაშვილის თქმით,** — იტყობინება ინტერპრესნიუსი, — **იგი მზად არის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გემებს საქართველოს ნავსადგურების გამოყენების უფლება მისცეს, აეროდრომები კი ნატოს სამხედრო თვითმფრინავებმა საწვავით შევსებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის გამოიყენონ“.**

ასეთი ფეხქვეშგაგების სურვილი ყოველთვის ტრიალებდა სახელისუფლო დერეფნებში და, პრაქტიკულად, ახალი ამაში არაფერია.

ახალი სხვა რამაა, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის შენიშვნა, რომ „მისი იდეის რეალიზება არ გამოიწვევს მოსკოვის გაღიზიანებას, რადგან რუსეთი თვითონ არის დაინტერესებული ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებით“.

ვის წინაშე აკეთებს რევერანსს მიხეილ სააკაშვილი? როდიდან ინტერესდება იგი საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესში რუსეთის რეაქციით?

ან, იქნებ, ამერიკელებს სურს, აჩვენოს, რომ მათი არაერთი მითითება რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად მიღებულია და რეალიზდება?

ისიც გაუგებარია, რატომ უნდა გაღიზიანდეს რუსეთი თუ ამერიკის სამხედრო სატრანსპორტო საშუალებები საქართველოს ტერიტორიას სატრანზიტო მიზნებისთვის გამოიყენებენ?!

სამაგიეროდ, აბსოლუტურად ნათელია, რომ სააკაშვილის შეთავაზების გამო ამერიკაში არ გადარეულან. „უნიას“ ინფორმაციით, პენტაგონის წარმომადგენელს განუცხადებია: **„აშშ-ში იციან საქართველოს პირველი პირის შეთავაზების შესახებ, თუმცა იგი დეტალურად არ შეუსწავლიათ“.**

სჭირდებათ კი მაშინ, როცა სააკაშვილიც არ ახსოვთ, აღარ იწვევენ უწინდებურად ყველგან, სადაც „დემოკრატიის შუქურის“ გამობრწყინება სჭირდებოდათ.

ბატონი მიხეილი ახლა საქართველოს ფარგლებში მოძრაობს და ყოველდღე ეკრანზეა: საქართველოშიც რომ არ მიივიწყონ.

საზღვარგარეთ დავით ბაქრაძე დადის, იგი ამ დღეებში ლუქსემბურგში იყო. პატარა ქვეყანაა, მაგრამ არც ბაქრაძეა კოლოსი; ბელგიაშიც შეიარა. დიდი ამბავი! ბელგია ხომ ის ქვეყანაა, გაიხსენებს ჩვენი მკითხველი, რომელსაც, როგორც მიხეილ სააკაშვილმა გვითხრა, საქართველოზე გაცილებით ნაკლები განათებული გზები აქვს.

უკან მოგვჩანჩალებს.

სააკაშვილი იმერეთში იყო — ზესტაფონსა და ქუთაისს ეწვია და, რაც ხელში მოხვდა, ის გახსნა — ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანში ხისა და ლამინატის მინი ქარხანა.

მინი ქარხანა დიდი ამბავია! მაგრამ უფრო მეტია გოლფის სათამაშო საერთაშორისო სტანდარტების პირველი მოედნის გაშენება, რომლის მოწყობას „რაკიინ დეველოპმენტი“ მუხროვანში აპირებს. მუხროვანში, რომელიც აქამდე ბატალიონის ამბოხებით იყო ცნობილი.

სულ გამოვგოლფდებით: ჩამოვა მდიდარი უცხოელი, ქართველი გადაიკიდებს გოლფის სათამაშო აღჭურვილობით გატენილ ჩანთას და მეკურტნე მუშასავით ფეხდაფეხ აედევნება ფულიან ბიძას.

მეორე ქართველი კი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს პრეზიდენტის აპარტამენტების კარებთან გამოტანილ ფეხსაცმელს გაუწმინდავს, მესამე — გაოფლილ მაისურს გაურეცხავს, მეოთხე — სადილს მიართმევს და გადმოგდებული ხურდისთვის მადლობას მოახსენებს, მეხუთე — მახათს მოუმზადებს, მოცალეობის ჟამს ექსტრემალური გართობისთვის.

მერე ყველა ერთად დაემხობა მუხლებზე და შეჰღაღადებს ზეცას — მიშა აკბარ!

არმაზ სანებლიძე

ობამას ომის დასამთავრებელი ფული არ აქვს

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესს, 2010 წელს ავღანეთში ამერიკული დაჯგუფებების გაზრდისათვის დამატებით 33 მილიარდი დოლარის გამოყოფა სთხოვა.

იანვარში კონგრესისადმი ყოველწლიურ მიმართვაში ობამამ განაცხადა, რომ ავღანეთიდან ამერიკული ჯარის გაყვანის პროცესი 2011 წლის ივნისიდან უნდა დაიწყოს. მისივე თქმით, მიმდინარე წლის აგვისტოს დასასრულამდე ამერიკული ჯარი ერაყს დატოვებს.

ვიდრე ობამა ომის დასამთავრებელ ფულს იშოვიდეს, ავღანეთი ისევ მოწინავე ადგილზეა მსოფლიოს იმ ქვეყნების სიაში, სადაც ნაღმზე აფეთქების საფრთხე ყველაზე დიდია. გაეროს მონაცემებზე დაყრდნობით ავღანეთის ტელევიზია „ტოლო“ იუწყება, რომ ყოველთვიურად ქვეყანაში, სულ მცირე, სამი ადამიანი მაინც ფეთქდება ნაღმზე. არსებობს ცნობა იმის თაობაზეც, რომ გარკვეულ ტერიტორიებზე ახალი დანაღმვითი სამუშაოებიც მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის წევრი ქვეყნების მოსახლეობებს, კარგა ხანია, ავღანეთში ერთი ჯარისკაცის გაგზავნაც აღარ სურთ, მათი ხელისუფლებები აბსოლუტურად საპირისპირო გადაწყვეტილებებს იღებენ. გერმანიის მოსახლეობის 65 პროცენტი ხელისუფლების იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგია, რომლებიც კანცლერმა ანგელა მერკელმა იანვრის ბოლოს გაახმოვანა და რომლის თანახმადაც ავღანეთში დამატებით 500 სამხედრო მოსამსახურე იგზავნება. ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით სწორედ ასეთი მონაცემები გამოაქვეყნა ტელეკომპანია „ZDF“-მა ანგელა მერკელის ახალი კაბინეტის ხელისუფლებაში მოსვლიდან 100 დღის შემდეგ. მოსახლეობის 29 პროცენტი საპირისპირო აზრს იზიარებს და თვლის, რომ ავღანეთში გერმანული კონტინგენტის გაზრდა სწორი გადაწყვეტილება იყო. რესპონდენტების საერთო რაოდენობიდან 76 პროცენტი ავღანეთში გერმანული ჯარის მისიის წარმატებით დასრულებას საეჭვოდ მიიჩნევს, მხოლოდ 18-მა პროცენტმა განაცხადა, რომ მისიის წარმატებით დასრულების სჯერა.

კონსერვატორებისა და ლიბერალების კოალიციური კაბინეტის მუშაობის 100 დღის განმავლობაში ხელისუფლების ქმედებებითა და გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო გერმანელთა რაოდენობა გაიზარდა. 2009 წლის შემოდგომაზე, როდესაც კაბინეტი პირველ ნაბიჯებს დგამდა, გამოკითხულთა 50% მიიჩნევდა, რომ ხელისუფლება საკუთარ ამოცანებს მშვენივრად უმკლავდება. საწინააღმდეგო აზრის მომხრეთა რაოდენობა კი 30%-ს არ აღემატებოდა. უკვე დეკემბერში ხელისუფლებით აღფრთოვანებულთა რაოდენობა 42%-მდე შემცირდა, უკმაყოფილოთა კი — 34%-მდე გაიზარდა. ახლა გერმანიაში მოსახლეობის მხოლოდ 26 პროცენტს სჯერა, რომ ხელისუფლება თავისი მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, 70 პროცენტის აზრით კი, მას მხოლოდ რამდენიმე ეკონომიკური ჯგუფის პრობლემები ადარდებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მილკვეისის მახვილი, ანუ სააკაშვილის ვატერლო

რა გვინდა და, როგორც ჩვენში იტყვიან, ვის დავეკარგეთ ქართველები ავღანეთში? ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიო“ შარშანაც წერდა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის განცხადებას ავღანეთში ქართველი სამშვიდობოების გაგზავნის შესახებ ავსტრიაში არსებულ ლტოლვილთა ბანაკში სულ რაღაც ორიოდ დღეში ავღანელებსა და ქართველებს შორის შეტაკება მოჰყვა. მაშინ მხოლოდ სურვილის გაცხადებას მოჰყვა ეს სამწუხარო ფაქტი, რაც ერთადერთი მიზეზი იყო სისხლიანი ცემა-ტყეპისა, რისი დამალვაც სცადეს მიშავიზიებმა და ყველაფერი უბრალო, ყოფით კონფლიქტად წარმოაჩინეს.

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და ავღანეთში ქართველი მამლუქების გაგზავნის სურვილი რეალობად იქცა — გასული წლის ბოლოს, პირადად სააკაშვილმა „დაულოცა“ გზა ვაზიანის აეროპორტიდან ავღანეთის სასაკლაოზე მიმავალ ჩვენს შვილებს, ორასამდე ქართველ ახალგაზრდას.

სულ ახლახან კი 800-მდე ჯარისკაცი გაუყენეს გერმანიაში ნატოს ბაზისკენ მიმავალ გზას, სადაც სპეცმომზადების შემდეგ მათაც ავღანეთში უკრავენ თავს. შემდეგ კი ქართველ სამშვიდობოთა კორპუსი რიცხოვნებით მესამე იქნება აშშ-სა და ინგლისის შემდეგ!

უკრაინაში დამკვირვებელთა მრავალრიცხოვანი დესანტისა არ იყოს, აქაც იგივე კითხვა ისმის — **რატომ და რისთვის ქართველების, უფრო სწორად, საქართველოს ხელისუფლების (ქართველ ხალხს რას ეკითხებიან ნაცები?!) ასეთი ბეჯითი თავგამოდება?** პასუხი აქაც და უკრაინის შემთხვევაშიც ერთი და იგივეა — ნაცების ბრძოლა **საკუთარი (სკამებს ვინღა ჩივის) თავების გადასარჩენად!**

ინტერნაციონალურ ვალს აბდალა დაბლიუ ბუშისა და „დემოკრატიის“ წინაშე ქართველები ახლაც იხდიან; კოსოვოშიც ცოტა ხნის წინათ „სამშვიდობოდ“ ვივაჟკაცეთ ქართველებმა — ერთმორწმუნე სერბებს მათი ძირძველი მიწის დაკარგვაში „დავეხმარეთ“ და ეს პრეცენდენტი, თავის მხრივ, გახდა მიზეზი თუ საბაბი, აფხაზეთისა და ცხინვალის დაკარგვისა.

მაგრამ ავღანეთი არც ერაყია და არც კოსოვო! ეს არის ქვეყანა, ხალხი, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე იბრძვის და მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ რისთვის არის ეს ბრძოლა. ომი და დენთი ავღანელებს, როგორც ჩანს, სისხლში აქვთ. ავღანეთის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო XIX საუკუნეში უძლიერესმა ბრიტანეთის იმპერიამ, ხოლო XX საუკუნის მიწურულს ავღანეთი გახდა ერთ-ერთი დამაჩქარებელი ყველა დროის უდიდესი იმპერიის, სსრკ-ის დანგრევისა.

ეს მაგალითები რომც არ ვიცოდეთ, ქართველებს საკუთარი მწარე გამოცდილებაც გვეყოფა ამ დაუნდობელ, ნახევრად ველურ მამაც ხალხთან ურთიერთობისა.

სპარსეთის წინააღმდეგ თავისუფლებისთვის მებრძოლ ავღანელებს შაჰ აბასმა ქართველები დაუპირისპირა. ავღანეთში იქნევდა ძლევამოსილ მახვილს გიორგი სააკაძე. მოგვიანებით, XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, შაჰ სულეიმანის დროშის ქვეშ იბრძოდა საქართველოს უკანასკნელი დიდი გიორგი, მეფე გიორგი XI, რომელიც ქართლის მეფედ მხოლოდ იწოდებოდა, რადგანაც მას სამშობლოში, პრაქტიკულად, არ უმეფია იმიტომ, რომ ყიზილბაშებს ეხმარებოდა ავღანელების დამორჩილებაში. მის ნაცვლად კი ჯანიშინის, ანუ გამგებლის ტიტულით ქართლს ვახტანგ VI პატრონობდა.

როგორც გადმოცემა გვიამბობს, მაშინდელი ავღანი მეომრები აღიარებდნენ — სპარსელები ჩვენთან შედარებით დიაცები არიან, ხოლო ჩვენ, ავღანელები, ქართველებთან შედარებით ვართ დიაცებიო!

მიუხედავად ამისა, მრავალი ათასი ქართველი შეეწირა ავღანთა შურისმგებლურ მახვილს. თავად

გიორგი XI ავღანთა ეროვნული გმირის, მირვეისის მახვილით განგმირული დაეცა ყანდაგარის ცხელ უდაბნოში ისე, რომ უმამაცესი ქართველი მეფის საფლავიც კი არ არსებობს; ისევე, როგორც მრავალი მისი თანამებრძოლისა უცხო მიწაზე. ასეთია ბედი და ხვედრი მამლუქებისა და ეს უნდა იცოდნენ თანამედროვე ქართველმა მამლუქებმა!

აგრეთვე, ისიც, **რომ ეს მცირე ისტორიული ექსკურსი, რაც საქართველოში ინტერნაციონალური „დემოკრატიული“ ვალის თანამედროვე მავან „ექსპერტთა“ თუ ნატოს ქიმერის მოტრფიალე პარტიების საყურადღებოდ მოვიყვანე, კარგად იციან დღესაც პრაქტიკულად წერა-კითხვის უცოდინარმა ავღანელებმა!**

მირვეისიც ახსოვთ და ქართველთა მიერ ჩადენილი საქმენი საგმირონიც, ავღანელთა დაღვრილი სისხლი მამაცი გურჯების მიერ. ამიტომაც, დიდი ალბათობით, მირვეისის მემკვიდრეების, თალიბების რისხვის სამიზნე, უპირველესად, ქართველები იქნებიან და, სამწუხაროდ, ალბათ, მალე დაიძრება ქაბულიდან ხუთჯვრიან დროშაში გახვეული კუბოები (ე.წ. „გრუზ 200“) საქართველოსკენ, რომელთაც ახალ ძმათა სასაფლაოებზე მიაყრიან ბულდოზერებით მიწას და სიკვდილის შემდეგ საქართველოს გმირი მთავარსარდალი უხვად დაურიგებს ჯინჯილებს ჩვენს შვილებს.

ეს ყველაფერი, ანუ ქართველი ბიჭების საზარბაზნე ხორცად გაწირვა კი იმ ფონზე ხდება, როდესაც მსოფლიოს „დავარცხნილი“, მაძღარი ქვეყნები უარს აცხადებენ ავღანეთში თუ ერაყში დამატებითი ჯარების გაგზავნაზე; აშშ პრაქტიკულად მარტოა დარჩენილი მისსავე წამოწყებულ სისხლიან ავანტიურაში — სულ ახლახან საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ კატეგორიული უარი განაცხადა ავღანეთში დამატებითი ჯარის გაგზავნაზე. ნატოს და ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნებიც ამავე ჭკუაზე არიან. აღარაფერს ვამბობ თურქეთზე, რომელიც უარს ეუბნება აშშ-ს საკუთარი ტერიტორიის გამოყენებაზე ავღანეთ-ერაყის წინააღმდეგ.

სააკაშვილმა კი ამას წინათ განაცხადა, რომ მზად არის ამერიკას დაუთმოს აეროდრომები და საზღვაო აკვატორია ავღანეთში სამხედრო ოპერაციებისთვის!

ვერაფერს იტყვი, ბრძნული გადაწყვეტილებაა! რასაც შეიძლება ის შედეგი მოჰყვეს, რომ უსამა ბენ ლადენის სამიზნე საქართველოს ქალაქები აღმოჩნდეს. სადაც შაჰიდი თვითმკვლელებიც კი არ დასჭირდება, რადგან ისედაც სულ იოლად მოახერხებენ, თუნდაც მეტროში, ტერაქტის მოწყობას!

ამ და სხვა შესაძლო საფრთხეებს განა ვერ ხედავენ ნაცები, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, მათ საკუთარი თავი გასჭირვებიათ. ზემოთ უკრაინაც ვახსენე, რაც იგივე მიზანს ემსახურებოდა, სადაც ორი ათასზე მეტი „დამკვირვებლის“ გაგზავნამ ისე გააკვირვა ჩვენი მოძმე ქვეყანა, რომ ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვება 7 თებერვალს თითქმის უეჭველია, **ანუ უკრაინამ შეიძლება არ აღიაროს სოხუმ-ცხინვალის დამოუკიდებლობა, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმი რომ მარტოდმარტო რჩება პოსტსაბჭოთა სივრცეში, ესეც ცხადია.**

აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენი მიშასთვის ევროპის სერიოზულ ლიდერთაგან ხელის ჩამორთმევაც კი არავის სურს და სააკაშვილის უზომო პატივმოყვარეობა აზიელი შეიხებისა და ნაწილობრივ ბალტიის ქვეყნების იმედათაა. სერიოზულ ევროპულ ქვეყნებში, დიდი ხანია, პერსონა ნონგრატაა ახლო წარსულში მსოფლიო დემოკრატიის შუქურა ვარსკვლავიჭუნა!

ერთი სიტყვით, წილი ნაყარია! ავღანეთი — ერთადერთი თამაშია, რითაც ჩვენი მიშა მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს აშშ-ის ახალ ადმინისტრაციაში. ავღანეთი ხელისუფლების შენარჩუნების უკანასკნელი შანსია და ფსონებიც შესაბამისი იდება ნაცების მხრიდან, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მიშას განცხადებას ამერიკისთვის საქართველოს ტერიტორიის დათმობის შესახებ, დიდი ენთუზიაზმით არავინ გამოეხმაურა, რადგანაც ობამას ცალი თვალი რუსეთისკენ უჭირავს.

ნაცებმა კარგად იციან, რომ კარს მომდგარ არჩევნებზე, რომელშიც გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ გაყალბების გარეშე, რისთვისაც აქედანვე ჩანს, რომ მზად არიან, დასავლეთი და აშშ ძველებურად ლეგიტიმაციას ვეღარ მისცემს გაყალბებულ არჩევნებს. ამიტომ ავღანეთი, მიშას ვატერლოოა და არა მარტო მიშასი, არამედ მიშას უახლოესი გარემოცვისაც; 20-30 კაცის, რომელთაც ხელისუფლების დაკარგვასთან ერთად, შეიძლება, თავებიც დაკარგონ!

მოკლედ, წინ „საინტერესო“ ამბები გველოდება. ვნახოთ, რა იქნება. დღეს დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ხვალ რა მოხდება, რადგან ზემოთქმული ობიექტური ფაქტორების გარდა, სუბიექტური და გარე მომენტებიც არსებობს, რაც, როგორც წესი, ბოლო 20 წლის მანძილზე წყვეტდა ხოლმე საქართველოს ბედს.

სააკაშვილის ვაბანკზე წასვლის მიუხედავად, რასაც ავღანეთის ვატერლოო შეიძლება დაერქვას, ამ ავანტიურის საბოლოო შედეგი არც მიშაზეა ბოლომდე დამოკიდებული, რადგან ჩვენი ბედი საქართველოს გარდა ყველგან წყდება. საბოლოო ჯამში ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას მოილაპარაკებენ და გადაწყვეტენ ჩვენ შესახებ მოსკოვი და ვაშინგტონი.

ერთი რამ უეჭველია — კვანძის გახსნა ახლოსაა! იმედია, ღმერთი არ გაგვწირავს; თუ არა და, იმ გაუთავებელ უბედურებას, რაც „ვარდების რევოლუციით“ დაიწყო, საშინელი დასასრული ჯობია!

დავით მხეიძე

P.S. ძველი ბერძნული თქმულების თანახმად, სირაკუზის ტირანი დიონისე უფროსი (IV ს. ჩვ. ერამდე) ძალიან მდიდარი კაცი იყო. მისი ახლობელი ადამიანი მაამებელი და მლიქვნელი ვინმე დამოკლე გახლდათ. მას ეხარბებოდა დიონისეს სიმდიდრე და მუდამ ლაპარაკობდა, უბედნიერესი კაციაო. ტირანს მობეზრდა დამოკლეს მაამებლობა და განიზრახა, მისთვის ჭკუა ესწავლებინა. ამ მიზნით სასტუმრო დარბაზის ჭერში შიშველი მახვილი ჩამოაკიდებინა და ნაიმზე მისული დამოკლე მის ქვეშ დასვა. დამოკლე მხიარულობდა, მაგრამ შემთხვევით მაღლა აიხედა და მახვილის დანახვაზე ღვინით სავსე თასი გაუვარდა, წამოხტა და იმ ადგილს განერიდა.

სააკაშვილის სიხარბისა და შურიანობის ამბავი ყველასთვის ცნობილია. მისი მლიქვნელობა აშშ პრეზიდენტების მიმართ კი გულისრევამდე ამაზრზენია. თუმცა სააკაშვილისთვის ჭკუის სწავლება, ალბათ, ძალიან დაგვიანებულია. ამასობაში კი ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. მილვეისის მახვილი, რომელიც აშშ ადმინისტრაციის წინაშე მიშას მაამებლობის გამო არა მარტო საკუთრივ მისი, არამედ ქვეყნის თავზეც დაეკიდა, საქართველომ როგორმე უნდა აირიდოს, თორემ მიშა დამოკლესავით წამოხტება და გაიქცევა (როგორი გაქცევა იცის, უკვე ვნახეთ 2008 წლის 9 აგვისტოს გორში!), საქართველო კი ამ საშიშროებამ, შესაძლოა, გადაიყოლოს კიდეც.

გერმანელები ავღანეთში კონტინგენტის გაზრდას არ ეთანხმებიან

გერმანიის მოსახლეობის 65 პროცენტი ხელისუფლების იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგია, რომლის თანახმადაც ავღანეთში დამატებით 850 სამხედრო მოსამსახურე იგზავნება.

ჩატარებულ გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სწორედ ასეთი მონაცემები გამოაქვეყნა ტელეკომპანია „ZDF“-მა ანგელა მერკელის ახალი კაბინეტის ხელისუფლებაში მოსვლიდან 100 დღის შემდეგ.

მოსახლეობის 29 პროცენტი საპირისპირო აზრს იზიარებს და თვლის, რომ ავღანეთში გერმანული კონტინგენტის გაზრდა სწორი გადაწყვეტილება იყო. რესპონდენტების საერთო რაოდენობიდან 76 პროცენტი ავღანეთში გერმანული ჯარის მისიის წარმატებით დასრულებას საეჭვოდ მიიჩნევს, მხოლოდ 18-მა პროცენტმა განაცხადა, რომ სჯერა მისიის წარმატებით დასრულებისა.

კონსერვატორებისა და ლიბერალების კოალიციური კაბინეტის მუშაობის 100 დღის განმავლობაში ხელისუფლების ქმედებებითა და გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო გერმანელთა რაოდენობა გაიზარდა. 2009 წლის შემოდგომაზე, როდესაც კაბინეტი პირველ ნაბიჯებს დგამდა, გამოკითხულთა 50% მიიჩნევდა, რომ ხელისუფლება საკუთარ ამოცანებს მშვენივრად უმკლავდება. საწინააღმდეგო აზრის მომხრე 30% იყო. დეკემბერში კი ხელისუფლებით აღფრთოვანებულთა რაოდენობა 42%-მდე შემცირდა, უკმაყოფილოთა კი — 34%-მდე გაიზარდა. ახლა გერმანიაში მოსახლეობის მხოლოდ 26 პროცენტს სჯერა, რომ ხელისუფლება თავისი მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, 70 პროცენტის აზრით, მას მხოლოდ რამდენიმე ეკონომიკური ჯგუფის პრობლემები ადარდებს.

3 — 9 თებერვალი, 2010 წელი. №4 (47)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მარტყოფის ბრძოლის ველზე ნაგავსაყრელი შენდება

ისტორიული ძეგლების უპატივცემულობა და შეურაცხყოფა ლამის ხელისუფლების ჰობი გახდა, მაგრამ კრწანისის ბრძოლის ველზე ნაგავსაყრელის მშენებლობა უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება. ნორიოს მოსახლეობა ამ ამბავს სასტიკად ეწინააღმდეგება, რის გამოც საპროტესტო აქციაც მრავალჯერ გამართეს.

თამაზ ქავთარაძე:

სოფელი ერთსულოვანია, ჩვენი წინაპრების ძვლების შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ!

ადგილობრივები მათ სოფელში ნაგავსაყრელის გადატანას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ეს მათთვის დამღუპველი იქნება. მას შემდეგ, რაც ნორიოს მიმდებარე ტერიტორია მერიას ნაგავსაყრელისთვის გადაეცა, უგულავას უწყებამ გლდანის ნაგავსაყრელის ნორიოში გადატანა გადაწყვიტა. მერიაში აცხადებენ, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ნაგვის პოლიგონის აშენება ყველა დაწესებული სტანდარტის მიხედვით მოხდება, თუმცა, რომელი სტანდარტების მიხედვით, არ აკონკრეტებენ.

ადგილი, სადაც თბილისის მერია ნაგავსაყრელის მოწყობას გეგმავს, კულტურულ-ისტორიულ ადგილს წარმოადგენს.

ადგილობრივები მას ნორიოს ნაქალაქევს უწოდებენ. გარდა ამისა, ამ ტერიტორიის მახლობლად მარტყოფის სამონასტრო კომლექსია განთავსებული. მოსახლეობის განმარტებით, ნაგავსაყრელისთვის განკუთვნილი ტერიტორია დასახლებული პუნქტიდან ერთი კილომეტრით არის დაშორებული. მერიაში კი აცხადებენ, რომ ნორიოს მკვიდრთ რაღაც შეეშალათ — ნაგავსაყრელი სოფლიდან 3 კილომეტრით, ხოლო სამონასტრო კომპლექსიდან 4 კილომეტრით არის დაცილებულიო.

„არსებობს მოთხოვნა და სტანდარტები, რომლის მიხედვით, ნაგვის პოლიგონი დასახლებული პუნქტიდან 500 მეტრით უნდა იყოს მოშორებული. საუბარია სოფელ ნორიოდან ნაგავსაყრელის სამი კილომეტრით დაშორებაზე, რაც არანაირად არ არღვევს დადგენილ ნორმებსა და წესებს. მეორეც, პოლიგონი იქნება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი და ყველანაირი უსაფრთხოების ზომებიც — გათვალისწინებული; მოსახლეობას არც სუნი შეაწუხებს და არც გამონაბოლქვი. ნაგავი იქ არ დაიწვება. ეკლესიაო, რომ იძახიან, ეკლესიიდან ზუსტად 4 კილომეტრით იქნება დაშორებული. ეტყობა მათ არასწორი ინფორმაცია აქვთ; სპეციალისტებიც მივიდნენ და კვლევები ჩაატარეს,“ — განაცხადა მერიის პრესსამსახურის წარმომადგენელმა თამარ დვალმა.

თუმცა ასე არ ფიქრობენ ნორიოს მცხოვრებლები. ისინი ამტკიცებენ, რომ ნაგავსაყრელი მათგან ერთ კილომეტრში მდებარეობს, ეს კი სოფლისთვის დამღუპველია, რადგან ანტისანიტარია იქნება. დღეს ნაგავსაყრელისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე მერიის მიერ მიყვანილი ტრაქტორები გაჩერებულია. როგორც ჩვენთან საუბარში ადგილობრივმა მცხოვრებმა განაცხადა, ისინი ტრაქტორისტებს მუშაობის საშუალებას არ აძლევენ.

„სადაც უნდათ, იქ წაიღონ ნაგავსაყრელი, ოღონდ ხალხისთვის იყოს უსაფრთხო. ამ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელი არ იქნება. თუ მაინც გააკეთებენ, მაშინ ამ სოფელს გადაშენება უწერია. ნორიოელთა სახელით გეუბნებით, რომ არც ერთი კაცი უკან არ დაიხევს. აქ ძველი ნაქალაქარია, ნორიოს ნაქალაქარი — კულტურის ძეგლები. მეორეც, აქ სამონასტრო კომპლექსები: წმიდა გიორგის, ღვთაების მამათა მონასტერი, წმიდა ანტონ მარტმყოფელის ტაძარი, საიდანაც ხელისგულივით ჩანს ეს ნაგავსაყრელი. ნორიოს პირველი საჯარო სკოლიდან ნაგავსაყრელამდე ერთი კილომეტრია.

ეს საფრთხეს შეუქმნის როგორც ნორიოს, ისე მარტყოფსა და დიდ ლილოს.

ეს მიწა მერიამ დაარეგისტრირა. ისეთი საუბარი წავიდა, თითქოს იქ ევროსტანდარტის ქარხანა უნდა გაეკეთებინათ. ჯერ ერთი, იქ ქარხანა არ შენდება, პირდაპირ ნაგავსაყრელი კეთდება. მეორეც, როგორი ევროსტანდარტული ქარხანაც არ უნდა ააშენონ, მაინც წინააღმდეგი ვართ იმ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის გაკეთებისა.

ამ ამბავს ვიღაც შეეწირება. სოფელი ერთსულოვანია. გამოსავალს ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ. ჩვენი წინაპრების ძვლების შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ. ხელისუფლებას ვთხოვთ, რომ არ გაკეთდეს იქ ნაგავსაყრელი. არანაირი აქციის მოწყობას არ ვაპირებთ. გლდანში რომ ნაგავსაყრელი უქმდება, ღმერთმა სიკეთე მისცეს გლდანელებს, არც იქ არ უნდა იყოს ნაგავი, მაგრამ შენგან ნაგავი წამოიღო და მე დამიყარო ეზოში, ეს ხომ არ შეიძლება,“ — აცხადებს ნორიოს მკვიდრი თამაზ ქავთარაძე.

ნორიოში, ნაგავსაყრელის მოწყობის შემთხვევაში, რა საფრთხე ემუქრება ადგილობრივებს, ამის შესახებ საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერს, **გია გაჩეჩილაძეს** ვკითხეთ. ეკოლოგიურ კატასტროფასთან ერთად, გაჩეჩილაძე ამ ტერიტორიის ისტორიულ მნიშვნელობაზეც ამახვილებს ყურადღებას.

„ადგილობრივები აღშფოთებულები არიან იმ ვანდალური გადაწყვეტილებით, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო და რომლის განხორციელებაც მისი უშუალო დავალებით უგულავამ დაიწყო.

ამ საკითხზე მუშაობისას ბევრი რამ „გააპრავეს“. 18 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ზურაბ პოლოლიკაშვილის ბრძანებით, თბილისის მერიას ნაგავსაყრელის მოსაწყობად საკუთრებაში გადაეცა სოფელ ნორიოს მიმდებარე 65,5 ჰექტარი მიწა.

ჩვენ დიდი ხანია, რაც გლდანის ნაგავსაყრელის წინააღმდეგ ვიბრძვით. მოგეხსენებათ, იქ საშინელი ანტისანიტარიაა; ხდება თვითაღება, შემდეგ ეს ბოლი ვრცელდება თბილისის ფარგლებში და მარტო გლდანის მოსახლეობას კი არ აწუხებს, თბილისის მიმდებარე სოფლებსაც. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გლდანის ნაგავსაყრელი გადავიტანოთ იქ, სადაც უფრო კატასტროფულ სიტუაციას შექმნის.

ნორიო არის საქართველოს ისტორიის განუყოფელი, უნიკალური ნაწილი. გარდა იმისა, რომ იქ არის მე-6, მე-10, მე-12 საუკუნეების ძეგლები, როგორიცაა: ანტონ მარტმყოფელის საფლავი და სვეტი, წმიდა გიორგის სალოცავი, ღვთაების სამონასტრო კომპლექსი, იქ არის მარტყოფის ისტორიული ველი, სადაც მოხდა მარტყოფის ბრძოლა. იქ არის ჩვენი გმირების სამარხები; ახლაც კი მოსახლეობა იქ უამრავ არქეოლოგიურ ნიმუშებს პოულობს. აღმოჩენილია ქვევრებში დამარხული ჩონჩხები. ეს ანტიკური ხანის კულტურაა.

ამასთან, გლდანის ნაგავსაყრელის ბოლი, გარკვეულ პერიოდებში, ქარის მიმართულების შესაბამისად, ნორიომდეც კი აღწევს. თუ ეს ნაგავასაყრელი სოფლის ახლოს გადაიტანეს (რაღაც ერთი კილომეტრის დაშორებით), წარმოიდგინეთ, მოსახლეობა რა დღეში ჩავარდება. ნორიო ერთ-ერთი უდიდესი, ისტორიული ქართული სოფელია. იქ დაახლოებით 6000-მდე კომლია. ეს ხალხი ამბობს, რომ შევეწინააღმდეგებით, მაგრამ თუ მაინც იძალეს, მაშინ იძულებული ვიქნებით, აქედან გადავსახლდეთო,“ — ამბობს გაჩეჩილაძე. იგი ნაგავსაყრელის ნორიოში გადატანასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანასაც აპირებს.

ნორიოს მკვიდრმა თამაზ ქავთარაძემ კი გვითხრა, რომ მერია შეჰპირდა მათ ამ მშენებლობის შეჩერებას, თუმცა ოფიციალური პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

მაკა ქობალია

განათლების ახალი რეფორმა

სახიფათო სახეს იძენს რეფორმის ახალი ტალღა, რომელიც განათლების სისტემაში 2010-2011 წლებში უნდა განხორციელდეს. როგორც ყოველთვის, ამ რეფორმების ავტორი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალია, მისი შემსრულებლები კი, ამ შემთხვევაში რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, — ძალოვანი ჩინოვნიკები.

რეზო მიშველაძე: «ლომაია და ნოდია ქართველობის პირწავარდნილი მტრები არიან, გვარამია კიდევ რაღაცას ჰგავდა, ახლა კიდევ ეს შაშკინი თუ მიშკინი, ეს «ბლანჟეიანი» ბეკეკა...»

გაზეთ „ახალი განათლების“ დეკემბრის ნომერში ხობის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასელის წერილი დაიბეჭდა მიმდინარე რეფორმის შესახებ. წერილში ავტორი სახელმძღვანელოებზე საუბრობს: **„შეიძლება ამ საკითხში დილეტანტი უფრო მეთქმის, ვიდრე კომპეტენტური, მაგრამ ამ წერილის დაწერა იმან გადამაწყვეტინა, რომ ამ თემაზე მე-12 კლასის მოსწავლეზე ბევრად უფრო არაკომპეტენტური ხალხი საუბრობს, თანაც ისეთი თავდაჯერებით, რომ ვერ შეეკამათები.“** კონკრეტულად ვის გულისხმობდა ავტორი არაკომპეტენტურ მოსაუბრეებში, უცნობია, მაგრამ ასეთი დასკვნა მიმდინარე მოვლენების ფონზე ლოგიკურია. ბათუმში პედაგოგებთან შეხვედრისას რეფორმის განსახორციელებლად არა მარტო განათლების სამინისტრო, არამედ მთელი მინისტრთა კაბინეტი დაირაზმა. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, შს მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე და ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი.

პედაგოგები ამ საკითხზე ღიად საუბრისგან თავს იკავებენ. თუმცა მიაჩნიათ, რომ **ახალმა შეფასების სისტემამ, რომელიც 10 გამოცდის ჩაბარების შედეგებით მოხდება, შესაძლოა კატასტროფა გამოიწვიოს, რადგან ათი გამოცდიდან ერთშიც რომ ჩაიჭრას, მოსწავლე ატესტატს ვერ მიიღებს. საყოველთაო უმუშევრობის ფონზე სკოლადამთავრებულთა დიდი ნაწილი უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩება.** რაც შეეხება სამხედრო სწავლებას და სამოქალაქო თავდაცვას, პედაგოგების განცხადებით, ეს სიახლე არ არის, რადგან ეს საგანი ადრეც ისწავლებოდა. სიახლეა ის, რომ ამ პროცესს ძალოვანი უწყებები გაუწევენ მონიტორინგს. პედაგოგები ამ საკითხზე დუმან, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი მიიჩნევს, რომ რეფორმების ახალი ეტაპი არა თუ სკოლაში სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას შეუწყობს ხელს, არამედ საშიში ტენდენციის ჩამოყალიბებასაც.

რეზო მიშველაძე, მწერალი: რა ხდება, გასამხედროებული ქვეყანა უნდა ჩამოაყალიბონ თუ ბავშვობიდანვე ზონდერბრიგადებისთვის მოამზადონ მომავალი თაობა? ამ ფორმით უნდათ, აკონტროლონ ყველა და ყველაფერი, როგორც ადრე „კაგებე“ აკონტროლებდა. ამ მთავრობის მიზანია, როგორმე 2013 წლამდე მიათრიოს საკუთარი თავი. მერე, ალბათ, შეცვლიან კონსტიტუციას და მოირგებენ საკუთარ თავზე. არ შეიძლება, ექვსი-შვიდი კაცის მილიარდერობას შეეწიროს მომავალი თაობა და ქვეყანა.

სააკაშვილს მოთმინების უნარი არ აქვს, ▶

პარლამენტარ პაატა ლეჟავას კოლეგებიც არ იცნობენ

კადრი ფილმიდან „მიმინო“

პაატა ლეჟავა სტაჟიანი პარლამენტარია. მან საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მტვერი 32 წლის ასაკში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ჩაისუნთქა და ისე დაავადდა პარლამენტის სიყვარულით, რომ უკვე მეორედ გახდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით არჩეული დეპუტატი.

კანონშემოქმედებით საქმიანობაში საკმაო გამოცდილების მიუხედავად, ბატონი პაატა ერთობ მოკრძალებული ადამიანია და ზედმეტი პოლიტიკური აქტიურობის უფლებას არ აძლევს საკუთარ თავს. ის მხოლოდ და მხოლოდ აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გახლავთ და კომიტეტის თავმჯდომარის — არჩილ გეგენავას არ ყოფნის შემთხვევაში კომიტეტის სხდომებსაც ხელმძღვანელობს. პლენარულ სხდომებზე, ძირითადად, დუმს, მაგრამ ზოგჯერ ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხების განხილვაში მონაწილეობს. მისი შენიშვნები ზომიერების ფარგლებს არ სცილდება და საქმეში კარგად ჩახედული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ცდილობს თავისი შეკითხვებით ჩრდილი არ მიაყენოს ბატონი პრეზიდენტის ინიციატივებსა და ინოვაციებს.

მაგალითად, იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი 25-მილიონიანი გრანტით ხელისუფლებამ უცხოეთიდან ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეიძინა რაიონებში ამხანაგობებისთვის დასარიგებლად. ბატონმა პაატამ კი ტრაქტორების მწარმოებელ ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხი დასვა, რადგან ნაწილების დაზიანების შემთხვევაში მათი დროული მოწოდება მოხდეს. თუმცა საქართველოს პრეზიდენტი ჟურნალისტების თანდასწრებით მანამდეც მშვენივრად ათუხთუხებდა იაპონური გრანტით შეძენილ ტრაქტორებს კახეთის პურის ყანაში.

ცნობისათვის, ბატონი პაატა მხოლოდ და მხოლოდ საპატიო მიზეზით აცდენს კომიტეტის სხდომებს და თუ ასე ერთგულად გააგრძელებს პრეზიდენტის სამსახურს, შესაძლოა, მიხეილ მაჭავარიანის რეკორდი გაიმეოროს და ის მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრიც გახდეს.

პარლამენტის ვებგვერდზე წარმოდგენილი პაატა ლეჟავას ბიოგრაფიული მონაცემები მეტად მშრალი და მწირია. დაიბადა 1972 წლის 15 ოქტომბერს ქ. თბილისში. ჰყავს მეუღლე. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. კვალიფიკაციით იურისტია.

შრომითი საქმიანობა 1996 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ დაიწყო. 2001 წელს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში იურისტად გადავიდა. 2004 წელს კი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა და ამ დრომდე „პირნათლად“ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

კმაყოფილია იმით, რაც აქვს (შემოსავლიანი სამსახური, ძვირადღირებული მანქანა, სადეპუტატო პრივილეგიები) და სულაც არ აღელვებს ის საკითხი, რომ კოლეგა-პარლამენტარებთან შედარებით მისი სწავლა-განათლება ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. არც ჰარვარდისა და არც ოქსფორდის სერთიფიკატები არ ამშვენებს მის კაბინეტს და ამ დრომდე პრეზიდენტისგან არც ღირსების ორდენი მიუღია.

ყოფილი პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ დეპუტატების ნაწილს არათუ საზოგადოება, არამედ თავად პარლამენტის წევრებიც კი ვერ ცნობენ და რა გასაკვირია, რომ პაატა ლეჟავას არსებობაზე არაფერი იცოდეს.

ვახტანგ ხმალაძე:

— სამწუხარო რეალობაა, მაგრამ საქართველოს ყველა მოწვევის პარლამენტში მეტნაკლებად იყვნენ ისეთი დეპუტატები, რომლებსაც პარლამენტის წევრებიც კი ვერ ცნობდნენ. დღევანდელ პარლამენტში ასეთები გაცილებით ბევრია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წარმომადგენლობით ორგანოში ყველაფერი რიგზე ვერაა“.

— ბატონო ვახტანგ, ცალკეული პიროვნებები თვლიან, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე შეიძლება ზედმეტი აფიშირების გარეშეც აკეთო, ეთანხმებით ამ აზრს?

— საპარლამენტო მოღვაწეობა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და ესაა დეპუტატის აქტიურობა: პირველი — უშუალოდ პლენარულ სხდომებზე, მეორე — საკომიტეტო მოსმენებზე და მესამე — ამომრჩეველთან ურთიერთობისას. პარლამენტის წევრი შეიძლება პლენარულ სხდომებზე სიტყვით არ გამოდიოდეს, მაგრამ შეუძლებელია, თავისი მოვალეობა შეასრულოს, თუ ის საკომიტეტო მოსმენებში არ მონაწილეობს. დეპუტატს, რომელიც კომიტეტის სხდომებს ესწრება და აზრს გამოთქვამს, საზოგადოება იცნობს კიდეც.

— როცა დეპუტატს არ იცნობს საზოგადოება, ვისი პრობლემაა?

— ვფიქრობ, ქვეყნის პრობლემაა და იმაზე მიუთითებს, რომ ან საზოგადოება ვერ აკეთებს სწორ არჩევანს, ან არ ეძლევა მას სწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. მეორე შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს არჩევნების გაყალბება, რომლის წყალობითაც ესა თუ ის პირი პარლამენტის წევრი ხდება. სამწუხაროდ, ჩვენთან, კარგა ხანია, საზოგადოებას სწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ აქვს.

— ბატონო ვახტანგ, როცა დეპუტატები თავის მოვალეობას ვერ ასრულებენ, რა პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოუტანოს ამან ქვეყანას?

— ჩვენ გვაქვს ისეთი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც რეალურად არ ასახავს ამომრჩეველთა ნებას. პარლამენტში გადაწყვეტილებათა მიღება ხდება არა კოლექტიური აზროვნების შედეგად, არამედ მცირე ჯგუფის ნებასურვილის შესაბამისად, რაც ქვეყნისთვის ძალიან ცუდია. წარმომადგენლობითი დემოკრატიის უმთავრესი დანიშნულებაა, რომ პარლამენტმა ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მისაღები და სასარგებლო იქნება. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც შეცდომა გამორიცხული არაა, მაგრამ, როდესაც პარლამენტი საზოგადოების ნებას გამოხატავს და კამათის, აზრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, შეცდომების ალბათობა მცირეა. მაგრამ, როცა კვერის დამკვრელები სჭარბობენ, ასეთ დროს შეცდომისა და დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა გაცილებით დიდია.

ნათია ქადაგიშვილი

ვახანიას დაკავებას ოთხი პიროვნება ემსხვერპლა

პოლიტიკური მოძრაობა „მთლიანი საქართველოს“ ლიდერის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას სასამართლო პროცესი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 15 იანვარს ისე გადაიდო, რომ შემდგომი პროცესის თარიღი ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული.

ეს პროცესი ქუთაისში მას შემდეგ გრძელდება, რაც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აბსურდული ბრალდებით, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის გამო, ოთხი წელი მიუსაჯა.

ვახანიას საქმე, დიდი ხანია, გასცდა საქართველოს ფარგლებს. სასამართლო პროცესს აკვირდებოდნენ ევროკავშირის წარმომადგენელი კაუპო ენდი და საყოველთაოდ აღიარებული უფლებადამცველები სერგეი კოვალიოვი და ერნსტ ჩორნი. **„ეს არის პოლიტიკური საქმე, რადგან დაადანაშაულო ვახანია თავისუფალი სიტყვის ხელის შეშლაში, რაღაც ეგზოტიკურია. ვახანიას შესახებ ბევრი რამ მითხრეს, საიდუმლოებითაა მოცული თვითონ პასპორტების ჩამორთმევა. ყველა მისი წერილი უპასუხოდ დარჩა. რას ნიშნავს ეს, თუ კი საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოს აშენებს? მე ტელეფონით ვესაუბრე ამის შესახებ ანდრეი ილარიონოვს, რომელიც ამჟამად ამერიკაში მოღვაწეობს. მას საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვს. ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილთან მას პირადი ურთიერთობა აქვს, ამიტომაც ასეთი ჩარევა საიმედოა,“** – აღნიშნა სერგეი კოვალიოვმა.

ასეთმა ფართო მასშტაბის რეზონანსმა დააფრთხო ქართველი სამართალდამცველები და ამიტომაც ცდილობენ ახლა თავის დაძვრენას.

ვახანიას ამ უკანონო დაკავებას კიდევ ოთხი პიროვნება „ემსხვერპლა“. მის მეგობარსა და პროკურატურისათვის არასასურველ მოწმეს — თენგიზ კალანდიას ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ბრალდებით 18 წელი მიუსაჯეს. ამ საქმესაც ახლა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს. ვახანიას კარის მეზობელი ჯამბულ ჩიქოვანი, ასევე, პროკურატურისთვის არასასურველი ჩვენების, ანუ სიმართლის თქმის გამო, მე-5 თვეა, დაკავებულია და განაჩენის გამოტანას ელოდება. კიდევ ერთი მოწმე მინდია მაქაცარია კი მიმალვაშია, რადგან იცის, რომ ჩიქოვანის ბედს გაიზიარებს.

ვახანიას ერთ-ერთ ადვოკატს ჯონი ზარანდიას ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სხვა საქმის გამო ყალბი დოკუმენტების შექმნის ხელშეწყობის ბრალდებით ოთხი წელი მიუსაჯა. თუმცა ამბობენ, რომ ის ვახანიას ადვოკატობის გამო დაისაჯა.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

მომავალი ზონდერებისთვის

კახა ლომაია

გია ნოდია

ნიკა გვარამია

დიმიტრი შაშკინი

◀ მაგის ტვინში როდის რა მოიხარშება, კაცმა არ იცის. ეს არის გაუნათლებელი, უკონტროლო კაცი, რომელსაც შეუძლია, როცა უნდა, რაც უნდა, წამოისროლოს და მისი ამქარიც მაშინვე მისი ნათქვამის შესრულებას იწყებს. **ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ იმიტომ, რომ დაანგრიონ ყველაფერი ქართული. განათლების სისტემაში გასატარებელი რეფორმების მიღება ასე ნაჩქარევად, ერთ საათში როგორ შეიძლება? მაგრამ ესენი არავის უსმენენ, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ.** ჯერ კიდევ კახა ლომაია ამბობდა: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო“. ძაღლი ერი იყო და ქარავანი — ხელისუფლება. ახლა ამბობენ, რომ თურმე ახალ თაობას სხვა ღირებულებები აქვსო. ამ ღირებულებების გამო ტრიალებს ამდენი უბედურება ჩვენს ქვეყანაში.

ვის ხელში იყო განათლების სისტემა, რაც ესენი მოვიდნენ ხელისუფლებაში? ლომაია და ნოდია ხომ ქართველობის პირწავარდნილი მტრები არიან, გვარამია კიდევ რაღაცას ჰგავდა. ახლა კიდევ ეს შაშკინი თუ მიშკინი, ეს „ბლანჟეიანი“ ბეკეკა... დაწეროს, აბა, ქართულად ერთი ნებისმიერი თემა! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, თუ დაწერა, ეს ნამუშევარი იქნება საშინელება.

სააკაშვილმა — სკოლაში პრეზიდენტობანა ვითამაშოთო. თვითონ, კარგა ხანია, თამაშობს პრეზიდენტობანას: კარგ დროს ატარებს; მეძავი მაგას არ აკლია, „მასაჟისტკა“ და ციგურები; დადის ხან ბოდრუმში, ხან სად და დაყვება მთელი ჰარამხანა.

სასულიერო მოღვაწენი არ შეიყვანეს სკოლაში, რელიგიური უმცირესობების უფლებები შეილახებაო. ახლა სამხედროები და „კაგებეშნიკები“ შეჰყავთ. ასე აწყობთ და იმიტომ.

ცნობილი ამბავია, რომ ქვეყანას „თავისუფლების ინსტიტუტი“ მართავს და ახალ იდეოლოგიას ნერგავს. აქედან გამომდინარე, მათთვის მიუღებელია ყველანაირი სულიერება და უნდათ, რომ ეს ჩაახშონ მომავალ თაობებში. თუ არ გამოვფხზიღლდით, ერის თვითგადარჩენის იმუნიტეტი დაქვეითებულია და ყველაფრის ღირსები ვიქნებით, რასაც ეს ხელისუფლება დაგვმართებს.“

პრეზიდენტმა ბათუმში გამართულ შეხვედრაზე აღიარა, რომ

სახელმწიფომ განათლების სისტემას ჯერჯერობით ვერ მიხედა.

ამის გამო რეფორმატორებმა თანამდებობები კი დატოვეს, მაგრამ ისინი არავის დაუსჯია. პირიქით, სხვა, გაცილებით მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე დაინიშნენ.

ნანა ლაღაძიშვილი

უნივერსიტეტის აკადემიური კლინიკა (მიხაილოვის საავადმყოფო) კოტრდება

როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ სანდო წყაროდან გახდა ცნობილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კლინიკა, ე. წ. მიხაილოვის საავადმყოფო იმდენად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია, რომ უახლოეს მომავალში შეიძლება გაკოტრდეს. საავადმყოფოს უჭირს კომუნალური ხარჯების გადახდა და მედპერსონალის სახელფასო ანაზღაურების გასტუმრება, მიუხედავად იმისა, რომ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ, ᲒᲐᲝᲠᲛᲐᲒᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲛᲛᲐᲒᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ.

ნინო ქორქაშვილი, გენერალური დირექტორი:

სიმართლე გითხრათ, ხელშეკრულებაში არავინ მახედებს...

მიხაილოვის საავადმყოფო, უკვე ორი წელია, შპს „ბლოკ ჯორჯიას“ გადაეცა. თუმცა მართვისა და განკარგვის უფლებით თბილისის ერთ-ერთ უძველეს საავადმყოფოში ჯანაშვილები გასული წლის მარტში შევიდნენ და მაშინვე რეორგანიზაცია დაიწყეს. თანამდებობა დაატოვებინეს კლინიკის მთავარ ბუღალტერს და მის ნაცვლად მათთვის სასურველი ადამიანი მოიყვანეს. მოხსნეს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, განყოფილების გამგე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები საკმაოდ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური ექიმები იყვნენ, არც ერთი მათგანისთვის გათავისუფლების მიზეზი არ აუხსნიათ. სამაგიეროდ, გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დატოვეს პარლამენტარ თეიმურაზ ჩარკვიანის მეუღლე ნინო ქორქაშვილი.

თავად ქალბატონი ნინო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე მისი დანიშვნისას პარლამენტარი მეუღლის ფაქტორს არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია ჯერ ეკონომიკის მინისტრის, შემდეგ კი „ბლოკ ჯორჯიას“ გენერალური მენეჯერის გელა გოგიშვილის გადაწყვეტილებაზე. პარლამენტარ თეიმურაზ ჩარკვიანს ეკონომიკის მაშინდელი მინისტრისთვის რომც არ მიემართა თხოვნით და მართლაც ნაცნობ-მეგობრობის გარეშე მომხდარიყო აღნიშნულ თანამდებობაზე ნინო ქორქაშვილის დანიშვნა, „ბლოკ ჯორჯიას“ მესვეურები აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ამ ფაქტს. ნათქვამია, ხელი ხელს ბანს, ორივე — პირს. სამშენებლო კომპანიას შეუსრულებელი სახელშეკრულებო პირობების ფონზე აუცილებლად სჭირდებოდა და სჭირდება ლობისტები როგორც მთავრობაში, ასევე პარლამენტში. მიხაილოვის კლინიკის გენერალური დირექტორის მეუღლე კი გასაგები მიზეზების გამო არასდროს წავა ჯანაშვილების წინააღმდეგ და ამაში კოლეგების დარწმუნებასაც შეეცდება.

„ბლოკ ჯორჯიამ“, სადაზღვევო კომპანიებთან გლობალური ხელშეკრულების გაფორმების მიტივით, კლინიკის ხელმძღვანელობას არ მისცა უფლება, სადაზღვევო კომპანიებთან დამოუკიდებლად გაეფორმებინა ხელშეკრულებები. გადიდებული ტარიფებისა და სადაზღვევო კომპანიებთან გაუქმებული ხელშეკრულებების გამო საავადმყოფოში პაციენტთა რაოდენობამ კატასტროფულად იკლო. 70-საწოლიან კლინიკაში თუ ადრე წლის განმავლობაში ყოველდღიურად 50–55 პაციენტი ინვა, ამჟამინდელი მონაცემებით, ეს ციფრი 20-22 კაცს არ აღემატება. ქირურგიაში სტაციონარულად სულ 5-6 პაციენტი მკურნალობს. ავადმყოფთა სიმცირის გამო კლინიკას უჭირს მომსახურების ხარჯების გასტუმრება და არ არის გამორიცხული, ცალკეული განყოფილებები გაერთიანდეს ან სულაც გაუქმდეს, როგორც ეს მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში მოხდა.

„ბლოკ ჯორჯიას“ მიხაილოვის საავადმყოფოში შეაქვს საკუთარი ფარმაცევტული კომპანია „ჯმს“-ის მიერ შემოტანილი პრეპარატები, სადეზინფექციო ხსნარები, საკერავი მასალები და ექიმებს პირდაპირ აძლევს იმ წამლების ჩამონათვალს, რომლებიც მათ ამა თუ იმ დაავადების მკურნალობისას უნდა გამოიყენონ, თუნდაც კონკრეტული დაავადების მკურნალობისას სხვა პრეპარატი უკეთეს შედეგს იძლეოდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბლოკ ჯორჯიას“ ფარმაცევტული კომპანიის მიერ შემოტანილი სამედიცინო პროდუქცია საკმაოდ ძვირია და ისედაც გაძვირებულ მკურნალობას აორმაგებს.

მიხაილოვის საავადმყოფოს ექიმებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა „ბლოკ ჯორჯიას“ ასეთი დირექტივები, მაგრამ ხმის ამოღებას ერიდებიან. მათ ჩვენთან ღიად საუბარიც გაუჭირდათ. „კი არ გვეშინია, მაგრამ ჩვენს უკან ოჯახები დგანან და რომ გაგვიშვან, სად წავიდეთ სამუშაოდ, თითქმის ყველა საავადმყოფო მაგათია,“ — გვითხრა ერთ-ერთმა ექიმმა, რომლის ვინაობის დასახელებისგან შეგნებულად ვიკავებთ თავს. ექიმები ასევე თვლიან, რომ, თუ ასე კიდევ დიდხანს გაგრძელდა, საავადმყოფოში პაციენტი საერთოდ აღარ შემოვა, **„ბლოკ ჯორჯია“ კლინიკას გაკოტრებულად გამოაცხადებს, ექიმებს სახლში გაუშვებს და ტერიტორიას გაყიდის.**

სამწუხაროდ, მხოლოდ გადიდებული ტარიფებით, გაუქმებული ხელშეკრულებებითა და ექიმთა ტერორით არ შემოიფარგლებიან „ბლოკ ჯორჯიას“ მესვეურები. საავადმყოფოს ბალანსზე ირიცხებოდა საკმაოდ ძვირადღირებული ჯიპის მარკის ავტომანქანა. ჯანაშვილებმა მანქანა წაიყვანეს და მის ნაცვლად საავადმყოფოში ლაპარასკოპიის აპარატი მოიტანეს, რომელსაც ნაწილები აკლდა და რომელთა შეძენაც საავადმყოფოს დირექციას დაავალეს. როგორც ირკვევა, აღნიშნული ნაწილები შვიდი ათასი ევრო ჯდებოდა. მისი ყიდვის საშუალება კლინიკას არ გააჩნდა და „ბლოკ ჯორჯიამ“ ლაპარასკოპი უკან წაიღო.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, **ქალბატონი ნინო გელა გოგიშვილის ყველა გადაწყვეტილებას უთქმელად ასრულებს და ისეთ საკითხებშიც ეთანხმება, რომელიც შეიძლება საავადმყოფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. მაგალითად, დირექტორი მორჩილად დაეთანხმა როგორც სადაზღვევო კომპანიებთან გაუქმებულ ხელშეკრულებებს, ასევე სამედიცინო აპარატურის საავადმყოფოს ხარჯებით შესყიდვას.** არ დაინტერესდა, რა წერია ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ბლოკ ჯორჯიას“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რა უფლებები და მოვალეობები აქვთ მშენებლების ფირმას და რა ეკრძალებათ. ერთ შემთხვევაში ნინო ქორქაშვილი გვარწმუნებდა, რომ ყველა დოკუმენტს თავად აწერს ხელს და დირექტორის მოადგილე სამედიცინო დარგში ბიძინა ნაკაიძე თავად მან გაათავისუფლა მხოლოდ იმ მოტივით, რომ შპს „ბლოკ ჯორჯიას“ კოორდინატორებთან ვერ თანხმდებოდა. მეორე შემთხვევაში კი გვიმტკიცებდა, რომ მას მითითება აქვს, არანაირ ხელშეკრულებაზე არ მოაწეროს ხელი.

ჯანაშვილები სარგებლობენ იმით, რომ ეკონომიკის სამინისტროს აღნიშნული დოკუმენტი გასაიდუმლოებული აქვს, მასზე ხელი ბევრს არ მიუნვდება და საავადმყოფოს საკუთარი სურვილისამებრ განკარგავენ. როცა საქმე სადაზღვევო კომპანიებთან ხელშეკრულებას ეხება, მაშინ აცხადებენ, რომ საავადმყოფო მართვისა და განკარგვის უფლებით აქვთ გადაცემული და დირექციას ხელშეკრულების დამოუკიდებლად დადების უფლებას არ აძლევენ, ხოლო როცა აპარატურის შესყიდვაზე მიდგება ჯერი, მაშინ მიზეზობენ, რომ 2012 წლამდე, სანამ დიღომში 100-საწოლიან მაღალტექნოლოგიურ საავადმყოფოს არ ააშენებენ, მართვის უფლება არ აქვთ და დირექციას აიძულებენ, საავადმყოფოს ხარჯებით შეიძინოს აპარატურა.

ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა, საავადმყოფოში არსებულ სიტუაციას უკეთ გავცნობოდით, მაგრამ კლინიკის შესასვლელს დაცვის სახელმწიფო სამსახური იცავს და საშვის გარეშე ჩიტიც კი ვერ შეფრინდება. მედპერსონალი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობლემებზე ღიად საუბარს ერიდება.

კლინიკაში არსებულ ფინანსურ პრობლემებზე კომენტარი ვთხოვეთ კლინიკის გენერალურ დირექტორს ნინო ქორქაშვილს.

— ქალბატონო ნინო, შპს „ბლოკ ჯორჯიას“ კლინიკაში შემოსვლის შემდეგ რა შეიცვალა უკეთესობისკენ?

— „ბლოკ ჯორჯიაში“ კოორდინატორების სპეციალური ჯგუფია, რომლებიც რეკომენდაციებს გვაძლევენ სამედიცინო პროცესთან, საავადმყოფოს მართვასთან და ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით. ისინი გვეხმარებიან სამედიცინო სტანდარტების შემუშავებაში.

— რატომ შეუდგინეს ექიმებს გაიდლაინები, რომლებშიც კონკრეტული დაავადებების დროს გამოსაყენებელი წამლების ჩამონათვალიცაა (მაგალითად, ექიმებს უთითებენ როცეფინს)?

— „ბლოკ ჯორჯიას“ ფარმაკოლოგიის ფირმას “JMS”-ს შემოაქვს **როცეფინი** მომწოდებლის ფასებში და იაფია. ამასთან, ეს პრეპარატი **ცეფალოსპორინის** ჯგუფისაა და ფართოდ გამოიყენება, მაგრამ ისინი კი არ გვეუბნებიან, რომ მაინცდამაინც **როცეფინი** გამოვიყენოთ, არამედ გვწერენ, რომ ექიმებმა **ცეფალოსპორინის** ჯგუფის პრეპარატები გამოუწერონ პაციენტებს. ვთვლი, რომ ეს სწორი მიდგომაა. ხომ უნდა ვიცოდე, რომელი განყოფილება რომელ პრეპარატს ხმარობს, რომ იმის მიხედვით შევავსო აფთიაქი.

— „ბლოკ ჯორჯიამ“ სადაზღვევო კომპანიებთან უკვე გააფორმა ხელშეკრულებები?

— ამ ეტაპზე „ალდაგი ბისიაისთან“ აქვთ დადებული ხელშეკრულება.

— ამ ფაქტის გამო კლინიკაში პაციენტთა რაოდენობამ არ იკლო?

— იკლო, მაგრამ გვპირდებიან, რომ დროთა განმავლობაში პაციენტთა რაოდენობა მოიმატებს.

— ქალბატონო ნინო, „ბლოკ ჯორჯიას“ კლინიკაში საკუთარი საკერავი მასალები და სადეზინფექციო ხსნარებიც ხომ შემოაქვს?

— დიახ, მაგრამ არჩევანს იაფ პროდუქციაზეც გვაკეთებინებს.

— თქვენს საავადმყოფოს ბალანსზე ირიცხებოდა ავტომანქანა „ჯიპი“, რომელიც „ბლოკ ჯორჯიამ“ წაიყვანა...

— რას ჰქვია წაიყვანა?! ჩვენი ლიზინგით გამოვიწერეთ ექოსკოპიის აპარატი და თანხის ნაწილი ამ მანქანით დავფარეთ.

— ჩვენი ინფორმაციით, ავტომანქანა ლაპარასკოპიის აპარატში გაცვალეს, ეს შეესაბამება თუ არა სიმართლეს?

— არა. ლაპარასკოპიის აპარატი „ბლოკ ჯორჯიას“ „JMS“-მა გამოიწერა, მოგვიტანა, მაგრამ 27 ათასი ლარი ჯდებოდა, ამასთან, 7 ათასი ევროს ღირებულების ნაწილების შეძენაც სჭირდებოდა. ამის საშუალება საავადმყოფოს არ გააჩნდა, რის გამოც მე-4 კლინიკურ საავადმყოფოს გადასცეს.

— საავადმყოფომ თავად რატომ უნდა შეიძინოს აპარატურა, როდესაც მესაკუთრე „ბლოკ ჯორჯიაა“ და მოგებასაც თვითონ განკარგავს?

— რომელ მოგებაზეა საუბარი, საავადმყოფოს ხარჯების მეტი არაფერი აქვს... სიმართლე გითხრათ, მე ხელშეკრულებაში არავინ მახედებს...

ესაუბრა
ნათია ᲯᲐᲓᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲛ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲐᲓ ᲘᲙᲚᲝ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲖᲔ ᲪᲓᲔᲑᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ

ბრიტანელი ექიმი ენდრიუ უეიკფილდი საყოველთაოდ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც მისი სკანდალური კვლევის მიხედვით აუტიზმის გამომწვევ მიზეზად ბავშვთა ვაქცინაციები დასახელდა.

ახლა მის შესახებ მეორედ გაიგო მსოფლიომ, ვინაიდან ექიმი ენდრიუ ფსიქიური აშლილობით დაავადებულ ბავშვებზე მათთვის არასაჭირო, მტკივნეული და ჯანმრთელობისათვის სახიფათო დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებაში დამნაშავედ ცნეს. ბრიტანეთის გენერალურმა სამედიცინო საბჭომ საქმის ორწლიანი განხილვის შემდეგ უეიკფილდი სამედიცინო ეთიკის დარღვევაში დაადანაშაულა.

უეიკფილდის ზემოხსენებული კვლევა 1998 წელს ავტორიტეტულ სამედიცინო ჟურნალ „The Lancet“-ში გამოქვეყნდა.

გარკვეული დროის შემდეგ კი გაირკვა, რომ უეიკფილდის მოსაზრებები მტკნარ სისულელედ გამოცხადდა და რედაქციამ ამ სტატიის გამოქვეყნება საკუთარ შეცდომად აღიარა.

მიუხედავად ამისა, ამ სტატიის შემდეგ აშშ-ისა და ევროპის მოსახლეობა მასიურად უარს აცხადებდა ბავშვთა ვაქცინაციაზე, ამის შედეგად კი ინფექციური დაავადებების შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იმატა.

უეიკფილდმა ეს არ იკმარა. აუტიზმით დაავადებული ბავშვების მკურნალობისას ის უამრავ არასაჭირო მტკივნეულ გამოკვლევებს უტარებდა მათ, მათ შორის კოლონოსკოპიისა და ზურგის ტვინის სითხის აღებისასაც. გარდა ამისა, ის პირადად უხდიდა მცირე თანხას ბავშვებს იმისათვის, რომ სისხლი ჩაებარებინათ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზურაბ გაგნიძე: სოზარ სუბარმა ღვთის სამსახური და რწმენის მაღლი უკეთურ სამსახურსა და სოროსის ფულში გაცვალა

მას შემდეგ, რაც თბილისში მერის პირდაპირი წესით არჩევის საკითხი პოლიტიკურ დონეზე გადაწყდა, ბევრ პოლიტიკოსსა და პოლიტიკაში ახლადმოსულ პიროვნებასაც არჩევნებში მონაწილეობისა და მაღალი პოსტების დაკავების სურვილი გაუჩნდათ. პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ალიანსი საქართველოსთვის“ განაცხადა, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მათი კანდიდატი სოზარ სუბარი იქნება. ყოფილი სახალხო დამცველისა და ამჟამად „ალიანსი საქართველოსთვის“ თანათავმჯდომარის — სოზარ სუბარის ფსიქოპორტრეტს წარმოგვიდგენს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.

— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით სოზარ სუბარის პიროვნების შესახებ, შეიმჩნევა მის ფსიქოსტრუქტურაში პიროვნული განვითარების უწყვეტი წინსვლა?

— პიროვნული სიმწიფის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი სულიერი სიმტკიცე და მიზანდასახულობაა, შექსპირი ამბობდა: „მე ვერ ავიტან, მე ბრალსა ვდებ კაცთა ყოველთა, რომელთა გული სწრაფცვალებას მიწებებია“. მერყეევი ადამიანი ვერასოდეს იქნება ღრმა, სულიერი სიჯანსაღის მატარებელი, ვერასოდეს იტყვის უარს საკუთარ ვნებებსა და სურვილებზე სხვათა საკეთილდღეოდ და ვერასგზით შეძლებს პიროვნული პოტენციალის სრულ რეალიზებას. სოზარ სუბარს არ აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული მიზანი, რაც ადამიანში კლავს ეგოისტურ იმპულსებს, ამპარტავნულ ამბიციებს, ჰედონიზმისკენ მიდრეკილებას, უაზრო პატივმოყვარეობასა და სხვა მრავალ ადამიანურ სისუსტეებს. სუბარს კი არ გააჩნია სულიერი სიმტკიცე და მიზანდასახულობა. ისტორიკოსი, თეოლოგი, დიაკვანი და დავით გარეჯის ყოფილი მედავითნე, ანუ უფლის სამსახურში მყოფი სოზარი სრულიად მოულოდნელად იხდის ანაფორას და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იწყებს მუშაობას ჯერ კორესპონდენტად, შემდეგ რედაქტორად. შეიძლება მაშინ მეფიქრა, რომ ახალგაზრდა კაცმა თავისი მოწოდება დროულად ვერ გააცნობიერა-მეთქი, მაგრამ

მისმა უცაბედმა გადასვლამ სოროსის მიერ დაფინანსებულ და დაპროგრამებულ „თავისუფლების ინსტიტუტში“, რომლის მიზანი ანტიეროვნული პოლიტიკა და რელიგიური მკრეხელობაა, მიმახვედრა, რომ ის უმწიფარი პიროვნებაა, სულიერებით დასნეულებული.

„თავისუფლების ინსტიტუტი“ მისთვის ტრამპლინად იქცა მისი შემდგომი წინსვლისთვის. აშკარაა მისი კარიერული წინსვლა, მაგრამ პიროვნული განვითარების მხრივ, დასანანი უკუსვლაა. მან ღვთის სამსახური და რწმენის მადლი უკეთურ სამსახურსა და სოროსის ფულში გაცვალა.

— ბატონ სოზარს სახალხო დამცველის პოსტზე მუშაობისას იცნობდნენ პრინციპულ და სამართლიანობისთვის მებრძოლ ადამიანად, მისი მცდელობით სახალხო დამცველის ინსტიტუტი პირველად შედგა...

— სოზარი „ვარდების რევოლუციის“ ჟამს სააკაშვილის გვერდით იდგა და სახალხო დამცველის თანამდებობაზეც „ნაციონალური მოძრაობის“ კადრი იყო. სხვებისგან განსხვავებით, ის უფრო ჭვრეტდა სააკაშვილის სულიერ ღირებულებებს: **„ადამიანები არიან ისეთნი, როგორნიც არიან. სააკაშვილი რომ მოინდომებდა მედიისა და ყველაფრის კონტროლს, ვიცოდით, მაგრამ იმდენად ამაზრზენი იყო შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდი, რომ გავყევი ადამიანს, რომელიც ყველაზე რადიკალური ოპოზიციონერი იყო“.**

მან იცოდა, ვინ იყო სააკაშვილი, ისიც, რომ ცუდს უარესით ცვლიდა და უარესს გაჰყვა ცუდის სიძულვილით.

ეს კი მხოლოდ და მხოლოდ სუსტი გონებრივი უნარებისა და ნებელობის მქონე, სიმტკიცის საყრდენ ძალას მოკლებულ ადამიანს შეუძლია. ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ არ აქვს გაცნობიერებული და ჩამოყალიბებული მიზანი. ბატონი სოზარის მიზანი პირადულზეა ფოკუსირებული და გამუდმებით საკუთარი თავის ძიებაშია. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების რაოდენობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდია.

უფლებების დარღვევა ვარდოსნებმა პირველი დღეებიდანვე დაიწყეს. სოზარის მხრიდან კი რეაგირება არ ჩანდა, რამაც საზოგადოება გააღიზიანა — ომბუდსმენის ოფისის ეზოში ინდაური მიაყვანინა. **ხალხმა სოროსელი სახალხო დამცველი ინდაურის ტვინიან არსებად აღიქვა.**

როდესაც სუბარის ავტორიტეტზე ვსაუბრობთ, საჭიროა, გავიხსენოთ მისი ძველი და ახალი თავგადასავლები. მის უმწიფარ პიროვნებაში რადიკალური ცვლილება მოხდა და სოზარი ხელისუფლების მიერ და პოლიტიკურად ანგაჟირებულ ოპონენტად იქცა. სოზარის ფსიქიკაში ემოციათა და გადაწყვეტილებათა მიღების დიდი ამპლიტუდის მქონე რხევებია, რამაც შესაძლებელია სტრესულ მდგომარეობაში პრობლემები შეუქმნას.

მოგვიანებით სუბარი ნანობს: „ვარდების რევოლუცია“ იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რაც კი ჩაგვიდენია“,

რაც გვიჩვენებს, რომ მას შეხედულებები უყალიბდება შემხვედრ სიძნელეთა საპასუხოდ, ანუ „ბრიყვი საკუთარ გამოცდილებაზე სწავლობს“. ეს კი საფუძველს მაძლევს, ვთქვა, ის არ არის შორსმჭვრეტელი, გამჭრიახი, ანალიტიკურად მოაზროვნე და რეალობის ობიექტურად შემფასებელი.

ისევ სერიოზული რხევა და საკუთარი თავის ძიების ახალი გზა. თანაც აზროვნების იმდენად მარტივი კონსტრუქცია აქვს, რომ საკითხთან უშუალო შეჯახებისას იღებს გადაწყვეტილებებს; სახალხო დამცველი პოლიტიკაში წამოვიდა, თუმცა სექტემბერში ჯერ არ იცოდა, პოლიტიკაში წავიდოდა თუ არასამთავრობო სექტორში.

— რატომ გააკეთა ბატონმა სოზარმა არჩევანი „ალიანსზე“ ან რატომ იბრძვის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის?

— „ალიანსს“ სჭირდებოდა სოზარ სუბარის ოპოზიციური და ამავე დროს მართლის მთქმელის ავტორიტეტი. ალასანიას თანათავმჯდომარე ისე გახდა, რომ მისი პარტიის წევრიც არ ყოფილა. ალასანიას ხედვა, რომ დიალოგის გზით ხელისუფლებასთან არსებულ პრობლემებს მოაგვარებდა, შთამბეჭდავი შედეგით არ გამომჟღავნებულა. თუ ბატონი სოზარი ძალად და გავლენად საერთაშორისო მხარდაჭერას გულისხმობს, უკვე გაზრდილ და გამოცდილებაშეძენილ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წინაშე გარე ძალები ბევრს ვეღარაფერს იზამენ. დღეს ხალხს ეროვნული მუხტისა და ინტერესების მტკიცე პოზიციის მქონე პარტიები უფრო იზიდავს. კონკურენტებს კი ბატონი სუბარი ასე უპირისპირდება: „ჩვენ გეგმა გვაქვს და ვმონაწილეობთ საარჩევნო კოდექსის შემუშავებაში“, რომლის კომისიის სხდომები მრავალჯერ ჩაიშალა. სოზარი კი იმედოვნებს, რომ კომისიის სხდომებს მუდმივად ვერ ჩაშლიან. ასე რომ, მისი შეფასებები ეგოისტურია, ამბიციურობასა და თავმოყვარეობას ემსახურება, უფრო რეკლამირებულია, ტენდენციური, თავის წარმოჩენის მექანიზმზე აგებული და არაფხიზელი გონებითა და არგუმენტებით კონსტრუირებული. ამ პიროვნებას შეუძლია პოლიტიკაში რამე შეცვალოს?.. მისი სახალხო დამცველობისას, მიუხედავად 1400-გვერდიანი მოხსენებებისა, არც ერთს შედეგი არ მოჰყოლია: არც სანდრო გირგვლიანის, არც ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბილოვის მკვლელები და საქმის გამყალბებლები არ დასჯილან. არც ერეკლე კოდუასთან დაკავშირებული საქმეები გამოძიებულა.

ისიც ვერ მოახერხა, რომ პარლამენტში 7 ნოემბრის დარბევაზე საგამოძიებო კომისია შექმნილიყო. 7 ნოემბრის ცემაზე საკუთარი თავიც ვერ დაიცვა და საჩივარიც არ შეიტანა.

მისმა მხარდამჭერმა საერთაშორისო ძალებმა ვერ გაბედეს, სააკაშვილი სამხედრო დამნაშავედ გამოეცხადებინათ აგვისტოს ომის შემდეგ. ახლაც დუმს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბრალდებაზე, რომელთაც იელოველთა მფარველობა დასწამეს. თავის 5-წლიან მოღვაწეობას ასე აფასებს: „მე გავაკეთე მაქსიმუმი იმისა, რაც შემეძლო ... სხვა იმაზე მეტს ვერავინ გააკეთებდა“. დიახ, სიტყვიერად ტომებს ადგენდა, მაგრამ სადაა საქმე, რომელიც გამოაჩენს.

— აბა, რატომ აირჩიეს სოზარ სუბარი გაეროს უმაღლესი კომისრის მრჩევლად?

— ვიღაც ძალას სოზარის ფიგურის წინ წამოწევა სურს. ამ ეჭვს ის ფაქტიც აძლიერებს, რომ აქამდე უმაღლეს კომისარს მრჩევლად პრაქტიკოსი ომბუდსმენი არ ჰყოლია. მრჩეველთა საბჭო კომპეტენტური, საერთაშორისო დონის მეცნიერებით იყო დაკომპლექტებული. ამ პოსტს თვითონ სოზარი დამსახურებულ საზღაურად მიიჩნევს. „ყველა ჩემი მოხსენება გაეროში სიტყვასიტყვით იყო ასახული. არ ყოფილა შემთხვევა, რომ არ გაეზიარებინათ ჩემი ნათქვამი“. მას დაავიწყდა თავისი ნათქვამი მსოფლიოს ომბუდსმენთა საერთაშორისო შეკრებაზე „როცა ვყვებოდი, რომ გენერალური ინსპექციის უფროსი ისვრის წყლით სავსე პარკებს, შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე გამოდის და ამბობს, რომ ეს არის ხუმრობა, არ იჯერებდნენ და მეუბნებოდნენ, ეს რა დღეში ხართ, როგორ ცხოვრობთ და მუშაობთო“. რომელი დავიჯეროთ? სხვადასხვა დროს გაკეთებულ შეფასებებში ვერაფრით ავლენს ბატონი სოზარი ლოგიკურ მთლიანობას, რაც სიმწიფისა და აზროვნების აუცილებელი ფსიქოშტრიხია. მას „როგორც აწყობს, ისე ლაპარაკობს“. ამით ის კარგავს ნდობასა და ავტორიტეტს.

— სოზარ სუბარი საარჩევნო კამპანიას მალე დაიწყებს, მისი ეს ნაბიჯი რამდენად გაამართლებს?

— სოზარი გამარჯვებაში თავდაჯერებულია. პოლიტიკაში წამოსული ომბუდსმენი გვიმტკიცებს, რომ პოლიტიკის არასწორი მიმართულების შემობრუნების არსი მარტივია და ადვილად მისაღწევი. უფრო მეტიც: „ეს არა მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკული თვალსაზრისითაც მარტივი გასაკეთებელია“, ანუ ხელისუფლება სასამართლოში რომ არ უნდა ერეოდეს... ეს ერთი დღის, ერთი საათის გადასაწყვეტია;“ ამტკიცებს, რომ „რთულია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, მაგრამ ერთი დღის ამოცანაა, რომ ძირითადი პრინციპების დაცვამდე მივიდეთ“. აფერუმ, მის პოლიტიკურ ხედვას! გვშველებია... ჟურნალისტთა ნომინაციაში სუბარს „ყველაზე რისკიანი სვანის“ ტიტული ტყუილად კი არ ერგო. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურას — ამაში ჩანს საკუთარი თავით აღტაცებისა და პირველკაცობის ჭია, თუმცა იმასაც ამბობს, რომ „თუ ვინმე იტყვის, რომ უფრო ძლიერი კანდიდატი ჰყავს... დიდი სიამოვნებით ვიქნები რიგითი ჯარისკაცი“.

პოლიტიკაში წარმატება და ავტორიტეტის მოპოვება ძნელი და გმირობის ტოლფასია, თანაც სიზიფეს ლოდია.

სუბარი პოლიტიკაში იმიტომ წამოვიდა, რომ საკუთარი თავის ძიებითაა გართული,

ხელისუფლების მხილებას პრაგმატულად პოლიტიკაში წასვლა არჩია და ფსონიც დასავლეთის მიერ ხელდასმულ, მაღალქულიან პარტიაზე დადო.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

ამერიკელები ჰაიტიდან ბავშვებს იპარავდნენ

ჰაიტის პოლიციის თანამშრომლებმა 31 იანვარს აშშ-ის ათი მოქალაქე დააკავეს. ისინი ყოველგვარი ნებართვის გარეშე დომინიკანის რესპუბლიკაში 30-ზე მეტი ჰაიტელი ბავშვის გაყვანას ცდილობდნენ.

დაკავებულები ჰაიტში იმ ჯგუფთან ერთად ჩავიდნენ, რომელიც მიწისძვრის შემდეგ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს უნდა დახმარებოდა. სტიქიური უბედურების შემდეგ ჰაიტში ბავშვების გაშვილების ახალი წესები დააკანონეს. ამ წესების მიხედვით, ობლების ქვეყნიდან გასაყვანად ნებართვა პირადად ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჟან-მაკს ბელირივმა უნდა გასცეს. არსებულ ქაოსში ამგვარი სიმკაცრის გამოჩენა ქვეყნიდან მასიურად ბავშვების დანაშაულებრივი მიზნებით გაყვანის მიზეზი გახდა. სტიქიური უბედურების შედეგად ჰაიტიში ათობით ათასი ბავშვი დაობლდა და ბავშვებით ვაჭრობის შეჩერებას ვერანაირი ძალისხმევა ვეღარ უმკლავდება.

წინა პერიოდში თავად ჰაიტის ინტერნეტრესურსების საშუალებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებზე პედოფილები, ადამიანებით და ადამიანთა ორგანოებით მოვაჭრეები ნადირობდნენ.

ახლა დაკავებული ამერიკელები, რომელთაგან ხუთი ქალია და ხუთი მამაკაცი, ირწმუნებიან, რომ დომინიკანაში ბავშვები თავშესაფარში განსათავსებლად მიჰყავდათ, მაგრამ ჰაიტის ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადებით, ეჭვმიტანილებს არ აღმოაჩნდათ რაიმე დოკუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ მათთან ერთად მყოფი ბავშვები ობლები იყვნენ და თავშესაფარს საჭიროებდნენ. ამერიკელებს მათი ქვეყნიდან გაყვანისთვის საჭირო არც ერთი დოკუმენტი არ აღმოაჩნდათ. ჰაიტის სოციალური ურთიერთობების მინისტრმა ამ ფაქტს გატაცება უწოდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

«უგულავამ მოგვისმინოს, თორემ მერიის შენობასთან მივალთ და ცოცხებსა და ნაგავს იქ დავყრით»

ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები საქართველოში უწყვეტად ვლინდება. ამბიციების ფონზე კანონის უხეში დარღვევით სამსახურებიდან თანამშრომელთა დათხოვნა მუდმივად გრძელდება. ახლახან დაშინებითა და პიროვნული შეურაცხყოფით დასუფთავების სამსახურმა რამდენიმე თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლა. უკმაყოფილო მუშებმა დახმარებისა და საკუთარი უფლებების დასაცავად პროფკავშირებს მიმართეს. ისინი კატეგორიულად მოითხოვენ საქმის ძირფესვიანად შესწავლასა და დამნაშავეების დასჯას. აპროტესტებენ ხელმძღვანელებისაგან არაადამიანურ მოპყრობას; ოთხწლიანი მუშაობის მანძილზე მათ არ უსარგებლიათ კუთვნილი შვებულებით და მონურ რეჟიმში მუშაობენ. აღნიშნულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. საქმეს კურირებს მომსახურების სფეროს პროფესიული კავშირის თავმჯდომარე მალხაზ ღონიაშვილი. გვაინტერესებდა, კონკრეტულად რამ გამოიწვია მეეზოვეთა უკმაყოფილება, ვინ ლანძღავს მათ და რამდენად აქვთ სასამართლოს იმედი, რომ ის ობიექტურ დასკვნას დადებს. ამ კითხვებით მივმართეთ მალხაზ ღონიაშვილს.

«ქურთო ცხვრებო, გამოიღვიძეთ!», «მაინც გაგყრით!»

— მეეზოვეთა უკმაყოფილება, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვია იმან, რომ მათ აბუჩად იგდებენ და ხალხად არ თვლიან; მეორე მიზეზი ისაა, რომ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას შეიქმნა პრობლემები. რადგან კონტრაქტში არაა გაწერილი, კონკრეტულად რა ევალებათ მეეზოვეებს, ამიტომ, როგორც აწყობდათ, ისე ამუშავებდნენ. მაგალითად, აქამდე ისინი ნაგავს აგროვებდნენ და ქუჩაში ტოვებდნენ, სხვა ჯგუფი ნიჩბით იღებდა და მანქანაში ყრიდა. სავარაუდოდ, ეკონომიის მიზნით, აიძულეს მეეზოვეები თავადვე აეღოთ დაგროვებული ნაგავი, პლასტმასის პატარა ურიკებში ჩაეყარათ, დიდ თავსახურიან ურნებამდე მიეტანათ, აეწიათ და შიგ ჩაეპირქვავებინათ. ფიზიკურად ამ ყველაფრის გაკეთება, მერწმუნეთ, ძალიან ძნელია. წვალება და ტანჯვა უწევდათ. პროტესტიც ამან გამოიწვია. რაც არ ევალებოდათ, იმის კეთებაზე უარი განაცხადეს, მაგრამ პასუხად მიიღეს, — თუ არ გინდათ, დატოვეთ სამსახურიო! თანაც მეოთხე წელია, შპს არსებობს და ამ ხნის მანძილზე შვებულებით არც ერთ მათგანს არ უსარგებლია. დასვენების უფლება კი ყველა დასაქმებულ პირს აქვს. ეს ამ ხალხსაც უწერია კონტრაქტში (24 სამუშაო დღე შვებულება), მაგრამ მას არავინ ასრულებს.

— გათვლილია თუ არა მათი სამუშაო გრაფიკი?

— რა გრაფიკზეა საუბარი. დილით ადრე უნდა გამოცხადდნენ თავთავიანთ სადგურზე, შემდეგ ბრიგადირი ჩამოივლის და ხდება აღრიცხვა. მათი სამუშაო დღე ოფიციალურად ორშაბათიდან პარასკევამდეა. ბრიგადირები ყოველ შაბათ-კვირას გამოდიან და ამოწმებენ, ვინ მოვიდა და ვინ — არა. აქ უკვე ირღვევა კანონი. რაც შეეხება მძღოლებს, დღე-ღამეში 12 საათს მუშაობენ. ესეც დარღვევაა, რადგან კონტრაქტში მსგავსი რამ არ წერია. მათაც, ასევე, განაცხადეს, გვლანძღავენ და აბუჩად გვიგდებენო.

— კონკრეტულად ვინ ლანძღავს მათ და რატომ?

— მათ ლანძღავს ვინმე ვაკე-საბურთალოს რაიონის უფროსი, მხოლოდ იმიტომ, რომ, უბრალოდ, უფროსია. მოკლედ, პიროვნების უფლებების შელახვა ხდება. როდესაც მოვიდნენ საჩივლელად, უკან მოსდევდნენ ბრიგადირები, ნუ ჩივითო. ორი დღის შემდეგ მხოლოდ 15 ადამიანი მოვიდა. ამ თხუთმეტიდან ოთხი უკვე გაათავისუფლეს. დანარჩენები შეშინდნენ, რადგან გაგდებით დაემუქრნენ.

მუქარა ისმის უფროსისგანაც და ბრიგადირებისგანაც — კონტრაქტს არ გაგიგრძელებთო. ერთ-ერთმა დაზარალებულმა განაცხადა, შვილი და რძალი მუშაობს და, თუ ვიჩივლებ, ორივეს გაგდებით დამემუქრნენო.

დიდუბის რაიონის ბრიგადირი გამოექომაგა ამ ხალხს, შეაგულიანა და ურჩია, რომ ხმა უნდა ამოეღოთ და, რაც კანონით ეკუთვნით, ის მოეთხოვათ. მალე ის ბრიგადირიც სამსახურიდან გაათავისუფლეს. შემდგომ მოვიდა ჩვენთან პროფკავშირში და საკრებულოს თავმჯდომარეს ერთად წერილი მივწერეთ. ასევე გვაინტერესებდა, ბიუჯეტს რომ ამტკიცებენ, გათვალისწინებული იყო თუ არა ამ ხალხის საშვებულებო თანხები და შეხვედრას ვითხოვდით. იურიდიულმა სამსახურმა მიგვიღო და ასეთი უცნაური პასუხი გაგვცა: **„ჩვენ, უბრალოდ, ვამტკიცებთ, თუ რა ხარჯები სჭირდება ბიუჯეტს, დანარჩენი შპს-ს ჰკითხეთო.“** შემდეგ წერილობით მივმართეთ ტარიელ ხიზანეიშვილს და დიალოგის გზით ვთხოვეთ პრობლემების აღმოფხვრა. პასუხად მივიღეთ, რომ შპს ცალკე დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და ჩვენ მათ საქმიანობაში ვერ ჩავერეოდით, მაგრამ გვთხოვა, მიგვეცა იმ ხალხის გვარები ვინც თქვენი წევრები არიან და ვინც მსგავსი კითხვებით მოგვმართა.

— ამბობენ, რომ განაწყენებულთა შორის, ძირითადად, ქურთი მეეზოვეები არიან.

— ძირითადად, ქურთები მოდიან, მაგრამ არიან ქართველებიც. მათ ხელმძღვანელები ეუბნებიან, რომ სასამართლოც ჩვენ ვართ და ყველაფერიო. ამ ხალხს, **უფრო უპრიანი იქნება, რომ დაჩაგრულები ვუწოდოთ, ვიდრე განაწყენებული.** მათ ისე აწერინებენ ხელს კონტრაქტზე, რომ შიგ არც კი ახედებენ. დანამდვილებით ვიცი, რომ რამდენიმე დღის წინათ მიუტანეს კონტრაქტი, ერთწლიანიაო, უთხრეს და სწრაფად მოაწერინეს ხელი; არც ასლი მისცეს და არც ის იციან, რა ეწერა კონტრაქტში.

პროექტი „ჩვენი ქალაქის მეეზოვე“, ცუდი არაა, მაგრამ ვინ ასრულებს?! **მუშებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავენ: „ქურთო ცხვრებო, გამოიღვიძეთ!“, „მაინც გაგყრით!“** და ა.შ. წარმოუდგენელია ეს ყველაფერი, მაგრამ მართლაც ასეა.

— როგორ ფიქრობთ, მოიგებთ თუ არა სასამართლო პროცესს?

— დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ. მათ შვებულების თანხა კანონიერად რომ ეკუთვნით, ეს უტყუარია. რადგან თანამშრომლები უკანონოდ გაათავისუფლეს. ჩვენ რამდენიმე მოთხოვნა წავუყენეთ სასამართლოს, მათ შორისაა შვებულება, კონტრაქტით გათვალისწინებული განაცდურის გაცემა და სამსახურში აღდგენა. **ალბათ, იფიქრეს, არ იჩივლებენ, პატრონიც არ ეყოლებათ და სხვებისათვის მაგალითი იქნებაო. რაც უბრალოდ, შანტაჟია, სხვა არაფერი.** ემუქრებიან შვილს, რძალს, მამას გაგიგდებ სამსახურიდანო და ამ მუქარის გამო დუმან. სასამართლოზე მოპასუხე მხარემ განაცხადა, შვებულება არ მოუთხოვიათო. რა სისულელეა, ოთხი წელი იმუშაო და შვებულება 3500 კაციდან ერთმაც არ მოითხოვოს. დავუშვათ ასეცაა, მაგრამ შრომის კოდექსით, კანონი ავალდებულებს ადმინისტრაციას, თუ მას სჭირდები, შეუძლია პირველ წელს უარი თქვას შვებულებაზე, მაგრამ მეორე წელს ვალდებულს გხდის, გახვიდე შვებულებაში. სამწუხაროდ, ოთხი წელია, ამ ყველაფრის იგნორირება ხდება.

„საქართველო და მსოფლიო“ რამდენიმე დაზარალებულს გაესაუბრა. აი, რას ყვებიან ისინი:

მერაბ შხოიანი: „ოთხი წელია, დაუღალავად ვმუშაობ. ჩვენთვის დასვენება არ არსებობს. დაგვღალა ამდენმა შეურაცხყოფამ და დამცირებამ. ადამიანებად არ გვთვლიან. ამდენი ხნის მანძილზე ქურთები ცხოვრობენ საქართველოში და მსგავსი რამ არ ყოფილა. რატომ არ ფიქრობენ, რომ მართლაც რაღაც გაუჭირდა ამ ხალხს და ამიტომაც მიმართეს პროფკავშირს. ხელფასის გაზრდა ნამდვილად არ გვითხოვია. შეიძლება უპატივცემლოთაც ჩაგვითვალოს, მარამ სისულელე თქვა ხელმძღვანელმა. 1000 ლარები არ გვინდა. უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ, მონები კი არა!“

ერთო კალოიანი: „ოთხი წელია, თბილისს ვასუფთავებთ. ვმუშაობ თითქმის დილიდან საღამომდე. არაფრად გვაგდებენ. დასვენების უფლებაც არ მოგვცეს. ახლა სამუშაო დაგვიმატეს. ადრე ნაგავს ვაგროვებდით ერთ ადგილას. პატარა ურნები მოგვცეს და თქვენვე ჩაყარეთ და დიდ სანაგვეებზე გადაიტანეთო. ამის შესრულება არ გვეკუთვნის. **გვაშინებენ და „ბრიყვ“ ქურთებს გვეძახიან. გაშვებით გვემუქრებიან. არაფერი თქვათ, თორემ არ გამუშავებთო.**

ჩემი ოჯახიც მუშაობს და არ მინდა, პრობლემები გაუჩნდეთ, მაგრამ მეტს არ მოვითმენთ. თუ არ დაგვაკმაყოფილებენ, უგულავას აქციებს გავუმართავთ.

დავიღალეთ უფროსებისაგან დამცირებით. ყველაფერს გვეუბნებიან, გვლანძღავენ. ჩვენ ვასუფთავებთ ქალაქს და ეს არ გვეკუთვნის. მერმა მოგვისმინოს თორემ მერიას შენობასთან მოვალთ და იქ დავუყრით ცოცხებს და ნაგავს. ნახოთ შემდეგ რა სისუფთავე ექნება. ვითმენთ დიდი ხანია და მეტს არ მოვითმენთ. თვითონ დაგვან და ნახავენ როგორი მუშაობაა.“

ჩვენ გავესაუბრეთ დასუფთავების სამსახურის დიდუბის განყოფილების ბრიგადირს, **ნუგზარ ქანთარიას**, რომლის სამსახურებრივი საქმიანობა აღნიშნულ გარემოებას შეეწირა. მან თქვა:

„არსებობს ქალაქის დასუფთავების შპს „თბილსერვის“ ჯგუფი, რომლის დამკვეთია დასუფთავების სამსახური. ფაქტობრივად, ამ შპს-ს განაგებს დასუფთავების სამსახურის უფროსი ტარიელ ხიზანეიშვილი. დასუფთავების სამსახურის არსებობის დღიდან ვიბრძოდი, ხმამაღლა ვაცხადებდი, დაუფარავად ვითხოვდი კუთვნილი დასვენებებითა და შვებულებებით გვესარგებლა. სხვადასხვა სახის დარღვევები ხდებოდა.

თანამშრომლებს ისე აწერინებდნენ კონტრაქტზე ხელს, რომ მისი წაკითხვის უფლებასაც არ აძლევდნენ.

იქ არიან მუშები, მძღოლები და ბრიგადირების დიდი ნაწილი, რომლებიც ყოველდღიურად, ყოველგვარი დასვენების გარეშე 10-12 საათს მუშაობენ. **არის საშინელი მოპყრობა, უდიერი დამოკიდებულება, რაც ბატონყმობას გვახსენებს. საქართველოს ნაწილი მართლაც ვითარდება. ესენი კი დროში ჩარჩენილები არიან.** ოთხჯერ ვესაუბრე ტარიელ ხიზანეიშვილს ამის შესახებ, მაგრამ სიტუაცია უფრო და უფრო უარესდებოდა. მოკლედ, დიალოგის რესურსი ამოვწურე და შემდგომ მივმართე პროფკავშირებს. პოლიტიკური ორიენტაციით ვარ მემარჯვენე და პროფკავშირები მაინცდამაინც გულზე არ მეხატებოდა. სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო წყვეტს ამგვარ დავებს და არა — პროფკავშირები, მაგრამ იძულებული გავხდი, მათთვის მიმემართა. შემდგომ ერთობლივად გადავწყვიტეთ მიგვემართა ზაალ სამადაშვილისათვის. ზაალმა გაგვამწესა იურისტებთან, რომლებთანაც დიალოგი არ შედგა. შემდეგ ტარიელ ხიზანეიშვილმა განმიცხადა, რომ მე ვიყავი კარგი მუშაკი, ის ჩემით ამაყობდა და დაწინაურებასაც კი მიპირებდა, მაგრამ, რადგან „გარეთ მოძრაობ“, გათავისუფლებ სამსახურიდანო.

ამ ყველაფრის შემდეგ განცხადებით მივმართე ქალაქის მერს და შეხვედრა ვთხოვე. საბჭოური ტრადიცია გამახსენდა, — მან მიმართვა გადაგზავნა იმათთან, ვისთანაც კონფლიქტი მაქვს. მჯერა სასამართლოში გავიმარჯვებთ. ვადასტურებ, რომ ჩემს მუშებს მოვუწოდებდი, დაეცვათ თავიანთი უფლებები. **ჩემს კონსტიტუციურ უფლებას ვიყენებდი. მათ შექმნეს მიკროკლიმატი, წარმოდგენა არა აქვთ რა ხდება ქვეყანაში. ხიზანეიშვილმა განაცხადა 800-900 ლარს ითხოვენ ხელფასს, ვერ დავაკმაყოფილებდით და იმიტომ დავითხოვეთო. ეს სიცრუეა — ხელფასის გაზრდა არავის მოუთხოვია.** სირცხვილია, ასეთ ტყუილებს რომ ამბობენ. მიყვარს ეს ქვეყანა და ხიზანეიშვილს, უფლებას არ მივცემ, რომ მოქალაქეებს როგორც პირუტყვებს, ისე მოეპყრას“.

ირმა ჩიტაია

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

შვილის ნათლიამ ნათლიმამა სასიხარულოდ განირა

„საქართველო და მსოფლიომ“ მკითხველს შესთავაზა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გასაიდუმლოებული ბრძანება იმის შესახებ, თუ რომელი დაავადების მქონე პატიმრები ექვემდებარებიან სასწრაფოდ განთავისუფლებასა და სათანადო მკურნალობის გავლას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში. რედაქციას დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე მომართეს პატიმართა ოჯახებმა, რადგან მათ ხელთ არსებულმა საბუთებმა სასურველი (კანონიერი) შედეგი ვერ გამოიღო. არადა, ყველა პარამეტრით ამ დასკვნების შემდგომ მხოლოდ გარდაცვალების მოწმობაღა ივსება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული სამედიცინო სამსახურის მიერ. „საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი სტუმარია ყოფილი „მზიურელი“ ლელა ამირანაშვილი, რომლის მეუღლეც — თამაზ კეკელია ამჟამად უმძიმესი ავადმყოფია და პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო-სამედიცინო დაწესებულებაშია (ქ. თბილისის №8 საპყრობილის ტერიტორიაზე) მოთავსებული.





ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა

შ ე დ ე გ ე ბ ი: 1. სამედიცინო საბუთებით და ექსპერტიზაში მოწვეული სპეციალისტების მიერ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევებით მსჯავრდებულ თამაზ კეკელიას დაუდგინდა დიაგნოზი: C ჰეპატიტი ქრონიკული ფორმა, ღვიძლის ციროზი ჩაილდით C სტადია, ასციტი, ენცეფალოპათია I ხარისხის. საყლაპავი მილის ვენების ვარიკოზული გაგანიერება IV ხარისხის, გასტროპათია, ქრონიკული ეროზიული გასტრიტი, ეზოფაგიტი, ეროზიული ბულბიტი.

ჰეპატოლოგიური თვალსაზრისით თ. კეკელია ამჟამად მიეკუთვნება მძიმე ავადმყოფთა კატეგორიას და ესაჭიროება ადექვატური მკურნალობა სტაციონარის პირობებში.

2. სასჯელის მოხდის პირობებში თ. კეკელიას დაავადების პროგრესირებაზე და ჯანმრთელობის შემდგომ მდგომარეობაზე მსჯელობა ექსპერტიზას არ შეუძლია.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი — ი. ბახტაძე

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის განყოფილების გამგე — ვ. ქერაშვილი

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ენდოსკოპისტი,მედ.მეცნ.დოქტორი — მ. გურგენიძე

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი — თ. ჭამუშაძე

ეს საქმე ბევრს გადაიყოლებს

ლელა ამირანაშვილი:

— თქვენ გაიხარეთ, იმ საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის, იმედი რომ მომცა. ახლა კი მოგიყვებით ჩემი ოჯახის უბედურებას. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას, სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა ირაკლი ბახტაძემ დაადასტურა, რომ თამაზ კეკელიას მდგომარეობა უმძიმესია, რომ იგი პრაქტიკულად არ განიკურნება, მიეკუთვნება იმ ჩამონათვალს, რომელიც მითითებულია ჯანდაცვისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ დამტკიცებულ დაავადებათა ჩამონათვალში, რომელიც ექვემდებარება გადავადებას; გარდა ამისა, მას არ უტარდება შესაბამისი მკურნალობა, რის გამოც შესაძლოა პატიმარ კეკელიას ჯანმრთელობის მდგომარეობა უმოკლეს დროში გარდაცვალებით დასრულდეს და ა.შ., მაგრამ მოსამართლე გიორგი არევაძემ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შიკრიკმა მიხეილ ძიგრაშვილმა ყურიც არ შეიბერტყეს და 14 იანვარს არ დაუკმაყოფილეს შუამდგომლობა სასჯელის გადავადებაზე. ჩემი მეუღლე ნასამართლევი არასოდეს ყოფილა, არ ყოფილა ეჭვმიტანილიც კი და...

— თქვენი მეუღლე რა მუხლით იხდის სასჯელს?

— 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მაგრამ ამ მუხლების მიღმა ისეთი შემზარავი ისტორია იმალება, თმები ყალყზე დაგიდგებათ. ამდენი ხანი გაჩუმებული ვიყავი და ველოდებოდი, სადამდე მივიდოდა პროკურატურისა და სასამართლო ხელისუფლების აღვირახსნილობა, მაგრამ ახლა გაჩუმებას არ ვაპირებ და, შინაური იქნება თუ გარეული, კეთილი ინებოს და იმოქმედოს ისე, როგორც ამას მორალი და კანონი ითხოვს!

— ცოტა არ იყოს, ქარაგმებით მიანიშნებთ რაღაცას. გვიამბეთ, რაშია საქმე?

— შარშანწინ ჩემი შვილის ნათლიამ დავით მანწკავამ ბესო საყვარელიძისგან მიიღო შეკვეთა, გერმანიიდან თურქეთამდე ჩამოეტანა „სუბოტექსი“, რაც განახორციელა კიდეც (ეს ყველაფერი დავით მანწკავამ სასამართლოზე თქვა). შეთანხმებისამებრ, ბესო საყვარელიძე თურქეთში დახვდა მანწკავას და ახლა ბესომ თურქეთ-საქართველოს საზღვარზე უპრობლემოდ გადმოიტანა 200 აბი „სუბოტექსი“. თბილისში, ჩემი მეუღლის ოფისის კარებთან შეხვდნენ ისინი ერთმანეთს, კერძოდ —სადარბაზოსთან. ბესო საყვარელიძემ პოლიეთილენის პარკიდან, რომელშიც წამალი ეყარა, ამოიღო რამდენიმე აბი და დავით მანწკავას გადასცა ვინმე კოტიასა და გველესიანისთვის გადასაცემად, ფული გამოართვა და პარკი უბეში ჩაიდო, რის შემდეგაც ისინი ერთად ავიდნენ ჩემი მეუღლის ოფისში. ვიმეორებ, მთელი ეს ისტორია დავით მანწკავამ სასამართლოზე აღიარა. თქვა ისიც, რომ ბესო საყვარელიძეს ისიც უთხრა: „თაზომ არ გაგვიგოს, თორემ დედას მ....სო!“ ოფისში ასვლის შემდეგ სუბოტექსიანი პარკი ბესო საყვარელიძემ სად დადო (დამალა), მანწკავას არ დაუნახავს, მაგრამ საყვარელიძემ, როგორც ეტყობა, კარგად აუხსნა ეს პოლიციას, რომელიც „დანაშაულის“ ადგილზე დაუბრკოლებლად მივიდა ჩემი ოჯახის გასაუბედურებლად. ჩემმა მეუღლემ, როგორც დაკავებული მანწკავა ამბობს: არაფერი იცოდა, მაგრამ მთელი ამ ისტორიის „წყალობით“ დღესაც ციხეშია და თანაც ისეთ მდგომარეობაში, რომ, როდის დამირეკავენ „თამაზი გარდაიცვალაო“, არ ვიცი!

— რა ბედი ეწიათ ამ საქმეში მხილებულ მანწკავასა და საყვარელიძეს?

— მანწკავას საპროცესო გარიგებით 60.000 გადაახდევინეს და დღესაც გარეთაა, ხოლო მთავარი დამნაშავე, ბესო საყვარელიძე იმავე დღესვე გაათავისუფლეს და მოწმის სახითაც კი არ დაკითხულა, რადგან სასამართლოზე ითქვა, რომ იგი **სოდის** მიერ იძებნება. სინამდვილეში კი საყვარელიძე ამ ცხოვრებით ტკბება — ხან ჰოლანდიაში, ხან ინგლისში და ხანაც ევროპის რიგ ქვეყნებში... ამჟამად იგი თბილისშია, ვერის უბანში წამოკოტრიალებული და ფეხზე ჰკიდია, უდანაშაულო ადამიანი მისი გულისთვის როგორ იტანჯება!

— ვიტოვებ უფლებას და გკითხავთ: ბესო საყვარელიძე პოლიციის უშტატო თანამშრომელია? რატომ ეპატია მას ყველაფერი?

— ფაქტი ერთია, იგი მაშინვე გაათავისუფლეს, მოწმედაც კი არ დაკითხულა, ჩვენება არ მიუცია და ვინ არის, მკითხველმა განსაჯოს! განსაკუთრებით კი იმაზე მწყდება გული, რომ ეს ნაძირალა ჩემი ქმრის მამიდაშვილია, ხოლო დათო კეკელია — ჩემი შვილის, 4 წლის ლიზის ნათლიაა! ის, ვინც ამ საქმეს იძიებდა, პროკურორი სალია, ამჟამად პატიმრობაშია (ოღონდ სულ სხვა საქმეზე). გარდაიცვალა ამ საქმის ერთი მონაწილეც, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თაზოს უსამართლო პატიმრობას არა და არ დაადგა საშველი! თქვენს გაზეთში როგორც კი გამოქვეყნდა იმ სნეულებათა სია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ჩვენი ოჯახის წევრს სულ ცოტათი მაინც გაუხანგრძლივდეს სიცოცხლე, დავიწყე საბუთების შეგროვება, ვისთან აღარ მივედი, მაგრამ ცხვირწინ მიჯახუნებენ კარს და პასუხის ღირსადაც არ მთვლიან! აი, უკვე მერამდენედ ვცდილობ ქალბატონ მინისტრ კალმახელიძესთან მოვხვდე, მაგრამ ამაოდ! ვანო მერაბიშვილზე და ზურაბ ადეიშვილზე უკვე აღარც ვსაუბრობ!

დღეს ჩემი მეუღლე, ციხის საავადმყოფოში უმედიკამენტოდ არის დარჩენილი, იმიტომ, რომ აღარ აქვთ! აქამდე ასმევდნენ 30-თეთრიან პრეპარატ „კარსილს“, არადა, მისთვის აუცილებელი იყო პრეპარატი „ალბუმინი“, რომელიც 500 ლარი ღირს! აბა, მითხარით, ეს ნორმალურია? პატრონს უფლება არ აქვს, თავის პატიმარს წამალი მიაწოდოს, თუ ნება დაგრთეს, ეს ისე ხანგრძლივი პროცედურაა (დაახლოებით 2 თვე) რომ შესაძლოა, ამ დროში პატიმარი გარდაიცვალოს კიდეც!

— თქვენ ბრძანეთ, რომ მანწკავა საპროცესო გარიგებით, განთავისუფლდა, თქვენ არ შემოგთავაზეს იგივე?

— დიახ, მაგრამ ჩვენ „წამლით“ არ „ვბარიგობდით“ ზოგიერთებივით, თავს დამნაშავედ არ მივიჩნევდით და მითხარით 250000 დოლარი რაში უნდა გადაგვეხადა? ჩვენი დანაშაული მხოლოდ იმაში იყო, რომ უბეში გველები გვეჯდა და, ვიდრე არ დაგვგესლეს, აზრზე ვერ მოვედით, ვისთან გვქონდა საქმე! ვიმეორებ: დღეს გარეთ მყოფი დავით მანწკავა ჩემი და თაზოს შვილის — ლიზის ნათლიაა, ხოლო პოლიციის „ლუბიმჩიკი“ ბესო საყვარელიძე — **სოდისთვის** მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა, ჩემი ქმარი კი — მთელ ამ ისტორიაში განტევების ვაცი. ჯანდაბას ყველაფერი! ვიცი, ღმერთი დაუსჯელს არავის დატოვებს, მაგრამ იქნებ ვინმემ გამცეს პასუხი ერთადერთ კითხვაზე: — მაქვს თუ არა კანონიერი უფლება ჩემს ქმარს, მსჯავრდებულ და უმძიმეს ავადმყოფ თამაზ კეკელიას სიცოცხლის ბოლო თვეები ოდნავ შევუმსუბუქო, მოვუარო და შინ დავუხუჭო თვალები? გამაგებინოს ვინმემ, აკრძალული მაქვს ეს ყველაფერი? ბავშვს, 2 წელია, მამა არ უნახავს, საშინლად განიცდის მის ხანგრძლივ „მივლინებას“ (ასე ვეუბნები) და სულ მეკითხება: როდის ჩამოვა ჩემი მამიკო?.. (*ტირის*) არ გავჩერდები, სულ აღარ მანაღვლებს არაფერი, ჩემი ლიზის ნაღვლიანი თვალების შემხედვარეს, მაგრამ ერთი რამ კი ყველამ მინდა იცოდეს — ეს საქმე ბევრს გადაიყოლებს, ამიტომ დროულად მოეგონ გონს და ჩემი ავადმყოფი, მომაკვდავი ქმარი სახლში გამომატანონ! ხომ გაგიგიათ: „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო“! ჰოდა მიფრთხილდნენ, უკვე გაწეულიც მაქვს და ჭკუიდანაც გადამდგარი ვარ!

„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ექსპერტიზის დასკვნას პატიმარ თამაზ კეკელიას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თავად განსაჯეთ, ასეთ მძიმე ავადმყოფს რატომ არ ათავისუფლებენ კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით, თუკი ამ ისტორიაში პოლიციის, პროკურატურის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასამართლოს დაინტერესება არ არის?

ირინე გოგოსაშვილი

ლელა ამირანაშვილი:

მაქვს თუ არა კანონიერი უფლება, უმძიმეს ავადმყოფ და მომაკვდავ ქმარს შინ მოვუარო და დავუხუჭო თვალები?

პატრონი თავის პატიმარს დროულად წამალს ვერ ანვდის, რადგან, ეს ისე ხანგრძლივი პროცედურაა, შესაძლოა, ამ დროში პატიმარი გარდაიცვალოს კიდეც!

3 — 9 თებერვალი, 2010 წელი. №4 (47)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რა დამოკიდებულებაა ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის

ზნეობრივი საყრდენის გარეშე ადამიანთა საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია, რადგან იგი, ცხოველთა მსგავსად, მხოლოდ ფიზიკური ძალით იცხოვრებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს სჭირდება ზნეობრივი ძალა ქრისტიანული ეკლესიის სახით. დღეს სწორედ ამ ურთიერთდამოკიდებულებაზე გვესაუბრება დეკანოზი ამირან ამირანაშვილი, თბილისის სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოძღვარი.



დასასრული. დასაწყისი იხ. №3

— რა უნდა ქნას სახელმწიფოსგან დევნილმა ეკლესიამ?

— ეკლესია, როგორი დევნილიც უნდა იყოს სახელმწიფოსგან, სრული სასოებით, მშვიდად უნდა დაელოდოს იმ დროს, როცა მას სახელმწიფო თავისი ინტერესებით შეუერთდება და ისარგებლებს იმ ზნეობრივი ძალით, რომელიც მხოლოდ ეკლესიას გააჩნია.

— როგორია იდეალური დამოკიდებულება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის?

— ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულების იდეალური ფორმა მხოლოდ მართლმადიდებლური მოძღვრების ნიადაგზე შეიძლება ჩამოყალიბდეს, რადგან ეკლესიის ხედვა ჭეშმარიტია.

— ეკლესიის პრივილეგიებზე რას გვეტყვით?

— ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ორმხრივი მოვლენაა, ამიტომ ისტორიულად, როცა სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიას უდიდეს სახალხო სიწმინდედ აღიარებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს სახელმწიფო მართლმადიდებლურია. ამასთან, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: სახელმწიფოში, სადაც მართლმადიდებლურ ეკლესიას განსაკუთრებულ პრივილეგიებთან დაკავშირებული ოფიციალური სტატუსი აქვს, ხოლო არსებულ რელიგიურ უმცირესობათა უფლებები ილახება ამ პრივილეგიებით, ძნელია იმის თქმა, რომ მოცემულ შემთხვევაში ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება იდეალურად არის მოწესრიგებული.

— რაში ხედავთ გამოსავალს?

— როგორც ჩანს, მხოლოდ მონორელიგიურ, მონოკონფესიურ მართლმადიდებლურ სახელმწიფოს შეუძლია ეკლესიასთან ისეთი კავშირის დამყარება, მოქალაქეთა კეთილდღეობასა და სამართლიანობას ზიანს რომ არ მიაყენებს.

— თქვენ მიერ დასახელებულ პირობებს, მეტნაკლებად, აღმოსავლეთ რომის იმპერია (ბიზანტია) შეესაბამებოდა...

— კი, მაგრამ მთლიანად არა. შეგახსენებთ, რომ სწორედ ბიზანტიაში შეიმუშავეს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც იმპერიის სახელმწიფო კანონებსა და სჯულის შეხებაში შევიდა.

— სხვათაშორის, წმიდა მამათა ნაწერებშიც აისახა...

— ამ პრინციპებმა ერთობლიობაში ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის სახელწოდება მიიღო.

— რაში მდგომარეობს სიმფონიის არსი?

— სიმფონიის არსს წარმოადგენს ერთი მხარის მიერ მეორის განსაკუთრებული კომპეტენციის სფეროში შეჭრის გარეშე ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობა.

— ეპისკოპოსი ემორჩილება სახელმწიფო ხელისუფლებას?

— დიახ, ემორჩილება, რადგანაც სახელმწიფოს ქვეშევრდომია და არა იმიტომ, რომ მისი საეპისკოპოსო ხელისუფლება თითქოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლიდან მომდინარეობს.

— სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი თუ ემორჩილება ეპისკოპოსს?

— ემორჩილება, მაგრამ იმიტომ, რომ ისიც ეკლესიის წევრი და ცოდვილი ადამიანია, რომელიც სხვებივით სულის გადარჩენას, ხსნას ელის და არა იმის გამო, რომ მისი ხელისუფლება თითქოს ეპისკოპოსის ხელისუფლებიდან მომდინარეობს.

— რას ითხოვს სახელმწიფო ეკლესიისგან?

— ეკლესიასთან სიმფონიური დამოკიდებულების დროს სახელმწიფო მისგან ითხოვს მორალურ და სულიერ მხარდაჭერას, ლოცვის აღვლენას, კურთხევას მოქალაქეთა საკეთილდღეოდ განხორციელებული საქმისთვის.

— რას ითხოვს ეკლესია სახელმწიფოსგან?

— როცა მათი დამოკიდებულება სიმფონიურია, ეკლესია სახელმწიფგოსგან ითხოვს დახმარებას იმ პირობების შესაქმნელად, რაც სახარების ქადაგებასა და სულიერი შვილების წინამძღვრობას უწყობს ხელს. კართაგენის კრების მონაწილეებმა საეკლესიო კანონით განამტკიცეს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს კეთილმსახურნი ხელისუფალნი მოწოდებულნი არიან კათოლიკე ეკლესიის დასაცავად.

— სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ეკლესია მოძალადეთაგან?

— ეკლესია, მოძალადეთაგან თავისი წევრებისა და ტაძრების დასაცავად, არ კრძალას თხოვნით მიმართვას ნებისმიერი კანონიერი სახელწმიფო ხელისუფლებისადმი, ეკლესიასთან მისი დამოკიდებულების მიუხედავად. სხვათაშორის, მართლმადიდებელი ბიზანტიელი იმპერატორები, კრიტიკულ მომენტებში, ყოველთვის ერთგულად იცავდნენ ეკლესიას. კანონთა კრებულში „ეპანაგოგია“ (IX საუკუნის მეორე ნახევარი) ვკითხულობთ: „საერო ხელისუფლება და მღვდლობა ერთმანეთს ისევე ეკუთვნიან, როგორც ხორცი და სული“. აი, რა წერია VII მსოფლიო კრების აქტებში: „მღვდელი საიმპერატორო ხელისუფლების მაკურთხეველი და განმამტკიცებელია, ხოლო საიმპერატორო ხელისუფალი — სამართლიანი კანონების მეშვეობით ქვეყნის მმართველი“. მეფეთა მირონცხების წესიც აქედან მომდინარეობს და ამიტომ იღებდნენ მონაწილეობას ხელმწიფენი პატრიარქთა დადგინებაში. საერთოდ, როცა ეკლესიის სახალხო-სამართლებრივი სტატუსი აღიარებულია, სახელმწიფოს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ახალი ეპარქიებისა და სამრევლოების დაარსებასა და მათ შორის საზღვრების დადგენაში, მონასტრებისა და საუნივერსიტეტო სკოლების გახსნაში, ქრისტიანული სასაფლაოების მოწყობაში, საეპისკოპოსო და სხვა საეკლესიო-თანამდებობრივ ადგილთა დაწესებაში.

— როდის შეიქმნა „ორი მახვილის“ დოქტრინა?

— შუა საუკუნეების ევროპულ დასავლეთში, კათოლიკური ეკლესის წიაღში, ნაწილობრივ ნეტარი ავგუსტინეს თხზულების „საღმრთო ქალაქის“ გავლენით, შეიქმნა „ორი მახვილის“ დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ორივე ხელისუფლება — საეკლესიო და სახელმწიფო — ერთი უშუალოდ, მეორე კი შუამავლობით, რომის ეპისკოპოსისგან მომდინარეობს. შუა საუკუნეების რომში საერო ხელმწიფეები პაპის ვასალებად ითვლებოდნენ.

— რამდენად ძლიერი იყო პაპის ზეგავლენა?

— პაპი აკურთხებდა იმპერატორებსა და მეფეებს, მაგრამ, გარდა ამისა, საკუთარ თავს მათი ტახტიდან ჩამოგდების უფლებასაც აძლევდა. ბუნებრივია, პაპების ამხელა უფლებების წინააღმდეგ გაიღაშქრეს ხელმწიფე-იმპერატორებმა და მეფეებმა. პრიორიტეტის დასაცავად პაპები და კათოლიკე ეპისკოპოსები შეიარაღებულ ძალასაც იყენებდნენ, რასაც შედეგად კათოლიკური ეკლესიის ეტატიზირება მოჰყვა. პაპები სრულუფლებიანი მონარქები იყვნენ იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილის, ე.წ. პაპის ოლქისა, რომლის ნაშთსაც თანამედროვე ვატიკანი წარმოადგენს.

„ორი მახვილის“ შუასაუკუნეობრივი დოქტრინის ნაშთად, ვატიკანის სახელმწიფოს გარდა, რჩება აგრეთვე, რომის კურიის უცვლელი ლტოლვა კონკორდატის ფორმით ხელშეკრულების დადებისა იმ სახელმწიფოებთან, რომელთა ტერიტორიებზეც კათოლიკური თემი არსებობს, რის გამოც ამ ქვეყნებში კათოლიკური თემის სამართლებრივი სტატუსი არა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთარი კანონებით, არამედ საერთაშორისო სამართლითაც რეგულირდება, რადგანაც კონკორდატი საერთაშორისო სამართლის სფეროს განეკუთვნება.

— როგორც მახსოვს, რეფორმა გატარდა და სიტუაციაც შეიცვალა...

— რეფორმის შედეგად გაჩნდა ახალი სისტემა, რომლის დევიზიც იყო: „ვისიცაა ხელისუფლება, რელიგიაც მისია“.

— რას გულისხმობს ეს დევიზი?

— უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისგან განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მიმდევართა დევნასა და ქვეყნიდან გაძევებას, მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას.

— რას ნიშნავს სახელმწიფოებრივი ეკლესიურობა?

— რელიგიური თემი, რომელსაც ოფიციალურად ეკლესიის თავად წოდებული ხელმწიფე ეკუთვნოდა, სახელმწიფო ეკლესიის უპირატესობით სარგებლობდა, ხოლო სხვა რელიგიური თემების უფლებები შეზღუდული იყო.

— ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მრავალკონფესიური სახელმწიფოა. საინტერესოა, იქ რა ვითარებაა?

— აშშ თავისი ისტორიის დასაწყისიდან მრავალკონფესიური ქვეყანაა, რის გამოც განმტკიცდა სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის პრინციპი.

— რა მოიაზრება გამოყოფის პრინციპში?

— ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობა, რელიგიური თემების თავისუფლება და დამოუკიდებლობა, სახელმწიფოს ნეიტრალური დამოკიდებულება ყველა კონფესიისადმი.

— ახერხებენ ამერიკელები ნეიტრალიტეტის დაცვას?

— რა თქმა უნდა, საეჭვოა აბსოლუტური ნეიტრალიტეტის მიღწევა, რადგანაც ნებისმიერი სახელმწიფო იძულებულია, თავისი მოსახლეობის რელიგიურ შემადგენლობას ანგარიში გაუწიოს.

— ამერიკა თუ უწევს?

— შეერთებულ შტატებში უმრავლესობას ცალკ-ცალკე აღებული არც ერთი ქრისტიანული დენომინაცია არ წარმოადგენს, მაგრამ დიდ უმრავლესობას მაინც ქრისტიანები შეადგენენ, რის გამოც პრეზიდენტი ბიბლიაზე დებს ფიცს და დასვენების დღედ კვირაა გამოცხადებული.

— თანამედროვე მსოფლიოს რომელი ქვეყნები ინარჩუნებენ სახელმწიფოებრივ ეკლესიურობას?

— დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, დანია, საბერძნეთი...

— თუ არ ვცდები, გერმანიაში ორი სახელმწიფო ეკლესიაა...

— დიახ, კათოლიკური და ევანგელიკური. მაგალითად, ფინეთში ლუთერანული და მართლმადიდებლური ეკლესიები ერთნაირი სახელმწიფოებრივი სტატუსით სარგებლობენ. გამოყოფის პრინციპს მისდევენ, აგრეთვე, საფრანგეთი და პოლონეთი. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ეკლესია სახელმწიფოებრივ სტატუსს ინარჩუნებს, პრაქტიკულად ისე ხდება, რომ მოქალაქეთა მდგომარეობის ამსახველი აქტების რეგისტრაციასთან ერთად, რომელსაც სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები აწარმოებენ, მოქალაქეობრივ-სამართლებრივ ნამდვილობად მიიჩნევა მეტრიკის ჩანაწერები, რომელიც ახალშობილთა ნათლობისას კეთდება; ან საეკლესიო ჯვრისწერის დამადასტურებელი ქორწინების მოწმობა.

— თუ არ ვცდები, ზოგან მოსახლეობა ეკლესიის შესანახად გადასახადსაც იხდის...

— არ ცდებით!.. სახელმწიფო სააქციზო დაწესებულებათა მეშვეობით ხდება გადასახადების აკრეფა.

— გადახდა სავალდებულოა?

— ეკლესიის შესანახ გადასახადზე უარის თქმას, როგორც წესი, არანაირი სამართლებრივი მოთხოვნა არ მოსდევს. დღეს ხელისუფალთა უმრავლესობა იცავს ეკლესიასთან კავშირს და მის საშინაო საქმეებში ლეგალურ საფუძველზე არ ერევა. მონარქიული მმართველობის დროს სახელმწიფოს მეთაური ხშირად არაფრით იზღუდება ეკლესიის მხრიდან, გარდა იმისა, რომ უთუოდ იმ კონფესიას უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც სახელმწიფო სტატუსი აქვს.

— რა განსაზღვრავს ეკლესიის რეალურ მდგომარეობას?

— ამჟამად, ზოგ შემთხვევაში, ეკლესიის რეალურ მდგომარეობას არა კონსტიტუცია, არამედ რელიგიისადმი მთავრობის პოლიტიკის დამოკიდებულება განსაზღვრავს.

ესაუბრა
ნინო გოჟიაშვილი

მათთვის, ვისაც შვილების რელიგიურად აღზრდა სურს

დაეხმარეთ შვილებს შემდეგი ჩვევების გამომუშავებაში:

1. ასწავლეთ ჯვრისა და ხატების თაყვანისცემა, შთააგონეთ, ემთხვიოს ამ სიწმიდეებს; 2. ხშირად ატარეთ ტაძარში; 3. დაანთებინეთ სანთლები ხატების წინ, მათი ხელით შეაგზავნეთ მოსახსენებელი, ასწავლეთ მოწყალებისა და შესაწირის გაცემა; 4. ხშირად აზიარეთ; 5. უზმოზე სეფისკვერი და ნაკურთხი წყალი მიაღებინეთ; 6. ასწავლეთ ლოცვა; 7. მღვდელთან მიიყვანეთ ხოლმე დასალოცად; 8. ასწავლეთ გალობა; 9. ბავშვის თანდასწრებით ისაუბრეთ ღმერთსა და სულის ცხონებაზე; 10. მიაჩვიეთ, სხვებსაც გაუყოს საკვები.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

სად მდებარეობს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რეზიდენცია

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს რეზიდენცია ამჟამად სტამბოლის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან მდებარეობს. 1453 წლამდე იგი აია სოფიას ტაძრის ტერიტორიაზე არსებობდა.

აია სოფიას მშენებლობაზე ათიათასობით მუშა იყო დაკავებული. მის ასაგებად 324 მილიონი დრაქმა დაიხარჯა. ტაძარი 537 წელს აკურთხეს. XIII საუკუნის დასაწყისში ტაძარი ჯვაროსნებმა გაძარცვეს. მეთოთხმეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე აია სოფია მეჩეთად იყო გადაკეთებული.

მოგვიანებით ბიზანტიური ხელოვნების მუზეუმად აქციეს. მართალია, თურქებმა ტაძარს მინარეთები მიაშენეს და ნაწილობრივ დააუშნოეს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ დაუკარგავს თავისი სიდიადე.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რეზიდენცია 1453 წლიდან 1601 წლამდე სტამბოლის სხვადასხვა ეკლესიისა და მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

1601 წლიდან დაფუძნდა წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც ამჟამად საპატრიარქო ტაძრად ითვლება. აქ ინახება იმ ქვის სვეტის ნაწილი, რომელზეც მაცხოვარი იყო მიკრული საპყრობილეში. გარდა ამისა, წმიდა გიორგის ეკლესიაშია სასწაულმოქმედი ხატი, წმინდანთა ნაწილები, საეპისკოპოსო ტახტი, რომელიც გადმოცემის თანახმად, იოანე ოქროპირს ეკუთვნოდა.

კონსტანტინეპოლის ეკლესიას მართავს პატრიარქი და წმიდა სინოდი, რომელშიც 12 მიტროპოლიტი შედის. ახალი პატრიარქის არჩევა სინოდის წევრთა კომპეტენციაა, დაბალი რანგის სამღვდელოება და საერო პირები არ მონაწილეობენ.

კონსტანტინეპოლის ეკლესია ორ მილიონზე მეტ მორწმუნეს აერთიანებს. მათგან თურქეთში ოცი ათასამდე კაცი ცხოვრობს.

საპატრიარქოს შემადგენლობაში შედის თურქეთის ერთი საარქიეპისკოპოსო, ოთხი სამიტროპოლიტო და საბერძნეთის თორმეტი ეპარქია. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლის ეკლესიას საზღვარგარეთ აქვს სამი საარქიეპისკოპოსო — ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის, ფიატისის (ინგლისი) და ავსტრალიის; ექვსი სამიტროპოლიტო: გალიის, გერმანიის, ავსტრიის, შვედეთის, ბელგიის, ახალი ზელანდიის. ყველა ეპარქია პატრიარქსა და წმიდა სინოდს ემორჩილება. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფება, აგრეთვე, ათონის წმინდა მთა და ფინეთის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია.

დიდი აიაზმა — ეკლესიის მცირე საიდუმლო

შვიდი მთავარი საიდუმლოს გარდა არსებობს მცირე საიდუმლოებანიც, თუმცა, ღვთის მადლით, არანაკლებ ძალმოსილნი. ერთ-ერთია დიდი აიაზმის წესით წყლის კურთხევა, რომელიც დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა. ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს.



ძველი ქართველები ამბობდნენ, ნათლისღების დღეს აღებული უბრალო წყალიც კი არ იხრწნებაო. მიაჩნდათ, რომ ამ დღეს ყოველი მდინარისა და ნაკადულის წყალს ისეთივე მადლი ეძლეოდა, იორდანეს რომ მიეცა მაცხოვრის ნათლისღებისას.

ზოგიერთ ჩვენს სოფელში ახლაც არის შემორჩენილი ერთი ძველი ჩვეულება: ნათლისღების დღეს, დილაუთენია, უმძრახად (ხმისამოუღებლად) სამჯერ ავსებენ ჭურჭელს ხევსა თუ მდინარეში და იქვე აქცევენ.

ზოგს კი ეს წყალი საფლავზე მიაქვს და ზედ ასხურებს. ამით თავიანთ მიცვალებულებსაც აზიარებენ ღვთის განცხადების სიხარულს.

VIII საუკუნის თბილისში, კერძოდ 786 წელს, ნათლისღების დღეს, ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ტაძრის ეზოში არაბებმა თავი მოჰკვეთეს გაქრისტიანებულ თანატომელს, წარმოშობით არაბ აბოს, რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და აბო თბილელი უწოდა.

მისმა მოწამეობრივმა სიკვდილმა ქართველები თითქოს ღეთარგიული ძილისაგან გამოაღვიძა და სულიერად გააძლიერა. ასეთი ფაქტი, მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიას კი არა, მსოფლიოს არ ახსოვს.

ნინო გელენიძე: «მართალია გვიან, მაგრამ ჯვარი მაინც დავინერეთ და ჩვენი ოჯახი დანგრევას გადარჩა»

ნინო გელენიძეს სხვებივით სჯეროდა ღმერთის, მაგრამ ტაძარში არ დადიოდა. გოგონას ბავშვობიდანვე სწამდა ძალა, რომელიც მუდამ მასთან იყო ჭირსა თუ ლხინში. გავიდა დრო და, მორწმუნე ბებიის წყალობით, ეკლესიური ცხოვრება დაიწყო, მეუღლესთან ჯვარი დაიწერა და დანგრევის პირას მისული ოჯახი გადაარჩინა.

— ჩვენს დროს ყველას იღებდნენ პიონერებში, გამონაკლისი არც მე ვიყავი. მორწმუნე ბებია რომ არა, ალბათ, დიდხანს დავრჩებოდი მოუნათლავი. ჩემი მშობლები ისეთ თანამდებობებზე მუშაობდნენ, ეკლესიის გვერდით გავლისაც კი ეშინოდათ.

— ბებიას დაყავდით ტაძარში?

— ბებია ძალიან კარგად კერავდა, უამრავი კლიენტი ჰყავდა, მაგრამ კვირაობით ხელს არაფერს ჰკიდებდა, ეს დღე ეკლესიისთვის იყო განკუთვნილი. ტაძარში შვილიშვილებიც დავყავდით. დღეასასწაულებს ყოველთვის ძველი სტილით აღვნიშნავდით.

— თქვენ როდის დაიწყეთ ეკლესიური ცხოვრება?

— სამწუხაროდ, გვიან, უკვე დაოჯახებული ვიყავი.

— რამ შემოგატრიალათ უფლისკენ?

— ოჯახში სერიოზული პრობლემები შეგვექმნა მე და ჩემს მეუღლეს. სამი შვილის დედამ განქორწინებაზე ვიფიქრე.

— რატომ დაგეძაბათ ურთიერთობა?

— დედამთილის გამო, რომელიც სოფლიდან ჩამოვიყვანეთ. ძალიან ცუდად მექცეოდა, ცხოვრება გამიმწარა.

— რატომ, არ მოსწონდით?

— არა, მოწონებით მოვწონდი, მაგრამ სიბერეში ხასიათი გაუფუჭდა, ბავშვივით ჭირვეულობდა, ჩემი გაკეთებული არაფერი მოსწონდა. ამის გამო ხშირად ვჩხუბობდით. ქმარმა მითხრა, დედაჩემს თუ პატივს არ სცემ, ახლავე ჩაალაგე შენი ნივთები და აქედან წადიო. სასოწარკვეთილს ღმერთი გამახსენდა, ეკლესიური ცხოვრება დავიწყე. მოძღვართან საუბარმა დამამშვიდა; მირჩია, ჯვარი დაიწერეთო. ასეც მოვიქეცით... სასწაული მოხდა — სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ღვთის ნებით, ჩემი დედამთილი შეიცვალა, უფრო მორჩილი და დამყოლი გახდა, აღარ მეჩხუბება უმიზეზოდ, ოჯახში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა. დიდება უფალს, მის ძალას ყოველთვის ვგრძნობ, ჭირშიც და ლხინშიც.



სულისთვის სასარგებლო რჩევები

● ნუ მიიჩნევ თავს ყოვლის მცოდნედ. სრულყოფილების რა სიმაღლესაც არ უნდა მიაღწიო, ნუ იტყვი, კარგად ვიციო, რადგანაც, თუ შენი შრომა და ღვაწლი მიეცი ამპარტავნებას, წახდები და აღმოჩნდება, რომ შენი სულის ხომალდს ამაოდ უცურავს ამქვეყნიური ცხოვრების ზღვაში.

● განა შეიძლება, დარდს მიეცეს ის, ვინც თავი ყოველგვარი მწუხარების ღირსად წინასწარვე აღიარა? ამიტომ თავმდაბალი არასოდეს მრისხანებს, არ ეძლევა დარდს და არაფრის ეშინია.

● თუ ცოდვა განუწყვეტლივ გვექნება თვალწინ და დაწვრილებით გამოვიძიებთ, ჩვენში ვერანაირ სათნოებასა და თავმდაბლობას ვერ ვიპოვით.

● ყველანაირად ეცადე, აღზარდო საკუთარ თავში ადამიანების მიმართ სიკეთე. თუ ძალას დაატან შენს გამშრალ სულს, წყლის წვეთებივით ყოველთვის გამოადენ სიკეთეს — მტრების გამართლებას, რაც მათზე სულიერ გამარჯვებას ნიშნავს.

● აჯობე მზეს კეთილშობილებით. იგი ბოროტსაც ათბობს და კეთილსაც. შენ რატომ არ შეგიძლია, სიკეთით გაათბო ორივე?

კითხვა-პასუხი

რას ნიშნავს „ალილო“?

— საქართველოს ყველა კუთხეში „ალილოს“ სხვადასხვაგვარად გალობდნენ. ჩვენი ხალხის ღრმა სარწმუნოების სიმბოლო იყო ეს პატარა საგალობელი.

შობა დღეს, მაგალითად თუშეთში, დიასახლისი აწყობდა ტაბლას, რომელსაც ნათლისღებამდე ხელუხლებლად ინახავდნენ. მას „ქრისტეს სუფრა“ ეწოდებოდა. ტაბლაზე უთუოდ უნდა ყოფილიყო დიდი კოტორები, ანუ ქადები. მათზე თუშები ამბობდნენ, „ქრისტეს საგძალიაო“. თითქოს ეფერებოდნენ ახალშობილ იესოს, ზრდიდნენ, საგზალს უმზადებდნენ, თავს დაჰფოფინებდნენ.

„ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე დაბადებულაო“, — ვადიდებთ უფალს მორწმუნეები. სიტყვა „ალილო“ მოდის „ალილუიდან“, რაც ნიშნავს: „აქებდით თვალსა“.

სად ინახებოდა, გადმოცემის თანახმად, იესო ქრისტეს აკვანი?

— მყინვარწვერზე, სადაც ძველ ქართველებს მიჯაჭვული ამირანი ეგულებოდათ, ზღვის დონიდან 4000 მეტრზე ჩვენმა წინაპრებმა ააგეს მონასტერი და ბეთლემი უწოდეს. ამ მონასტრიდან მთელ საქართველოს სწვდებოდა ღირსი მამების ლოცვის მადლი. ბეთლემი „პურის სახლს“ ნიშნავს. ასე ერქვა ქალაქს იერუსალიმში, სადაც დავით წინასწარმეტყველი და თვით მაცხოვარი დაიბადა. ძნელად მისადგომ მონასტერში ხშირად ინახავდნენ ხოლმე განძს, რაზეც მატიანეებიც მოწმობენ. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ბეთლემში „იტყვიან უფლისა აკვანსა და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსვეტად, უსაბლოთ და სხვათა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ“. მეფე ერეკლეს დროს მღვიმეში ასულა იოსებ მოხევე, წმიდა და ღმერთშემოსილი მამა, რომელსაც უხილავს უფლის აკვანი და აბრაჰამის კარავი, რომლის ნაჭერიც ერეკლესთვის მიურთმევია.

რის აღსანიშნავად კეთდება ჩიჩილაკი?

— 14 იანვარი, ძველით ახალი წელი, წმიდა ბასილი დიდის ხსენების დღეა. იგი საქართველოში დიდი სიყვარულით სარგებლობს. სწორედ წმიდა ბასილის პატივსაცემად აკეთებდნენ ჩიჩილაკს და მას მოფერებით „ბასილის წვერებს“ უწოდებდნენ. ჩიჩილაკი, ტრადიციულად, თხილის ტოტისგან კეთდებოდა, რადგანაც თხილი ნაყოფიერებისა და სიუხვის ქართული სიმბოლოა, ნაძვის ხე გერმანიიდან შემოვიდა. 14 იანვარს აცხობდნენ კაცის ფორმის კვერებს, რომელთაც „ბასილებს“ ეძახდნენ. ამ დღეს ეკლესიაში წმიდა ბასილი დიდის ლიტურგია აღესრულება. ხალხის განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება წმიდა ბასილისადმი იმით აიხსნება, რომ, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, კაბადოკიელი ეპისკოპოსი წარმოშობით ქართველი იყო. წმიდა ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის ბედნიერად წარმართვას, ვაჟიანობასა და საქონლის გამრავლებას.

გვერდი მოამზადა ნინო ბოქიაშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ტერორიზმის ანატომია და ტერორის დედოფალი

ჩვენს დროში ტერორიზმი თითქმის სადაგ მოვლენად იქცა. ტელეარხები ყოველდღე გვამცნობენ, რომ სადღაც რაღაც ააფეთქეს ან ვიღაცები ტერორისტული აქტის მსხვერპლნი შეიქნენ. ისიც გაგვიგია, რომ ტერორიზმის აკვანი აღმოსავლეთში დაირწა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ დედამიწაზე პირველი ორგანიზებული ტერორისტები არაბები კი არა, ებრაელები იყვნენ.


ასასინი

რობესპიერი

როდესაც ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში თანამედროვე ისრაელის ტერიტორიაზე ძველი რომაელები ბატონობდნენ, ზოგიერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება გადაწყვიტა. ისინი სასტიკ პოლიტიკურ მკვლელობებს სჩადიოდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ასეთ ადამიანებს **სიქარებს** უწოდებდა. საქმე ისაა, რომ მკვლელები ე. წ. **სიქას** — მოკლე ხანჯალს იყენებდნენ, რომელსაც იოლად მალავდნენ ლაბადის ნაკეცებში მსხვერპლთან შეუმჩნევლად მიპარვისას. **სიქარები რომაელებსა და მათთან მოთანამშრომლე ებრაელ დიდგვაროვნებს ხოცავდნენ.** XI საუკუნეში არაბებს შორისაც გამოჩნდნენ ტერორისტები — ისმაილიტთა შიიტური სექტის წევრები, რომელთაც **ასასინები** ეწოდათ, **უცხო გვარტომის ხალიფებს ხოცავდნენ სირიაში.** მათ სათავეში ედგათ XII საუკუნის „ბინ-ლადენი," დიდი უხუცესი რაშიდ ად-დინ ას-სინანი. მიიჩნეოდა, რომ **მმართველები ვერსად გაექცეოდნენ მის სასტიკსა და მოუხელთებელ ასასინებს, რომლებსაც მკვლელობის ოსტატობას აუფლებდნენ და გონებას ნარკოტიკებით უბინდავდნენ.** ამიტომაც ეწოდებოდათ მათ „ჰაშიშინები" (ჰაშიშინი არაბული სიტყვაა და ჰაშიშის მწეველს ნიშნავს. ეს სიტყვა ევროპელთა მეტყველებაში „ასასინად" დამკვიდრდა და მკვლელის მნიშვნელობა შეიძინა), რომლებსაც თანამედროვე ტერორისტთა დარად, სიკვდილის არ ეშინოდათ, რადგან ის მათთვის სამოთხის ბაღების კარიბჭეს წარმოადგენდა. **ასასინთა სექტა XIII საუკუნეში მონღოლმა დამპყრობლებმა გაანადგურეს და მთებში მათი სამალავი კოშკებიც დაანგრიეს.**

თავად სიტყვა **ტერორიზმი** საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში იშვა, როცა 1793-1794 წლებში რობესპიერმა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ტერორი გამოაცხადა. ტერორის მთავარი საშუალება იდეოლოგიური მტრების მასობრივი და საჯარო სიკვდილით დასჯა იყო. **„ტერორი, — ამბობდა რობესპიერი, — მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობა, მკაცრი ადექვატურობა, გარდუვალი საზღაურია. ეს ხორცშესხმული სათნოებაა."**

მოკლე ხანში ახალმა ხელისუფლებამ ათასობით ადამიანს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, თუმცა **ტერორის ძალაუფლება ძალიან მალე ბუმერანგად შემოუბრუნდა მის სულისჩამდგმელებს და „გარდაუვალი საზღაურიც" გილიოტინაზე მიართვა.**

სახელმწიფო ტერორი და ტერორიზმი ერთი და იგივე როდია.

1820-იან წლებში იტალიაში, რომელიც მაშინ დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო, ადგილობრივმა მაფიამ და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა ადამიანებმა თავიანთი ძალისხმევა გააერთიანეს და მცირე მონარქისტულ რეჟიმებს ტერორისტული მეთოდებით შეუტიეს: ისინი კლავდნენ ციხის ზედამხედველებს, პოლიციელებს, ჩინოვნიკებს, თავს ესხმოდნენ საპყრობილეებს თანამოაზრეთა გასათავისუფლებლად.

მალე ხელისუფლების წარმომადგენელთა ხოცვა-ჟლეტის იდეა სხვა ქვეყნებმაც აიტაცეს. მაგალითად, საფრანგეთის მეფე ლუი ფილიპეს შვიდჯერ დაესხნენ თავს. 1835 წელს, ერთ-ერთი ასეთი თავდასხმისას, 18 კაცი დაიღუპა და 22 დაიჭრა.

ფრანგული და იტალიური მაგალითით შთაგონებულმა რუსმა ანარქისტებმა გადაწყვიტეს, თვითონაც მიეტანათ იერიში საძულველ თვითმპყრობელობაზე. **ტერორისტთა მთავარ სამიზნედ იმპერატორი ალექსანდრე II იქცა, რომელსაც რვაჯერ დაესხნენ თავს და 1881 წლის 1 მარტს მიზანსაც მიაღწიეს.** ერთ-ერთმა ტერორისტმა იმპერატორის ეტლს ბომბი ესროლა. აფეთქებამ რამდენიმე გამვლელისა და მცველი კაზაკების სიცოცხლე შეინირა, თუმცა თავად ხელმწიფე არ დაზარალებულა. აფეთქების შემდეგ ის ეტლიდან გადმოვიდა დაჭრილების დასახმარებლად და ამ დროს მეორე ტერორისტმა ბომბი ესროლა. აფეთქებამ იმპერატორს ფეხები წააცალა, მუცელი დაუფლითა და სახე დაუმახინჯა.

ალექსანდრე III-ის მკაცრი მმართველობისას ტეორისტები მიყუჩდნენ. სამაგიეროდ, ხელისუფლების სათავეში ნიკოლოზ II-ის მოსვლის შემდეგ რევოლუციურმა ტერორმა არნახული ძალით იფეთქა: 1905 წლის ოქტომბრიდან 1907 წლის დეკემბრამდე მოკლეს და დაასახიჩრეს 4500 სახელმწიფო ჩინოვნიკი, 2180 კერძო პირი. 1907 წლის განმავლობაში ტერორისტები დღეში, საშუალოდ, 18 კაცს ხოცავდნენ. ტერორის ტალღა მხოლოდ 1910 წლის შემდეგ მინელდა.

ბოლშევიკები, ლენინის მეთაურობით, თვითმპყრობელობასთან

ულრიკე მაინჰოფის ისტორია იდუმალი და აუხსნელია. ის განათლებული და ძლიერი პიროვნება იყო, მაგრამ ფანატიკოსობა და ტერორისტობა არჩია.

ომის შემდგომ ხანაში გერმანელი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს არ სწამდა სასწაულის, რომელსაც დანგრეული ეკონომიკის აღორძინება, ქალაქების ნანგრევებიდან აღდგენა, გერმანიის აყვავება და გაძლიერება იმაზე მეტად შეეძლო, ვიდრე ის ომამდელი „მესამე რაიხის" დროს იყო. ახალი რევოლუციის იდეა ღვივდებოდა სასკოლო და საუნივერსიტეტო, აკადემიურ გარემოში, ინტელიგენციის ზოგიერთ ფენაში. ამ ადამიანების იმედიანი მზერა ქვის კედლითა და მავთულხლართით დაფარულ აღმოსავლეთ გერმანიისკენ იყო მიპყრობილი. ისინი სერიოზულად განიხილავდნენ გდრ-ს მომავლის სახელმწიფოს მოდელად. მათ სწამდათ, რომ კაპიტალიზმმა საკუთარი თავი ამოწურა და ჭეშმარიტი პროლეტარული რევოლუციის ჟამი დადგა. თუმცა დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ იდეის რეალიზება მშვიდობიანი გზით შეუძლებელი იყო — ახალი იერუსალიმი სისხლის მდინარეებზე უნდა აგებულიყო.

ძალადობის ბობოქარ ნაკადში ულრიკე მაინჰოფის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ანდრეას ბაადერის სახელს. მათ მიერ შექმნილი ორგანიზაცია გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერორისტული დაჯგუფება იყო.

ულრიკე 1934 წლის 7 ოქტომბერს ქვემო საქსონიაში დაიბადა და იმ „დაღუპულ თაობას" განეკუთვნებოდა, რომელსაც ომმა ცხოვრება დაუმახინჯა. ხელისუფლების სათავეებისკენ ფიურერის აღმასვლის პერიოდში დაბადებული გოგონა მალე შეეჯახა რეალური ცხოვრების სირთულეებს. მამამისი სიმსივნით გარდაიცვალა ომის მიწურულს, დედა კი 1948 წელს აღესრულა. დედობილმა იზრუნა იმაზე, რომ ქალიშვილს განათლება მიეღო. ნიჭიერსა და ბუნებრივი მომხიბვლელობით დაჯილდოებულ ულრიკეს პაციფისტური იდეები, ბერტრან რასელისა და ვერა ბრიტენის ნაშრომები იზიდავდა.

23 წლისამ მიუნსტერის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩააბარა. ულრიკე სხვადასხვა მემარცხენე მოძრაობის აქტიური წევრი იყო, მხარს უჭერდა ბირთვული იარაღის აკრძალვის მოთხოვნას, მოუწოდებდა გერმანიაში მემარჯვენეთა მხრიდან მილიტარიზმის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. **1959 წელს ულრიკემ რადიკალისა და წამყვანი მეცნიერის რეპუტაცია დაიმკვიდრა. ის ოსტატურად მართავდა აუდიტორიას, ამიტომაც ხშირად სთხოვდნენ სიტყვით გამოსვლას.** ბონში გამართულ ანტიბირთვულ კონფერენციაზე მან სტუდენტური გაზეთ „კონკრეტის" რედაქტორი კლაუს რაინერ როლი გაიცნო. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და 1962 წელს იქორწინეს კიდეც. ერთი წლის შემდეგ ულრიკეს ტყუპი შეეძინა. მართალია, იმხანად ბევრ დროს უთმობდა ოჯახს, მაგრამ პოლიტიკით უწინდებურად იყო გატაცებული. 60-იან წლებში, როცა ინგლისში „ბიტნიკები" გამოჩნდნენ, ხოლო ცნება „თავისუფალი სიყვარული" ყველას პირზე ეკერა, ულრიკემ დაასკვნა, რომ ძველი კაპიტალისტური წყობა უნდა დანგრეულიყო, თუმცა ურიგოდ სულაც არ ცხოვრობდა იმ სისტემაში, რომელიც სძულდა.

ულრიკე და კლაუსი შეძლებული ადამიანები იყვნენ. როლი შვედურ პორნოგრაფიულ წიგნებს თარგმნიდა გერმანულად, ხოლო ულრიკეს შემოსავალი გაზეთ „კონკრეტის" ტირაჟის ზრდასთან ერთად მატულობდა, რომლის რედაქტორიც თავად გახლდათ. მათ გარშემო სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანთა ჯგუფი შეიკრა, რომლებსაც გარე სამყაროს შეცვლის მისწრაფება ამოძრავებდათ. ულრიკე პოლიტიკური რადიოგადაცემის მუდმივი და პოპულარული სტუმარი შეიქნა და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, მიმდინარე მოვლენებზე „ალტერნატიული" შეხედულებები არ გამოეთქვა. მთელი ამ უზრუნველყოფილი ცხოვრების განმავლობაში, როცა საკუთარ სახლთან „მერსედესი" ედგა, ხოლო სარდაფში საუკეთესო ღვინოს ინახავდა, ულრიკე მაინჰოფი კვლავაც ირწმუნებოდა, რომ მხოლოდ ძალადობრივ გადატრიალებას შეეძლო თანამედროვე საზოგადოების ხსნა მისი ყველა სენისგან.

60-იანი წლების ბოლოს მომხდარმა ორმა შემთხვევამ ულრიკეს მკვიდრი სამყარო შეაზანზარა. ჯერ ერთი, რომ 1968 წელს ის მოღალატე ქმარს გაშორდა და მეორეც, გაიმართა ახალგაზრდა რევოლუციონერის — ანდრეას ბაადერის სასამართლო პროცესი.

ბაადერი 1943 წელს დაიბადა მიუნხენში. ის კლასობრივი ბრძოლის წარმოების ძალადობრივი მეთოდების მომხრე იყო. ქალების გულთამპყრობელი, წარმოსადეგი უქნარა, რომელსაც ერთი დღეც კი არ ემუშავა, ბერლინში ჩამოვიდა, სადაც რეგულარულად მონაწილეობდა სხვადასხვა დემონსტრაციაში. საპროტესტო გამოსვლები კი იმპერიის ძველ დედაქალაქში ყოველდღე იმართებოდა ამა თუ იმ მიზეზით.

1967 წელს მტკიცე კომუნისტმა გუდრუნ ენსლინმა ქმარ-შვილი მიატოვა და სტუდენტურ დემონსტრაციაზე გაცნობილ ბაადერთან გაიქცა. სწორედ იმხანად ანდრეასი მგზნებარედ ქადაგებდა კლასობრივი სიძულვილის მისეულ ფილოსოფიას და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლისკენ, „სახალხო ომისკენ" მოუწოდებდა.

შეიარაღებული ბრძოლის პირველი აქტი წარუმატებელი გამოდგა — ბაადერმა და ენსლინმა, ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, ფრანკფურტის უნივერმაღში ცეცხლგამჩენი მოწყობილობა შეიტანეს, მაგრამ დანაშაულის ადგილზე ისინი დააკავეს. ბაადერს, ენსლინსა და ორ სხვა „პარტიზანს" სამ-სამი წლით პატიმრობა მიესაჯათ, მაგრამ ადვოკატთა შუამდგომლობით 14 თვის შემდეგ, საქმის ხელახლა განხილვამდე გაათავისუფლეს. ანდრეასი, საყვარელსა და კიდევ ერთ თანამზრახველთან ერთად, ახალ სასამართლოს არ დაელოდა და საფრანგეთში გაიქცა. 1970 წელს ისინი დააკავეს, გერმანიაში დააბრუნეს და ციხეში გაამწესეს. ულრიკე მაინჰოფი ამ ამბავმა საშინლად აღაშფოთა. იმხანად ის დასავლეთ ბერლინში ცხოვრობდა და „მემარცხენეებთან" უფრო მჭიდრო კავშირები ჰქონდა, ხოლო ბინა პოლიტიკურ თანამოაზრეთა თავშეყრის ადგილად ექცია. 1970 წელს ულრიკე პოლიტიკური ტერორის გზას დაადგა. ბაადერის რამდენიმე თანამზრახველთან ერთად ქალმა მისი ციხიდან გათავისუფლება გადაწყვიტა.

გერმანიაში ჩამოყალიბდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერდა ბაადერსა და მის საქმიანობას. ის ცნობილი იყო „წითელი არმიის" ფრაქციის სახელით, ხოლო მისი შემქმნელი ანდრეასის ადვოკატი ჰორსტ მალერი გახლდათ. „წითელი არმია" დაკავშირებული იყო არა მარტო ადგილობრივ იატაკქვეშა ექსტრემისტებთან, არამედ კონტაქტები ჰქონდა ტერორისტულ ჯგუფებთანაც ახლო აღმოსავლეთში. ამ ორგანიზაციამ ბაადერი და მისი თანამზრახველები საპატიმროდან გააქცია, რის შემდეგაც მალერი, მაინჰოფი, ბაადერი და ენსლინი იორდანიაში გაემგზავრნენ, სადაც საწვრთნელ ბანაკში თავიანთი ტერორისტული „განათლების" გაღრმავებას გეგმავდნენ.

მაინჰოფი ნიჭიერი მოწაფე გამოდგა. ის წარმატებით ეუფლებოდა ტერორიზმის სიბრძნეებს: როგორ გადმომხტარიყო გაქანებული მანქანიდან და არ დაშავებულიყო ანდა როგორ დაუფლებოდა უახლესი სახეობის იარაღს. მომზადების შემდეგ ჯგუფი მალულად დაბრუნდა გერმანიაში და თავი იატაკქვეშეთს შეაფარა.

ულრიკე იმდენად დარწმუნებული იყო „წითელი არმიის" საქმის სამართლიანობაში, რომ თავისი 7 წლის ტყუპი ვაჟი იორდანიაში, ტერორისტთა იმ ბანაკში გაგზავნა, რომელიც მცირე ხნის წინათ თავად დატოვა. სურდა, რომ მომავალში მის შვილებს პალესტინელებთან ერთად ებრძოლათ ისრაელის წინააღმდეგ. ეს სურვილი კი, მისი თქმით, შვილე-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მკვლელობის ფილოსოფია

პალესტინელი ტერორისტი

ბრძოლის საშუალებად ტერორიზმს არ აღიარებდნენ, რაც იმით აიხსნებოდა, რომ ლენინის უფროსი ძმა ალექსანდრე ულიანოვი, რომელიც 1887 წელს ალექსანდრე III-ზე თავდასხმას ამზადებდა, დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს. როგორც ცნობილია, ამის შემდეგ ლენინმა ხალხს „სხვა გზით სიარული“ შესთავაზა, თუმცა ბოლშევიკები სულაც არ ერიდებოდნენ რევოლუციის სახელით ტერორისტულ ძარცვა-გლეჯას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ტერორისტული მეთოდებით ბრძოლა უკვე ბოლშევიკთა მტრებმა წამოიწყეს. აღმოჩნდა, რომ სისტემატური წითელი ტერორი ერთობ ეფექტიანად უმკლავდებოდა ამფეთქებლებს. ჰოდა, თუ ყველა პოტენციურ მტერს მიახვრეტდნენ, ბომბების მსროლელიც აღარ დარჩებოდა...

დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ქვეყანაში ტერორისტები არ იყვნენ და ერთიან მშვიდობიან სურათს მხოლოდ პატარა ინციდენტები არღვევდა. მაგალითად, 1969 წელს ერთ-ერთმა შეშლილმა ოფიცერმა პისტოლეტით ლეონიდ ბრეჟნევის მოკვლა სცადა, ხოლო 1977 წელს მეტროსადგურებს — „იზმაილოვის პარკსა“ და „პერვომაისკაიას“ — შორის მომხდარ აფეთქებას 6 კაცი ემსხვერპლა. ხელისუფლებამ გამოძიება ჩაატარა და აფეთქების ორგანიზატორებს — სამ სომეხ ნაციონალისტს მიაკვლია, რომლებიც მოკლე ხანში დახვრიტეს. ამის შემდეგ, 1990 წლამდე, ქვეყანაში მშვიდობა სუფევდა.

აი, დანარჩენ სამყაროში კი XX საუკუნეში ტერორი გრძელდებოდა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკაში ტერაქტების სერია მოაწყვეს კუ-კლუქს-კლანის წარმომადგენლებმა, ხოლო ომის შემდეგ, როცა ნათელი შეიქნა, რომ ადამიანის სიცოცხლე ხელისუფლებას ჩირადაც არ უღირდა, ტერორიზმის სრულიად ახალი ტალღა აზვირთდა. თუკი უწინ მმართველებსა და მინისტრებს ხოცავდნენ, ახლა, თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის ტერორისტებს სულ უფრო ხშირად მიჰქონდათ იერიში მშვიდობიან მოსახლეობაზე. ტერორისტულ მეთოდებს ფართოდ იყენებდნენ დამოუკიდებლობის მოსურნე ბასკები ესპანეთში და ირლანდიელები დიდ ბრიტანეთში. 1960-70-იან წლებში ევროპაში პოპულარობით სარგებლობდნენ მემარცხენე-რადიკალური ტერორისტული დაჯგუფებანი, რომლებიც მარქსიზმის სახელით ებრძოდნენ კაპიტალიზმს.

1950-იანი წლების ბოლოს თავი იჩინა ჩვენთვის უკვე აგრერიგად ჩვეულმა არაბულმა ტერორიზმმა. სწორედ ამ ხანებში ეგვიპტეში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „ფატჰი“ (პალესტინის ნაციონალური გათავისუფლების მოძრაობა), რომელმაც მთავარ ამოცანად ისრაელის განადგურება და პალესტინის სახელმწიფოს შექმნა დაისახა. სწორედ მისი მემკვიდრეებია ტერორისტული გაერთიანება „ჰამასი,“ „ისლამური ჯიჰადი“ და სხვები.

უწინ მიიჩნევდნენ, რომ ტერორიზმი ქალის საქმე არ იყო, თუმცა ბომბებიანი შაჰიდი ქალების გამოჩენის შემდეგ მოსაზრებები შეიცვალა. ცხადია, შაჰიდ ქალებამდეც იყვნენ თავზეხელაღებული ტერორისტები. მათგან ყველაზე ცნობილებს ამ რუბრიკაში წარმოგიდგენთ.

ულრიკე მაინჰოფი

ბისადმი სიყვარულით იყო ნაკარნახევი. ბიჭებმა იორდანიამდე ვერ ჩააღწიეს, რადგან ისინი სიცილიაში პოლიციამ დააკავა, ხოლო მათი თანმხლები ტერორისტი საპყრობილეში გამოკეტა. რამდენიმე კვირის შემდეგ ბანაკი, სადაც ბიჭები მიემგზავრებოდნენ, მეფე ჰუსეინის ავიაციამ ნაცარტუტად აქცია.

იმ დროისათვის ულრიკემ და მისმა თანამოაზრეებმა „სახალხო ომის“ გეგმის შემუშავება დაიწყეს და აღმოაჩინეს, რომ, უპირველესად, ფული სჭირდებოდათ. მაშინ მალერმა ორგანიზება გაუკეთა ბანკების ძარცვის სერიას, რათა ასაფეთქებელი ნივთიერებების, ყალბი დოკუმენტების, იარაღისა და მათი შესანახი საწყობების შესაძენი თანხა ეშოვათ. ერთ დღეს მათ სამი ბანკის გაძარცვა მოახერხეს, მაგრამ ულრიკე უკმაყოფილო დარჩა, რადგან ნადავლი ერთობ მცირე აღმოჩნდა. მას შემდეგ ტერორისტებს ძარცვა-გლეჯა ჩვევად გადაექცათ.

ავტომექანიკოსი კარლ-ჰაინც რულანდიც ამ ჯგუფს მიუერთდა, რადგან საშუალება ჰქონდა, მძარცველები მანქანებით უზრუნველეყო. ინტელექტუალი შეთქმულები მუშას ქედმაღლურად ექცეოდნენ, მაგრამ ულრიკემ ყველა მამაკაციდან სწორედ ის გამოარჩია და საყვარლად გაიხადა.

მაინჰოფი ჯგუფის ინტენდანტი გახლდათ და მას იარაღით ამარაგებდა პალესტინური კონტაქტების მეშვეობით. სახელმწიფო დაწესებულებებზე თავდასხმებსაც ულრიკე გეგმავდა. ნაძარცვ ბლანკებსა და ბეჭდებს შემდეგ ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად იყენებდნენ სამხედრო ბანაკებსა და საკვლევ ცენტრებში შესაღწევად. ბანკებზე თავდასხმებიც გრძელდებოდა და ჯგუფმა ამ გზით ასობით ათასი მარკის მოგროვება შეძლო.

თუმცა, ტერორისტთა თვალსაზრისით, ასეთი აქციები არასაკმარისად ეფექტიანი იყო იმისათვის, რომ „ანტისახალხო“ სახელმწიფო სისტემა დაენგრიათ. საჭირო შეიქნა „სახალხო ომის“ მიზნების მკაფიოდ და ზუსტად ჩამოყალიბება.

1970 წელს მალერმა უხეში შეცდომა დაუშვა და პოლიციის ხაფანგში გაება. ჯგუფის ხელმძღვანელობა ბაადერმა იტვირთა, მაგრამ გაუწონასწორებელ და ფეთქებად ულრიკეს ფხიზელი და ანალიტიკური გონება სჭირდებოდა, რათა „პარტიზანული არმია“ ემართა.

დამნაშავეთა მიერ ორი ბანკის გაძარცვის შემდეგ, გერმანიის კრიმინალურმა პოლიციამ სპეციალური ქვეგანყოფილება ჩამოაყალიბა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო ამ დაჯგუფებისთვის. „წითელი არმიის“ ბევრი წევრი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. თავისუფალი რჩებოდნენ მხოლოდ ბაადერი, ულრიკე და რამდენიმე ბოევიკი, თუმცა ბანდაში გაერთიანების მსურველები უწინდებურად მრავლად იყვნენ. მალე ჯგუფი ბანკების ძარცვიდან ხალხის ხოცვაზე გადავიდა და სისხლის მდინარეები დააყენა.

„წითელი არმიის“ ერთ-ერთი ქვედანაყოფი „შეშლილთა ბანდა“ ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორმა ვოლფგანგ ჰუბერმა შექმნა. ჰუბერი ირწმუნებოდა, რომ ფსიქიკური დაავადებების პროვოცირებას სახელმწიფო ახდენდა და ამიტომ, ფსიქიკურ სნეულებათა აღმოსაფხვრელად საჭირო იყო პოლიტიკური სისტემის შექმნა. დოქტორი თავის პაციენტებს ძირგამომთხრელ საქმიანობას, თვალთვალის ხელოვნებასა და ძიუდოს ასწავლიდა, ამ საქმეში ერთგულ თანაშემწედ ცოლი — ურსულა გაიხადა. 1971 წელს ფსიქოპათი მკვლელების ბანდამ გადაწყვიტა, „წითელ არმიას“ მიერთებოდა და სიტყვა საქმედ აქცია. გერმანიის კრიმინალურმა პოლიციამ ამ დაჯგუფებას „შეშლილთა ბანდა“ უწოდა.

1971 წლის 22 ოქტომბერს ჰამბურგში საპატრულო მანქანის ეკიპაჟმა „შეშლილთა ბანდის“ წევრი მარგრეტ შილერი ამოიცნო, როცა ის სადგურის შენობიდან გამოდიოდა. შილერი ორ თანამზრახველს ხვდებოდა. ოფიცრებმა ჰელმუტ შმიდტმა და ჰენრიხ ლემკემ ტერორისტთა აყვანა სცადეს, მაგრამ სამეული კარგად შეიარაღებული აღმოჩნდა და პოლიციელები „შეშლილთა“ ჩინებულ სამიზნედ იქცნენ — შმიდტი მკერდში ნასროლი 6 ტყვიით გარდაიცვალა, ლემკეს ბედმა გაუღიმა და მსუბუქად დაიჭრა.

მარგრეტ შილერი მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ დააკავეს. მას იარაღი და მაინჰოფის მიერ შედგენილი „შავი წიგნი“ — იმ ღვთისმსახურთა, ექიმთა და ადვოკატთა სია აღმოაჩნდა, რომლებზე დაყრდნობაც „წითელ არმიას“ მძიმე წუთებში შეეძლო. ამ წიგნმა საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია.

თუმცა მკვლელობებს უწინდებურად ბოლო არ უჩანდა. მაინჰოფი გეგმავდა აქციებს და სამიზნეებად ჰამბურგში, ჰეიდელბერგში, აუგსბურგში, მიუნხენსა და ფრანკფურტში მდებარე სახელმწიფო დაწესებულებებს ირჩევდა. ულრიკეს ბომბებს ნიჭიერი მექანიკოსი დერეკ ჰოფი ამზადებდა. მისი მექანიზმები იმდენად მგრძნობიარე იყო, რომ შემდგომში იარაღის დამამზადებელი ფირმები მის ნახაზებს ეძებდნენ...

ტერორისტების სიხლიანი ნაკვალევი ძალზე აშფოთებდა დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებას. მალე ცნობილი შეიქნა, რომ ულრიკე მაინჰოფი ხშირად სტუმრობდა აღმოსავლეთ გერმანიას და პოლიციელები „შეშლილთა“ ჩინებულ სამიზნედ იქცნენ — შმიდტი მკერდში ნასროლი 6 ტყვიით გარდაიცვალა, ლემკეს ბედმა გაუღიმა და მსუბუქად დაიჭრა.

მარგრეტ შილერი მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ დააკავეს. მას იარაღი და მაინჰოფის მიერ შედგენილი „შავი წიგნი“ — იმ ღვთისმსახურთა, ექიმთა და ადვოკატთა სია აღმოაჩნდა, რომლებზე დაყრდნობაც „წითელ არმიას“ მძიმე წუთებში შეეძლო. ამ წიგნმა საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია.

თუმცა მკვლელობებს უწინდებურად ბოლო არ უჩანდა. მაინჰოფი გეგმავდა აქციებს და სამიზნეებად ჰამბურგში, ჰეიდელბერგში, აუგსბურგში, მიუნხენსა და ფრანკფურტში მდებარე სახელმწიფო დაწესებულებებს ირჩევდა. ულრიკეს ბომბებს ნიჭიერი მექანიკოსი დერეკ ჰოფი ამზადებდა. მისი მექანიზმები იმდენად მგრძნობიარე იყო, რომ შემდგომში იარაღის დამამზადებელი ფირმები მის ნახაზებს ეძებდნენ...

ჰოფი ხშირად სტუმრობდა აღმოსავლეთ გერმანიას და პოლიციელები „შეშლილთა“ ჩინებულ სამიზნედ იქცნენ — შმიდტი მკერდში ნასროლი 6 ტყვიით გარდაიცვალა, ლემკეს ბედმა გაუღიმა და მსუბუქად დაიჭრა.

მარგრეტ შილერი მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ დააკავეს. მას იარაღი და მაინჰოფის მიერ შედგენილი „შავი წიგნი“ — იმ ღვთისმსახურთა, ექიმთა და ადვოკატთა სია აღმოაჩნდა, რომლებზე დაყრდნობაც „წითელ არმიას“ მძიმე წუთებში შეეძლო. ამ წიგნმა საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია.

თუმცა მკვლელობებს უწინდებურად ბოლო არ უჩანდა. მაინჰოფი გეგმავდა აქციებს და სამიზნეებად ჰამბურგში, ჰეიდელბერგში, აუგსბურგში, მიუნხენსა და ფრანკფურტში მდებარე სახელმწიფო დაწესებულებებს ირჩევდა. ულრიკეს ბომბებს ნიჭიერი მექანიკოსი დერეკ ჰოფი ამზადებდა. მისი მექანიზმები იმდენად მგრძნობიარე იყო, რომ შემდგომში იარაღის დამამზადებელი ფირმები მის ნახაზებს ეძებდნენ...

ტერორისტების სიხლიანი ნაკვალევი ძალზე აშფოთებდა დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებას. მალე ცნობილი შეიქნა, რომ ულრიკე მაინ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ალექსიშვილის კლინიკაში მკურნალობის უნიკალური მეთოდია დანერგილი

ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი, — აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს ექიმი მანანა ალექსიშვილი. მას მკურნალობის უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც პაციენტი მოკლე დროში იღებს შედეგს.

ქალბატონი მანანა უამრავ იმედგაცრუებულ პაციენტს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს, უმეტესობას კი მათ, ვინც ყველა მეთოდი სცადა და შედეგი ვერ მიიღო, ან ვინც დროულად მიაკითხა.

— ექიმის მოსაცდელში ყოველთვის ხალხმრავლობაა. თითქმის მთელი საქართველოდან მოდიან აქ ტკივილითა და უშედეგო მკურნალობით გატანჯული პაციენტები. იმედის თვალით შეჰყურებენ მანანა ექიმს, იმედი კი უმეტესად ამართლებს.

ქალბატონი ლამზირა გუნცაძე, 64 წლის (დიაგნოზი III ხარისხის კოქსართროზი): — მანანა ექიმი ჩემთვის ბოლო იმედი იყო, 7 წელი ტკივილებსა და მკურნალობაში გავატარე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ექიმმა ოპერაცია დამინიშნა, იმედგადაწურული ვიყავი მაგრამ... გამიმართლა. ქალბატონ მანანასთან მოხვედრის შემდეგ პირველივე დღიდან ვიგრძენი უკეთესობა. ღამის ძილიც მომიწესრიგდა, მსუბუქად ვდგები, ოჯახში ვტრიალებ, ადვილად ვიხრები. თვალებს არ ვუჯერებ. ყოველდღიურად უმჯობესდება ჩემი მდგომარეობა. ტკივილი არ მაწუხებს და ხელჯოხიც გადავაგდე, ოპერაცია აღარ მჭირდება.

ღმერთმა დალოცოს მანანა ექიმი.

შორენა ნადარეიშვილი, 42 წლის, ექიმი, (დიაგნოზი დისკოზი): — კლინიკაში არაადამიანური ტკივილებით მიმიყვანეს. ტკივილი გავაწელის არეში მენყებოდა და საჯდომი ნერვის მიმართულებით გადაეცემოდა მარჯვენა ფეხს. მაწუხებდა დაბუჟებაც. თავად ექიმი ვარ და რა არ ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. გავიკეთე კომპიუტერული ტომოგრაფია, რომელმაც აჩვენა წელის მეოთხე დისკის მოზრდილი თიაქარი. ნეიროქირურგმა ოპერაცია მირჩია. ქალბატონი მანანა ჩემი ბოლო იმედი იყო. დავიწყე მკურნალობა, შედეგი პირველი დღიდანვე ვიგრძენი. უძილობის შემდეგ ეს პრობლემაც მომიგვარდა. მეორე დღიდან დაუხმარებლად დავდიოდი (თავი სიზმარში მეგონა!). მკურნალობის მეორე კურსს ვამთავრებ და თავს ჯანმრთელად ვგრძნობ. ვუვლი ოჯახს და დავუბრუნდი საყვარელ საქმეს.

თამაზ კურტანიძე, 36 წლის, (დიაგნოზი მწვავე პლექსიტი, კისრის რადიკულიტი): — რესტორანში ვმუშაობ გიტარისტად. ერთ მშვენიერ დღეს კისერი გამიკავდა, მიჭირდა თავის მობრუნება. ბოლოს ბეჭიც გამიკავდა. უმძიმესი ტკივილები მქონდა, ბოლოს მანანა ექიმთან მომასწავლეს. არნახული შედეგი რამდენიმე საათში ვიგრძენი. სამ დღეში სრულიად გამოვჯანმრთელდი. მადლობა ექიმს ასეთი სწრაფი და შედეგიანი დახმარებისათვის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქალბატონი მანანა ბუასილის მძიმე დაავადებასაც წარმატებულად კურნავს. ეს დაავადებაც ხომ ხშირად ქირურგიული ჩარევით მთავრდება მხოლოდ, მასთან კი იგი მარტივად, სწრაფად და ყველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე იკურნება.

გოჩა გაგუნია, 48 წლის: — 4 წლის წინ ბუასილის გამო უსისხლო ოპერაცია გამიკეთდა, რამდენიმე თვე თავს უკეთ ვგრძნობდი, ნელ-ნელა კი ისევ კვანძები ჩამომიყალიბდა და ტკივილი და სისხლდენა დამეწყო. ხელმეორე ოპერაცია დამინიშნეს. ქალბატონ მანანას კლინიკაში მისმა ყოფილმა პაციენტმა მომიყვანა. არაჩვეულებრივი შედეგი მივიღე, ტკივილი 2 დღეში მომეხსნა, კუჭის მოქმედებაც გამომისწორდა. მანანა ექიმის უსაზღვროდ მადლიერი ვარ, რადგანაც მისი მეთოდი ასეთი შედეგიანი და უნიკალურია.

შალვა ხომასურიძე, 52 წლის: ისეთი სამუშაო მაქვს, მუდმივად ჯდომა მიწევს, რაც ჩემი დაავადების მთავარი მიზეზი გახდა.

12 წელია, ბუასილი მაწუხებს, სად არ მიმკურნალია. ბოლოს ამ კლინიკაში მოვხვდი. გაოცებული ვარ, ისე სწრაფად მივიღე შედეგი, დღეს კი უკვე სრულიად ჯანმრთელი ვარ.

ნონა წილოსანი, 34 წლის: — ბავშვობიდან მაწუხებდა კუჭის შეკრულობის პრობლემა, მშობიარობის შემდეგ კი უარესი დამემართა. აფთიაქის წამლებს ვიყენებდი, შვებას მგვრიდა, მაგრამ დროებით. ბოლოს ჰემოგლობინი დაეცა, პროქტოლოგმა დამისვა დიაგნოზი — სფინქტერის ძლიერი სპაზმი და ნაპრალი. დამინიშნეს ოპერაცია. სწორედ ამ დროს ახლობელმა მანანა ექიმთან მომასწავლა და ამით ქირურგის დანა ამაცილა. ორ დღეში ტკივილებიც მომეხსნა, სისხლდენაც შემიჩერდა, კუჭ-ნაწლავის პრობლემაც მომიწესრიგდა და ნაღვლის ბუშტის პრობლემაც, ამილაგდა ცისტიტიც და სახეზე გამონაყარიც გამიქრა.

უღრმესი მადლობა ქალბატონ მანანა ალექსიშვილს ასეთი უნიკალური მეთოდით მკურნალობისათვის.

მანანა ალექსიშვილის კლინიკის მისამართია:
ვაჟა-ფშაველას I შესახვევი, კორპუსი 3, მეტრო „დელისთან“, პროფკავშირების სახლის უკან.
მიღება 15-19 საათამდე. ტელ. 899-100-636; 899-571-699.

სიგარეტის წევით გამოწვეული კიბოს მექანიზმი

ტაივანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს მოლეკულის მექანიზმი, რომელიც აღწერს, თუ როგორ იწვევს თამბაქოს კვამლი ფილტვის კიბოს. დამტკიცდა, რომ თამბაქოში აღმოჩენილი კანცეროგენი ნიტროზამინი — კიბოს საწინააღმდეგო გენის მეთილირებას იწვევს, რაც შემდგომში ფილტვის კიბოს გაჩენის მიზეზი ხდება.

უვნებელი მეთოდი ორსულობისას ბავშვის სქესის დასადგენად

ნიდერლანდელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი უვნებელი მეთოდი ორსულობის დროს ნაყოფის სქესის დასადგენად. მისი გამოყენება შესაძლებელია ორსულობიდან 5 კვირის შემდეგ; კვლევა ხდება ორსულის დნმ-ის ანალიზის საშუალებით. პროცედურა გრძელდება 2-4 დღე და ამართლებს 100 პროცენტით.

მეცნიერები მალე ხელოვნურ გულს შექმნიან

რუსი და გერმანელი მეცნიერები მალე დაიწყებენ მუშაობას ხელოვნური გულის შექმნაზე, რომლის პროექტისათვის გამოყოფილია რამდენიმე მილიონი დოლარი. აღსანიშნავია, რომ პროექტში ტექნოლოგებისა და მედიცინის მუშაკების გარდა მონაწილეობას მიიღებენ მათემატიკოსები ურალიდან, ხოლო გერმანიიდან კომპანია Biotronik-ის მეცნიერები.

თვალის კვლევით ალცჰაიმერის დაავადების გამოვლენა მოხდება

ბრიტანელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდი, რომელიც საშუალებას მისცემს ექიმებს, რომ თვალის ბადურის კვლევით წინასწარ შეძლონ ისეთი მძიმე დაავადების წინასწარი დიაგნოზის დასმა, როგორიცაა ალცჰაიმერის დაავადება.

ისინი კვლევას აწარმოებდნენ ლაზერული მიკროსკოპის საშუალებით.

შემდგომში ეს მეთოდი გამოადგებათ, ასევე, პარკინსონისა და გლაუკომის წინასწარ დადგენაში.

ფობიის განკურნება სტრესით შეიძლება



ფობიის განკურნება შესაძლებელია სტრესის ჰორმონით — კორტიზოლით, — ამტკიცებენ შვეიცარიელი მეცნიერები. მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც სოციოფობიით (უცხო ადამიანებთან ურთიერთობის შიში) და არაქნოფობიით დაავადებული პაციენტები მონაწილეობდნენ.

ექსპერიმენტის კოორდინატორის, პროფესორ დომინიკ დე კერვანის აზრით, ფსიქოთერაპიის კურსთან ერთად ჰორმონ კორტიზოლის დამატება მთლიანად განკურნავს ამ დაავადებას

ფიზიკური ვარჯიშები სიბერეს ანელებს

გერმანელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ფიზიკური ვარჯიშები ხანდაზმულ ასაკში სიბერის პროცესს ანელებს მოლეკულურ დონეზეც კი. ამდენად, მეცნიერები სპორტსმენებს ურჩევენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზომიერი ვარჯიშების შენარჩუნებას სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით.



ანევრიზმას ახალი ტექნოლოგიით უმკურნალებენ

დიდ ბრიტანეთში მაცხოვრებელმა ინჟინერმა შექმნა სპეციალური ტექნოლოგია, რომლითაც შეიძლება ანევრიზმის მკურნალობა უოპერაციოდ.

ეს მოწყობილობა გარეგნულად ადრე შექმნილ სტენტის მსგავსია, რომელიც აორტაზე მაგრდება. 54 წლის პაციენტი გახდა პირველი, ვისაც ეს ტექნოლოგია გაუკეთეს და მკურნალობა კარგად დამთავრდა.

სალეჭი რეზინით მალარიის დიაგნოზი დაისმება

ამერიკელმა სტუდენტმა შეიმუშავა სპეციალური საღეჭი რეზინი, რომლითაც მეცნიერები შეძლებენ მალარიის დიაგნოზის დასმას. ამ პროექტის მხარდასაჭერად ბილ და მელინდ გეიტსის ფონდმა 100.000 დოლარი გამოყო.

რომ არ გასუქდე, ნელა უნდა ჭამო

იაპონელმა მეცნიერებმა გამოკვლევებით დაადასტურეს, რომ ადამიანის წონასა და მისი ჭამის წესს შორის მჭიდრო კავშირია. დამტკიცდა, რომ თუ გსურთ, დიდხანს შეინარჩუნოთ წონა, აუცილებელია, საჭმელი ძალიან ნელა მიირთვათ.

ტკივილგამაყუჩებელს სათბურა სჯობს

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალისათვის კრიტიკული დღეების დროს უფრო უპრიანია სათბურათი სხეულის გათბობა, ვიდრე 400 მილიგრამი იბუპროფენის მიღება დღეში სამჯერ, როგორც ეს დღემდე იყო ცნობილი და რომელსაც დღეს მთელ ევროპაში აქტიურად იყენებენ.

გვერდი მოამზადა ეთერ კასრელიშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ავარიამ კინალამ შეინწირა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ირაკლი კლიმიაშვილი 9 იანვარს, დილის 6 საათზე უკრაინაში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც მას საფეხბურთო კლუბ „ჩერნომორეცში“ ელოდნენ, მაგრამ ავტოავარიის გამო ეს გამგზავრება ვერ შედგა. წითელ შუქნიშანზე გაჩერებულს დიდი სისწრაფით მომავალმა მანქანამ უკნიდან დაარტყა და „შკოდა“ 20 მეტრით გაისროლა. ავტომანქანის საჭესთან მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამმართველოს უფროსის — ალექსანდრე მაისურაძის მეუღლე იჯდა.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამმართველოს უფროსი მეუღლის დანაშაულს ხელს აფარებს?

ქალბატონს შემთხვევის ადგილი მაშინვე არ მიუტოვებია. როგორც თვითმხილველი ამბობს, მას თავდაპირველად დამტვრეული მანქანის ერთ-ერთი მგზავრი, ირაკლი კლიმიაშვილი თურმე გარდაცვლილი ეგონა, რადგან ამ უკანასკნელს თავიდან სისხლი სდიოდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ ორივე დაზარალებული რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა და საქმეც „გასკდა“. საავადმყოფოში გადაყვანილი კლიმიაშვილი კრიტიკულ განყოფილებაში მოათავსეს და თავზე სამი ნაკერი დაადეს. პირველადი დიაგნოზი — ტვინის შერყევა და გულმკერდის მალების დაზიანება იყო.

ირაკლი კლიმიაშვილი საკმაოდ ცნობილია, თანაც კრიტიკულ განყოფილებაში მორიგე მედდა მისი მეგობარი აღმოჩნდა და ეს ამბავიც სწრაფად გახმაურდა. რესპუბლიკურ საავამდყოფოში პატრულის თანხლებით თვით ალექსანდრე მაისურაძეც კი მივიდა. როდესაც კლიმიაშვილის მეგობრები დაინტერესდნენ მომხდარით, პატრულმა ისინი ღიმილით დაამშვიდა, არაფერი მომხდარაო.

სინამდვილეში კი კლიმიაშვილმა მიიღო ტვინის შერყევა, დაუზიანდა ხერხემლის მალები და საფრთხის წინაშე დადგა მისი სამომავლო გეგმები, რომლებზეც იგი დიდ იმედებს ამყარებდა.

„ნამდვილად დასაფასებელია“, რომ ქალბატონმა ყიფიანმა შემთხვევის ადგილი არ მიატოვა და დაზარალებულებს საავადმყოფოშიც გაჰყვა, მაგრამ დიდი ალბათობაა, რომ ეს დანაშაული მას, უხეშად რომ ვთქვათ, ხახვივით შერჩება. როგორც კლიმიაშვილების ახლობელი ამბობს, ალექსანდრე მაისურაძე პირიქით — შეტევაზე გადმოვიდა და სასწრაფოდ გაარკვია მანქანის ორივე მგზავრის ბიოგრაფია.

ირაკლი კლიმიაშვილი

„რისი გაგება სურდა, არ ვიცით, ახალგაზრდა სპორტსმენ ბიჭებს „შავ ლაქებს“ რომ ვერ აღმოუჩენდნენ, ფაქტია, მაშ, რა აინტერესებდათ? მისი ცოლის დანაშაულის გადმობრალებას აპირებდა. როგორ შეიძლება წითელზე გაჩერებულმა მანქანამ მოძრაობის წესი დაარღვიოს?! ისეთი ძალით აქვს დარტყმული მანქანას, უკან ვინმე რომ მჯდარიყო, უარესი შედეგით დასრულდებოდა. როგორც გავიგეთ, ეს ქალბატონი, დაბადების დღიდან ბრუნდებოდა, სავარაუდოდ, ნასვამიც იყო და მობილურზეც ლაპარაკობდა“, — ჰყვება კლიმიაშვილის ახლობელი.

აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ პოლიციის მაღალჩინოსნის მეუღლეს საპატრულო პოლიცია არც ნასვამობაზე შეამოწმებდა და არც ჯარიმას გამოუწერდა. ამის გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო“ მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა ალექსანდრე მაისურაძესთან დაკავშირებას, თუმცა იმ მობილურ ნომერზე ვინც გვპასუხობდა, გვეუბნებოდა, რომ მაისურაძეს ვერ დაგვალაპარაკებდა. მან მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამმართველოს პრესსამსახურთან დაკავშირებაზეც უარი გვითხრა, პრესსამსახურის ადგილი ვაკანტურიაო. მაისურაძის მოძებნა ვცადეთ მისი მისაღების ტელეფონის საშუალებითაც, მაგრამ ამაოდ. შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს — ზურაბ გვენეტაძეს ვესაუბრეთ. მასთან დარეკვა ადვილი არ გეგონოთ, ლატარეაში ჯეკპოტის მოგების ტოლფასია, თუ მან მობილურს უპასუხა. ვთხოვეთ, რომ მაისურაძესთან დავეკავშირებინეთ. როცა გაიგო, რა გვაინტერესებდა, გირკვევთო, დაგვპირდა და ტელეფონი საერთოდ გათიშა.

ავარიის შედეგად სანდრო მეტრეველის კუთვნილი ავტომობილი „შკოდაც“ დაიმტვრა. ამ ავტომობილის საფასურს „კანონდამცველის“ ოჯახი რომ არ გადაიხდის, ეჭვი არაა.

უკრაინაში წასასვლელად გამზადებული და საავადმყოფოს კრიტიკულ განყოფილებაში გონს მოსული

კლიმიაშვილი შოკში ჩავარდნილა, როცა ექიმებმა უთხრეს, რომ ავარიის გამო ვერსად გაემგზავრებოდა.

„წვეთოვანიც კი მოიგლეჯა, გამიშვით, უნდა წავიდეო. ექიმებმა თავიდან იფიქრეს, გაგიჟდაო. მადლობა ღმერთს, რომ უფრო სერიოზული დაზიანებები არ აქვს. ფეხბურთი რომ ითამაშო, ჯანმრთელი უნდა იყო, ახალგაზრდებს მომავალს უნგრევდა, ასე გამოდის. ირაკლი ფეხბურთით ცხოვრობს და ეს მისი მომავალია. პოლიციის უფროსის ცოლი დაეჯახაო, გამოდის, რომ პასუხსაც არავინ აგებს ამის გამო“, — ამბობს კლიმიაშვილების ახლობელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა იმ მოტივით, რომ მაისურაძე „გამოცდილი „კაგებეშნიკია“ და შარი არ მომდოსო.

უკრაინულმა მხარემ გაიგო კლიმიაშვილის ავარიის შესახებ, მიუხედავად ამისა, მასზე უარი მაინც არ თქვა. მათი დაჟინებული მოთხოვნით, ფეხბურთელი, ორი დღეა, რაც სამშობლოდან ნაკერებითა და ტრავმით გაემზგავრა და იმედია, გამოჯანმრთელდება და წარმატებასაც მიაღწევს.

რაც შეეხება მაისურაძის ცოლს, ივლის, ალბათ, ისევ ძვირადღირებული ავტომობილებით, საჭესთან მობილურითაც ილაპარაკებს, მერე რა, რომ მოძრაობის წესებსაც თამამად დაარღვევს, ის ხომ პოლიციის სამმართველოს უფროსის ცოლია...

ლიზა დოლიძე

ამწის გამო დაწყებული საქმის გარჩევა მკვლელობით დასრულდა

მკვლელობა, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ, 2009 წლის ივნისში თბილისში მოხდა. შპს „დავითსა“ და მოძრავ-მექანიზირებულ კოლონა №19-ის დირექტორებს შორის ატეხილ დავას სრულიად უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. ფირმებს შორის ამწის დაბრუნება-არდაბრუნების გამო დავა წლების მანძილზე მიმდინარეობდა. ბოლოს საქმეში „ნახალოვკელი კაი ბიჭები“ ჩაერივნენ და საქმის გასარჩევად მისულებს შორის დაწყებული კამათი ერთ-ერთის მკვლელობით დასრულდა.

აკაკი ახვლედიანის განზრახ მკვლელობისთვის სამართალდამცავებმა 25 წლის ვალერი კოდალაევი, იგივე „კოდალა“, მკვლელობის მეორე დღეს დაიკავეს. პოლიციამ მასთან ერთად კიდევ ორი პირი – აკაკი ლომაძე და ვასილ დავლაშერიძე დაიკავა. კოდალაევის მიმართ სს საქმე მკვლელობისთვის, იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო აღიძრა. რაც შეეხება ლომაძესა და დავლაშერიძეს, მათ მიმართ სს საქმე პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო აღიძრა, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თავდაპირველად გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის აღიძრა, თუმცა აკაკი ახვლედიანის გარდაცვალების შემდეგ მუხლი გადაკვალიფიცირდა და საქმემ განზრახ მკვლელობის სტატუსი შიძინა.

ამჟამად, საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოშია და მას მოსამართლე ნინო სანდოძე განიხილავს. დაკავებული კოდალაევი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობას წინ უძღოდა ორ ფირმას შორის წლების მანძილზე მიმდინარე დავა. 90-იანი წლების დასასრულს რკინიგზის სადგურ „ლილოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო ტრესტის მოძრავ-მექანიზებულ კოლონა №19-ს თანამშრომლების გარკვეული ჯგუფი გამოეყო. მათ ცალკე დაარსეს სამშენებლო ფირმა — შპს „დავითი“, რომლის დირექტორი ილია დათუნაშვილი იყო.

2001 წლის 22 იანვარს ილია დათუნაშვილმა ხელშეკრულებით, დროებითი სარგებლობისთვის მოძრავ-მექანიზებული კოლონა №19-დან რუსული წარმოების მუხლუხოებიანი ამწე მგკ-25 წაიღო, რომელიც ექსპლოატაციისას მწყობრიდან გამოვიდა. ამ ფაქტმა ფირმებს შორის უთანხმოება გამოიწვია და ამწესთან დაკავშირებული დავა წლების მანძილზე გაგრძელდა.

მოძრავ-მექანიზებული კოლონა №19-ის დირექტორი როსტომ ნიკოლაშვილი და მისი მოადგილე გივი ტაკაშვილი ამწის დაბრუნებას ითხოვდნენ ან მის სანაცვლოდ მათთვის იმავე სახეობის ტექნიკის შეძენას. ფირმა „დავითის“ დირექტორი ილია დათუნაშვილი კი ამწის დაბრუნებაზე უარს აცხადებდა იმ მოტივით, რომ ისინი ერთი კომპანიის სამართალმემკვიდრეები იყვნენ და ამიტომ ქონება მათაც ეკუთვნოდათ.

ერთი სიტყვით, დავას ბოლო არ უჩანდა. ამასთან, სიტუაციას ისიც ძაბავდა, რომ ილია დათუნაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებულ შეხვედრებს თავს არიდებდა. შესაბამისად, როსტომ ნიკოლაშვილი და მისი მოადგილე ამ საკითხს შპს „დავითის“ ყოფილ თანამშრომელთან, შპს „აჭარა პლუსის“ მშენებლობის უფროს ირაკლი დოლიძესთან არკვევდნენ.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მკვლელობისთვის დაკავებული ამ დავაში სრულიად შემთხვევით ჩაერთო: 2008 წლის დეკემბერში მოძრავ-მექანიზებული კოლონა №19-ის დირექტორმა როსტომ ნიკოლაშვილმა და მისმა მოადგილემ, გივი ტაკაშვილმა სოფელ მარტყოფში შემთხვევით გაიცნეს ვალერი კოდალაევი და ვინმე „ოლეგი“. ფირმის მესვეურებს ისინი როგორც „ნახალოვკელი კაი ბიჭები“ გაეცნენ. როსტომაშვილ-ტაკაშვილის წყვილმა მათ ამწესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ უამბეს. თავის მხრივ, კოდალაევმა და ოლეგმა ამწის დაბრუნებაში დახმარება აღუთქვეს, სანაცვლოდ, ნიკოლაშვილი და ტაკაშვილი მათ რესტორანში დაპატიჟებას შეპირდნენ.

ამის შემდეგ კოდალაევი და ოლეგი ირაკლი დოლიძეს დაუკავშირდნენ. ეს იყო 2009 წლის 4 ივნისს. ისინი მეორე დღეს შეხვედრაზე შეთანხმდნენ. შეხვედრა ცინცაძის ქუჩის №10-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაში უნდა შემდგარიყო. ირაკლი დოლიძეს შეხვედრაზე თან ახლდნენ ძმა – ზაზა დოლიძე და მეგობარი აკაკი ახვლედიანი. ადგილზე მისულებს ბინაში ნიკოლაშვილი, ტაკაშვილი, კოდალაევი და „ოლეგი“ დახვდნენ. საუბარი კოდალაევმა დაიწყო; თქვა, რომ „კარგი ბიჭი იყო “ და ამ დღიდან ამწის საკითხი მას ეხებოდა. საუბარში აკაკი ახვლედიანი ჩაერთო, რომელიც კოდალაევს შეეპასუხა, რომ იგი თავის მეგობარს — ირაკლი დოლიძეს არავის დააჩაგვრინებდა. ბიჭები წაკამათდნენ. თუმცა იქ მყოფებმა ორივე დააწყნარეს და დაშლა გადაწყვიტეს, რადგან შეხვედრას შპს „დავითის“ სხვა წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ.

ახვლედიანსა და კოდალაევს შორის დაწყებული ჩხუბი მოგვიანებით გაგრძელდა. იმავე დღეს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, კოდალაევი და ახვლედიანი იმერეთის ქუჩაზე შეხვდნენ ერთმანეთს. ჩხუბის დროს კოდალაევმა ნაგანის სისტემის რევოლვერი ამოიღო და ახვლედიანს ორჯერ ესროლა. ახვლედიანი გულმკერდის არეში მძიმედ დაიჭრა. დაჭრილი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მიყენებული ჭრილობების შედეგად იგი მეორე დღეს გარდაიცვალა.

სამართალდამცავებმა კოდალაევი და მისი მეგობრები მეორე დღესვე დააკავეს. დაკავებისას პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, რისთვისაც **მათ** მიმართ დამატებით აღიძრა სს საქმე.

როგორც ამ საქმის ერთ-ერთი თვითმხილველი ირაკლი ნევრელიშვილი იხსენებს, იმ დღეს მეგობრებთან ერთად უბანში იყო, როდესაც გასროლის ხმა შემოესმა. **„ორჯერ გავიგონე გასროლის ხმა. ვალერი კოდალაევი ვიღაც ბიჭთან მორბოდა. ჩვენ იქით წავედით, საიდანაც ხმა გავიგონეთ. იქ ხალხი უკვე შეკრებილიყო. კაცი ეგდო ქუჩაში, მივხვდი, რომ ცოცხალი იყო, რადგან ხელფეხს იქნევდა. შემდეგ სასწრაფო გამოიძახეს და საავადმყოფოში წაიყვანეს“,** — ამბობს მოწმე.

საქალაქო სასამართლოში განსასჯელები უკვე დაიკითხნენ. კოდალაევმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მათი დაკითხვის შემდეგ სასამართლო გამოძიება მტკიცებულებების გამოქვეყნებასა და კამათზე გადავა, შემდეგ კი სამივეს განაჩენს გამოუტანენ.

მაკა ჟობალია

ᲗᲐᲤᲐᲜᲘ
ᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲠᲐᲛᲘ

ქციის ხრამის მარცხენა სანაპიროზე არსებულ ნასოფლარ თაფანიდან, დაღეთის გავლით, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე უნდა გადავიდეთ, რათა ამავე სახელწოდების — თაფანის დიდი ჭალა-ბორცვები და მათი ნაეკლესიარები ვნახოთ.

ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲣᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲠᲘ

დაღეთიდან კლაკნილი გზა ხრამში ეშვება. ხიდზე გადასვლის შემდეგ ორი კილომეტრიც არ გვექნება გავლილი, რომ გზიდან მარჯვენა მხარეს, ერთ მოშიშვლებულ ადგილზე, მოზრდილი ტაძრის ნაშთები გამოჩნდება. ვიდეო და ფოტო კამერებს ვიმარჯვებთ და გადაღებას ვიწყებთ. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ნასახლევთა კვალიც მოჩანს.

ვახუშტი ბატონიშვილის რუკის მიხედვით, ეს ნასოფლარი **იფნებია**, დღევანდელი რუკის მიხედვით კი — ორბეთი (ერთ-ერთი ორბეთი).

12 მეტრზე მეტი სიგრძის ტაძარს ჩრდილოეთ კედელი სრულიად მორღვეული აქვს, სამხრეთ კედელში დატანებული კარი გარედან არქიტრავულია, შიგნიდან კი მსუბუქად შეისრული. ეკლესია XI საუკუნის მეორე ნახევრისაა.

აღმოსავლეთ კედლის სამხრეთ კუთხეში ორადორი ქართული გრაფემა გვეუბნება: „ქრისტე შეიწყალე“. დანარჩენი ასოები არ იკითხება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იფნები თუ ორბი თაფანის თემის ისეთივე შემადგენელი ნაწილი იყო, როგორც მდინარის ამ მონაკვეთში გაღმა და გამოღმა არსებული სხვა სოფლები.

ტყის იდუმალებას ზანზალაკების ხმა არღვევს და მალე მრონეულს ადევნებული მენახირეც გამოჩნდება. მრონლე მცირეა, ათი-თხუთმეტი სული ფური და ამდენივე ხბო თუ იქნება. დისველის პირუტყვი აღმოჩნდა. მენახირე აქაურობას კარგად ვერ იცნობს. თაფანის სხვა ეკლესიებზე რომ ვეკითხებით, პასუხი არა აქვს, გვირჩევს — დისველში ადით და იქ დაგაკვალიანებენო. ასეც ვიქცევით. ისევ ზევით ავდივართ, ოღონდ ამჯერად ხრამის მარჯვენა ნაპირზე.

დისველი თანამედროვე ბოლნისიდან ჩრდილოეთით, ზეგანზე შეფენილი უზარმაზარი მინდორია. ვახუშტის თქმით, იგი **„არს უწყლო, არამედ ნოყიერი და მოუცადი მარცვალთა“.**

აქ ერთადერთი სოფელია, რომელსაც, ასევე, დისველი ჰქვია. სოფელში აჭარელი მოახალშენეები ცხოვრობენ და ამდენად, გასაკვირი არაა, რომ მიმდებარე სანახებს ცუდად იცნობენ. გამონაკლისი მხოლოდ ორი ყმაწვილია: როსტომ შანიძე და გია ხოზრევანიძე. ერთი მერვეკლასელი აღმოჩნდა, მეორე — მეთერთმეტეკლასელი. ისინი, როგორც სკოლაში გვითხრეს, განსაკუთრებული სიბეჯითით არ გამოირჩევიან, მაგრამ ნებისმიერ ძეგლთან თვალდახუჭულნი მივლენ... კარგი არ იქნება განა, რომ ჩვენს სკოლებში ისტორიული გეოგრაფიის საგანიც ისწავლებოდეს. ვინ იცის, ამით რამდენი ნიჭიერი, მაგრამ დაუდეგარი ყმანვილის ცნობისმოყვარეობას მოვაქცევდით ერის სამსახურში, რამდენ სახელოვან მამულიშვილს გავზრდიდით!

როსტომს და გიას სოფლიდან აღმოსავლეთით მივყავართ და ხრამში ჩამავალი ერთი გზის თავში გვაჩერებენ — თაფანის ჭალა აქედან ყველაზე უკეთ მოჩანსო. ჩვენს ქვევით მართლაც ზღაპრული ხედი იშლება: გველივით დაკლაკნილი ქციის ხრამის გაღმა მხარეს, კლდეებში მუგუთის ნაცნობი ციხე და ნაეკლესიარი შეყუჟულა, გამოღმა მხარეს, განიერ ჭალაში ბორცვებზე აღმართული საყდრები ჩამწკრივებულან. ისინი დაახლოვებით თითო-თითო კილომეტრით იქნებიან ერთმანეთისაგან დაცილებულნი.

სიტყვა თაფანს ორი განმარტება აქვს. ბიბლიიდან ვიცით, რომ იუდეველთა მეფე სოლომონმა ენიონის ძეებს თაფეთი, ანუ კერპთ შესაწირი დაულეწა (IV მეფეთა 23-10, სულხან-საბა — თაფეთი). გარდა ამისა, „თაფა“ ძველი ქართულით, ველზე გაფანტულ გორაკ-ბორცვებსაც ნიშნავს (ქართ. ენის განმარტ. ტექსიკ.) ხრამისპირა თაფანი ორსავე განმარტებას აკმაყოფილებს და ამაში მალე ვრწმუნდებით.

ვახუშტი ბატონიშვილს თაფანის ჭალაში ოთხი სოფელი აქვს მონიშნული რუკაზე: იფნები, რომელიც უკვე ვნახეთ, ირდას (ანუ იროდას) უბანი, მირტაშენი და ბალახაური.

* * *

ჩვენ აღმოსავლეთიდან — ბალახაურიდან ვიწყებთ მოგზაურობას. ამ ეკლესიას ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. მისი გაფორმება თავდაპირველად ეჭვს ბადებს ტაძრის დათარიღებაში. შეისრული კარის თავსართი თითქოს მუზარადის ფორმას წააგავს, რაც გვიანი შუასაუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ეს ასე არ არის — ნატიფი, გრეხილი ლილვებით შექმნილი არქივოლტი, რომელიც ქუსლებით

ᲘᲤᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲠᲘ

მთავრდება, XII საუკუნის პირველ ნახევარზე მიგვანიშნებს. ამასვე ადასტურებს ბალავარზე ამოკვეთილი წნული სამკაულიც.

სამხრეთ კარის გარდა, მარტივი, თუმცა საინტერესო რელიეფი გვხვდება აღმოსავლეთის სარკმლის თავშიც, ზურმუხტისფერ გრანიტზე.

კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის განყოფილების არქივში დაცული ჩანაწერების მიხედვით, ამ ადგილებში ერთი ეკლესიაა დასახელებული — ის, რომელიც ახლახან აღვწერეთ, მაგრამ მისგან აღმოსავლეთით ათიოდ მეტრში შემორჩენილია უფრო დიდი ტაძრის ნანგრევები. რაკი ეს ნატაძრალი პირველად ნანახი ტაძრის აღმოსავლეთით დგას, იგი უფრო ძველი უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ არსებულ ტაძრებს, აღმოსავლეთის, ანუ საკურთხევლის მხრიდან არასდროს ჩაუდგამდნენ ხოლმე რაიმე ნაგებობას, თუნდაც ახალ ეკლესიას. ეს მეორე, უფრო ძველი ტაძარი, მისგან დასავლეთით არსებულ ტაძარზე დიდიც ყოფილა და ერთ-ერთ კედელზე შემორჩენილი თლილი პერანგის მიხედვით, — უფრო დახვეწილიც. ეს ორეკლესიანი საყდარია. ჩრდილოეთის სამლოცველო ოდნავ ვიწროა, ვიდრე სამხრეთისა და ამასთანავე სამხრეთის დარბაზის აფსიდის მხრის ნიშნულიდან იწყება. ეკლესიები უშუალოდ კი არ უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ დერეფნით. ასეთი გეგმარება შესაძლებელს ხდიდა, რომ ტაძრის მრევლი ორად გაყოფილიყო და ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალა წირვის დროს.

კომპლექსი სიგრძეში 14 მეტრი ყოფილა, სიგანეში — 8. ტაძრის ფუნქციური გეგმარების ნიშნები და ქვათა დამუშავება-წყობა ძეგლს IX საუკუნის პირველი ნახევრის ნაგებობად წარმოაჩენს.

აღსანიშნავია, რომ IX საუკუნეში ეს ოლქი თბილისის ამირამ მიიტაცა. მაგრამ ქართველებს საყდრების აგება მაშინაც მოუხერხებიათ.

ეკლესიათა ტერიტორიაზე სასაფლაოც ყოფილა.

* * *

ᲛᲘᲠᲢᲐᲨᲔᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

თუ ამ ალაგს ნასოფლარ ბალახაურად მივიჩნევთ, მაშინ აქედან დასავლეთით რომ ეკლესია დგას, მირტაშენისა უნდა იყოს. ეს საყდარი თაფანის ჭალაში ყველაზე მაღალ ბორცვზეა და დომინანტური პოზიცია უკავია. აქედან ხელისგულივით მოჩანს ხრამი და თვალი ხრამგაღმა, კლდეებში ჩასმულ ციხე-ტაძარსაც წვდება.

მაღალ ბორცვზე მდგარი ეს ეკლესია, თითქოს თაფანის ცენტრიც უნდა ყოფილიყო. ამაზე მისი მშენებლობის ხარისხიც მეტყველებს. საყდარს ჩრდილოეთიდან თანადროული მინაშენიც აქვს და რაკი შიგნიდან გალესილია, ჩანს მოხატულიც ყოფილა. გამჭვარტლულ კედლებზე ახლა მხოლოდ ვანდალური წარწერებია. ბორცვზე აღმართული ამ საყდრის ფასადებიდან მორთულობით განსაკუთრებით დასავლეთისა და აღმოსავლეთისა გამოირჩევა. მაგრამ ფრონტონებში გამოსახული ჯვრები უბრალო ლილვებითაა შექმნილი, ხოლო კოპებს სწორხაზოვანი ფორმები მიუღია და ჰაეროვნება აკლია. ფიგურებიც თითქოს დახვეწილია, მაგრამ უსიცოცხლოა. ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროისათვის ქართული რენესანსი ჩამქრალია, ხალხი კი — ძალიან შეჭირვებული. საყურადღებოა აღმოსავლეთ ფასადი. ფრონტონში, ჯვრის ჰორიზონტალურ მკლავებში სამი გამოსახულებაა. ცენტრში აქეთ-იქით მთავარანგელოზების რელიეფური ფიგურებია, მესამე კი, რომელიც ფრონტონის კუთხეშია, ხუროთმოძღვარი გახლავთ. მას ჩაქუჩი და გონიო უკავია. იქვეა ნუსხურისა და მხედრულის ნაზავით შესრულებული 5-სტრიქონიანი წარწერა — **„ქრისტე შემეწიე დამაზ** (ანუ თამაზ) **გალატოზთუხუცესს“.** როგორც ცნობილი პალეოგრაფი ვალერიან სილოგავა ამბობს, გრაფემების ასეთი ნიშნები და ნაზავი XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე მიგვანიშნებს.

სავარაუდოა, რომ ტაძარი XV საუკუნის პირველ ათწლეულებშია აგებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერანაირად გადაურჩებოდა თემურ-ლენგის მე-6 შემოსევას 1400 წელს. ამ დროს მტერმა სნორედ ეს ადგილები გადაჯეგა.

ე.წ. მირტაშენის ეკლესიიდან დასავლეთით, დაახლოებით ერთ კილომეტრში, ხრამის იმავე მარჯვენა ნაპირზე, რომელსაც ჩვენ პირობითად ირდას ანუ იროდას უბნად მივიჩნევთ, კიდევ ერთი ნასოფლარი და ნატაძრალია. საყდარი სიგრძეში 10 მეტრია, სიგანეში — 5,5. მისი დასავლეთი მონაკვეთი სუბსტრუქციას აქვს შეკავებული. კედლებს შეკეთების კვალი ეტყობა. შიგნიდან ეს ეკლესიაც გალესილი და მოხატული ყოფილა.

ტაძრის შიდა სივრცე საკმაოდ გაშლილია. ჩრდილოეთ კედელში დატანებული კარი იმას გვეუბნება, რომ იგი მინაშენში გადიოდა, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ამათგან ჩრდილოეთის ნიში სამალავში ასასვლელ ხვრელს ნიღბავს. ეს ასასვლელი ახლაც სუფთაა და ჩვენი ყმაწვილი მეგზურები როსტომი და გია თავისუფლად ადიან ზევით, კედლის თავზე. სამწუხაროდ, თავად სამალავი აღარ არსებობს, რადგან აფსიდის კონქი და კამარა სრულიად მონგრეულა. აქვე არსებულ საფლავის სხვადასხვაგვარ ქვებში ყურადღებას იპყრობს „ჯვარკაცას“ ლოდი, რომელიც ძალიან ძველი უნდა იყოს. აქვეა ნასახლართა ნაკვალევიც.

ჩვენი მოგზაურობა თაფანში ამით სრულდება და ერთგვარი დასკვნის დროც დგება. როგორც ზევით ვთქვით, ადგილის სახელწოდება „თაფანი“ თაფეთის იდენტურიც შეიძლება იყოს. თაფანის ადგილმდებარეობა — უამრავი ნასახლარი და ძველი ეკლესია იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ეს ძალიან გამოცდილი და ძველი ალაგია საცხოვრებლად. აქ ხალხს ქრისტიანობამდელ ეპოქაშიც უნდა ეცხოვრა და, ბუნებრივია, კერპებიც ექნებოდა. კერპთ საზორავ ანუ მსხვერპლის შესაწირ ადგილს კი თაფეთი ჰქვია...

თავისთავად იბადება შეკითხვა: რა გვარის ხალხს ეკუთვნოდა თაფანი და მისი ეკლესიები? უძველესი ეპოქის ცნობები ამის თაობაზე არ არსებობს, გვიანი შუასაუკუნეების შესახებ კი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ვახტანგ VI-ის მიერ 1721 წელს წარმოებული აღწერა: თაფანი 1523 წლიდან ქავთარ ბარათაშვილს ეკუთვნოდა, როგორც ლეგენდარული ბირანი აბაშისა და ისტორიულად დასაბუთებული ქაჩიბა-ისძეების ჩამომავალს. 1543 წლიდან ბარათაშვილებს მათი განაყარი გვარების წარმომადგენლებიც — გერმანოზიშვილები, გოსტაშაბიშვილები, ყაფლანიშვილები და თაყაშვილებიც შეემატებიან. XVII საუკუნეში აქ ერთი ყმა და მამული ციციშვილებსაც გაუჩენიათ.

* * *

დღეს აქ აღარავინ ცხოვრობს და არც არავინ აკითხავს ძეგლებს ჩვენი მეგზური დისველელი ყმაწვილების გარდა. ვინ იცის, იქნებ, სწორედ მათ ითაონ მომავალში აქაურობის აღდგენა!..

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ავტორის ფოტოები

ᲘᲠᲓᲐᲡᲣᲑᲜᲘᲡ „ᲯᲕᲐᲠᲙᲐᲪᲐ“

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

დასასრული. დასაწყისი იხ. №2-3

მოსკოვში არჩილის გარდაცვალების (1713 წ.) შესახებ ქართლში ახლად მოსულმა ცნობამ ერთბაშად მიაპყრობინა ვახტანგს ყურადღება იმავე მოსკოვისაკენ

დვალეთის მომიჯნავე რაჭისა და ზემო იმერეთის ხევები, აქვე ხეფინის-ხევი — ვახტანგის მკვიდრი მამული საჭიროების შემთხვევაში თავშესაფარს აძლევდნენ მოწინააღმდეგეთაგან დევნილს ვახტანგის ოჯახს. აღნიშნულ მხარეში თავშესაფარი ჰქონებია ვახტანგის ბიძასაც, მეფე გიორგი XI-ს. ერეკლე პირველისგან ერთხელ დევნილი გიორგი „მოვიდა ქცხინვალს და მუნიდამ წარვიდა რაჭას ლიხის გზასა ზედა“. ერთ ხანს მეფობის მაძიებელი არჩილის ძენიც“ ზრამაგს ინახავდნენ თავს, იქიდან მათ დასავლეთის მიმართულებით დიგორს მოუხდათ გადანაცვლება. ასეთ ვითარებაში ბუნებრივი იყო, თუ ვახტანგი დამოყვრებული აღმოჩნდა ჩერქეზბატონის სახლთან, რომელსაც ეკუთვნოდა მისი მეუღლე დედოფალი რუსუდანი.

ამ რთულ ურთიერთობას მთიანეთთან, ამ ურთიერთობისა და მისი სახელმწიფოებრივი ეფექტიანობის საკითხს, ძალზე ჩაუფიქრებია ისპაანს მჯდომი ვახტანგი, კრიტიკულად განუწყვია იგი იმ პოლიტიკური და სტრატეგიული გეგმა-საქმიანობისადმი, რომლის წარმატება და განხორციელება შეპირობებული იყო მთიანეთზე და, მაშასადამე, ადგილობრივ, ვიწრო ზურგზე დაყრდნობით. ამიტომ წერს იგი ზემოთ მოყვანილს:

„მწვე მიჯობდა სხვაგან მევლო, განა დვალად, განა ხადად!“

ჩანს, ვახტანგმა განიცადა გონების თვალით, რომ ასეთი სტრატეგია საქართველოს საერთაშორისო საკითხის გადასაწყვეტად ვიწრო იყო და შეზღუდული. „დვალი და ხადა“, მთიანეთი — ეს ის „საკუთარი ტაფა“ იყო, რომელშიც საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა იხრაკებოდა — საკუთარ წვენში დნებოდა. გაიაზრა რა ეს, ვახტანგმა ბრძნულად გადაწყვიტა პრინციპული საკითხი — დასდგომოდა ფართო საერთაშორისო დიპლომატიის გზას, თან ეხელმძღვანელა მამა-პაპათა გამოცდილებით, ტრადიციით. რადგან პროგრესი, თვით არსებობა ერისა წინაპირობად გულისხმობს კარგი ტრადიციის შენახვას, წინაპართა გამოცდილების გამოყენების კულტურას. ამიტომ ჩვენ ვახტანგს ვუქებთ პოლიტიკურ სიდინჯეს, რომელმაც უკარნახა მას, წინა თაობის საქმიანობაც გაეთვალისწინებინა. საერთოდ, იგი სამართლიან ხარკს უხდის მამათა ნათელ ხსოვნას, სტირის და საკუთარ თავს, მათგან დაობლებულს, ხატოვნად რომ იტყვიან, უდანოდ დაკლულს:

სახელოვან ბიძა-ძმათა, მამით უწყლოდ დაწყვეტილო!

აქ იგულისხმებიან ირანში, იქაურ ბრძოლებში გმირულად დაღუპულნი: ვახტანგის ბიძა მეფე გიორგი XI (შვილისაც, ბაგრატის, ბრძოლაში დამკარგველი) და ძმა ქაიხოსრო, აგრეთვე გარდაცვლილნი ლევანი (მამა) და თეიმურაზი (ძმა). გარდაცვლილ ბიძათა რიცხვში, ცხადია, არჩილსაც (გარდ. 1713 წლის 16 აპრილს) გულისხმობდა მაშინ ვახტანგი. საყურადღებო აქ ის არის, რომ იმ სულთა მატიანეში, რომელიც ვახტანგის ამ გალექსილ თავგადასავალში აისახა რამდენადმე, საკუთარი სახელით გამოყოფილია სწორედ არჩილი. ეს რომ შემთხვევით არ მომხდარა, თვით ლექსიდანაც ჩანს: ვახტანგს, საქართველოს გამოხსნის ახალი გზების ძიებაში მაგალითად ესახება არჩილის გარეპოლიტიკური აქციები. მას სწორად მიაჩნია, ყოველ შემთხვევაში, არჩილის ცდა — სამეფოსათვის მოკავშირეებისა გარეთ, „სხვის თემს“. ვახტანგი ემიჯნება ქართველი საზოგადოების იმ დასს, რომელიც ოპოზიციაში სდგომია არჩილს, უწუნებდა რა მას გარეპოლიტიკურ კურსს.

მეფეს არჩილსა სძრახევდენ, სხვას თემს რომ იყო მვლელია.

კრიტიკულად განწყობილნი გაიძახოდენო:

იგ ანთებულსა სახლ-კარსა შეექმნა დამანელია.

არჩილმა გარეთ ბედის ძიების შედეგად საქართველოს ძლიერი სამეფო დასცა, გაჩაღებული კერა ჩააქრო. მსგავსი თვალსაზრისი პიროვნების გაზვიადებული როლის შესახებ ისტორიაში ტიპურად იჩენს თავს იმ მსჯელობაში, რომელსაც მეფე გიორგი მეთორმეტეს ძე „კალმასობაში“ თავის ძმას, იულონს მიაწერს. იოანე ათქმევინებს იულონს, ვითომ „მეფე ვახტანგის ოჯახი დააქცია ძემან მისმან ბაქარ, მეფე ირაკლისა — ვახტანგმან (ირაკლის ძემ — 3.დ.), ხოლო მეფის გიორგისას დააქცევს დავით“. ამ წინადადებაში მკითხველი გამოიცნობს ვახტანგს მეექვსეს, ირაკლი მეორეს და გიორგი მეთორმეტეს.

ქართული დიპლომატიის ისტორია, რაც, ფაქტობრივად, ეგზომ პოვნიერი და მიმზიდველია, ცოცხალ ინტერესს იწვევს მსგავსი მონაცემები კრიტიკისა. აქ ვლინდება სხვადასხვა რიგის სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობანი, ხან მწვავე კონფლიქტებიც, გამოწვეული ამ დიპლომატიის გეზით და მიმართულებით, მისი ავკარგიანობით. ასეთ მასალაში მყღავნდება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ინტენსივობის ძალა, საზოგადოებრივ დაჯგუფებათა რეალური ღირებულება და სიმწიფე. ამ მხრივ არა ერთხელ მიუქცევია სპეციალისტთა ყურადღება, მაგალითად, დავით გურამიშვილის უკვდავ ნაწარმოებს, სადაც რამდენადმე გამოიხატა ვახტანგ მეექვსეს საგარეო პოლიტიკის ცოცხალი კრიტიკა. ჩვენ შემთხვევაში, თვითონ ვახტანგი გამოდის ინფორმატორად იმისა, როგორ „სძრახავდნენ“ არჩილ მეფეს — რატომ „სხვა თემებს“, მეზობელ სახელმწიფოებს მიმართავდა საშველადო.

ვახტანგისთვის ამ საგანზე წერა, ცხადია, კალმის უბრალო ვარჯიში არ იყო. ის ამ დროს წყვეტს რთულ პოლიტიკურ ამოცანებს, გეგმავს მის ხვალინდელ დიპლომატიურ ნაბიჯებს და ამიტომ „რჩევას“ თავის წინაპრებსაც ეკითხება. დასაყრდენის ძებნაში „გუშინ“ გარდაცვლილ ბიძის — არჩილის დიპლომატიის მაგალითზე ჩერდება, ბაძავს კიდევაც მას, ამ მაგალითს თავის გასამართლებელ საბუთად და გამამხნევებელ პრეცედენტად ისახავს.

არჩილი თავის დროზე მოკავშირის თუ მფარველის შესაძენად ქართლიდან გარეთ გავიდა, რუსეთს შეაფარა თავი. აგერ თვითონ ვახტანგიც გარეთაა (ისპაანში), მძიმე საჭიროებით იძულებული — არჩილის მსგავსად, თვითონაც აიტანოს მოწინააღმდეგეთა კრიტიკა. ის ღაღადყოფს: „მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ, მაშ რა ვქნათ, რა საქნელია“ (ე.ი. სხვა რა შეიძლება ვქნაო).

მაგრამ ამით ხომ არ შეზღუდულა მსგავსება ამ ორი მეფის საგარეო პოლიტიკის განვითარებისა! ვახტანგის სიტყვებია: „მეც მასვე მძახვენ, აქ მოველ“... — ისპაანსო! ეს როგორ უნდა გავიგოთ? განა ისე, თითქოს ვახტანგი ისპაანს, შაჰინშაჰის კარზე ეძიებდა მფარველ მოკავშირეს, ისე როგორც არჩილი — იმპერატორის კარზე? არამცთ და არამც! ჩვენ ვფიქრობთ, შაირსიტყვით შეზღუდულმა ვახტანგმა ლექსში უნებლიეთ შეკუმშა თავისი აზრი. როგორც ვიცით, ისპაანს მისი ჩასვლა (1712 წ.) სულ არ ჰგავდა არჩილის ნებისმიერ სტუმრობას მოსკოვის კარზე, სადაც არჩილი მართლაც ეძებდა მფარველს, მშველელს. ვახტანგი ირანის შაჰს ტყვედ ჰყავდა ისპაანში, ვით ურჩი ვალი საქართველოისა. აქ დიდი ხნითვე შექმნილ სიტუაციაში გამორიცხულია მფარველობითი კონსტიტუციის ძიების შესაძლებლობა. საქმე სხვარიგად ისახება. ისპაანის საშიშ ტყვეობაში მჯდომი ვახტანგი, იყო რა საგარეო პოლიტიკის სწორი გადასინჯვის ზრუნვაში, უიარაღოდ აჯანყებული შაჰის მძლავრობის წინააღმდეგ, როგორც დავინახეთ, ფიქრობს, გამოიყენოს არჩილის გარეპოლიტიკური გამოცდილება. ჯერ იყო და, მან, არჩილის მაგალითზე აღიარა „სხვაგან“ მოკავშირის ძებნის პრინციპული სისწორე. ამას ლოგიკურად გამართლებული გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვახტანგი არჩილისაგან არჩეულ და გაკვალულ გზას უნდა დასდგომოდა. ეს მტკიცება თითქოს დღეს უსაგნო ჩანს, რადგანაც ვახტანგის მერმინდელი სავალი გზები ისედაც ხომ ცნობილია. მაინც და მაინც, 1720 წლიდან ასტრახანელი გუბერნატორი წარმართავდა ქართლის მეფესთან მაშინ ერთხელ კიდევ წამოწყებულს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას. 1725 წელს ვახტანგი თვითონ გადასახლდა რუსეთს და ა.შ. მაგრამ წინამდებარე წერილის დანიშნულება სწორედ იმის წარმოჩენაში მდგომარეობს, რომ რუსეთის ორიენტაციის საკითხი ვახტანგის წინაშე, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, წამოჭრილა უფრო ადრე, ვიდრე ამას გვაფიქრებინებს სხვა ცნობილი მასალები (წარმოშობით რუსული და სხვ.). წამოჭრილა მაშინ (1712-1714 წწ.), როდესაც ვახტანგი, გავიმეოროთ, ისპაანში მისცემოდა საკუთარ გარეპოლიტიკურ პერსპექტიულ გეგმაზე ფიქრებს. ეტყობა, მოსკოვში არჩილის გარდაცვალების (1713 წ.) შესახებ ქართლში ახლად მოსულმა ცნობამ ერთბაშად მიაპყრობინა ვახტანგს ყურადღება იმავე მოსკოვისაკენ, აღუძრა და სურვილი — უწყვეტლივ განეგრძო არჩილის მისია, — ბიძამისის, როგორც ვახტანგი დაჯერებული იყო, ეტყობა, „ჭკუიანური“, საშვილიშვილო საქმე. სწორედ ისპაანის პერიოდში, როდესაც ვახტანგი გეგმავდა პოლიტიკური ორიენტაციის საქმეებს, მან არჩილს (არჩილის საგარეო პოლიტიკის „მძრახველთათვის“ პირის დასაყოფად) მიუძღვნა პანეგირისტულად გამართული ტაეპი:

მას ლომსა, ვეფხებრ კისკასსა, ჭკუა ჰქონია მთელია (88,4).

ამრიგად, მივყვებით რა ფაქტებს კვალში, ჩვენ საკმაოდ ვეცნობით ვახტანგ მეფის სახელმწიფოებრივი ცხოვრების, დიპლომატიურ ძიებათა ინტიმურ მხარეს, მის გადაწყვეტილებათა საფუძვლებს, საბუთიანობას, ლოგიკას. რამდენადმე ისახება მაშინ მოქმედ პოლიტიკურ ძალთა განწყობილებაც, რომელთა შიგნით ჩნდებიან ვახტანგის თანამოაზრენიც, წამქეზებელნი, ისე როგორც ოპოზიციონერებიც, „მძრახველნი“. მათ შესახებ საორიენტაციო ცნობებს მკითხველი პოულობს არა ერთ სპეციალურ გამოკვლევაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ. ოღონდ დასაზუსტებელი, კვლავ შესამოწმებელი, გამოსაკითხავი ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია.

ვარლამ დონდუა



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის

«ისტორიული მემკვიდრეობა»

მესამე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

აგვისტოს ტანკები

ქართული არმიის რეფორმირება სააკაშვილის მმართველობისას 2008 წლის ხუთდღიან ომამდე

დასასრული. დასაწყისი იხ. №3

СУ-25

2008 წლის აგვისტოში საქართველოს საჰაერო-შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიოდა:

საავიაციო ოპერატიული ცენტრი

მარნეულის ავიაბაზა (Су-25 მოიერიშეების ესკადრილია, საწვრთნელ-სასწავლო თვითმფრინავების L-39 ესკადრილია

ალექსეევკის ავიაბაზა (Ми-8 შვეულმფრენების ესკადრილია, UH-1H შვეულმფრენების ესკადრილია), შვეულმფრენების შერეული ესკადრილია (Ми-8, Ми-14, Ми-24)

БПЛА ესკადრილია

РЛС 6 პოსტი

რადიოტექნიკური დაზვერვის ქვეგანყოფილება

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ორი ბაზა (საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-125М ორი დივიზიონი, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „Бук-М1“ ორი დივიზიონი, 18 საბრძოლო მანქანა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „Оса-АК/АКМ“ და რამდენიმე საბრძოლო მანქანა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Spyder-SR), ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ქვეგანყოფილება

სასწავლო ცენტრი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა Ан-2 თვითმფრინავების ესკადრილია.

საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში 2008 წლის აგვისტოსთვის შედიოდა 10 მოიერიშე Су-25 (რომელთაგან 5 მოდერნიზებული იყო Су-25КМ Scorpion-ის დონეზე, ორი სასწავლო-საბრძოლო მოიერიშე Су-25УБ, 12 რეაქტიული სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი L-39C, ოთხი სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი Як-52, 6 მსუბუქი სატრანსპორტო თვითმფრინავი Ан-2, 5 საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24В და სამი Ми-24П, 18 შვეულმფრენი Ми-8Т/МТВ, ორი შვეულმფრენი Ми-14БТ, 6 შვეულმფრენი Bell UH-1H და ექვსი შვეულმფრენი Bell 212.

2008 წლის აგვისტოსათვის საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებში შედიოდა:

ფოთში მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა;

ბათუმში სამხედრო-საზღვაო ბაზა და ხომალდების ესკადრები სარაკეტო გემების (კატერების) დივიზიონის შემადგენლობაში;

საყარაულო ხომალდების (კატერების) დივიზია;

სააღჭურვო ხომალდების (სადესანტო) დივიზიონი;

საზღვაო ქვეითი ჯარების ქვედანაყოფები და გამნაღმველთა რაზმები.

1000-კაციანი პირადი შემადგენლობის პირობებში, ფლოტის განკარგულებაში იმყოფებოდა ორი სარაკეტო კატერი (206VH პროექტის „თბილისი“ და La Combattante II-ის ტიპის „დიოსკურია“), რვა საყარაულო კატერი, ორი პატარა სადესანტო კატერი, 6 პატარა კატერი. ფაქტობრივად, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებისა და კატერების დიდი ნაწილი (ორივე სარაკეტო კატერის ჩათვლით) აგვისტოსთვის გაუმართავ მდგომარეობაში იყო.

МИ-24

BELL 212

არსებობდა კიდევ საქართველოს სანაპირო დაცვა, რომელსაც ერთი საპატრულო ხომალდი (ყოფილი გერმანული საბაზო ტრალერი) და 35 საყარაულო კატერი ჰქონდა.

უეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის განახლება

ყოფილ ავტონომიებთან კონფლიქტის გადაჭრის შესაძლებლობათა გაზრდისა და რუსეთის მხრიდან პოტენციური ჩარევის მოსაგერიებლად საქართველო აქტიურად იძენდა მძიმე შეიარაღებას. სახმელეთო ჯარების მნიშვნელოვანი პროგრამებიდან აღსანიშნავია:

თვითმავალი არტილერიის განვითარება საარტილერიო ბრიგადების შემადგენლობაში თვითმავალი ჰაუბიცების 2С3 და Dana დივიზიონების შექმნის გზით (შეძენილი იქნა უკრაინასა და ჩეხეთში);

რეაქტიული არტილერიის განვითარება. 2003 წლიდან ჩეხეთში შესყიდული იქნა ექვსი 122-მმიანი რეაქტიული ზალპური ცეცხლის სისტემა RM-70, თუმცა საქართველოს რეაქტიული არტილერიის შესაძლებლობათა მკვეთრი ზრდა განაპირობა GradLAR-ის ისრაელური სისტემების, მათ შორის, 160-მმ-იანი რაკეტების LAR-160 Mk IV-ის შესყიდვამ;

ნაღმმტყორცნების შესყიდვა ჩეხეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. ამასთან, საბერძნეთმა დახმარების სახით საქართველოს 60-მმ კალიბრიანი 60 ნაღმმტყორცნი გადასცა;

სატანკო და მექანიზებული ჯარების განვითარება საბჭოთა ჯავშანსატანკო ტექნიკის დიდი პარტიის შესყიდვით უკრაინასა და ჩეხეთში. 2008 წელს თურქულ კომპანია Nurol-ს შეუკვეთეს 70 ჯავშანტრასპორტიორი Ejder, მანამდე საქართველოს შსს-მ 100 თურქული ჯავშანავტომანქანა Otokar Cobra შეიძინა.

გარდა ზემოთქმულისა, საკაშვილის მმართველობისას მიმდინარეობდა მოდერნიზაციის პროგრამებიც. აღსანიშნავია T-72 ტანკების მოდერნიზაცია T-72-SIM-1 ვარიანტით. ამგვარად, მოდერნიზებული ტანკი თავისი მახასიათებლებით ჯობნის როგორც საქართველოს ყოფილი ავტონომიებისა და ამიერკავკასიის, ისე რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის შეიარაღებაში არსებულ ტანკებს, განსაკუთრებით კი, რთულ მეტეოპირობებსა და ღამით ჩატარებული საბრძოლო მოქმედებებისას. სულ, აგვისტომდე, ქართველებმა 120 ტანკის მოდერნიზება მოასწრეს.

საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები აქტიურად ავითარებდნენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სიტემებსაც. სააკაშვილის მმართველობისას უკრაინაში შესყიდული იქნა ორი თანამედროვე, საჰაერო მიზნების აღმომჩენი რადიოლოკაციური სადგური 36Д6-М, ხუთი პასიური აღმოჩენის კომპლექსი „Кольчуга-М“, ერთი რადიოელექტრონული ბრძოლის კომპლექსი „Мандат,“ ორი საზენიტო-სარაკეტო დივიზიონი „Бук-М1“ ისრაელში შეძენილი იქნა უახლესი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები Spyder-SR. ეს ყველაფერი წარმოადგენდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საინეიტრალიზაციოდ გატარებულ აშკარა ღონისძიებებს რუსეთსა და საქართველოს შორის საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში.

დაფინანსება

ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ამერიკულ სამხედრო დახმარებას, უპირველესად, სანწვრთნელი პროგრამების: GTEP, GSSOP-I და GSSOP-II განხორციელების სახით, ერთობ არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა 2004-2005 წლებში (104 მლნ დოლარი), თუმცა შემდგომში საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის ზრდის პარალელურად, ეს დახმარება მკვეთრად შემცირდა. 2005 წლიდან საქართველოს შეიარაღების ბიუჯეტის ზრდამ არნახულ ტემპებს მიაღწია, რაც ყოველწლიურად სამხედრო ხარჯების გაორმაგებაში გამოიხატა წინა წელთან შედარებით; ხოლო 2007 წლისათვის რესპუბლიკის სამხედრო ბიუჯეტი 1 მლრდ დოლარს მიუახლოვდა, რაც ბოლო ამერიკული სანწვრთნელი პროგრამის GSSOP-II-ის დასრულებასა და ამერიკის სამხედრო დახმარების (წელიწადში 15-16 მლნ დოლარამდე) შემცირებას დაემთხვა. ეს 15-16 მლნ კი ძირითადად, კადრების მომზადებას ხმარდებოდა, ამ დახმარების სანაცვლოდ კი, ქართული ჯარები ერაყში, ავღანეთსა და კოსოვოში ნატოს ეგიდით ჩატარებულ ოპერაციებში მონაწილეობდნენ.

აგვისტოს ომმა საქართველოს სერიოზული სამხედრო და ეკონომიკური ზარალი მიაყენა, აიძულა, წლის მეორე ნახევარში შეიარაღებული ძალების გაფართოებით კი არა, დაზარალებული სამხედრო ინფრასტრუქტურის აღდგენით დაკავებულიყო. შედეგად, სექტემბერ-ოქტომბერში სამხედრო უწყებას კიდევ 445 მლნ ლარი გამოეყო. ამიტომ 2008 წლის ფაქტობრივ დანახარჯებში (1545 მლნ ლარი) ჩართეს ომზე გაწეულიცა და მისი შედეგების საკომპენსაციო ხარჯებიც. შემდგომი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში უფრო მეტად ნათელი შეიქნა, რომ საქართველოს უნარი არ შესწევს, ხანგრძლივად გაუძლოს მსოფლიო საზომით უპრეცედენტო სამხედრო დანახარჯების დონეს, რამაც მთლიანი შიდა პროდუქტის 8 პროცენტი შეადგინა.

ქართული არმიის სარეორგანიზაციოდ ჩატარებული სამუშაოს თავისებური შედეგია 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, როცა საქართველოს ამბიციურმა ლიდერმა თავისი ჯარები სამხრეთ ოსეთის დასაპყრობად წარმართა. ავანტიურისტულმა სამხედრო კამპანიამ უმალ გამოიწვია რუსეთთან სამხედრო შეტაკება. სამი დღის შემდეგ კი ქართულმა ძალებმა სამხრეთ ოსეთიდან ნაჩქარევად უკანდახევა დაიწყეს, რაც მალე თბილისისკენ გაქცევაში გადაიზარდა. ქართულმა სამხედრო სისტემამ ორგანიზაციის უკიდურესი სისუსტე, მეთაურთა კადრების დაბალი დონე და დიდი კონფლიქტისთვის სრული მოუმზადებლობა გამოავლინა. ყოველწლიური ალღუმების ბრწყინვალება თვალის მოსატყუებელი სიყალბე აღმოჩნდა, რომელმაც სააკაშვილის მიერ გაწეული უზარმაზარი ძალისხმევის მიუხედავად, მკაფიოდ აჩვენა, რომ მისი არმია ვერ იქცა იმ სრულფასოვან თანამედროვე ბრძოლისუნარიან სამხედრო ძალად, დიდი სახელმწიფოს არმიას რომ გამკლავებოდა...

ვიაჩესლავ ცელუიკო

T-72

SPYDER-SR

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მანჰეტენის პროექტი და «ოპენჰაიმერის საქმე»

„თავს უბრალო ადამიანად არ მივიჩნევ, — განაცხადა ერთხელ ამერიკელმა ფიზიკოსმა ისიდორე აიზეკ რაბიმ, — მაგრამ ოპენჰაიმერთან შედარებით, ერთობ ჩვეულებრივი მოკვდავი გახლავარ.“

რობერტ ოპენჰაიმერი

პირველი ატომური კომისია

1942 წლის 18 ივნისს პოლკოვნიკმა ჯეიმს მარშალმა ბრძანება მიიღო, ბირთვული იარაღის შექმნაზე მომუშავე მეცნიერთა და ინჟინერთა ჯგუფისათვის საწარმოო ბაზა შეექმნა. ახალ ორგანიზაციას „მანჰეტენის პროექტი“ ეწოდა. საგულისხმოა, რომ პროექტის სულისჩამდგმელი, აშშ-ის პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის მრჩეველი, „ამერიკული მეცნიერების მეფედ“ წოდებული ვანევარ ბუში გახლდათ, რომელიც 1942 წელს იმ პერსონად დაასახელეს, ვისზე დამოკიდებულიც იყო, მოიგებდა თუ არა ომს ამერიკა. სხვათაშორის, ბომბის გარდა, ბუშმა მთელ რიგ სამხედრო პროექტებს შთაბერა სული, დივერსიის არასტანდარტული საშუალებებიდან დაწყებული, ავტომანქანა-ამფიბიებით დამთავრებული. თუმცა მივუბრუნდეთ „მანჰეტენის პროექტს,“ რომლის ხელმძღვანელად 1942 წლის 17 სექტემბერს პოლკოვნიკი ლესლი რიჩარდს გროუვსი დაინიშნა.

1942 წლის 15 ოქტომბერს გროუვსმა ბერკლის უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორს, რობერტ ოპენჰაიმერს, რომელმაც თავისი ადმინისტრაციული ნიჭი ჯერ კიდევ „მანჰეტენის პროექტის“ წინამორბედ პროგრამაზე — S-1-ზე მუშაობისას წარმოაჩინა, ბირთვული იარაღის შექმნის სათაო საკვლევი ცენტრის ახალი „პროექტ Y“-ის ხელმძღვანელობა შესთავაზა.

ზელაბორატორია ნიუ-მექსიკოს შტატში, ლოს-ალამოსის უკაცრიელ უდაბნოში განთავსდა. ოპენჰაიმერი პირადად იწვევდა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებს ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად. ცნობილ მეცნიერთა შორის იყვნენ ედვარდ ტელერი და ჰანს ჰეტე. ამ სამეცნიერო ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ მალე 9 ათას კაცს მიაღწია. მეცნიერთა შემადგენლობით, სამეცნიერო ექსპერიმენტთა მასშტაბებით, სამუშაოში ჩართულ სპეციალისტთა რაოდენობით ლოს-ალამოსის ლაბორატორიას ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში. სამაგიეროდ, „მანჰეტენის პროექტს“ ჰყავდა თავისი პოლიცია, კონტრდაზვერვა, კავშირგაბმულობის სისტემა, საწყობები, დასახლებები, ქარხნები, ლაბორატორიები და კოლოსალური ბიუჯეტი! ეს ატომური პროგრამა აშშ-ს 2 მლრდ დოლარი დაუჯდა და პრინციპულად ახალი სიმძლავრის იარაღის შექმნით დასრულდა.

ისტორია და სირცხვილი

შეეძლო თუ არა ჯაშუშობის გარეშე საბჭოთა კავშირს ატომური ბომბის საიდუმლოსთვის მიეკვლია? იქნებ, ლოს-ალამოსში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ღალატს? 1954 წელს გფბ-ის დირექტორმა ედგარ ჰუვერმა თეთრ სახლს წარუდგინა ანგარიში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ოპენჰაიმერი „უცხოური დაზვერვის აგენტია.“

ატომური ბომბი

ნაგასაკი

კაცი, რომელსაც სურდა, ღმერთი ყოფილიყო

როგორც გაირკვა, ლოს-ალამოსის ლაბორატორიის ხელმძღვანელად ოპენჰაიმერის მიწვევის გადაწყვეტილება აშშ-ის სამხედრო-ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას უყოყმანოდ არ მიუღია. ცნობილი გახდა, რომ უახლოეს წარსულში მეცნიერი აშკარა სიმპათიებს ამჟღავნებდა მემარცხენე წრეებისადმი და პირადი კავშირებიც კი ჰქონდა ამერიკის კომპარტიის წევრებთან. მისი ძმა ფრენკი და რძალიც ერთი ხანობა აშშ-ის კომპარტიის წევრები იყვნენ. თავად ოპენჰაიმერის ცოლი უწინ კომუნისტზე იყო გათხოვილი, რომელიც შემდეგ ესპანეთში, სამოქალაქო ომში დაიღუპა. ჰიტლერის რეჟიმის დანაშაულებმა გერმანიაში სულით ხორცამდე შეძრა ოპენჰაიმერი, რომელიც მანამდე სრულებით აპოლიტიკური ადამიანი გახლდათ. ფაშიზმთან ბრძოლაში საკუთარი წვლილის შესატანად ის აქტიურად მონაწილეობდა ანტიფაშისტური ორგანიზაციების მუშაობაში და რამდენიმე პროპაგანდისტული ბროშურაც კი დაწერა. როცა ის ლაბორატორიის ხელმძღვანელად მიიწვიეს, უწინდელი პოლიტიკური კავშირები სამი წლის გაწყვეტილი ჰქონდა.

პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერის თანხმობით, ცნობილ მეცნიერს საიდუმლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეუზღუდეს... საზოგადოებრივი პროტესტის თავიდან ასაცილებლად კი გადაწყდა, საქმის დახურული განხილვა ჩატარებულიყო. აშშ-ის ატომური ენერგიის საკითხთა კომისია სამი კვირა განიხილავდა საქმეს, გამოიძახეს 40-მდე მოწმე და წარმოადგინეს 3000 გვერდამდე გამოძიების მასალები და მოწმეთა ჩვენებები. სამი დღის განმავლობაში „ატომური ბომბის მამას“ მკაცრ, დამქანცველ ჯვარედინ დაკითხვას უტარებდნენ. მეცნიერის ადვოკატებს კი, სახელმწიფო უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, არც დოკუმენტებისა და არც მათი დაცვის ქვეშ მყოფი მეცნიერის ჩვენებების გაცნობის საშუალება არ მისცეს. იმ დროის ყველაზე პატივსაცემი ბირთვული ფიზიკოსები და ისტებლიშმენტის წარმომადგენლები ოპენჰაიმერის წესიერებასა და ლოიალობაზე ლაპარაკობდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ტელერი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ „უფრო ბრძნული იქნებოდა, მეცნიერისთვის კეთილსაიმედოობის სერტიფიკატზე უარი ეთქვათ.“ 29 ივნისს უსაფრთხოების სპეციალურმა კომიტეტმა ოთხი ხმით ერთის წინააღმდეგ ოპენჰაიმერს სერტიფიკატის აღდგენაზე უარი განუცხადა, თუმცა უცხო სახელმწიფოებისათვის საიდუმლო ინფორმაციების გადაცემაში დამნაშავედ არ მიიჩნია.

ოპენჰაიმერის დაბადების 90-ე წლისთავზე საინფორმაციო საშუალებებში გამოჩნდა მრავალი ახალი მასალა პირველი ატომური ბომბის შესახებ, რომელთა ავტორებიც დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ საბჭოთა ატომური ბომბი საბჭოთა უშიშროების თანამშრომლებისა (მაგალითად, ბრაუნის გვარით მოღვაწე მზვერავი გ. ხეიფიცის) და ზოგიერთი ამერიკელი მეცნიერის (უშუალოდ ოპენჰაიმერის) საიდუმლო ინფორმაციების მიწოდების შედეგად შეიქმნა. გენერალ სუდოპლატოვის წიგნად გამოცემულმა მოგონებებმა კი აფეთქებული ბომბის ეფექტი მოახდინა დასავლეთში. სუდოპლატოვის თქმით, ზოგიერთი ამერიკელი და სხვა ფიზიკოსიც საბჭოთა უშიშროებასთან თანამშრომლობდა და ზესაიდუმლო ინფორმაციებს აწვდიდა; ხოლო რუსეთის სახელმწიფო არქივის მიერ მზის სინათლეზე გამოტანილ დასმენა-შეტყობინების კატალოგში მოყვანილია დოკუმენტები, რომლებიც სუდოპლატოვის მოგონებების უტყუარობას ადასტურებს.

ალბათ, უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ მაშინ ნობელიანტ ფიზიკოსთა შორის (რომლებიც ლოს-ალამოსში მუშაობდნენ) ერთობ გავრცელდა მოსაზრება, რომ დაუშვებელი იყო, ასეთი ზემძლავრი იარაღი მხოლოდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს ხელში ყოფილიყო. მოგვიანებით, ტელერი იმასაც გაიხსენებს, რომ 1945 წლის 6 აგვისტოს ხიროსიმაში, 20 კილოტონი სიმძლავრის ურანის ატომური ბომბის ჩამოგდების შემდეგ, რობერტ ოპენჰაიმერს ნერვული შეტევა დაემართა, ხელები უკანკალებდა და ცრემლები მოსდიოდა, რადგან მომხდარ ტრაგედიაში საკუთარ თავს ადანაშაულებდაო.

წიგნში „ატომური შპიონაჟი“ ავტორები ასახელებდნენ ყველა მეცნიერს, ვინც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაში; მათ შორისაა რობერტ ოპენჰაიმერი (საბჭოთა მზვერავების მიერ შერქმეული სახელით — „ვარსკვლავი“) და ასევე, ენრიკო ფერმი (მეტსახელად — „მთავარი რედაქტორი“). „ჩვენ ვიღებდით ინფორმაციებს ოპენჰაიმერისა და მისი მეგობრებისაგან „მანჰეტენის პროექტით“ წარმოებულ სამუშაოთა წინსვლის შესახებ... ოპენჰაიმერმა გადმოგვცა ხუთი კონფიდენციალური ანგარიში,“ — იხსენებენ წიგნის ავტორები.

საგულისხმოა, რომ ლავრენტი ბერიას ვაჟმაც, სერგო ბერიამ ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „მამაჩემის სახლში, ჯერ კიდევ ომამდე, ორი უცხოელი ცხოვრობდა. ერთს რობერტი ერქვა. ვერ დავიჩემებ, მაგრამ მგონია, რომ ის რობერტ ოპენჰაიმერი იყო...“

1953 წლის აგვისტოში საბჭოთა მთავრობამ მოახსენა სსრკ-ის უმაღლეს საბჭოს, რომ აშშ არ არის მონოპოლისტი წყალბადის ბომბის წარმოების საქმეში, ხოლო 20 აგვისტოს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნა სამთავრობო ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ამ დღეებში საბჭოთა კავშირში გამოსაცდელი მიზნებით წყალბადის ბომბის ერთ-ერთი სახეობის აფეთქება განხორციელა.“

აშშ-ის ატომური ენერგიის საკითხთა კომისიამ ამ ფაქტთან დაკავშირებით ანგარიში წარუდგინა პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს. დოკუმენტის არსი მდგომარეობდა შემდეგში: „საბჭოთა კავშირმა „უმაღლეს ტექნიკურ დონეზე განახორციელა წყალბადის ბომბის აფეთქება და გარკვეულწილად წინ გაუსწრო ამერიკას.“ მოხსენების ავტორებმა დაადასტურეს, რომ „სსრკ-მა განახორციელა ის, რის მიღებასაც აშშ 1954 წლის გაზაფხულისთვის დანიშნული გამოკვლევების შედეგად გეგმავდა.“

ამ ამბავმა ვაშინგტონი გააოგნა და აღაშფოთა. მმართველ წრეებში უმალ გაჩნდა კითხვა: როდის ექნება აშშ-ს წყალბადის ბომბი?

ტელერმა კი დაუყოვნებლივ შესთავაზა ოპენჰაიმერს, წყალბადის ბომბის დამზადებას შესდგომოდნენ. მაგრამ წამყვან მეცნიერთა ჯგუფმა, მათ შორის ოპენჰაიმერმაც, რომლებმაც ომის დასრულებისთანავე დატოვეს ლოს-ალამოსი და უნივერსიტეტების აუდიტორიებს მიაშურეს, ცივი უარი განაცხადეს ამ იარაღის შექმნის გაფართოებულ სამუშაოებზე.

1967 წელს, როცა ოპენჰაიმერი გარდაიცვალა, ამერიკულმა პრესამ მას კვლავ დიდი მეცნიერი და „ატომური ბომბის მამა“ უწოდა. არავის გახსენებია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ „კაცს, რომელსაც სურდა, ღმერთი ყოფილიყო“ (ავტორი — ხაკონ შევალიე), ნაციონალური ინტერესების ღალატში დასდეს ბრალი და ჯაშუშის იარლიყიც მიაწებეს.

«ატომური ბომბის მამის» ტრიუმფი და ტრაგედია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვინ გადაისდის ზედმეტს?

ფრანგულ-ნიდერლანდურმა კომპანია „Air France-KLM“-მა ჭარბწონიანი მგზავრები აიძულა, მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით, თვითმფრინავში ერთის ნაცვლად ორი ბილეთი შეეძინათ.

საქმე ისაა, რომ მსუქნებს თვითმფრინავის სავარძლების უსაფრთხოების ქამრები არ სწვდებოდათ, ორადგილიანი ბილეთის შეძენის შემთხვევაში კი ერთი მხრიდან ერთი სავარძლის ქამარს მოიწვდენდნენ, მეორედან კი — მეორისას.

ზუსტად იგივე პირობები მოქმედებს ამერიკულ ავიაკომპანია „United Airlines“-შიც. ირლანდიურ ავიაკომპანია „Ryanair“-ს უკეთესი იდეა აქვს — მსუქნებისათვის სტანდარტული გადასახადის დაწესებას აპირებს, ოღონდ ვერაფრით დაადგინა სიმსუქნის ზღვარი.

რამდენი კუთხე აქვს საზამთროს?

თებერვლიდან ევროპაში კვადრატული ფორმის პანამური საზამთრო გაჩნდება.

პირველები ამ უჩვეულო ფორმის ხილს ბელგიელები, ბრიტანელები, გერმანელები და ჰოლანდიელები იგემებენ, შემდეგ კი კვადრატული საზამთრო ისე მოედება მსოფლიოს, რომ ცოტა ხანში მისი ნამდვილი ფორმა ბევრს აღარც ემახსოვრება. საზამთროების გაკვადრატულება იაპონელებს მოაფიქრდათ, რადგან იგი სიმრგვალის გამო ყუთებში ჩაწყობისას დიდ ადგილს იკავებს. ამიტომ ნესვისა და საზამთროს ნარგავებს ჩოგბურთის ბურთის ზომის კვადრატული ყუთები გამოაბეს ბოლოებზე. ამ ყუთებში გაზრდილი ნაყოფიც, ცხადია, კვადრატული გამოვიდა. ჩვენგან განსხვავებით, ევროპელებს საზამთრო მთელი წლის განმავლობაში ექნებათ და ერთ კილოგრამში დაახლოებით 5 დოლარის გადახდა მოუწევთ.

ვინ „სესხულობს“ ტანკებს?

ესტონეთის ჯარმა თხოვნით მიმართა მეზობელ ლატვიას, რესპუბლიკის შეიარაღებიდან ერთი ტანკი მოგვაქირავეთო. საქმე ისაა, რომ სულ მალე ესტონეთში სამხედრო სწავლებები იწყება, საკუთარი ტანკი კი ამ ქვეყანას არ ჰყავს.

ნათხოვარი ტანკით ესტონელი გენერლები სამხედროების მიერ აშენებული თავდაცვის ნაგებობის გამძლეობას შეამოწმებენ. იჯარით აღებული ტანკი საბჭოთა „T-55“ აღმოჩნდა, არადა, ცოტა ხნის წინათ პოლონეთი ეხვეწებოდა, ხუთ ასეთ ტანკს უსასყიდლოდ მოგცემო. მაშინ ესტონელებმა შემოთავაზებაზე იმის გამო თქვეს უარი, რომ მოდელი ნატოს სტანადარტებს არ შეესაბამებოდა. შედეგად, „T-55“-ებს პოლონეთისთვის ნატოში გაწევრიანების საქმე არ გაუფუჭებია, ესტონელები კი ისევ ხელგაწვდილები იხვეწებიან ტანკსაც და ნატოსაც.

აშშ-მა ჩინეთი საბოლოოდ გააბრაზა

გასულ პარასკევს აშშ-ის ადმინისტრაციამ კონგრესს აცნობა, რომ ტაივანისათვის 6,4 მილიარდი დოლარის ღირებულების თანამედროვე შეიარაღების მიყიდვას აპირებს. ეს გარიგება ჯერ კიდევ 2008 წელს, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს დაიგეგმა, მაგრამ მაშინ ჩინეთმა ამის გამო ვაშინგტონთან თავდაცვის საკითხებზე დიალოგი შეწყვიტა და აშშ ამ დიალოგის მაგიდასთან მხოლოდ 2009 წლის თებერვალში დაბრუნდა.

ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ ტაივანისათვის იარაღის მიყიდვის პროექტი გაიყინა, აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ხომ ბევრისთვის მსოფლიოში მშვიდობის დამყარების იდეის განსახიერებად იქცა და ნობელის პრემიაც მიიღო. მოულოდნელად ობამამ, თავისი მშვიდობისმოყვარეობის მიუხედავად, მოახერხა და ჯერ ავღანეთის მიმართ მოსინჯა საკმაოდ აგრესიული პოლიტიკის გატარება, შემდეგ კი ჩინეთთან დელიკატურობასაც შეეშვა.

ისტორიული ქვეტექსტი ასეთია: **1954 და 1979 წლების შეთანხმებათა მიხედვით, აშშ ვალდებულია, სამხედრო დახმარება გაუწიოს ტაივანს კუნძულზე თავდასხმის შემთხვევაში და, თუ საჭირო გახდა, იქ თავისი ჯარიც კი განათავსოს. ცხადია, ჩინეთთან ღიად დაპირისპირების სურვილი აშშ-ს არ აქვს, მაგრამ რაკეტებითა და თვითმფრინავებით ამ საქმისათვის დახმარების გასაწევად ყოველთვის მზადაა.** მით უმეტეს, რომ ჩინეთი დღემდეც არ გამორიცხავს ტაივანის საკუთარ შემადგენლობაში დასაბრუნებელი სამხედრო ოპერაციის ჩატარებას.

ისე, აშშ-ს ტაივანთან მაინცდამაინც უღრუბლო ურთიერთობა ვერ გამოსდის. ახლახან ტაივანმა უარი განაცხადა ამერიკულ საქონლის ხორცზე, რომლის მიწოდების ხელშეკრულებაც ორ ქვეყანას შორის გასულ შემოდგომაზე დაიდო.

რაც შეეხება ჩინეთს, ჯერ ამერიკულ საიტებზე ჩინელების შეტევამ, შემდეგ ჩინური ინტერნეტცენზურის თაობაზე ამერიკულმა შენიშვნებმა ურთიერთობები საკმაოდ დაძაბა. პენტაგონმა ოდნავ კი გამოიჩინა სიფრთხილე და ტაივანისათვის ზოგიერთი სახეობის იარაღის მიყიდვაზე უარი განაცხადა, რათა პეკინი საბოლოოდ არ გამოეყვანა მდგომარეობიდან, მაგრამ ამან მაინცდამაინც ვერ უშველა საქმეს.

„მიუხედავად ჩინეთის მხრიდან მრავალჯერადი პროტესტისა, ამერიკამ მაინც მიიღო მცდარი გადაწყვეტილება ტაივანისათვის იარაღის მიყიდვის თაობაზე... ჩვენ აღშფოთებულნი ვართ... აშშ-ის ქმედება ზიანს აყენებს ორმხრივ ურთიერთობებს, ნეგატიურ გავლენას ახდენს ჩინეთ-ამერიკის თანამშრომლობის მრავალ მნიშვნელოვან სფეროზე და იმ შედეგს მოიტანს, რომლის ნახვაც მხარეთაგან არც ერთს არ ენდომებოდა“, — უთხრა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხე იაფეიმ აშშ-ის ელჩს ჩინეთში ჯონ ჰანტსმანს.

ზემოხსენებულმა შედეგმაც არ დააყოვნა. „ამერიკული იარაღით ტაივანის მომარაგების მიერ მოტანილი ზიანისა და მისი უკიდურესად ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით, ჩინეთმა მიიღო გადაწყვეტილება, შეწყვიტოს შეთანხმება აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში ვიზიტების თაობაზე“, — ნათქვამია ჩინეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

გარდა ამისა, ჩინეთი აპირებს, დაუწესოს სანქციები იმ ამერიკულ კომპანიებს, რომლებიც ტაივანისათვის სამხედრო ტექნიკისა და იარაღის მიწოდების საქმეშია ჩართული. თუ აზიაში ჩინური ეკონომიკის გავლენას გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, ერთბაშად რამდენი პრობლემა გაუჩნდებათ ამერიკელ ბიზნესმენებს.

კრიზისი დასრულდა, კრიზისი იწყება

31 იანვარს შვეიცარიაში დავოსის მე-40 მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი დასრულდა. მასში მონაწილე 2500-მდე წამყვანმა ბიზნესმენმა და პოლიტიკოსმა 200-ზე მეტი სხდომა გამართა; ეს სხდომები ფინანსური კრიზისის შემდგომ ეკონომიკის აღდგენისა და საბანკო სექტორის პრობლემებს მიეძღვნა.

ფორუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ 2009 წლის მანძილზე საერთო ჯამში ეკონომიკის სტაბილიზება მოხერხდა და ახლა მსოფლიოს წინაშე არანაკლები სიმწვავით დგას საკითხი, თუ რა სტრატეგიით უნდა გაგრძელდეს მოქმედება. როგორც „Deutsche Bank“-ის ხელმძღვანელმა იოზეფ აკარმანმა ბრძანა, არჩევანი არც თუ ისე დიდია — ან მთელი სახსრები მიღწეული სტაბილურობის შენარჩუნებას უნდა მოხმარდეს, ან განვითარების გაგრძელებას უნდა შევეცადოთ. თავის მხრივ, ბრიტანული „Standard Chartered Bank“-ის ხელმძღვანელმა პიტერ სენდსმა განმარტა, რომ თუ მსოფლიო მეორე ვარიანტს აირჩევს, ეს სერიოზულ რისკთან იქნება დაკავშირებული და თავდაპირველად საბანკო და ფინანსური სისტემების ბალანსირება გახდება საჭირო. მისივე თქმით, ფინანსურ სისტემაში ერთი შეცდომაც კი ახალი კრიზისის წინაპირობა გახდება, საბანკო სისტემაში ამგვარი შეცდომა კი უმუშევრობის დაძლევასთან გამკლავების ყველა იმედს მოსპობს.

აკერმანი „დიდი რვიანის“ „დიდ ოცეულად“ გაფართოებას მიესალმა და ბიზნესისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების გაადვილების მიზნით ბიზნესმენების ასეთივე „დიდი ოცეულის“ („B20“) შექმნის იდეაც წამოაყენა.

ფორუმის ერთ-ერთ უმთავრეს მომენტად იქცა რიგგარეშე შეხვედრა, რომელზეც ევროპისა და აშშ-ის ფინანსთა მინისტრებმა და ცენტრალური ბანკების მეთაურებმა ბანკირებს საბანკო და ფინანსური რეფორმების საკუთარი გეგმა წარუდგინეს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით არ მიღებულა.

ფორუმამდეც და მისი მსვლელობის დღეებშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხელისუფლება ბანკების მკაცრად გაკონტროლების მოწოდებებით გამოდიოდა, ბანკირებმა კი ფორუმზე განაცხადეს, რომ ამგვარ პირობებში ეკონომიკის დაფინანსება შეუძლებელი გახდება.

„ეკონომიკური აღმავლობა ჯერ კიდევ ძალიან სუსტია იმის გამო, რომ ის ძირითადად სახელმწიფო ფონდების მიერ ეკონომიკის სტიმულირებას ეფუძნება. კერძო სექტორში ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო სუსტია. მრავალ ქვეყანაში უმუშევრობა კვლავაც გაიზრდება. ვიდრე უმუშევრობა იზრდება, ვიდრე კერძო სექტორი დამოუკიდებლად, სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გარეშე არ დაიწყებს აღმასვლას, კრიზისი დამთავრებული არაა... ფინანსური სისტემის რეფორმირების მხრივ უფრო სწრაფი მოქმედებაა საჭირო და ჩვენ შემოგთავაზებთ კონკრეტულ ზომებს იმისათვის, რომ ფინანსურმა ინსტიტუტებმა თავადაც აგონ პასუხი იმ რისკებზე, რომლის წინაშეც აყენებენ ყველას. თუ მეტ სისულელეს აღარ ჩავიდენთ, კრიზისი უკან დაგვრჩა, მაგრამ სისულელეების ჩადენა ყოველთვის შესაძლებელია, ამიტომ კოორდინირებულად უნდა ვიმოქმედოთ. მთავარი რისკი იქნება, თუ ამის შემდეგ ყველა თავის ქვეყანაში დაბრუნდება, საკუთარი პრობლემებით დაკავდება და დაივიწყებს ამ კრიზისის უდიდეს გაკვეთილს — ჩვენ ის ერთობლივი მუშაობის წყალობით დავძლიეთ“, — განაცხადა მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა დომინიკ სტროს-კანმა. ამის შემდეგ კი ფორუმის მონაწილეები გააფრთხილა, რომ კრიზისის შემდგომი უმთავრესი პრობლემა, რომელთან გამკლავებასაც კიდევ ხუთი-შვიდი წელი დასჭირდება, ქვეყნების სახელმწიფო ვალებია.

დავოსის ფორუმის წევრებს ხელი არ მოუწერიათ არც ერთი მნიშვნელოვანი შეთანხმებისათვის. ფორუმის დახურვის წინა დღეს კი გაიმართა წამყვანი ქვეყნების უმსხვილესი ბანკირების, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების დახურული შეხვედრა, რომლის დეტალები ბოლო დრომდე არ გახმაურებულა.

დავოსის ფორუმის პარალელურად აშშ-ში ამერიკული ეკონომიკის გადარჩენის 700-მილიარდიანი პროგრამის მთავარი ინსპექტორის ნილ ბაროფსკის ანგარიში გამოქვეყნდა. ამ ანგარიშის მიხედვით, პროგრამამ მთელ რიგ მიზნებს ვერ მიაღწია. ფინანსური ორგანიზაციები, რომელთა გაკოტრებასაც სახელმწიფო ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაუშვებდა, სახელმწიფო სუბსიდიების ხარჯზე გამსხვილდა. დარწმუნებულნი არიან რა, სახელმწიფო კვლავაც განაგრძობს მათ დახმარებას, უმსხვილესი ბანკები ახალ-ახალ სარისკო ოპერაციებს ახორციელებენ. უოლ-სტრიტზე პრაქტიკულად უცვლელი დარჩა უზარმაზარი ბონუსების დარიგების პრაქტიკა. უძრავი ქონების ბაზარზე ახალი „ბუშტი“ იბერება, არადა ახლანდელი ფინანსური კრიზისი სწორედ იპოთეკური ფინანსირების კრიზისიდან დაიწყო. პროგრამის მთავარი ინსპექტორის თქმით, ეკონომიკის გადარჩენის პროგრამამ არ მოიტანა ფინანსური სისტემის რეფორმა. „ჩვენ იმავე გზაზე მივდივართ, ოღონდ გაცილებით სწრაფი მანქანით“, — ნათქვამია ანგარიშში. **მრავალი ფუნდამენტური საკითხი მოუგვარებელი რჩება, ეს კი „ამგვარი ან გაცილებით ღრმა კრიზისის“ წინაპირობაა.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

თალიბების ამნისტია და ავღანური გეგმის აღსასრული

28 იანვარს ლონდონში ავღანეთთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელმაც თავისი ძირითადი დანიშნულება შეასრულა — კოალიციაში შემავალი ქვეყნების მოსახლეობები დაარწმუნა, რომ მათი ხელისუფლებები ჯარისკაცების შინ დასაბრუნებლად „რაღაცას მაინც აკეთებენ“. მაგრამ ავღანეთის საკითხი პრაქტიკულად კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე რომ ვერ მოგვარდება, ამაზე უაზრო შემაჯამებელი დოკუმენტებიც მეტყველებს.

კონფერენციის მონაწილეებს უნდოდათ, რომ დარწმუნებულიყვნენ, რომ ავღანეთის შეიარაღებული ძალები ბოლოს და ბოლოს მიაღწევენ საკუთარი ქვეყნის კონტროლირებას და თანაც „რაც შეიძლება სწრაფად“ და არა „მერე“. დაახლოებით იგივე წერია კონფერენციის დასკვნით კომუნიკეშიც — ავღანეთის ხელისუფლება და კონფერენციის მონაწილე 70 ქვეყანა შეთანხმდნენ, 2010 წლის დასასრულსა და 2011 წლის დასაწყისამდე ავღანეთის ყველა პროვინციაზე კონტროლის გადაცემის გეგმა შეიმუშაონ. ვინ უნდა შეიმუშაოს ეს გეგმა და ვინ უნდა აგოს პასუხი მის განხორციელებაზე, დოკუმენტში ნათქვამი არაა.

გეგმის მიხედვით, 2013 წლისათვის „ოპერაციის ძირითადი ნაწილი“ ავღანურმა ძალებმა უნდა აკონტროლონ, 2015 წლისათვის კი მათ საკუთარ თავზე უნდა აიღონ „ფიზიკური უსაფრთხოების“ პასუხისმგებლობაც. ამ დროისათვის ავღანეთის ჯარისა და პოლიციის საერთო რიცხოვნება 300 ათასს უნდა შეადგენდეს. მშვენივრად ჟღერს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ იმის კონსტატაციაა, რაზეც მხარეები აქამდეც არა ერთხელ შეთანხმებულან. საიდან უნდა შეიკრიბოს ამდენი ძალოვანი ან ვინ და რა სახსრებით უნდა იზრუნოს მათ გაწვრთნაზე, არავინ იცის.

დოკუმენტის ერთი აბზაცი ხამიდ კარზაის მიერ შემოთავაზებულ პროგრამას ეძღვნება, რომლის თანახმადაც ბოევიკები საზოგადოებას უნდა დაუბრუნდნენ და მათი ინტეგრირებისათვის მშვიდობისა და რეინტეგრაციის ფონდი უნდა შეიქმნას. კონფერენციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ბედნიერები არიან, ამ ფონდის შექმნის ვალდებულება საკუთარ თავზე რომ აიღეს, მაგრამ აქაც, როგორც დანარჩენ საკითხებში, სიტყვაც არაა ნათქვამი ფონდის მოცულობასა და მაღალჩინოსან თალიბებთან მოლაპარაკებებზე.

თალიბების მოსყიდვის ისტორია იმით დაიწყო, რომ 2009 წლის მარტში აშშ-მა განაცხადა, სამი ბოევიკის დაჭერაში დახმარებისათვის 11 მილიონ დოლარს გადავიხდიო. ამ სამეულს პაკისტანელი თალიბების ლიდერი ბაიტულა მეჰსუდი, ტერორისტი სირაჯუდინ ჰაკანი და თალიბების კიდევ ერთი ლიდერი აბუ იახია ალ-ლიბი შეადგენენ. ფულმა მშვენივრად შეასრულა ის საქმე, რასაც პენტაგონმა კარგა ხანს ვერ გაართვა თავი — აგვისტოში მეჰსუდის ლიკვიდირება მოხერხდა და თალიბებისაგან მშვიდობის ყიდვაზე სერიოზულად ალაპარაკდნენ.

კარზაი ძალადობაზე უარის მთქმელ თალიბებს კომპენსაციასა და სამუშაო ადგილებს დაჰპირდა, მაგრამ ვის ხარჯზე, არ დაუზუსტებია.

აშშ-სა და ნატოელი მოკავშირეებისაგან ზეწოლის შედეგად გერმანია იძულებული გახდა, ავღანეთში თავისი კონტინგენტი 5 ათასამდე გაეზარდა, კარზაის იდეის დასაფინანსებლად კი 50 მილიონი ევრო გამოეყო და ამით ლონდონის კონფერენციის მიერ დაპირებული 140-მილიონდოლარიანი დოტაცია სანახევროდ დაეფინანსებინა. თალიბების მოსარჯულებლად ფულის დახარჯვაზე აშშ-მა უმალ უარი განაცხადა, ისედაც ბევრს ვუხდით ავღანეთის ხელისუფლებას ამდაგვარი მიზნებისთვისო.

დასავლეთი მიიჩნევს, რომ ავღანეთში მთავარი პრობლემა უმუშევრობა (50%-დან 80%-მდე) და მისგან გამომდინარე სიღატაკეა. მისივე ლოგიკით, სწორედ ამის ხარჯზე მოძლიერდნენ თალიბები — ახალგაზრდებს თვეში 300-დოლარიანი ხელფასით იტყუებენ. თავად ავღანელები თვლიან, რომ მათი უმთავრესი პრობლემების რიგში პირველ ადგილზე კორუფციაა, მეორეზე — უსაფრთხოება და შემდეგ — უმუშევრობა.

ქვეყანაში, სადაც ქრთამი საერთო შიდა პროდუქტის 23 პროცენტს შეადგენს, საერთაშორისო დახმარება, უბრალოდ, „აორთქლდება“ და შესაძლოა, 140 მილიონმა ნარკობიზნესით გამდიდრებულ „თალიბანს“ ახალგაზრდა ბოევიკები წაართვას. ამ კომპენსაციამ გაუნათლებელ ავღანელ ბიჭებს იარაღი რომც დაადებინოს, არავინ იცის, მათ შორის არც კოალიციამ ან ავღანეთის ხელისუფლებამ, ვინ მისცემს მათ სამუშაო ადგილებსა და პერსპექტივებს. ავღანელებს არც სამუშაო ადგილები და არც სამომავლო პერსპექტივები, უკანასკნელი ათწლეულებია, არ უნახავთ.

აშშ-მა და ბრიტანეთმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად ავღანეთში სოფლის მეურნეობის განვითარების იდეა წამოაყენეს. არადა, იქ სოფლის მეურნეობა უკვე მშვენივრადაა განვითარებული და ოპიუმის ყაყაჩოს დიდ მოსავალსაც იძლევა. სტაფილო და კარტოფილი დიდი შემოსავლის იმედს გაუნათლებელ და უსწავლელ ავღანელებშიც კი ვერ ბადებს.

გარდა ამისა, ავღანეთს ქვეყნის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო პროფესიონალი კადრების ადგილზევე მომზადებასა და საამისოდ ექსპერტების მივლენას ჰპირდებიან. მაგრამ არავინ იცის, სად უნდა მოაგროვოს დასავლეთმა მთელი ავღანეთის გასანათლებლად საკმარისი მასწავლებლები და როგორ უნდა დაითანხმოს ისინი ამ ეგზოტიკურ მივლინებებზე.

ყველამ იცის და ხმამაღლა არავინ ამბობს, რომ ავღანური მისია ჩავარდა და ახლა კოალიციას ისღა დარჩენია, ქვეყანა საკუთარი რეპუტაციის გადასარჩენად რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით დატოვოს. ამისათვის კი ყოფილი მტრების მოსყიდვა და მათი დროებით შეჩერება მშვენიერი მეთოდია. მართალია, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ლონდონში განაცხადა, რომ ახალი გეგმა აუცილებლად გაამართლებს, ვინაიდან „მტერი იგრძნობს, რომ დინება მის საპირისპიროდ შებრუნდა“, მაგრამ 2001 წელს ქვეყნის სამხრეთ რეგიონში მიკუნჭული და დღეისათვის ავღანეთის 34 პროვინციაში გაპარპაშებული „თალიბანი“ მის მოსაზრებას არ იზიარებს.

მიუხედავად მთელი რიგი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციისა, „თალიბანმა“ ავღანეთში გაეროს მისიასთან მოლაპარაკებების წარმოება უარყო. მოძრაობის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, მშვიდობიანი მოლაპარაკებების თაობაზე ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ „ჭორები“ და „პროპაგანდაა“. „ჭორების ნეიტრალიზებისათვის ჩვენ მტერთან წმინდა ომის გაგრძელებისკენ მოვუწოდებთ“, — ნათქვამია განცხადებაში.

გარდა ამისა, „თალიბანის“ წევრები აცხადებენ, რომ მოძრაობის მიერ მშვიდობიან მოლაპარაკებებზე უარის თქმა ლონდონში 28 იანვარს ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით გამართული საერთაშორისო კონფერენციის ჩავარდნის დადასტურებაა. „ახლა თავისი სამხედრო და პოლიტიკური პრესტიჟის აღსადგენად მტერმა გადაწყვიტა, პროპაგანდით ისარგებლოს“, — ირწმუნებიან თალიბანელები.

იანვრის დასაწყისში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ავღანეთში გაეროს მისიის ხელმძღვანელმა კაი ეიდემ ქვეყანაში საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებები გამართა „თალიბანის“ რამდენიმე წარმომადგენელთან. მოლაპარაკების დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ, როგორც აღნიშნავდნენ, ამის თაობაზე ავღანეთის ხელისუფლებას სრული ინფორმაცია ჰქონდა.

პარალელურად, როგორც 27 იანვარს გახდა ცნობილი, გაეროს უშიშროების საბჭომ „თალიბანის“ ხუთი მაღალჩინოსანი, რომლებიც დასავლელმა დიპლომატებმა „ზომიერი თალიბების“ კატეგორიას მიაკუთვნა, „შავი სიიდან“ ამოშალა. ახლა ითვლება, რომ ავღანეთის პრეზიდენტს ხამიდ კარზაის მათთან თანამშრომლობის პერსპექტივა აქვს.

გაეროს ზემოხსენებულ სიაში ჩამოთვლილია სულ 500 ადამიანი, რომელთაც აკრძალული აქვთ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში შესვლა და რომელთა საბანკო ანგარიშებიც უცხოურ ბანკებში გაყინულია. „შავ სიაში“ 142 ადამიანი „თალიბანთან“ კავშირის ბრალდებით მოხვდა.

ავღანეთის საპარლამენტო არჩევნები სექტემბრისთვის გადაიდო და ავღანელი მოსახლეობისგან სერიოზული მხარდაჭერის მქონე „თალიბანის“ პოლიტიკური ფრთის მასში მონაწილეობა სავსებით რეალურია.



ვინ გათვალა პრეზიდენტი?

პაკისტანის ლიდერი ასიფ ალი ზარდარი თავის რეზიდენციაში თვეში რამდენიმეჯერ რიტუალურად კლავს შავ თხებს. ცრუმორწმუნე პრეზიდენტის აზრით, ეს მას ავი თვალისგან იცავს.

მსხვერპლთშეწირვის ცერემონიას ზარდარი, უკვე კარგა ხანია, მიმართავს და, თუ მის წარმომადგენელს დავუჯერებთ, რიტუალს უკვე რამდენიმე ასეული შავი თხა ემსხვერპლა, თან აბსოლუტურად უშედეგოდ — ბოლო დროს პრეზიდენტისადმი მოქალაქეების ნდობა კატასტროფულად იკლებს. როგორც ჩანს, მარტო შავი თხების ხოცვა ვერ უზრუნველყოფს უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობითა და ტერორისტების თავდასხმებით განამებული ხალხის კეთილგანწყობას.

ზარდარის ის თუ უშველის, მუსლიმანური ტრადიციის მიხედვით, მსხვერპლად შეწირული ცხოველის ხორცი ღარიბებს რომ ურიგდება.



ვინ დააორსულა კაცი?

ტრანსექსუალურ წყვილს თებერვალში პირველი შვილი შეეძინება. სკოტ მური მსოფლიოში მეორე მამაკაცია, რომელმაც სახალხოდ განაცხადა ორსულობის შესახებ და რომელსაც მალე ვაჟი შეეძინება.

30 წლის სკოტი, ისევე როგორც მისი უსაყვარლესი მეუღლე ტომასი, განგებამ ქალად გააჩინა. შემდეგ ორივემ სქესის შეცვლის ოპერაციები გაიკეთეს. კალიფორნიაში მცხოვრები წყვილი ტრანსსექსუალთა მხარდაჭერის კლუბში ბედმა 2005 წელს შეახვედრა ერთმანეთს. შემდეგ სკოტი ოფიციალურად მისთხოვდა ტომასს, ვინაიდან საბუთების თანახმად, ის ჯერ კიდევ ქალად ითვლება. ტომასისგან განსხვავებით, მან მხოლოდ მკერდი მოიცილა, ქალისათვის შესაბამისი სხვა ყველა ორგანო ადგილზე აქვს. ახლა სკოტი ამბობს, რომ ის და ტომასი უზომოდ ბედნიერები არიან და ვიღაცების კრიტიკას ყურადღებას არ აქცევენ.

საღ წავიდა პინგვინი?

იაპონიის ქალაქ საიკაის (ნაგასაკის პრეფექტურა) ზოოპარკიდან უიშვიათესი ჯიშის — გუმბოლტის პინგვინი დაიკარგა. დღისით-მზისით ვიღაც თავხედი საშუალო სიმაღლის ღობეზე გადაძვრა, 50 სანტიმეტრამდე სიმაღლის პინგვინი ჩვეულებრივ ჩანთაში ჩასვა და უგზო-უკვლოდ გააქრო.

ზოოპარკის თანამშრომელმა განაცხადა, რომ ყველაზე ცუდი იქნება, თუ ამ ფაქტის შემდეგ დანარჩენ პინგვინებს ადამიანებისადმი შიში გაუჩნდებათო.

რაც შეეხება გამტაცებელს, პოლიციამ უკვე დააკავა ქალაქ ფუკუოკის ზოომაღაზიის დირექტორი, 24 წლის აკირუ ხონდუ. გუმბოლტის პინგვინები სამხრეთ ამერიკის ბინადრები არიან და გადაშენების საფრთხის წინაშე დგანან.

ახლა გადაშენების პირას მდგარ პატარა პინგვინებსა და საიმპერატორო პინგვინებს სნაიპერები იცავენ. მათ დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის ცეცხლის გახსნის უფლებაც აქვთ.

«სალხინოს» კიდევ ერთი აღიარება უცხოეთში

2009 წლის დეკემბერში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კონგრესზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ მსოფლიო მედიცინის აღიარებულ კლინიკებში სულ ახალ-ახალი მიმართულებებით კვლავ გაგრძელდეს მნიშვნელოვანი ფიტოთერაპიული წამლების კვლევა, რადგან ბევრი მათგანის წინაკლინიკური და კლინიკური კვლევები იმედისმომცემი და რეალურია, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ბევრი და თუნდაც აღიარებული ანტიბიოტიკის მიმართ დღეს ადამიანის ორგანიზმი იმდენად რეზისტენტული გახდა, რომ ის საერთოდ არ შველის ავადმყოფს ვირუსული თუ ინფექციური დაავადებების დროს.

არსებობს ფიტოპრეპარატები, რომელთაც ამ პრობლემის მოხსნა 5-7 დღეში შეუძლია, თანაც უვნებლად, ორგანიზმის დაზიანების გარეშე, რაც ქიმიური პრეპარატების მიღებისას შეუძლებელია.

ამჯერად ყველასთვის ცნობილი და აღიარებული ქართული პრეპარატის **„სალხინოს“** კიდევ ერთ წარმატებაზე მისი ავტორი ბატონი როინ ნაჭყებია თავად გიამბობთ.

გერმანიაში, ქალაქ კიოლნში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე **ბორის ქობულაშვილი** ცუდად გახდა და საკმაოდ პრესტიჟულ კერძო კლინიკაში ჩაიტარა კვლევები. გაირკვა, რომ მას სეზონურად აწუხებდა ბრონქიალური ასთმის მსგავსი ხველა. 55 წლის ასაკში ამის მკურნალობა ექიმებს საკმაოდ რთულ და ძვირადღირებულ პროცესად ეჩვენებოდათ. ასე გრძელდებოდა 2 წელი. ფაქტობრივად, გერმანიაში ოჯახის სარჩენად წასული კაცი, მთელ თავის შემოსავალს მკურნალობაში ხარჯავდა, რომ არა ერთი გონიერი ექიმი, კლაუს ზონთაგი, კერძო კლინიკის მთავარი ფიტოთერაპევტი, ბიოლოგიური მედიცინის დოქტორი.

ბატონმა კლაუსმა ქართველ პაციენტს პირველივე შეხვედრაზე უთხრა — თქვენ, ქართველებს ისეთი უნიკალური ქართული პრეპარატი გაქვთ — **„სალხინო“**, რომ ამ დაავადებით არ უნდა იტანჯებოდეთო. ბატონ ბორისს გაუკვირდა, რომ მან თავად არ იცოდა ეს პრეპარატი ამ შემთხვევაშიც თუ გამოიყენებოდა; ადრე, თბილისში ცხოვრების დროს, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებების სამკურნალოდ და ნეფრიტის დროს **„სალხინოს“** იღებდა და კმაყოფილიც იყო.

ბატონმა ბორისმა ყურად იღო გერმანელი პროფესორის რჩევა. მას სასწრაფოდ გაუგზავნეს თბილისიდან პრეპარატი „სალხინო“ და ზუსტად 5 დღეში პრობლემა მოეხსნა.

ამჯერად მას სურს, ჩვენი გაზეთის მკითხველებს შორეული გერმანიიდან მოუთხროს ქართული პრეპარატის სასწაულმოქმედებაზე, რომელსაც შეუძლია ადამიანის განკურნება ძვირადღირებული კვლევებისა და ქიმიური პრეპარატების გარეშე.

ჩვენთან სატელეფონო საუბარში ბატონმა ბორისმა გერმანიიდან აღნიშნა: „თუ მე დღეს ჯანმრთელი ვარ, ამას **„სალხინოს“** უნდა ვუმადლოდე. არ მეგონა, თუ ამ ფიტო წამალს ასეთი ულევი შესაძლებლობები ჰქონდა. ეს პრეპარატი მუდამ თან მექნება. კოლხი მედეას ქვეყანაში ხალხი უცხოურ წამალს არ უნდა ეძებდეს, მითუმეტეს, რომ **„სალხინო“** კოლხურ მიწაზეა მოპოვებული“.

როინ ნაჭყებია, წამლის ავტორი: „სალხინო“ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი სამკურნალო საშუალებაა. მისი მაღალეფექტიანობა წლების მანძილზე საკუთარ თავზე გამოსცადა ათასობით პაციენტმა. მისი მთავარი წარმატება კი ისაა, რომ უკუჩვენება არ გააჩნია და ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისგანაა მიღებული.

ასევე, მას აქვს ანტისეპტიკური, ანტიბაქტერიული სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი თვისებები; ის გამოიყენება სარძევე ჯირკვლების დაავადებების, მასტიტების, მასტოპათიის შემთხვევებში; აქვს უნარი, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები, მოხსნას ტკივილები ბეჭისა და მკერდის არეში. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, გამოიყენება გინგივიტის, ფრონტიტის, ბრონქიტის, ასთმური ხველის, ქოლეცისტიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, რადიკულიტის, კანის ჩირქოვანი და წყლულოვანი დაავადებების, შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებების დროს; შეუძლია, აალაგოს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან; აძლიერებს იმუნიტეტს. შეტანილია რუსეთისა და საქართველოს გამოგონებათა რეესტრში, რეგისტრირებულია მრავალ ქვეყანაში.

წამალ „სალხინოს“ ოფისის ტელეფონის ნომერია: 95-90-60.

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, გონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net